საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №11

ვალდებულებითი სამართალი

საძიებელი

1. ვალის არსებობის აღიარება

2. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

3. სახელშეკრულებო ვალდებულებანი

ნასყიდობის ხელშეკრულება

სესხის ხელშეკრულება

სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა

პროცენტი სესხისათვის

ნარდობის ხელშეკრულება

გადაზიდვის ხელშეკრულება

ტვირთის გადაცემის ხელისშემშლელი გარემოებები

საბანკო გარანტია

სადაზღვევო შენატანის გადახდის ვალდებულება

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისგან

ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადამდე დაბრუნებისათვის

ზიანის ანაზღაურება საგირავნო ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის გამო

4. უსაფუძვლო გამდიდრება

შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე

ვალდებულების შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ

ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი

გადაცემული ქონების უკან დაბრუნების დაუშვებლობა

უსაფუძვლო გამდიდრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

დელიქტური ვალდებულებანი

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

1. ვალის არსებობის აღიარება

განჩინება

№ას-413-391-2012 25 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ზ. ალავიძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ი. ო-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ა-ის მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თანხის დაკისრება შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელემ ა. ა-ს სესხის სახით გადასცა 30000 აშშ დოლარი, რაც დასტურდება 2008 წლის 22 სექტემბრის ხელწერილით. მოპასუხემ ივალდებულა ნასესხები თანხის გადახდა გრაფიკით. აღნიშნული გრაფიკის მიხედვით მან გადაიხადა 3500 აშშ დოლარი, რაც აღნიშნულია სესხის ხელწერილზე და დადასტურებულია ხელმოწერით. ა.ა-ს ვალდებულება უნდა შეესრულებინა 2009 წლის 1 დეკემბრამდე, რაც არ განხორციელებულა.

მოპასუხე ა. ა-მ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და ამასთან, შეგებებული სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა 2008 წლის 22 სექტემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგი დასაბუთებით: სესხის ხელწერილი დაწერილი იყო იმ მიზნით, რომ მას რაიმე იურიდიული შედეგი არ მოჰყოლოდა. ა. ა-ს მოსარჩელესთან ჰქონდა მეგობრული დამოკიდებულება და იგი ამავდროულად იყო მისი ბიზნესპარტნიორი. ა.ო-მა მას სთხოვა, დაეწერა სესხის აღების ხელწერილი, ვინაიდან, მოსარჩელეს ჰქონდა თურქეთის რესპუბლიკაში ვალი, ის თავის კრედიტორებს აჩვენებდა მსგავსი შინაარსის ხელწერილს და ცოტა ხნით შეაჩერებდა მათ მოთხოვნებს. ა. ო-ს ხელწერილში მითითებული თანხა ა.ა-ისათვის არასდროს გადაუცია, რის გამოც, მოპასუხეს არ გააჩნია თანხის დაბრუნების ვალდებულება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ი. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ა. ა-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 26500 დოლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-მ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ი. ო-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ივლისის განჩინებით ა. ი. ო-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, ასევე სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სარჩელით მოთხოვნილი თანხა იყო დაზგა-დანადგარების ღირებულება, რომელიც ა. ი. ო-მა, როგორც ფიზიკურმა პირმა, ჩამოუტანა ა. ა-ს, როგორც ფიზიკურ პირს. საქმეზე წარმოდგენილ სადავო ხელწერილში, რომელიც 2008 წლის 22 სექტემბერს ხელმოწერილია ა. ა-ის მიერ, აღნიშნულია შემდეგი: «.... ეს თანხა (ოცდაათი ათასი დოლარი) ა. ა-მ, ზემოთ აღნიშნული გრაფიკის მიხედვით უნდა გადაუხადოს ა. ი. ო-ს». საქმეში განთავსებულია წერილობითი დოკუმენტი (ასლი), კერძოდ, 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2009 წლის 1 დეკემბრამდე ყოველთვიურად 2000 აშშ დოლარის გადახდის გრაფიკი, სადაც აღნიშნულია: შპს „ს.+» ა. ი. ო-ისგან ერთ სკამს 5 აშშ დოლარად იყიდის. თუ ფირმის მუშაობა გაუმჯობესდება და იგი შესძლებს შპს „ს.+-ის» მიერ გამოშვებული სკამების რეალიზაციას, ანუ 2009 წლის ბოლომდე ყოველთვიურად გაიყიდება არანაკლებ 400 სკამი, ანგარიშსწორება განხორციელდება ზემოთ მოცემული გრაფიკით. დოკუმენტი დათარიღებულია 2008 წლის 22 სექტემბრით და ხელმოწერილია ა. ა-ის მიერ. საქმეში განთავსებული მტკიცებულებებით, კომერციული ინვოისებითა და საბაჟო დეკლარაციებით ირკვევა, რომ 2008 წლის 23 მაისს შპს „ბ-ის» მეშვეობით, თურქეთის რესპუბლიკიდან შპს „ს.+-ის» მიერ იმპორტირებულ იქნა 9628,53 აშშ დოლარის საქონელი, მათ შორის, მეორადი მოხმარების დანადგარები და ხელსაწყოები (სახერხი დანადგარი, საფრეზავი დანადგარი, კომპრესორი, მოსაღუნი მანქანა, საგოზავი, საფრეზავის ბორბალი, მეტალის წვეტიანი დანა, ხელის ხერხი, მაკრატელი და სხვ). საბაჟო დეკლარაციებითა და სასაქონლო ზედნადებით ირკვევა, რომ 2008 წლის თებერვალში, შპს „ს. ე-ის» მიერ, თურქეთის რესპუბლიკიდან იმპორტირებულ იქნა სხვადასხვა დასახელების საქონელი, ხოლო შპს „ს.+-ს» შპს „ს. ე-ისაგან» 2008 წლის 27 და 28 მარტს სასაქონლო ზედნადებით მიეწოდა 15850 ლარის ღირებულების საქონელი, მათ შორის, მეორადი მოხმარების დაზგა-დანადგარები და ხელსაწყოები. შპს „ს.+-ის» წესდებით ირკვევა, რომ 2008 წლის 5 მარტს რეგისტრირებულ იქნა შპს „ს.+», რომლის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 320 ლარით, ხოლო

50% წილის მქონე დამფუძნებელ პარტნიორს წარმოადგენდა ა. ი. ო-ი საწესდებო კაპიტალში 160 ლარის შენატანით. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმე მ. გ-მა განაცხადა, რომ „ა. ა-ს და ა.ი. ო-ს ჰქონდათ საერთო ბიზნესი, ერთად მუშაობდნენ. ა-მ ჩამოიტანა დაზგა-დანადგარები და მასალა, სხვა ხარჯები ა-მ გაიღო. საქმიანობის შედეგად მოგება არ იყო. იგი ესწრებოდა საქმეში განთავსებული სადავო ხელწერილის შედგენას. ამ ხელწერილის შედგენის მიზეზი იყო ერთი მხარის ნება საქმიანობის (მუშაობის) შეწყვეტისა, რასაც დაეთანხმა მეორე მხარე. შემდეგ ერთი ხელწერილი დაიხა და მეორე დაიწერა, რომ ეს ქარხანა თუ იმუშავებდა და შემოსავალი ექნებოდა, ეს თანხა უნდა გადაეხადა ა-ს ა-ისათვის. საგამოძიებო ორგანოში მოწმის სახით დაკითხვისას მ. გ-მა აჩვენა: „2008 წელს ა. ა-მ და ა-მ დაიწყეს ერთობლივი ბიზნესსაქმიანობა. ა-მ ა-ს უთხრა რომ მე ვარ კარგი მოავეჯე, მე თურქეთიდან ჩამოვიტან დანადგარებს და ქუთაისში გავაკეთოთ სკამების საამქრო და მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ თვეში 101000 ცალ სკამს გავუკეთებ რეალიზაციას. შეთანხმდნენ ა-ი და ა-ო, მათ გააკეთეს ერთობლივი ფირმა, დაიწყეს საქმიანობა. მათ ამ ბიზნეს საქმიანობის პერიოდში შეექმნათ პრობლემები. მათ ჯერ ვერ გამოუშვეს პროდუქცია რამდენიმე თვის განმავლობაში, ხოლო როცა დაიწყეს პროდუქციის გამოშვება ვერ ახერხებდნენ მათ რეალიზაციას. რისი რეალიზაციაც მოახერხეს მათი ნაწილის უკან დაბრუნება მოუხდათ, რადგან მათ გამოშვებულ პროდუქციას აკლდა ხარისხი. ყოველივე ამ პრობლემებმა გამოიწვია ფირმაში ფინანსური კრიზისი. ა-მ იმის გამო, რომ ფინანსური კრიზისიდან თავი დაეღწია აიღო ვალები, როგორც პირადად ისე ბანკში, ჩადო თავისი სახლი და აიღო სესხი, მაგრამ მათ მაინც ვერ მოახერხეს საქმის აწყობა. მე როგორც ვიცი ეს ვალები ა-ს და ა-ის ერთად უნდა გადაეხადათ. ყოველივე ამის შემდეგ, ა-იმ გადაწყვიტა გასულიყო საქმიდან. ამის გამო ა-ოსა და ა-ის შორის წარმოიშვა დავა, დავაზე საქმის გასარკვევად ა-იმ მთხოვა მივსულიყავი მათთან სამსახურში. მივედი საქმის განხილვაზე. ჩვენ ვნახეთ მათი ფირმის ხარჯთაღრიცხვის საბუთები, ვიანგარიშეთ და დავადგინეთ, რომ ა-ის ა-ოსაგან არანაირი თანხა არ ერგებოდა, რადგან ა-ოს საქმისთვის უფრო მეტი თანხა ჰქონდა დახარჯული, ვიდრე ა-ის. ...ა-იმ თქვა, რომ ა-ოსთან თანხაზე არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა. ხელწერილი, რომლის საფუძველზეც ა-ი ა-ოს სთხოვს თანხას დაიწერა ჩემს გარეშე, შემდეგ იგი ჩვენი თანდასწრებით დახია ა-იმ და შემდეგ დაწვა. ამავე დროს ა-იმ თქვა, რომ ჩვენს შორის ხელწერილი რა საჭიროა, საქმე კი მთავრდება, მაგრამ მეგობრობა არ მთავრდებაო. ამის შემდეგ შედგა მეორე ხელწერილი, რომელიც ა-ის მისცა ა. ა-მ. ამის შემდეგ ა-ი წავიდა თურქეთში». პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმემ, ჰ. ა-მა მიუთითა შემდეგი: „ა. ა-ე და ა. ი. ო-ი იყვნენ ერთმანეთთან დაახლოებული პირები და თანამშრომლობდნენ... როგორც ჩემთვის ცნობილია, ა-ის უნდა ჩამოეტანა დანადგარები, უნდა ამუშავებულიყო ერთობლივი საწარმო და მოგებული ფულით უნდა გასტუმრებულიყო ღირებულება, რომელიც ერთობლივი საქმიანობისათვის არის დამახასიათებელი. თუკი იმუშავებდა მოგებაზე მოხდებოდა ანგარიშსწორება ... რეულში იყო აღნიშნული, რომ ა-იმ ჩამოიტანა მანქანა-დანადგარები და 30000 აშშ დოლარი იყო იქ მინიშნებული... იქ იყო სხვა ხარჯებიც ელ. ენერგიის, ფიცრის, სხვადასხვა ხარჯები.... 3000 დოლარი იყო ფული, რომელიც ა-იმ გადაიხადა თურქეთში, ხოლო დანარჩენი ხარჯი, რაც იყო გაწეული ეს იყო ა-ს გაწეული ხარჯი. სააპელაციო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ა. ი-მა აჩვენა, რომ არის ფირმა-სააქციო საზოგადოება „ს-ის» დირექტორი. მათ ფირმას გააჩნია ლიცენზია ტვირთის განბაჟებისა, რის გამოც საზღვარზე ტვირთის გადაზიდვის დოკუმენტები მათი ფირმის სახელზე ივსება, თუმცა რაიმე შეხება ტვირთთან არ გააჩნიათ. ამ მომსახურეობაში იღებენ ანაზღაურებას, ხოლო უშუალოდ გადაზიდვის თანხას იღებს მძღოლი. 2008 წელში, ა. ი. ო-ის მოთხოვნით მოახდინეს ტვირთის საქართველოში გადაზიდვა, რაც მიტანილი იქნა შპს „ე-თან» და არა ა. ა-სთან. ამ გადაზიდვასთან დაკავშირებით, ა. ი-ის სიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე გასცა წერილები, სადაც ტექსტი დაფიქსირებულ იქნა ა-ის მითითებით, ხოლო თარიღები თვითონ მოიფიქრა, თუმცა არ ახსოვს რას დაუკავშირა თარიღები». სააპელაციო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა მ. ი-მა აჩვენა, რომ არის ფირმა „ბ-ის» პარტნიორი. ფირმა ეწევა გადაზიდვის სამუშაოებს. ა. ი. ო-ის მოთხოვნით საქართველოში ტვირთი რამდენჯერმე გადმოზიდეს. თურქეთიდან საქონლის გადმოზიდვას ახორციელებდა ა. ო-ი, თუმცა ვინ გადაიხადა ა-ის მოტანილი საქონლის ფასი ან ვინ იყო ტვირთის მიმღები, მისთვის უცნობია. მისთვის ცნობილია, რომ ა. ო-ი და ა. ა-ე ერთობლივ საქმიანობას ეწეოდნენ, მუშაობდნენ სახერხ საამქროში, აკეთებდნენ სკამებს და, სწორედ, სახერხ საამქროში იყო დაზგები. შპს „ს.+-ის» დამფუძნებელ პარტნიორთა კრების 2008 წლის 23 სექტემბრის №3 ოქმში დაფიქსირებულია: „კრებაზე სიტყვით გამოვიდა ა. ი. ო-ი, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შპს „ს.+-ში» მისი წილი 50% გადაანაწილოს შემდეგნაირად: ა. ა-ს-25%, გ. ა-ს-12,50%, თ. ფ-ს – 12,50%, შესაბამისად, გადანაწილება წილები შპს „ს.+-ის» საწესდებო კაპიტალის 320 ლარის შესაბამისად. მოსარჩელემ განაცხადა, რომ მისი წილი კაპიტალის ღირებულებაა 160 ლარი და ეს ღირებულება მას მიღებული აქვს თ. ფ-ისაგან, გ. ა-ისა და ა. ა-ისაგან მათ მიერ შეძენილი წილების შესაბამისად. ამდენად, ა. ი. ო-ის არავითარი პრეტენზია მათ მიმართ არ გააჩნია. კრების დამსწრე წევრებმა თანხმობა განაცხადეს წილების ამდაგვარ გადანაწილებაზე. კრებამ ერთხმად დაადგინა: ა. ი. ო-ის კუთვნილი წილი, რაც შეადგენს 50%-ს გადანაწილდეს გ. ა-ზე, ა. ა-ზე და თ. ფ-ზე შემდეგი პროპორციებით: ა. ა-ს-25%, გ. ა-ს-12,50%, თ. ფ-ს-12,50%, შესაბამისად, გადანაწილდეს წილები შპს „ს.+-ის» საწესდებო კაპიტალის 320 ლარის შესაბამისად». კრების ოქმს ხელი მოაწერეს პარტნიორებმა, მათ შორის, ა. ი. ო-მა, რაც დამოწმებულია სანოტარო წესით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავე კოდექსის 930-ე-932-ე მუხლების შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუალებებით იურიდიული პირის შეუქმნელად. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად. მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენატანები. შენატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქონებით, ისე მომსახურების გაწევით. საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებითა და წერილობითი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ა. ი. ო-სა და ა.ე ა-ს შორის 2008 წლის 5 მარტამდე არსებობდა ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ურთიერთობები. მოსარჩელემ დაზგა-დანადგარები ჩამოიტანა თავდაპირველად, ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად, ხოლო შემდეგ – როგორც შენატანი შპს „ს. +-ის» კაპიტალში. ამდენად, ა. ა-ს, ა. ო-ის სასარგებლოდ გადახდის ვალდებულება არ წარმოშობია ზემოხსნებული ნორმით გათვალისწინებული არცერთი საფუძვლიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 მუხლისა და 103-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედებს პრინციპი, რომ იმ მხარემ, რომელიც მტკიცებულებად იყენებს რაიმე დოკუმენტს, უნდა დაამტკიცოს ამ დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტების ნამდვილობა, თუ აღნიშნული გახდება სადავო. მითითებულ ნორმებზე დაყრდნობით პალატამ მიუთითა, რომ მოცემული ნორმა შეიცავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის (მოვალეობების) განაწილების ზოგად წესს. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ – გარემოებები, რომელზეც იგი ამყარებს თავის შესაგებელს. მტკიცების ვალდებულება (ტვირთი) მხარეთა შორის ნაწილდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესისა და მატერიალური კოდექსის ნორმებში არსებული კერძო (სპეციალური) წესების საფუძველზე. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მან ახალაძეს დანადგარები მიჰყიდა, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, თუმცა მას საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. აქედან გამომდინარე, ა. ა-ე არ არის ვალდებული, გადაუხადოს ო-ს მოთხოვნილი თანხა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების გამო. სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2008 წლის 5 მარტიდან ა. ი. ო-ისა და ა. ა-ის მიერ დაარსდა შპს „ს.+». ერთობლივი საქმიანობის დროისათვის თურქეთის რესპუბლიკიდან ა.ო-ის მიერ ჩამოტანილი დაზგა-დანადგარები შპს „ს.+-ის» რეგისტრაციის შემდგომ განთავსებულ იქნა შპს „ს.+-ის» სამეურნეო ფართში (სახერხი საამქრო) და შპს-ში სამეწარმეო საქმიანობა-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სკამები მზადდებოდა, სწორედ, ამ დაზგა-დანადგარების გამოყენებით. აღნიშნული ადასტურებს, რომ 2008 წლის მარტიდან სამოქალაქო კოდექსის 939-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდა. ამხანაგობის კუთვნილი ქონება მხარეებმა შეიტანეს საწარმოს კაპიტალში და, შენატანების შესაბამისად, მიიღეს საწარმოში წილები. ვინაიდან, 2008 წლის მარტში მხარეებმა გაინაწილეს და განკარგეს ქონება, ამიტომ ა. ა-ე არ არის ვალდებული, გადაუხადოს ა. ო-ს თანხა ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებების გამო. საბაჟო დეკლარაციებითა და სასაქონლო ზედნადებით ირკვევა, რომ 2008 წლის მარტის შემდგომ ა. ო-ი ქონებას, მათ შორის, მეორადი მოხმარების დაზგა-დანადგარებსა და ხელსაწყოებს აწვდიდა შპს „ს.+-ს». პალატამ განმარტა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ მიწოდებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე პასუხისმგებელს წარმოადგენდა შპს „ს.+», მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლითა და მიზნით ღებულობდა იგი ო-ისაგან პროდუქციას. ამდენად, ამ მიწოდების გამო ა. ა-ეს ა. ო-ის მიმართ ვალდებულებები არ წარმოშობია. მხარეთა განმარტებებითა და მოწმეთა ჩვენებებით დადასტურებულია, რომ შპს „ს.+-ს» საქმიანობა მომგებიანი არ გამოდგა, რის გამოც ა. ი. ო-მა გადაწყვიტა, დაეთმო თავისი წილი საზოგადოების კაპიტალში და მიეღო მის მიერ განხორციელებული შენატანის, თუ მიწოდებული საქონლის კომპენსაცია. არსებითად, ა. ო-მა მოითხოვა პარტნიორობიდან გასვლა შენატანის უკან დაბრუნების გზით. 2008 წლის 5 მარტის მდგომარეობით მოქმედი მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და შპს „ს.+-ის» წესდების 28.გ, ასევე 30-ე პუნქტების შესაბამისად, პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის შემთხვევაში, შესაძლებელია, მოთხოვნილ იქნეს დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება ან მისი კომპენსაცია. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, საზოგადოების ყველა პარტნიორის მონაწილეობით მიღებული კრების გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ შპს „ს.+დან» ა. ო-ი გავიდა წილის გასხვისების გზით, თუმცა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით აუნაზღაურდა, მხოლოდ საწესდებო კაპიტალში შეტანილი თანხა და კრებაზე არ განხილულა და გადაწყვეტილება არ მიუღიათ შენატანის სახით დაზგა-დანადგარების ღირებულების კომპენსაციის თაობაზე, ამიტომ, ა.ო-ს უფლება აქვს, შენატანის უკან დაბრუნების მოთხოვნით მიმართოს შპს „ს. +-ს», ხოლო ა. ა-ს, შპს „ს.+დან» ა. ო-ის გასვლის გამო, თანხის გადახდის ვალდებულება არ გააჩნია. საქმეში წარმოდგენილი პარტნიორთა კრების ოქმის თანახმად, ა. ო-მა პარტნიორებს, თ. ფ-ს, გ. ა-სა და ა. ა-ს, დაუთმო თავისი წილი 160 ლარად. შპს „ს.+-ის» დამფუძნებელ პარტნიორთა კრების 2008 წლის 23 სექტემბრის №3 კრების ოქმის მიხედვით, ეს თანხა გადახდილი იყო. შესაბამისად, ა. ა-ს არ წარმოშობია გა-

დახდის ვალდებულება წილის დათმობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თუმცა, 160 ლარი გადახდილი რომც არ იყოს, ის უნდა გადაეხადა ყველა დარჩენილ პარტნიორს და არა მხოლოდ ა. ა-ს. ამდენად, ამ შემთხვევაშიც ა. ო-ის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ა. ა-ს, ა. ო-ის მიმართ გადახდის ვალდებულება არ წარმოშობია. მართალია, ა. ა-ს შეეძლო, აეღო ვალდებულება, გადაეხადა ო-ისათვის სხვისი, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, შპს „ს. +-ს» ვალიც, თუმცა, ამისთვის, სამოქალაქო კოდექსის 327-ე, 341-ე და 371-ე მუხლების თანხმად, საჭირო იყო ხელშეკრულება. მოწმეთა ჩვენებებისა და ა. ა-ის მიერ შედგენილი ხელწერილების შეფასების საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ხელწერილი, სადაც დაფიქსირებულია 30000 აშშ დოლარის გადახდის გრაფიკი, არ არის ვალის აღიარების ხელშეკრულება. პალატამ განმარტა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მართალია, ვალის არსებობის აღიარება წარმოადგენს ხელშეკრულებას, მაგრამ, ამავე კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. ამავე კოდექსის 341-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი. ნებისმიერი დოკუმენტი, რომელშიც ვალის არსებობაა დაფიქსირებული, ვერ ჩაითვლება ვალის არსებობის შესახებ ხელშეკრულებად, თუ არ დადგინდა, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ხელწერილში არ არის მითითებული მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის ისეთ არსებით პირობებზე, როგორიცაა მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების საგანზე, კერძოდ, თუ რა ვალდებულების შესრულების მიზნით უნდა გადახდილიყო ხელწერილში დაფიქსირებული თანხა. ამდენად, სადავო ხელწერილი საერთოდ არ არის ხელშეკრულება, რადგან მხარეები მის არსებით პირობებზე არ შეთანხმებულან, ამიტომ ა. ა-ე არ არის ვალდებული, გადაუხადოს ა. ო-ს თანხა, მარტოოდენ, ამ ხელწერილის საფუძველზე, შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელე) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეზე წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება ა. ი. ო-ის მიმართ 30000 აშშ დოლარი ფიზიკური პირის ა. ა-ის ვალი, ასევე არ იქნა გაზიარებული მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) – ა. ი. ო-ის მითითება იმის თაობაზე, რომ სადავო ხელწერილით დასტურდება ა. ა-ის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება, 3500 აშშ დოლარის გადახდა. ვინაიდან მოპასუხემ სადავო გახადა ხელწერილში დაფიქსირებული ჩანაწერი „2500§, 1000§», ამასთან, მოსარჩელის მითითებით, ეს ჩანაწერი შესრულებულია ა. ო-ის და არა ა. ა-ის მიერ, პალატამ მიიჩნია, რომ გაურკვეველი შინაარსის ჩანაწერი არ შეიძლება გახდეს თანხის გადახდის დამადასტურებელი. საქმეში წარმოდგენილია მეორე ხელწერილის ასლიც, ამ ხელწერილებისა და საქმის მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ, სინამდვილეში, სადავო ხელწერილი ეხება შპს „ს. +-სა» და ა. ო-ს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. ხელწერილების შინაარსიდან ჩანს, რომ მხარეები, არსებითად, შეთანხმდნენ მასზე, რომ ო-ი გადიოდა საზოგადოებიდან და მას ფულადი სახით აუნაზღაურდებოდა მის მიერ განხორციელებული შენატანი იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ექნებოდა შემოსავალი. ასეთი შეთანხმება ყველაზე მეტად შეესაბამებოდა საქმის ვითარებას, რადგან ჩვეულებრივ, საწარმოდან პარტნიორის გასვლის შემთხვევაში, წილის კომპენსაცია მის მიერ განხორციელებული შენატანის ეკვივალენტი არ არის. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ შპს „ს. +- მა» მიიღო ზარალი და, ცხადია, ა. ო-ის წილის კომპენსაცია ბევრად ნაკლები იქნებოდა მის მიერ განხორციელებულ შენატანთან შედარებით, ამიტომაც გონივრულია, ა. ო-ს მიეღო შენატანის კომპენსაცია საწარმოს შემოსავლის კვალობაზე. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ ა-მ თავის თავზე აიღო შპს „ს. +-ის» ვალდებულების შესრულება, რაც კიდევ ერთხელ გამორიცხავს ა. ა-ის მიერ ა. ო-ის მიმართ თანხის გადახდის ვალდებულებას. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა ა. ა-ის – როგორც ფიზიკური პირის მიერ ა. ი. ო-ის მიმართ რაიმე სახის ვალის არსებობას, ხოლო საქმეში განთავსებული ხელწერილი, სადაც დაფიქსირებულია, რომ „თანხა (ოცდაათი ათასი დოლარი) ა. ა-მ, ზემოთ აღნიშნული გრაფიკის მიხედვით უნდა გადაუხადოს ა. ი. ო-ს», არ წარმოადგენს კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილ ვალის აღიარების ხელშეკრულებას, პალატამ მიიჩნია, რომ ა. ო-ის მოთხოვნა უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, რაც გამორიცხავს მისი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ი. ო-მა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივ დასაბუთებაში მიუთითა ორ ურთიერთგამომრიცხავ გარემოებაზე. ერთ შემთხვევაში მითითებულია, რომ მოწმე მ. გ-ი ესწრებოდა საქმეში არსებული სადავო ხელწერილის შედგენას, რაც ასევე აღნიშნულია 2010 წლის 19 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო, მეორე შემთხვევაში, იგივე მოწმე საგამოძიებო ორგანოში დაკითხვისას სრულიად საპირისპირო ჩვენებას აძლევს და ამბობს, რომ ხელწერილი დაიწერა მის გარეშე. სასამართლო სრულიად უსაფუძვლოდ დაეყრდნო აღნიშნული მოწმის ჩვენებას. მას არ გამოუკვლევია შპს „ს-ის» საქმიანობა მომგებიანი იყო, თუ წამგებიანი. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო

კოდექსის 341-ე მუხლი და არასწორად დაადგინა, რომ ა. ო-ის მიერ წარმოდგენილი ხელწერილი არ არის ვალის აღიარების ხელშეკრულება. ა. ა-მ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, წერილობით აღიარა ვალის არსებობა. ამავე ხელწერილში კონკრეტულად არის აღნიშნული ხელწერილით აღიარებული ვალდებულების შესრულების არსებითი პირობები, ვალის ოდენობა, ვინაობა, გადახდის გრაფიკი. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი და არასწორად დაადგინა, რომ სადავო ხელწერილი არ არის ვალის აღიარების ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ სწორედ, აღნიშნული ხელშეკრულებით დგინდება, რომ ა. ა-მ ივალდებულა ა. ი. ო-ისათვის მანქანა-დანადგარებისა და სხვა მასალების ღირებულების გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ი. ო-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა და მის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და, შესაბამისად, დავის სამართლებრივი შეფასების არასარწმუნოობა, კერძოდ:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ ა. ა-ის მიერ 2008 წლის 22 სექტემბრის ხელმოწერილი ხელწერილით ა. ა-მ თანხა (ოცდაათი ათასი დოლარი) გრაფიკის მიხედვით უნდა გადაუხადოს ა. ი. ო-ს.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო არ იზიარებს როგორც კასატორის მოსაზრებას სადავო ხელწერილის სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად შეფასების თაობაზე, ასევე არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დასახელებული ნორმის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემულ განმარტებას. აღნიშნული ნორმის თანახმად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება.

მითითებული ნორმით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ახალ მოთხოვნას ქმნის. ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის სადავოობის შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ამასთან, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა.

ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეულ მოქმედებების შესრულებას და, ამდენად, საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ და ამ გარიგებით გათვალისწინებული მოთხოვნის მიზანია, ადრე არსებული ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მიღება წინა ვალდებულების შინაარსის გათვალისწინებით, ასეთი აღიარება კაუზალურ აღიარებას წარმოადგენს და იგი თვისობრივად განსხვავდება სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული აბსტრაქტული აღიარებისაგან.

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შედგენილი ხელწერილი სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად არ შეიძლება შეფასდეს, რადგან, როგორც თვით მოსარჩელე მხარის განმარტებით დასტურდება, ხელწერილით განისაზღვრა მხარეთა შორის უკვე არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე და სამომავლოდ შესასრულებელი ვალდებულების ფარგლები, რაც მოიცავს მანქანა-დანადგარების ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ეს გარემოება დადგენილია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაც და იგი კასატორს (მოსარჩელეს) სადავოდ არ მიუჩნევია. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, კასატორის წარმომადგენელმა არაერთხელ დააზუსტა, რომ ხელწერილში მითითებული თანხა წარმოადგენს მანქანა-დანადგარების ღირებულებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ჯამს და იგი მხარეთა შორის ხელწერილის გაფორმებამდე არსებული ერთობლივი საქმიანობის ვალდებულე-

ბით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს. კასატორის წარმომადგენლის მითითებით, ხელწერილი არის მხარეთა მოლაპარაკების შედეგი მათ შორის არსებულ ვალდებულებაზე (იხ. საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმები). ამდენად, კასატორი მხარე, თავისივე განმარტებით, სადავო ხელწერილს კანონით გათვალისწინებულ ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად არ განიხილავს და მას მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობის გაგრძელებად მიიჩნევს.

ხელწერილამდე მხარეთა შორის ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას არც მოწინააღმდეგე მხარე მიიჩნევს სადავოდ, თუმცა მის მიერ ვალდებულების უარყოფა იმ დასაბუთებით, რომ ხელწერილი ა. ი. ო-ის თხოვნის საფუძველზე, ყოველგვარი ვალდებულების გარეშე იქნა შედგენილი, დამაჯერებლობას მოკლებულია, რადგან ეს გარემოება რაიმე მტკიცებულებით არ დასტურდება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ა. ა-ის მითითებას საქმეში წარმოდგენილ მეორე ხელწერილის ასლზე, რადგან ამის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს რაიმე ფაქტობრივი გარემოება არ დაუდგენია და მისი იურიდიული ძალა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლით დადგენილი წესით არ შეუფასებია.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სადავო, დედნის სახით წარმოდგენილი 2008 წლის 22 სექტემბრის ხელწერილის შედგენისას ა. ა-ის ნების ნაკლი არც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დგინდება, ხოლო ამავე ხელწერილის ბათილად ცნობის თაობაზე ა. ა-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მას სადავოდ არ გაუხდია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მსჯელობს რა საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებების ფარგლებში, მიიჩნევს, რომ სადავო ხელწერილით მხარეთა შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მხარეები შეთანხმდნენ ა. ა-ის ვალდებულებაზე – ა. ი. ო-ს აუნაზღაუროს მანქანა-დანადგარების ღირებულებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯები 30000 აშშ დოლარის ოდენობით. კასატორი აღიარებს, რომ ვალდებულების ნაწილი შესრულებულია.

აღნიშნულ მოთხოვნას ა. ა-ე სადავოდ მიიჩნევს და უთითებს საქმეში არსებულ დოკუმენტებზე, რომლებიც, მისი მოსაზრებით, ადასტურებენ კასატორის მიერ მითითებული მანქანა-დანადგარების ღირებულების გადახდას. ეს გარემოებები სასამართლოს არ შეუმოწმებია და იგი მტკიცებულებათა გამოკვლევას და ფაქტობრივი გარემოებების დადგენას მოითხოვს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამოსარკვევად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ი. ო-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

განჩინება

№ას-995-1028-2011 15 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სს «ა. თ-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე სს «ნ ტ-ის» მიმართ და მოითხოვა სს «ნ ტ-ისათვის» სს «ა. თ-ი»-ს სასარგებლოდ 276 234.15 აშშ დოლარის, ერთი თვის პროცენტის 3452.92 აშშ დოლარისა

და წლიური 15% სარგებლის გადახდის დაკისრება 2010 წლის თებერვლიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე შემდეგი საფუძვლებით:

სარჩელის თანახმად, 2007-2009 წლებში სს «ა. თ-სა» და სს «ნ ტ-ს» შორის გაფორმდა სააგენტო მომსახურებისა და, ჰენდლინგური ხელშეკრულებები, რომლის თანახმად, თურქული კომპანია მომსახურებას უწევდა სს «ნ ტ-ს» თურქეთის ტერიტორიაზე. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, გაწეულ მომსახურებაში სს «ნ ტ-ი» ვალდებულებას იღებდა, გადაეხადა თურქული კომპანიისათვის შეთანხმებული საზღაური. ამ თანამშრომლობის შედეგად სს «ნ ტ-ი» პერიოდულად აგროვებდა ფულადი ვალდებულებებს. 2009 წლის 9 დეკემბრის ურთიერთშედარების აქტის თანახმად, სს «ნ ტ-ი» აღიარებს სს «ა. თ-ის» მიმართ გადასახდელი აქვს 276 234.15 აშშ დოლარი და წლიური 15% გადაცილებისთვის. მოპასუხეს დღემდე აღიარებული დავალიანება არ გადაუხდია.

მოპასუხე სს «ნ ტ-მა» თავის მხრივ შეგებებული სარჩელით მოითხოვა მოპასუხე სს «ა. თ-ისათვის» ხელშეკრულების დარღვევისათვის 300 000 აშშ დოლარის და მიუღებელი შემოსავლის სახით 381 938.14 ევროს ეკვივალენტის ლარის გადახდის დაკისრება, ასევე ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესასრულებლად 100 000 აშშ დოლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით სს «ა. თ-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე სს «ნ ტ-ს» დაეკისრა მოსარჩელე სს «ა. თ-ის» სასარგებლოდ 276 234. 15 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, პროცენტის 3452.72 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარეის და 2010 წლის თებერვლიდან გადაუხდელი თანხის 15% წლიური სარგებლის გადახდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე. სს «ნ ტ-ი»-ს შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხე სს «ა. თ-ს» დაეკისრა მოსარჩელე სს «ნ ტ-ი»-ს სასარგებლოდ 400 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის გადახდა. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

სს «ა. თ-მა» სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა სს «ნ ტ-ის» შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სს «ნ ტ-მა» სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა სს «ა. თ-ის» სარჩელის დაკმაყოფილებისა და სს «ნ ტ-ის» შეგებებული სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით სს «ა. თ-ის» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს «ნ ტ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება შეიცვალა სს «ა. თ-ისათვის» სს «ნ ტ-ის» სასარგებლოდ 300 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სს «ნ ტ-ის» შეგებებული სარჩელი სს «ა. თ-ისათვის» 300 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, სს «ნ ტ-ს» სს «ა. თ-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების მე-7 პუნქტი და სს «ა. თ-ს» სს «ნ ტ-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 639 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში. სს «ნ ტ-ს» სს «ა. თ-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 5250 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 7 მარტს სს «ა. თ-სა» და სს «ნ ტ-ს» შორის გაფორმდა სააგენტო ხელშეკრულება. სს «ა. თ-მა» იკისრა ვალდებულება გაეწია სააგენტოსათვის მომსახურება, რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების №1 დამატებების შესაბამისად, თურქეთში სააგენტოს კლიენტურის სერვისთან;

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ სააგენტო ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და შესწორებების შესახებ 2008 წლის 12 ივნისის შეთანხმების თანახმად, შეცვლილ იქნა ხელშეკრულების – «ხელშეკრულების საგანი» – 1.1. პუნქტი, რომლის თანახმად, მხარეებმა დაამყარეს ექსკლუზიური პარტნიორული ურთიერთობა, კერძოდ, ცვლილების შესაბამისად, «საქართველოს სახელმწიფოში ა. სერვისმომსახურებას გაუწევს მხოლოდ სააგენტოს». სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული შეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულების 1^1 პუნქტი, «ექსკლუზიური თანამშრომლობის პირობები» შეცვლილ იქნა შემდეგი პუნქტებით: 2.2.2 საქართველოში ა- მომსახურებას გაუწევს მხოლოდ სააგენტოს და მის სუბსიდიარ კომპანიებს;

შეთანხმების 2.3. პუნქტის მიხედვით, შეიცვალა 2008 წლის 7 მარტის სააგენტო ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.7. პუნქტის შინაარსი შემდეგნაირად: «ექსკლუზიური თანამშრომლობის პირობების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების დამრღვევი მხარე პასუხისმგებლობას აიღებს ჯარიმის სახით 300 000 აშშ დოლარის გადახდაზე»;

შეთანხმების 2.4. პუნქტის თანახმად, დარჩენილი შინაარსის 2.2-ე პუნქტს დაემატება 2.2.10-ე პუნქტი: «საქართველოში ა-ს მიერ წლიური გაყიდვების უზრუნველყოფა 2 მლნ აშშ დოლარის ოდენობის მასშტაბით ერთ პირზე 2008 და 2009 წელს».

შეთანხმების 2.5. პუნქტის მიხედვით, დარჩენილი შინაარსის 2.1. პუნქტს დაემატა 2.2.9. პუნქტი: «სრული შემოსავლიდან 5%-იანი ძირითადი წლიური ფასდაკლების უზრუნველყოფა, თუკი სააგენტო მიაღწევს 2.4. პუნქტში შეტანილი შესწორების (2.2.10. პუნქტი) წლიური გაყიდვების განხორციელებას.

2008 წლის 30 აგვისტოს შეთანხმების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ «სააგენტო» არ შეასრულებდა «სავაჭრო კონტრაქტის ცვლილებებისა და ჩასწორებების ხელშეკრულების» მუხლი 2.4-ში ჩამოყალიბებულ მის ვალდებულებებს, კერძოდ, ვერ უზრუნველყოფდა საქართველოში ა-ს მიერ წლიური გაყიდვებს 2 მლნ აშშ დოლარის ოდენობის მასშტაბით ერთ პირზე 2008 და 2009 წელს, ა. დაეთანხმა სს «ნ ტ-ს» 5%-იანი ფასდაკლებით მომსახურებოდა (მინიმუმ 100 000 აშშ დოლარი) 2008 წლის ზაფხულის სეზონის დასრულებისათვის. თავის მხრივ სააგენტო გარანტიას იძლეოდა ა-ს სასარგებლოდ საქართველოში 2009 წლის ზაფხულისათვის 2 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ვაჭრობის წარმოებაზე;

2008 წლის 30 აგვისტოს შეთანხმების 1.4. პუნქტის თანახმად, მხარეები თანხმდებიან, რომ, თუ სს «ნ ტი» ვერ შეასრულებდა 2009 წლის ზაფხულისთვის გარანტირებულ 2-მილიონი აშშ დოლარის ვაჭრობის წარმოებას, ა. უფლებამოსილი იყო მოეთხოვა საჯარიმო კომპენსაცია, რაც გაუტოლდებოდა 2008 წელს სააგენტოს მიმართ განხორციელებულ ფასდაკლების თანხას, 100 000 აშშ დოლარს;

ამდენად, 2008 წლის 30 აგვისტოს შეთანხმების შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული შეთანხმების 1.2. პუნქტის თანახმად, სს «ა. თ-მა» იკისრა 100 000 აშშ დოლარის ფასდაკლების ვალდებულება, იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო 2008 წლისათვის ვერ უზრუნველყოფდა გარანტირებული მოცულობის ვაჭრობას. ხოლო, შეთანხმების 1.3. ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტომ იკისრა 2009 წლის ზაფხულისთვის გარანტირებული მოცულობის ვაჭრობის წარმოება, ხოლო 1.4. პუნქტის მიხედვით, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ა- უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა პირგასამტეხლო 100 000 აშშ დოლარის ოდენობით;

დადგენილია და მხარეებს შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ სს «ნ ტ-მა» 2008-2009 წლისათვის ვერ უზრუნველყო 2 მილიონი აშშ დოლარიანი ვაჭრობის წარმოება.

2009 წლის 15 იანვარს სს «ა. თ-სა» (ა-) და სს «ნ ტ-ს» შორის გაფორმდა შეთანხმება, «საკრედიტო დავალიანების დამადასტურებელი წერილი», რომლის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2008 წლის 31 დეკემბრის ბალანსის მიხედვით, «სააგენტო» ვალდებულია, გადაუხადოს «ა-ს» 162.3030 აშშ დოლარი. აღნიშნულ შეთანხმებაში ასევე მითითებულია, რომ დანართი 1-ის შესაბამისად (რომელიც ხელმოწერილია 2008 წლის 30 აგვისტოს), «ა-» ვალდებულია გადაიხადოს უკუგების ფასდაკლება 100 000 აშშ დოლარი;

2009 წლის 16 იანვარს სს «ა. თ-სა» (ა-) და სს «ნ ტ-ს» შორის გაფორმდა შეთანხმება «საკრედიტო დავალიანების დამადასტურებელი წერილი», რომლის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2008 წლის 31 დეკემბრის ბალანსის შესაბამისად, «სააგენტო» ვალდებულია, გადაუხადოს «ა-ს» 262,3030.30 აშშ დოლარი;

2009 წლის 9 დეკემბერს სს «ა. თ-სა» (ა-) და სს «ნ ტ-ს» შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2009 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მთლიანი ბალანსის მიხედვით, სააგენტოს «ა-»-სთვის უნდა გადაეხადა 276 234. 15 აშშ დოლარი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებული ოდენობა სააგენტოს მიერ სს «ა. თ-ის» მიმართ გადახდილი იქნება 15-პროცენტიანი წლიური სარგებლით დაგვიანების შემთხვევაში. სააგენტო აღნიშნულ პროცენტებს გადაიხდის ყოველთვიურად თითოეული თვის ბოლო სამუშაო დღეს მანამ, სანამ ბალანსი არ დაიყვანება ნულამდე. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო ძირ თანხას ნაწილობრივ დაფარავს, პროცენტები დაანგარიშდება დარჩენილი ბალანსიდან;

09.01.2009 წლის 771 რეესტრის ნომრით დამოწმებული ხელმოწერის ცირკულარის საფუძველზე «ა. თ-ა.შ-ს» მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. ო-სა და მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ო-ს 08.01.2009 წლიდან 3 წლის ვადით ენიჭებათ უფლება, წარმოადგინონ საზოგადოება მმართველთა საბჭოს მინიმუმ ორი წევრის ერთობლივი ხელმოწერით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა «ა-ს» მიერ სააგენტო ხელშეკრულებით ნაკისრი ექსკლუზიური თანამშრომლობის ვალდებულების დარღვევის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააგენტო ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და შესწორებების შესახებ 2008 წლის 12 ივნისის შეთანხმების თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ მხარეებმა დაამყარეს ექსკლუზიური პარტნიორული ურთიერთობა, კერძოდ, ცვლილების შესაბამისად, «საქართველოში ა- სერვისმომსახურებას გაუწევს მხოლოდ სააგენტოს».

აღნიშნული ვალდებულების დარღვევის დადასტურების მიზნით სს «ნ ტ-ის» მიერ წარმოდგენილ იქნა შემდეგი წერილობითი მტკიცებულებები:

შპს «კ. +-ის» პრეზიდენტის გ. შ-ს წერილი სს «ნ ტ-ის» მიმართ, რომელშიც მითითებულია, რომ 2009 წლის სეზონზე შპს «კ.+-ის» ტურისტები სარგებლობდნენ სასტუმროების: ე. ქ-სა და ო. ქა-ის მომსახურებით;

სს «ნ ტ-ის» გენერალური დირექტორის 2010 წლის 11 მარტის განცხადების საფუძველზე, შპს «ი-ის» 01.04.2010 წლის წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ 2008-2009 წლებში სს «ნ ტ-ის» გვერდის ავლით

საზოგადოებამ არაერთხელ ისარგებლა სს «ნ ტ-ის» განცხადებაში მითითებული სასტუმროების მომსახურებით;.

შპს «მ. კ-ის» დირექტორის 01.04.2010 წლის წერილში სს «ნ ტ-ის» გენერალური დირექტორის მიმართ აღნიშნულია, რომ 2008-2009 წლებში ტურისტული სეზონის პერიოდში, ჩამოთვლილ სასტუმროებში გაგზავნილი ჰყავდათ სულ 38 ტურისტი;

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ «ა-მ» დაარღვია სააგენტო ხელშეკრულებით ნაკისრი ექსკლუზიური თანამშრომლობის ვალდებულება. აღნიშნული სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან ამ დოკუმენტების შინაარსი არ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ სხვა იურიდიული პირები, ექსკლუზიური სასტუმროების მომსახურებით «ა-სთან» შეთანხმებით სარგებლობდნენ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სააგენტო ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და შესწორებების შესახებ 2008 წლის 12 ივნისის შეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულების 1[1] პუნქტი «ექსკლუზიური თანამშრომლობის პირობები» შეცვლილ იქნა შემდეგი პუნქტებით: 2.2.2 საქართველოში ა. სერვის-მომსახურებას გაუწევს მხოლოდ სააგენტოს და მის სუბსიდიარ კომპანიებს.

ამდენად, ხელშეკრულებით «ა-მ» ვალდებულება იკისრა საქართველოში მომსახურება გაეწია პირთა შეზღუდული წრისათვის, კონკრეტულად კი სს «ნ ტ-ი»-სა და მისი სუბსიდიარი კომპანიებისათვის. სუბსიდიარი (შვილობილი) კომპანიაა, რომელშიც კომპანიას გააჩნია ხმის უფლებისათვის საჭირო წილის ნახევარზე მეტი, ან სხვაგვარად გააჩნია ძალაუფლება, განახორციელოს ამ შვილობილი კომპანიების ოპერაციების კონტროლი). დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს გარემოება იმის შესახებ, რომ «ა-მ» სერვის-მომსახურება გაუწია შპს «ფ. თ-ს» და ასევე ის გარემოებაც, რომ შპს «ფ. თ-ის» 70% წილის მფლობელია სს «ნ ტ-ი».

სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით პალატამ დადგენილად მიაჩნია, რომ შპს «კ. +», შპს «ი-ი» და შპს «მ. კ-ი» ასევე სს «ნ ტ-ი»-ს სუბსიდიარი კომპანიებია და აღნიშნულ იურიდიულ პირებსა და სს «ნ ტ-ს» შორის სამართლებრივი ურთიერთობები მოწესრიგებულია სუბაგენტური ხელშეკრულებების საფუძველზე (2011 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სს «ნ ტ-ი»-ს მტკიცება, რომ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, საფუძველს მოკლებულია. სს «ნ ტ-ი» არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ მითითებული იურიდიული პირები «ნ ტ-ის» სუბსიდიარი კომპანიებია, ხოლო «ა-სა» და აღნიშნულ იურიდულ პირებს შორის სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება, კერძოდ, მათთვის, სერვის-მომსახურების გაწევა, სს «ნ ტ-თან» გაფორმებული ხელშეკრულებით იყო შეთანხმებული.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა სს «ნ ტ-ის» წარმომადგენლის მოსაზრება 2009 წლის 9 დეკემბრის, 15 იანვრისა და 16 იანვრის გარიგებების ბათილობასთან დაკავშირებით. სს «ნ ტ-ის» მოთხოვნა ამ ნაწილში ემყარება იმ გარემოებას, რომ აღნიშნული გარიგებას ადასტურებს პირი, რომელსაც ერთპიროვნულად არ გააჩნდა «ა-ს» წარმომადგელობითი უფლებამოსილება. სს «ნ ტ-ი»-ს აღნიშნული მოსაზრება ემყარება იმ გარემოებას, რომ «ა. თ-ის» წარმომადგენლობით აღჭურვილი პირები 08.01.2009 წლიდან 3 წლის ვადით არიან მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. ო-ი და მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ო-ი მხოლოდ ერთობლივად. გარიგებაზე კი ხელს აწერს მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სს «ნ ტ-ი» არ წარმოადგენდა შეცილების უფლების მქონე სუბიექტს, ვინაიდან აღნიშნული გარიგებით უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა წარმოდგენილ პირს, რომელსაც აღნიშნული საცილოდ არ გაუხდია (სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლი). «ა-ს» მოთხოვნა 276.234.15 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში გამომდინარეობს 2009 წლის 9 დეკემბრის შეთანხმებიდან, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილ პირს გარიგება მოეწონა (სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლი).

2009 წლის 9 დეკემბრის შეთანხმებით მოვალე ადასტურებს კონკრეტული სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების არსებობას და მის შესრულებაზე ვალდებულებას კისრულობს. სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულების აღიარებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 403-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ 2009 წლის 9 დეკემბრის შეთანხებით დადასტურებულია სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ა-ს წინაშე დავალიანების არსებობა, რაც 2009 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 276 234.15 აშშ დოლარს. ამავე შეთანხმებით სს «ენ ტ-ი» კისრულობს ვადაგადაცილებისათვის სარგებლის გადახდის ვალდებულებას, შესაბამისად, სარჩელი ამ ნაწილში კანონიერად იქნა დაკმაყოფილებული.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება «ა-სათვის» პირგასამტეხლოს სახით 300 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ ექვემდებარებოდა შეცვლას, ვინაიდან აღნიშნულ ნაწილში სასამართლოს დასკვნა არ ემყარებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივ გამოკვლევას, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლზე მითითებით, პალატამ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, «ა-ს» მიერ სააგენტო ხელშეკრულებით ნაკისრი ექსკლუზიური თანამშრომლობის ვალდებულების შეუსრულებ-

ლობის შესახებ ფაქტობრივი გარემოება დაუდასტურებელია. შესაბამისად, არ არსებობს შეთანხმებით გათვალისწინებული პასუხიმგებლობის დაკისრების წინაპირობა, რაც მიუთითებს ა-სათვის 300 000 აშშ დოლარის ოდენობით დაკისრების მოთხოვნის უსაფუძვლობაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სს «ნ ტ-ის» სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში ემყარებოდა «ა-ს» მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას (ექსკლუზიური თანამშრომლობის ვალდებულების შეუსრულებლობა), რაც საქმის მასალებით ვერ დადასტურდა. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნა მოკლებული იყო ფაქტობრივ საფუძველს და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა «ა-სთვის» 100 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრებები, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2008 წლის 30 აგვისტოს შეთანხმების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ «სააგენტო» არ შეასრულებდა «სავაჭრო კონტრაქტის ცვლილებებისა და ჩასწორებების ხელშეკრულების» მუხლ 2.4-ში ჩამოყალიბებულ მის ვალდებულებებს, კერძოდ, ვერ უზრუნველყოფდა საქართველოში «ა-ს» მიერ წლიური გაყიდვებს 2 მლნ აშშ დოლარის ოდენობის მასშტაბით ერთ პირზე 2008 და 2009 წელს, ა. დაეთანხმა განეხორციელებინა 5%-იანი ფასდაკლება (მინიმუმ 100 000 აშშ დოლარი) სს «ნ ტ-ისათვის» 2008 წლის ზაფხულის სეზონის დასრულებისათვის. თავის მხრივ, სააგენტო გარანტიას იძლეოდა ა-ს სასარგებლოდ საქართველოში 2009 წლის ზაფხულისათვის 2 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ვაჭრობის წარმოებაზე;

2008 წლის 30 აგვისტოს შეთანხმების 1.4. პუნქტის თანახმად, მხარეები თანხმდებიან, რომ თუ სს «ნ ტ-ი» ვერ შეასრულებდა 2009 წლის ზაფხულისთვის გარანტირებულ 2 მილიონი აშშ დოლარის ვაჭრობის წარმოებას, ა. უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა საჯარიმო კომპენსაცია, რაც გაუტოლდებოდა 2008 წელს სააგენტოს მიმართ

დადგენილია და მხარეებს შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ სს «ნ ტ-მა» 2008 -2009 წლისათვის ვერ უზრუნველყო 2 მილიონ აშშ დოლარიანი ვაჭრობის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტებას იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით შეწყდა ვალდებულება. «ა-ს» აღნიშნული პოზიცია ემყარება საქმეში წარმოდგენილ 2009 წლის 15 იანვრის, 16 იანვრის და 9 დეკემბრის შეთანხმებებს.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მხარეთა შორის 2009 წლის 15 იანვრის შეთანხმებაზე, რომელშიც მითითებულია, რომ დანართი 1-ის შესაბამისად (რომელიც ხელმოწერილია 2008 წლის 30 აგვისტოს), «ა-» ვალდებულია, გადაიხადოს უკუგების ფასდაკლება 100 000 აშშ დოლარი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2008 წლის 31 დეკემბრის ბალანსის შესაბამისად, «სააგენტო» ვალდებულია, გადაუხადოს «ა-ს» 162,303.30 აშშ დოლარი. 2009 წლის 16 იანვრის შეთანხმებაში კი მითითებულია, რომ 2008 წლის 31 დეკემბრის ბალანსის შესაბამისად, სააგენტო ვალდებულია, გადაუხადოს «ა-ს» 262,303.30 აშშ დოლარი, ე.ი. 100 000 აშშ დოლარით მეტი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია 2009 წლის 15 იანვრის შეთანხმებაში. აღსანიშნავია, რომ სს «ნ ტ-ის» ვალდებულება «ა-სათვის» 100 000 აშშ დოლარის გადახდის შესახებ, დამოკიდებული იყო 2009 წლის ზაფხულის სეზონის გაყიდვებზე. შესაბამისად, 2009 წლის 16 იანვრისათვის სს «ნ ტ-ის» ვალდებულება «ა-ს» წინაშე არ არსებობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო დასკვნის, რომ 2009 წლის 16 იანვრის შეთანხმებაში ფასდაკლება მხარეებს არ გაუთვალისწინებიათ, რაც მიუთითებს ამ დროისათვის «ა-ს» ვალდებულების არსებობაზე სს «ნ ტ-ის» წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული 100 000 აშშ დოლარის გადახდის შესახებ. რაც შეეხება 2009 წლის 9 დეკემბრის შეთანხმებას, აღნიშნულით დადასტურებულია სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე სს «ნ ტ-ის» ვალდებულებები «ა-ს» წინაშე. აღნიშნული შეთანხმებიდან დასკვნა იმის შესახებ, რომ მხარეებმა გაქვითეს ურთიერთმოთხოვნები, არ გამომდინარეობს. ამდენად, პალატმ ჩათვალა, რომ «ა-მ» ვერ უზრუნველყო ვალდებულების შეწყვეტის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ «ა-ს» მხრიდან ფასდაკლების ვალდებულების შესრულება არ იყო დამოკიდებული 2009 წლის გაყიდვებზე, ვინაიდან შეთანხმების შესაბამისად, ფასდაკლება «ა-ს» 2008 წლის ზაფხულის სეზონის ბოლოსათვის უნდა განეხორციელებინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ «ა-ს» ვალდებულება სს «ნ ტ-ის» წინაშე გამომდინარეობდა ხელშეკრულებიდან, რაც კანონიერად იქნა დაკმაყოფილებული სასამართლოს მიერ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა შეცვლილიყო სს «ნ ტ-ის» სასარგებლოდ «ა-სათვის» 300 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში სს «ნ ტ-ის» შეგებებული სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «ნ ტ-მა», მოითხოვა მისი გაუქმება და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოწინააღმდეგე მხარისათვის მის სასარგებლოდ 300000 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით 381 938.14 ევროს გადახდა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 361.2-ე, 402-ე, 50-ე და 339-ე მუხლები, რის გამოც საქმეზე მიიღო მცდარი გადაწყვეტილება.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებდა ა-სთან სააგენტოების პირდაპირ ურთიერთობას, ამასთან, სასამართლომ არასწორად შეაფასა ყველა მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც გახდა საფუძველი უსაფუძვლო და არაკანონიერი გადაწყვეტილების მიღებისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «ნ ტ-ის» საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

ისმის კითხვა: დაარღვია თუ არა «ა-მ» ხელშეკრულებით გათვალისწინებული სს «ნ ტ-ის» ექსპლუზიური უფლება. შპს «ფ. თ-ი», შპს «კ. +», შპს «ი-ი» და შპს «მ. კ-ი» წარმოადგენენ თუ არა სს «ნ ტ-ის» სუბსიდიურ კომპანიებს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით «ა-მ» ვალდებულება იკისრა საქართველოში მომსახურება გაეწია პირთა შეზღუდული წრისათვის, კონკრეტულად კი სს «ნ ტ-ისა» და მისი სუბსიდიარი კომპანიებისათვის. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა, სუბსიდიარი კომპანიის ცნება, კერძოდ, სუბსიდიარი (შვილობილი) კომპანიაა, რომელშიც კომპანიას გააჩნია ხმის უფლებისათვის საჭირო წილის ნახევარზე მეტი, ან სხვაგვარად გააჩნია ძალაუფლება, განახორციელოს ამ შვილობილი კომპანიების ოპერაციების კონტროლი. დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს გარემოება იმის შესახებ, რომ «ა-მ» სერვის-მომსახურება გაუწია შპს «ფ. თ-ს» და ასევე ის გარემოებაც, რომ შპს «ფ. თ-ის» 70% წილის მფლობელია სს «ნ ტ-ი».

სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს «კ. +», შპს «ი-ი» და შპს «მ. კ-ი» ასევე სს «ნ ტ-ის» სუბსიდიარი კომპანიებია და აღნიშნულ იურიდიულ პირებსა და სს «ნ ტ-ს» შორის სამართლებრივი ურთიერთობები მოწესრიგებულია სუბაგენტური ხელშეკრულებების საფუძველზე (2011 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი).

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს «ნ ტ-ი» არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ მითითებული იურიდიული პირები «ნ ტ-ის» სუბსიდიარი კომპანიებია, ხოლო «ა-სა» და აღნიშნულ იურიდულ პირებს შორის სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება, კერძოდ მათთვის, სერვის-მომსახურების გაწევა, სს «ნ ტ-თან» გაფორმებული ხელშეკრულებით იყო შეთანხმებული.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს და დამატებით განმარტავს, რომ კასატორი არ უარყოფს სააპელაციო სასამართლოს მიერ სს «ნ ტ-ის» წარმომადგენლის ახსნა-განმარტების საფუძველზე დადგენილი სუბაგენტური ხელშეკრულებების არსებობას ზემოაღნიშნულ საზოგადოებებთან. საკასაციო საჩივრიდან ირკვევა, რომ კასატორი უთითებს იმაზე, რომ «ა-ს» ურთიერთობები უნდა ჰქონოდა არა ამ ორგანიზაციებთან, არამედ სს «ნ ტ-თან», როგორც ექსკლუზიური უფლების მქონე პირთან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დავას არ იწვევს, რომ 2008 წლის 12 ივნისის შეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულების 1^1 პუნქტი «ექსკლუზიური თანამშრომლობის პირობები» შეცვლილ იქნა შემდეგი პუნქტებით: 2.2.2 საქართველოში «ა.» სერვის-მომსახურებას გაუწევს მხოლოდ სააგენტოს და მის სუბსიდიარ კომპანიებს.

ამდენად, ხელშეკრულებით «ა-მ» ვალდებულება იკისრა საქართველოში მომსახურება გაეწია პირთა შეზღუდული წრისათვის, კონკრეტულად კი სს «ნ ტ-ი»-სა და მისი სუბსიდიარი კომპანიებისათვის.

მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული ამ ექსკლუზიური უფლების რეალიზაციის ისეთი თავისებურება, რომელზედაც უთითებს კასატორი, ხოლო სხვა ისეთი მტკიცებულება, რომელიც გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას კასატორი არ უთითებს (სსსკ-ის 105-ე მუხლი).

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ყურადსაღებია შემდეგი ფაქტები: პირველი, მხარეთა შორის მითითებული ხელშეკრულების 2.2.2 პუნქტის თანახმად «ა-მ» იკისრა ვალდებულება მომსახურეობა სს «ნ ტ-ი»-სა და მისი სუბსიდიარი კომპანიებისათვის. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება, რომლის თანახმად «ა-» იკისრებდა ვალდებულებას სს «ნ ტ-ის» სუბსიდიარი კომპანიებისათვის მხოლოდ სს «ნ ტ-ის» მეშვეობით გაეწია მომსახურეობა.

მეორე, შპს «ფ. თ-ი», შპს «კ. +», შპს «ი-ი» და შპს «მ. კ-ი»«ნ ტ-ის» სუბსიდიარი კომპანიებია.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სუბსიდიარი კომპანია შვილობილი კომპანია, ხოლო ეს კომპანიები არ წარმოადგენენ მათ შვილობილ კომპანიებს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად სს «ნ ტ-ი» არ უარყოფს იმას, რომ მითითებული იურიდიული პირები «ნ ტ-

ის» სუბსიდიარი კომპანიებია, ხოლო «ა-სა» და აღნიშნულ იურიდულ პირებს შორის სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება, კერძოდ მათთვის, სერვის-მომსახურების გაწევა, სს «ნ ტ-თან» გაფორმებული ხელშეკრულებით იყო შეთანხმებული (2011 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლის თანახმად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ამდენად, განსახილველი ნორმისა და ასევე, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მესამე პირებს, კონკრეტულ შემთხვევაში სუბსიდიარულ ორგანიზაციებს წარმოეშვათ უფლება «ა-ს» მომსახურეობის მიღებაზე, შესაბამისად «ა-მ» იკისრა ვალდებულება მომსახურება გაუწიოს ამ ორგანიზაციებს (2008 წლის 12 ივნისის შეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულების 1^1 პუნქტი «ექსკლუზიური თანამშრომლობის პირობები» შეცვლილ იქნა შემდეგი პუნქტებით: 2.2.2 საქართველოში ა. სერვის-მომსახურებას გაუწევს მხოლოდ საააგენტოს და მის სუბსიდიარ კომპანიებს).

ამასთან ერთად არ არსებობენ ისეთი გარემოებები, რაც განაპირობებდა მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული ზემოაღნიშნული დანაწესის სხვაგვარად განმარტებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 350-ე მუხლის თანახმად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარებოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს «ა-ს» მოთხოვნის უსაფუძვლობაზე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს «ნ ტ-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სახელშეკრულებო ვალდებულებანი

ნასყიდობის ხელშეკრულება

განჩინება

№ას-283-267-2011 21 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ქ-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილების მიმართ მოპასუხისათვის მიწოდებული საწვავის დავალიანების – 3144.05 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლიდან მოყოლებული და შემდგომ, მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე შპს «ქ-ი» მოპასუხეს აწვდიდა საწვავს ტალონებისა და ბეჭედდასმული შეთანხმების საფუძველზე, მოპასუხე ორგანიზაციის ხელმძღვანელობა შეიცვალა და ამჟამინდელი ხელმძღვანელობა უარს აცხადებდა თანხის ანაზღაურებაზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

მოპასუხე, სახელმწიფო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოა, რის გამოც ვალდებულია, ნებისმიერი შესყიდვა განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის ფარგლებში და მხარეებთან გააფორმოს ხელშეკრულებები. მართალია, შპს «ქ-სა» და მოპასუხეს შორის 2009 წლის 24 აგვისტოს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, თუმცა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ტალონების უმრავლესობა გაცემულია ხელშეკრულების დადებამდე და გაურკვეველია, მოსარჩელე რის საფუძველზე აწვდიდა მოპასუხეს საწვავს.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად, ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებაში არსებული ინფორმაციის თანახმად, შპს «ქ-ი» კრედიტორად არ ირიცხება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს «ქ-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს – სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3144.05 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანო – სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ 2009 წლის 24 აგვისტოს სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებასა და შპს «ქ-ს» შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მიმწოდებელ – შპს «ქ-ს» უნდა მიეწოდებინა საწვავი, ხოლო შემსყიდველს მიეღო საქონელი და გადაეხადა მისი ღირებულება. საწვავის მიწოდების შესახებ მოთხოვნა – ბეჭედდასმული და განყოფილების უფროსის მიერ ხელმოწერილი ტალონი ეგზავნებოდა მიმწოდებელს, რის საფუძველზეც იგი აწვდიდა საწვავს შემსყიდველს. საქმეზე წარდგენილი ტალონებითა და ზედნადებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლიდან შპს «ქ-ს», სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებისათვის მიწოდებული აქვს 1442 ლიტრი ბენზინი, 185 ლიტრი დიზელი და 5 ლიტრი ზეთი, სულ 3144,05 ლარის ღირებულების საქონელი. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა ცნობები დედანი დოკუმენტების სახით. არც ეს ტალონები, არც მათზე დასმული ბეჭედი, არც ხელმოწერა და არც თანხის ოდენობა მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია. მისი სამართლებრივი პრეტენზია ამოიწურა იმით, რომ წარმოდგენილი ცნობებით არ დასტურდება საწვავის მიწოდების ფაქტი, რადგან მოპასუხემ ვერ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება და ა.შ, რითიც შეიძლება დადასტურებულიყო საწვავის მიწოდება.

პალატამ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული წესებით უნდა მოწესრიგდეს, რომელიც შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 317-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 477-ე მუხლზე და განმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება თავისი ბუნებით ორმხრივი, კონსესუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. მის მხარეებს წარმოადგენენ გამყიდველი და მყიდველი, რომლებიც შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. განსახილველ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველმა შპს «ქ-მა» სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებას, ზემოთ აღნიშნული ნორმის დაცვით, შეუსრულა ნაკისრი ვალდებულება და გადასცა მყიდველს საკუთრების უფლება შეძენილ საქონელზე. სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებამ მიიღო საწვავი, თუმცა მისი საფასური არ აუნაზღაურებია. პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები ურთიერთობის სწორედ ასეთ ფორმაზე შეთანხმდნენ (ანუ მყიდველი მიაწოდებდა ტალონს, გამყიდველი კი – საწვავს). არანაირი კანონსაწინააღმდეგო მითითებულ ურთიერთობაში არ არის, მხარეთა ნება თავისუფალია კანონის ფარგლებში და მათ შეეძლოთ, ურთიერთშორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობა სწორედ ამ ფორმით ეწარმოებინათ.

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, განმარტა, რომ მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის დასაბუთების მიზნით მოყვანილი ფაქტები. სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს, აგრეთვე, მოპასუხემ თავის პასუხში უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებანი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ შპს «ქ-მა» სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებას მიაწოდა 3144.05 ლარის პროდუქტი. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ტალონებით დასტურდება 3144.05 ლარის ოდენობის საწვავის მოპასუხისათვის მიწოდების ფაქტი, ხოლო მოპასუხემ ვერ წარმოადგინა შპს «ქ-ისათვის» ვალდებულების არარსებობის ანუ თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები, სასამართლომ ჩათვალა, რომ სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილების დავალიანება შპს «ქ-ის» მიმართ შეადგენს 3144.05 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ შპს «ქ-ის» მოთხოვნა, ვალდებულების ძალით მოპასუხისათვის თანხის – 3144.05 ლარის დაკისრების თაობაზე კანონიერად დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიულმა ორგანომ – სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებამ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ არ იქნა მტკიცებულებები სრულყოფილად გამოკვლეული, რადგანაც სასამართლომ დადგენილად ცნო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად საქონლის მიწოდება, თუმცა საქმეში ამ პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, არც ერთი მიღება-ჩაბარების აქტი არ მოიპოვება. მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო წესით აღნიშნული სადავოდ არ გაუხდია, უფრო მეტიც, ის სარჩელის საფუძვლად სწორედ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას უთითებს, თუმცა სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ, ხელშეკრულების შესაბამისად, საწვავის გადაცემისათვის საკმარისი მხოლოდ ტალონები არ იყო. მოწინააღმდეგე მხარე, როგორც იურიდიული პირი, შექმნილია «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და ვალდებულია, აწარმოს საბუღალტრო საქმიანობა და დაადასტუროს კასატორის დავალიანების ნამდვილობა.

სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ კასატორს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით არ უსარგებლია, ამასთან არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, კერძოდ სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემობა, რომ ზოგიერთი ტალონი წარმოადგენს თხოვნას საწვავის მიღებაზე და მისი შესრულება არ დასტურდება, ერთ-ერთი ტალონის შინაარსით ისიც დასტურდება, რომ მოთხოვნილია 200 ლიტრი ბენზინი, რომლის ლოგიკური ანალიზით არ დასტურდება, რომ სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილების ბალანსზე რიცხული რომელიმე ავტომობილი ჩაიტვირთავს ამ ოდენობის საწვავს, აღნიშნული გარემოების დადგენილად მიჩნევით ირღვევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი.

კასატორის მითითებით, დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინების დასკვნა 3144 ლარის ღირებულების საწვავის მიღების თაობაზე, რადგანაც საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები რაც მითითებულ გარემოებას დაადასტურებდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის განჩინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს – სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილების საკასაციო საჩივარი ცნო-

ბილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დაუსწრებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანო – სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ის შემთხვევები, თუ რა მიიჩნევა კანონის დარღვევად, ხოლო მესამე ნაწილი აზუსტებს საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის შედეგებს, კერძოდ, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. კასატორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საპროცესო სამართლის ნორმათა, კერძოდ 102-ე და 105-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევაზე, რასაც შედეგად საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა არასწორი დადგენა და არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

კასატორს არ აქვს წარმოდგენილი პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეებს შორის არსებობდა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ, 2009 წლის 24 აგვისტოს მხარეებს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, ხოლო 2007-2009 წლებში მხარეებს შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება საწვავის ნასყიდობის თაობაზე. კასატორი თავის ახსნა-განმარტებაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არც საწვავის ტალონების გაცემის ფაქტს უარყოფს, თუმცა, მიაჩნია, რომ საწვავის მიღება არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ტალონებით, ვინაიდან ასეთი ფაქტი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. კასატორი მიიჩნევს, რომ საწვავის ტალონები წარმოადგენს წინადადებას საწვავის მიწოდებაზე, მაგრამ ისინი არ ადასტურებენ მოთხოვნის შესრულებას, ვინაიდან მხარეები ასეთ წესზე არ შეთანხმებულან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იმ გარემობებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ:

2009 წლის 24 აგვისტოს სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებასა და შპს «ქ-ს» შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მიმწოდებელ – შპს «ქ-ს» უნდა მიეწოდებინა საწვავი, ხოლო შემსყიდველს მიეღო საქონელი და გადაეხადა მისი ღირებულება. საწვავის მიწოდების შესახებ მოთხოვნა – ბეჭედდასმული და განყოფილების უფროსის მიერ ხელმოწერილი ტალონი ეგზავნებოდა მიმწოდებელს, რის საფუძველზეც იგი აწვდიდა საწვავს შემსყიდველს. 2007 წლიდან შპს «ქ-ს», სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებისათვის მიწოდებული აქვს 1442 ლიტრი ბენზინი, 185 ლიტრი დიზელი და 5 ლიტრი ზეთი, სულ 3144,05 ლარის ღირებულების საქონელი. სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილებამ მიიღო საწვავი, თუმცა მისი საფასური არ აუნაზღაურებია.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს განსახილველი ურთიერთობის სამართლებრივ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მოცემული დავა წარმოშობილია მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან, ნასყიდობიდან გამომდინარე. ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულება თავისი ბუნებით ორმხრივი, კონსესუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მხარეებმა რეალურად უნდა შეასრულონ ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულება, ხოლო იმ მხარეს, რომელსაც საპასუხო შესრულება არ მიუღია, უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის სტანდარტი, კერძოდ, პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, კანონმდებელმა ერთის მხრივ განსაზღვრა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტი, ხოლო მეორეს მხრივ დაადგინა მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმები.

სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. მითითებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობისას, სადავოობის შემთხვევაში, გამყიდველმა უნდა ამტკიცოს მყიდველისათვის ქონების გადაცემა, ხოლო მყიდველმა – გამყიდველისთვის შეთანხმებული ფასის ანაზღაურება.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლზე და განმარტავს, რომ ხელშეკრულების მხარეებს ნების ავტონომიისა და მისი თავისუფლად გამოვლენის პირობებში შეუძლიათ დადონ ხელშეკრულება. ამასთან, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითია ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია დადგენილად, რაც არ უარუყვია სააპელაციო სასამართლოს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, საქონელი ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში. როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსიდან ირკვევა, სააპელაციო სასამართლომ კასატორისათვის საწვავის მიწოდება დადგენილად მიიჩნია საწვავის ტალონებისა და სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე, თუმცა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა იქნეს გაზიარებული წერილობითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებით. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ საქმეში წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებები არ არის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, რასაც მოსარჩელეც ადასტურებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ შეაფასა მტკიცებულებები, ამასთან სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაუდო ის მტკიცებულებები, რომლებიც არ იყო განკუთვნადი სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებებისადმი. ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია (შედავება) დასაშვები და დასაბუთებულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანო – სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილების მიერ საწვავის მიღება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, რაც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს – სატყეო რესურსების მართვის შუახევის განყოფილების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნასყიდობის ხელშეკრულება

განჩინება

№ას-1059-993-2010 18 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 4 იანვარს შ. თ-იამ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ს. ბ-ძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 2008 წლის 7 ივნისს დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში მითითებული ნასყიდობის თანხის – 50000 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

სარჩელის თანახმად, ქ. ქუთაისში, ... მე-2 შესახვევის №10-ში მდებარე შ. თ-იას საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, მინდობილობის საფუძველზე, მისმა შვილმა ზ. თ-იამ, მოპასუხის მხრიდან ზეწოლისა და მუქარის გამო, 2008 წლის 7 ივნისის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გაუფორმა მოპასუხე ს. ბ-ძეს, რომელსაც ნასყიდობის საფასური – 50000 ლარი მოსარჩელისათვის არ გადაუხდია. ვინაიდან სადავო სახლი წარმოადგენს მოსარჩელის პირად საკუთრებას და მას მოპასუხესთან რაიმე სასესხო ურთიერთობა არ ჰქონია, ნასყიდობით გათვალისწინებული თანხა კი, მოპასუხეს მისთვის არ გადაუხდია და აღნიშნული არც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილა, რომლითაც შ. თ-იას უარი ეთქვა 2008 წლის 7 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც იძულებით დადებული გარიგების, ბათილად ცნობაზე უსაფუძვლობის გამო, მოსარჩელემ მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლის საფასურის – 50000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება მის სასარგებლოდ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის გამო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით შ. თ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 დეკემბრის განჩინება, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. ქუთაისში, ... ქუჩის, მე-2 შესახვევის №10-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის დადების შესახებ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. თ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით შ. თ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შ. თ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა, ს. ბ-ძეს შ. თ-იას სასარგებლოდ დაეკისრა 50000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების თანახმად, დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 7 ივნისს შ. თ-ს წარმომადგენელსა (ზ. თ-ა) და ს. ბ-ძეს შორის დაიდო, ქ. ქუთაისში,... მე-2 შესახვევის №10-ში მდებარე უძრავის ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლითაც ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 50000 ლარით;

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შ. თ-იას სარჩელი მას და ს. ბ-ძეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით;

ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლო ინსტანციების მსჯელობის საგანი იყო მხოლოდ ის გარემოება, აღნიშნული გარიგება იძულებით იყო დადებული თუ არა და არ დადგენილა ის ფაქტობრივი გარემოება, მყიდველმა ნამდვილად გადაიხადა თუ არა ნასყიდობის საზღაური – 50000 ლარი;

მოწმეთა ჩვენებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნასყიდობის საფასური (50000 ლარი) არც შ. თ-იასა და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრს არ მიუღია;

ს. ბ-ძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თანხის გადაცემის ფაქტს თავად ნასყიდობის ხელშეკრულება ადასტურებდა და, ამასთან, მითითებული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად, კანონი წერილობით მტკიცებულებებს ითვალისწინებდა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სადავო იყო ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება და არა სასესხო ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე, თანხის მიღება-გადაცემის ფაქტი, რაც ცხადყოფდა, რომ წერილობითი მტკიცებულებების სავალდებულობას კანონი არ ითხოვდა და აღ-

ნიშნული ფაქტის დადასტურება სრულად შესაძლებელი იყო სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რაც მოცემულ შემთხვევაში მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდა.

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლზე არ გაიზიარა და განმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საკითხის შეფასებისას, სასამართლოს განსჯის საგანს წარმოადგენდა მხარეთა შორის დადებული გარიგება ნამდვილი ნების გამოვლენის საფუძველზე მოხდა თუ არა, ხოლო მხარეთა შორის ნასყიდობის თანხის მიღებასთან დაკავშირებულ დავას ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობასთან რაიმე კავშირი არ ჰქონდა და იგი სულ სხვა მტკიცებისა და განსჯის საგანს წარმოადგენდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებით, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ შ. თ-იამ უზრუნველყო მისი მტკიცების ტვირთი ნასყიდობის თანხის მიუღებლობასთან დაკავშირებით.

ს. ბ-ძის მხრიდან მხოლოდ იმ გარემოებებზე მითითება, რომ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გარიგების ბათილობაზე უარის თქმის შესახებ, ასევე, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება, რაზეც მხარეები ხელს აწერდნენ და, რომ არ არარსებობდა წერილობითი მტკიცებულება თანხის გადაუხდელობის თობაზე, სააპელაციო სასამართლომ არასაკმარის არგუმენტებად მიიჩნია და არ გაიზიარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ შ. თ-იას სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. ბ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ იმ საფუძვლით, რომ მხარეთა შორის სადავო იყო ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება და არა სასეხო ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე თანხის მიღება-ჩაბარების ფაქტი, მიიჩნია, რომ წერილობითი მტკიცებულებების სავალდებულობას კანონი არ ითხოვდა და ამ ფაქტის დადასტურება სრულად შესაძლებელი იყო სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რის გამოც არასწორად არ გაიზიარა სანოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და დაეყრდნო მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც ნოტარიუსთან არ იმყოფებოდნენ და არც სანოტარო მოქმედებებში მონაწილეობდნენ და არასწორად ჩათვალა მათი ჩვენება კანონშესაბამის და საკმარის მტკიცებულებად იმ ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად, რომ შ. თ-იას ნამდვილად არ მიუღია ნასყიდობის საზღაური. კასატორის აზრით, აღნიშნულთან მიმართებაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, ვინაიდან წერილობითი მტკიცებულებაა 2008 წლის 7 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მოშლა, ს. ბ-ძის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შ. და ზ. თ-იებს სადავოდ არ გაუხდიათ მანამ, სანამ 2008 წლის 24 სექტემბერს არ დადგა მათი ბინიდან გამოსახლების საკითხი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმეების ჩვენებებით დადგენილად მიიჩნია, რომ ნასყიდობის თანხა 50 000 ლარი არც შ. თ-იას და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრს არ მიუღია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი.

განსახილველი ნორმით მოცემულია ფაქტობრივ გარემოებათა ნორმატიული აღწერის სისტემა, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-ვალდებულებები. კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ 2008 წლის 7 ივნისს შ. თ-იას წარმომადგენელსა (ზ. თ-ია) და ს. ბ-ძეს შორის დაიდო, ქ. ქუთაისში, ... მე-2 შესახვევის №10-ში მდებარე უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლითაც ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 50000 ლარით. მხარეთა შორის დავას იწვევს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობის ფაქტი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის, მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია უშუალოდ ნასყიდობის ხელშეკრულების შეფასებას ამავე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და განმარტავს, რომ 2008 წლის 7 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის მითითებული იმის თაობაზე,

რომ ნასყიდობის თანხა გადახდილია მყიდველის მიერ, ე.ი ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის მითითებული იმის თაობაზე, რომ მყიდველმა შეასრულა მიღებული ქონების შეთანხმებული ფასის გადახდის ვალდებულება. ხელშეკრულების მე-6 პუნქტში მითითებულია, რომ «მყიდველი ვალდებულია გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადოს ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, ხოლო გამყიდველი ვალდებულია, მიიღოს ნასყიდობის ფასი». ამდენად, დავას იწვევს ნასყიდობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე გადახდილ იქნა თუ არა მყიდველის მიერ 50000 ლარი. ამ თანხის გადაუხდელობის საკმაოდ მაღალი ალბათობის არსებობას აძლიერებს კანონიერ ძალაში შესული იმავე მხარეებს შორის გამოტანილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია, რომ შ. თ-იას რძლის მეშვეობით განხორციელდა ს. ბ-ძის საკუთრებაში არსებული ბინის იპოთეკით დატვირთვა და სესხის აღება 35000 აშშ დოლარის ოდენობით. ამავე გადაწყვეტილებით, ასევე დადგენილია, რომ ამ თანხიდან 20000 აშშ დოლარი გამოიყენა შ. თ-იას რძალმა, რაც უნდა დაებრუნებინა ს. ბ-ძისათვის და რაც მან არ შეასრულა, შესაბამისად, 15000 აშშ დოლარი მიიღო ს. ბ-ძემ. აღნიშნული ფაქტები შესაძლებელია მიუთითებდნენ 20000 აშშ დოლარის სახით ვალის დაუბრუნებლობის სანაცვლოდ სადავო ბინის საკუთრებაში მიღების ფაქტზე, რაც შესაბამისად გამორიცხავს სადავო ნასყიდობის დადებისთანავე 50000 ლარის გადახდის ფაქტს, მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმას, რომ კასატორი საკასაციო საჩივარში არ უთითებს ამ გარემოებებზე და ამ გარემოებების დამდგენი მტკიცებებულებების არსებობასა და მათი გამოკვლევის მართებულებაზე. გასათვალისწინებელია, რომ, მიუხედავად იმისა, საქმის მასალებში, კანონიერ ძალაში შესული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გარდა მხარეები უთითებდნენ აღნიშნულ სასესხო ურთიერთობის ასრებობაზე, ს. ბ-ძე სარჩელისგან თავდაცვის მიზნით არ უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მისი მოწინააღმდეგე მხარის მიერ ვალის დაუბრუნებლობის სანაცვლოდ, მან მისგან მიიღო სადავო ქონება. პირიქით, მიუხედავად მითითებული სასესხო ურთიერთობების არსებობისა, კასატორი უთითებს იმაზე, რომ მის მიერ გადახდილ იქნა სადავო ქონების ნასყიდობის თანხა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, რაც არ დასტურდება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის მითითებული იმის შესახებ, რომ მყიდველმა გადაიხადა ნასყიდობის ფასი, ე.ი. არ არის ნოტარიულად დადგენილი ამ ვალდებულების უკვე შესრულების ფაქტი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ყველა მასალის ერთობლივად შეფასებით, ასევე მოწმეთა ჩვენებებით შესაძლებელია დადასტურდეს, თუ რამდენად შესრულდა განსახილველი ნორმის მიხედვით, მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასის გადახდის ვალდებულება «...ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე».

ამდენად, არ შეიძლება გაზიარებულ იქნას ის, რომ, სადავო ურთიერთობის თანახმად, თანხის გადაუხდელობის ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს მოწმეთა ჩვენებებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ დაკითხული იყვნენ ე. მ-ია, მ. გ-ძე, ზ. თ-ია (რომელიც სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენის დროისათვის შ. თოფურიას მინდობილ პირს წარმოადგენდა), დ. ჩ-ძე, ლ. წ-ია, რომლებმაც დაადასტურეს ნასყიდობით გათვალისწინებული 50000 ლარის გადაუხდელობის ფაქტი. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ს. ბ-ძე არც პირველ ინსტანციისა და არც სააპელაციო სასამართლოში არ უთითებს ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც აქარწყლებენ, გამორიცხავენ მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება იმის მაღალი ალბათობა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობას ჰქონდა ადგილი.

ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ შორის შეთანხმებული ფასის გადახდას ადასტურებს მითითებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

კასატორი აღნიშნავს, რომ შ. თოფურიას წარმომადგენელს სადავო ხელშეკრულების დადებისას წარმოადგენდა ზ. თ-ია და თუ მან არ მიიღო ნასყიდობის თანხა, მას უნდა ედავა. ასევე კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა მოწმეთა ჩვენებები, რადგან ისინი არ ესწრებოდნენ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაში მონაწილეობდა ზ. თ-ია, როგორც შ. თ-იას წარმომადგენელი.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ზ. თ-ია დაკითხულ იქნა მოწმედ. სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა მისი ჩვენება, რომელიც სხვა მოწმეებთან ერთად უთითებდა ნასყიდობის თანხის მიუღებლობის ფაქტზე. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ სხვა მოწმეები შესაძლებელია, არ ესწრებოდნენ

უშუალოდ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას, მაგრამ ჩვენებებში ყველა უთითებდა ზემოაღნიშნულ სასესხო ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობაზე და გამორიცხავდნენ ნასყიდობით თანხის გადახდის ფაქტს. ამდენად, ერთობლიობაში როგორც მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მოწმეთა ჩვენებების, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მივიდა სწორ დასკვნამდე (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი არ უთითებს ფაქტების დადგენის პროცესთან დაკავშირებულ პროცესუალურ დარღვევებზე, რამაც განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს სადავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის თანხის გადახდის ფაქტზე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას კი, საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ს. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სესხის ხელშეკრულება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ას-1705-1689-2011 4 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 19 აპრილს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ზ. ტ-მ მოპასუხე შპს „... – 2007-ის» მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 17500 აშშ დოლარის, მათ შორის, ძირითადი თანხის – 10000 აშშ დოლარის და ყოველთვიური სარგებლის – 7500 აშშ დოლარის დაკისრება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2007 წლის ნოემბერში 14000 აშშ დოლარი მიიტანა შპს „... – 2007-ში», რომელიც ეწეოდა სალომბარდე საქმიანობას. აღნიშნული საზოგადოების დირექტორ ს. თ-ის თანხმობით, მან

14000 აშშ დოლარი ჩააბარა ლომბარდის თანამშრომელს, ოპერატორ ნ. დ-ს. მოსარჩელის განმარტებით, მას ლომბარდიდან გადაცემული თანხის სანაცვლოდ უნდა მიეღო ყოველთვიური სარგებელი 2.5%-ის ოდენობით. იგი 10 თვის განმავლობაში ლომბარდიდან იღებდა ყოველთვიურ სარგებელს, რომელსაც ზოგჯერ მას აძლევდა შპს „... – 2007-ის» დირექტორი ს. თ-ე, ხოლო ზოგჯერ თანამშრომელი ნ. დ-ე. შემდგომში მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ლომბარდში მუშაობას თავი დაანება ნ. დ-მ. ამ უკანასკნელის სამუშაოდან წასვლის შემდეგ, რამდენიმე თვის განმავლობაში, ს. თ-ე კვლავ აძლევდა მოსარჩელეს სარგებელს, მაგრამ შემდეგ აღნიშნულზე უარი განუცხადა. 2008 წლის ბოლოს, ს. თ-მ, ნ. დ-ის თანდასწრებით, მოსარჩელეს დაუბრუნა 4000 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი 10000 აშშ დოლარის დაბრუნებაზე უარი უთხრა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „... – 2007-ს» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 17500 აშშ დოლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხე შპს „... – 2007-მა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზ.ტ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „... – 2007-ის» სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე შპს „... – 2007-ს» ზ. ტ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10000 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს «... – 2007» ეწევა სალომბარდე საქმიანობას და მისი დამფუძნებელიც და დირექტორიც არის ს. თ-ე.

2007 წლის ნოემბერში მოსარჩელე ზ. ტ-მ შპს «... – 2007-ში» შეიტანა 14000 აშშ დოლარი სარგებლის მიღების მიზნით. აღნიშნული თანხა მან ჩააბარა იმ დროისათვის შპს «... – 2007-ში» მომუშავე ნ. დ-ს, რის თაობაზეც ლომბარდში იმ დროისათვის არსებული წესის მიხედვით მოხდა მისი ჩაწერა ლომბარდის ე.წ. ჩანაწერების რვეულში. აღნიშნული თანხის ზ. ტ-ის მიერ ლომბარდში შეტანის თაობაზე ასევე ცნობილი იყო შპს «... – 2007-ის» დირექტორ ს. თ-სათვის.

რამდენადაც ნ. დ-ე 2007 წლისათვის მუშაობდა შპს „... – 2007-ში» ოპერატორად, მას უფლება ჰქონდა მიეღო ლომბარდში შეტანილი თანხები და შესაბამისად გაეცა პროცენტები.

2007 წლისათვის შპს „... – 2007-ში» თანხების შეტანის, ასევე ლომბარდიდან პროცენტების მიღების და ლომბარდის სხვა საქმიანობის შესახებ ჩანაწერები კეთდებოდა ე.წ. „ლომბარდის ჩანაწერების რვეულში», რომელსაც ავსებდა ძირითადად ნ. დ-ე, ასევე მასში ჩანაწერები შეჰქონდა თავად საწარმოს დირექტორ ს. თ-საც.

2008 წლის ბოლოს, შპს „... – 2007-ის» დირექტორმა ს. თ-მ ნ. დ-ის თანდასწრებით მოსარჩელეს დაუბრუნა 4000 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი თანხების დაბრუნებაზე უარი უთხრა იმ საფუძვლით, რომ მისი დაბრუნება უნდა მოეთხოვა ნ. დ-სათვის.

სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების, მოწმეთა ჩვენებების და მხარეთა განმარტებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ზ. ტ-სა და მოპასუხე შპს „... – 2007-ს» შორის არსებობდა სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოსარჩელემ მოპასუხე ორგანიზაციაში შეიტანა 14000 აშშ დოლარი. შპს „... – 2007-ის» დირექტორმა ს. თ-მ აღნიშნული თანხიდან 4000 აშშ დოლარი მოსარჩელეს დაუბრუნა. რაც შეეხებოდა მხარეებს შორის პროცენტიანი სესხის არსებობას, ამის თაობაზე შეთანხმება საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მხარეს რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 623-ე-624-ე მუხლებზე, რომელთა მიხედვით, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ამასთან, ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობა დადგენილად მიიჩნია, როგორც მოწმეების ჩვენებებით, აგრეთვე წარდგენილი წერილობითი დოკუმენტის ე.წ. „ლომბარდის რვეულის» ჩანაწერებით. ე.წ. „ლომბარდის რვეულთან» დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული რვეული ინახებოდა თავად ს. თ-სთან. ამ უკანასკნელის განმარტებით, მან იგი თავისი ნებით დაუტოვა შ-ს. ამდენად, რვეული წარმოადგენდა სესხის აღების ფაქტის ამსახველ დოკუმენტს. მითითებული გარემოება დადასტურდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ.შ-ის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულება, ე.წ. „ლომბარდის რვეული», იყო სესხის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მხარეებს შორის პროცენტიანი სესხის არსებობა საქმის მასალებით არ დასტურდებოდა. მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოს ვერ წარუდგინა აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლომ აღნიშნულ ნაწილში არასწორად დააკმაყოფილა სარჩელი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ორივე მხარემ.

შპს „... – 2007-ის» საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს იმის შესახებ, რომ: 2007 წლის ნოემბერში მოსარჩელე ზ. ტ-მ შპს „... – 2007-ში» სესხის სახით შეიტანა 14000 აშშ დოლარი; აღნიშნული თანხა მან ჩააბარა იმ დროისათვის შპს „... – 2007-ში» მომუშავე ნ. დ-ს, რის თაობაზეც ლომბარდში იმ დროისათვის არსებული წესის მიხედვით მოხდა მისი ჩაწერა ლომბარდის ე.წ. ჩანაწერების რვეულში; აღნიშნული თანხის ზ. ტ-ის მიერ ლომბარდში შეტანის თაობაზე ცნობილი იყო შპს „... – 2007-ის» დირექტორ ს. თ-სათვის. კასატორის მოსაზრებით, უსაფუძვლოა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ იმის მტკიცება, რომ ზ. ტ-მ 14000 აშშ დოლარი შეიტანა შპს „... – 2007-ში». ამ ფაქტის დამადასტურებელი წერილობითი ხელშეკრულება ან სხვა რაიმე საბუთი არ არსებობს. მიუხედავად არაერთი თხოვნისა, სასამართლომ ვერ ახსნა კერძო პირზე – ნ. დ-ზე გადაცემული თანხა, რატომ უნდა ჩაითვალოს შპს „... – 2007-ში» შეტანილად. ამის დამასაბუთებელ არგუმენტებს გადაწყვეტილება არ შეიცავს, რასაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნია;

არავითარი წერილობითი მტკიცებულება არ არსებობს ასევე იმ გარემოების დასასაბუთებლად, რომ შპს „... – 2007-ში» 14000 აშშ დოლარის შეტანის შესახებ ცნობილი იყო დირექტორ ს.თ-სათვის. შპს „... 2007-ის» დირექტორი ს. თ-ე კატეგორიულად უარყოფს ტ-საგან შპს „... – 2007-ში» თანხის მიღებას და ასეთი ჩანაწერის არსებობას. ამის დამადასტურებელი რაიმე ოფიციალური ჩანაწერი საქმეში არ მოიპოვება. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ დაინტერესებული პირების – მოსარჩელე ზ. ტ-ისა და მოწმე ნ. დ-ის (რომელსაც ცუდი ურთიერთობა გააჩნია მოპასუხე ს. თ-სთან, მასთან დადებული დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის გამო) ჩვენებებს და სრულიად უკრიტიკოდ გაიზიარა ისინი;

გაურკვეველია, თუ რის საფუძველზე უთითებს სასამართლო, რომ ჩანაწერების რვეული ეკუთვნოდა შპს „... 2007-ს», მაშინ, როდესაც შპს „... 2007-ს» გააჩნდა და გააჩნია თავისი ოფიციალური ჟურნალები, სადაც რეგისტრაციაში ტარდებოდა მისი სალომბარდო საქმიანობის ყველა ოპერაცია. აღნიშნული ჟურნალები მოპასუხემ წარუდგინა სასამართლოს, რომელმაც ისინი დაათვალიერა, ხოლო მისი ასლები დაერთო საქმეს. ამის შემდეგ გაურკვეველია, რატომ უწოდებს სააპელაციო სასამართლო ნ. დ-ის მიერ რაღაც ჩანაწერების რვეულს შპს „... 2007-ის» კუთვნილ „ლომბარდის ჩანაწერების რვეულს», მითუმეტეს, ასეთი რვეული მოსარჩელეს სასამართლოსათვის საერთოდ არ წარუდგენია და იგი საქმის განხილვისას არავის უნახავს. დაუდგენელია ისიც, რომ წარდგენილი ქსეროასლი ნამდვილად სასამართლოს მიერ მოხსენიებული რვეულიდანაა გადაღებული;

კასატორის მითითებით, არანაირი მტკიცებულებით არ დადგენილა, რომ ნ. დ-ის მიერ ჩანაწერების გაკეთება შპს „... – 2007-ში» დადგენილ წესს წარმოადგენდა. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას სასამართლოს მოთხოვნით წარდგენილ იქნა შპს „... – 2007-ის» ოფიციალური ჟურნალები. მათი არსებობა ადასტურებს იმას, რომ შპს „... – 2007-ს» ეკუთვნოდა სასამართლოში წარდგენილი ჟურნალები და არა ნ. დ-ის ე.წ. „ჩანაწერების რვეული». შპს „... – 2007-ში» დადგენილ წესს წარმოადგენდა წარდგენილი ოფიციალური ჟურნალების წარმოება და არა დ-ის მიერ რვეულის წარმოება, დ-ე ამას აკეთებდა თვითნებურად, შპს „... – 2007-სგან» დამოუკიდებლად, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, იმისათვის რომ ენახა სარგებელი. მის კუთვნილ რვეულს არავითარი კავშირი არ აქვს შპს „... – 2007-თან». სასამართლო ცდება, როდესაც ნ. დ-ის ნაწარმოებ რვეულს შპს „... – 2007-ის» რვეულად მიიჩნევს და ყურადღების მიღმა ტოვებს მოპასუხის ოფიციალურ სარეგისტრაციო ჟურნალებს;

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც ნ. დ-ე 2007 წლისათვის მუშაობდა შპს „... – 2007-ში» ოპერატორად, მას უფლება ჰქონდა მიეღო ლომბარდში შეტანილი თანხები და შესაბამისად – გაეცა პროცენტები. კასატორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მსჯელობა სრულიად დაუსაბუთებალია და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. კერძოდ, ნ. დ-ე შპს „... – 2007-ის» მუშაკი და მითუმეტეს ოპერატორი არასდროს არ ყოფილა. საქმეში წარდგენილი რწმუნებულებით დადგენილია, რომ დ-ე დავალების ხელშეკრულებით ასრულებდა დირექტორ ს. თ-ის მიერ კონკრეტულად მიცემულ დავალებას და ამ დავალებებისაგან გადახვევის უფლება მას არ გააჩნდა. დირექტორ თ-ს არ დაუვალებია და აქედან გამომდინარე მას არ ჰქონდა უფლება მოქალაქეებიდან აეღო სესხები შპს „... – 2007-ის» სახელით;

სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2007 წლისათვის შპს „... – 2007-ში» თანხების შეტანის, ასევე ლომბარდიდან პროცენტების მიღების და სხვა საქმიანობის შესახებ ჩანაწერები კეთდებოდა რვეულში, რომელსაც ავსებდა ძირითადად ნ. დ-ე, ასევე მასში ჩანაწერები შეჰქონდა დირექტორ თ-ს. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მითითება დამყარებულია ვარაუდზე და არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. სრულიად დაუსაბუთებელია, თუ რატომ უწოდებს სააპელაციო სასამართლო ნ. დ-ის მიერ დავალების ხელშეკრულების დარღვევით, თვითნებურად ნაწარმო-

ებ რვეულს, „ლომბარდის ჩანაწერების რვეულს». აღნიშნული რვეული არაა ლომბარდის, იგი დ-ის კუთვნილი რვეულია. სასამართლო ვერ ადგენს, თუ რომელი ჩანაწერები შეასრულა ამ რვეულში თ-მ მაშინ, როდესაც თ-ე ასეთს კატეგორიულად უარყოფს. აღნიშნული რვეული სასამართლოში არ წარდგენილა, ჩანაწერების პირისადმი კუთვნილების თაობაზე კალიგრაფიული ექსპერტიზა არ ჩატარებულა და იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ ვისი ხელითაა შესრულებული ჩანაწერები, არ არსებობს. აღნიშნული თვალსაზრისით მხოლოდ ნ. დ-ის ჩვენება საკმარის მტკიცებულებად არ შეიძლება ჩაითვალოს;

კასატორი ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას იმის შესახებ, რომ დირექტორმა თ-მ 4000 აშშ დოლარი დაუბრუნა ტ-ს. თ-ე ტ-სათვის 4000 აშშ დოლარის დაბრუნებას კატეგორიულად უარყოფს. სააპელაციო სასამართლომ მითითებული გარემოება დადგენილად მიიჩნია მხოლოდ დაინტერესებული პირების – ზ. ტ-ისა და ნ. დ-ის ზეპირი განმარტების საფუძველზე, რაც წინააღმდეგობაშია სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მოთხოვნასთან;

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მსესხებლად მიჩნეულია შპს „... – 2007», ხოლო გამსესხებლად ზ. ტ-ე. სრულიად დაუსაბუთებელია, რის საფუძველზე უნდა ჩაითვალოს მსესხებლად შპს „... – 2007», მაშინ როდესაც ზ. ტ-ე თავის სარჩელში თვითონვე მიუთითებს, რომ თანხა გადასცა არა შპს „... – 2007-ს», არამედ ნ. დ-ს და ორი წლის განმავლობაში, მხოლოდ მას სთხოვდა ამ თანხას;

თანხის გადაცემის ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს ისეთი საბუთით, რომელიც რაღაც ჩანაწერის ქსეროასლია, სადაც გაურკვეველია თუ რას ნიშნავს ციფრი „14000» და ვის მიერაა იგი ჩაწერილი, ეს შემოტანილი თანხაა თუ გატანილი. შესაძლებელია მითითებული თანხა გატანილი თანხაა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოება, რომ თითქმის 4 წლის განმავლობაში ტ-ს სარჩელი არ აღუძრავს თანხის მოთხოვნით. ამდენად მოთხოვნა ხანდაზმულიცაა. ამასთან, თუკი დასახელებული ციფრი თანხას ნიშნავს, გაუგებარია ფულის რა ერთეულთან გვაქვს საქმე, ლართან, დოლართან თუ სხვა ერთეულთან. ქსეროასლი ხელმოუწერელია და ამიტომ დაუდგენელია ვის მიერ და სადაა თანხა შეტანილი, ვინ მიიღო იგი, როდის, რა რაოდენობით, სად მოხდა თანხის გადაცემა, როდის უნდა დაბრუნებულიყო თანხა, ვინ არიან ხელშეკრულების მხარეები, რა უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ მათ; არავითარი მტკიცებულება იმისა რომ სესხი აიღო კონკრეტულად შპს „... – 2007-მა», საქმეში არ მოიპოვება. მოსარჩელეს არანაირი საბუთი არ გააჩნია იმის დასადასტურებლად, რომ მან თანხა შპს „... – 2007-ში» შეიტანა. თანხის შეტანა შპს „... – 2007-ის» ჟურნალში ან მის რომელიმე ოფიციალურ საბუთებში, რეგისტრირებული არ არის. თანხა სალაროში არ შესულა. სესხი, თუ ასეთი არსებობს, აღებულია ნ. დ-ის მიერ, რომელიც წარმოადგენდა კერძო პირს და მას შპს „... – 2007-ის» სახელით სესხის აღების უფლება არ გააჩნდა. მოცემულ შემთხვევაში სესხზე სწორედ ნ. დ-ა პასუხისმგებელი;

კასატორს მიაჩნია, რომ ზ. ტ-ის სარჩელის განხილვისას, შ-ის საქმეზე მიღებული განმარტებების და შეკრებილი მტკიცებულებების ზოგადი განვრცობა ზ. ტ-ის მიმართ დაუშვებელია ისე, რომ გათვალისწინებული არ იქნეს ტ-ის საქმეზე არსებული კონკრეტული გარემოებები. ე.წ. ლომბარდის რვეული შესაძლებელია ყოფილიყო შ-სგან სესხის აღების დამადასტურებელი დოკუმენტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას რომ იგი ტ-საგან სესხის აღების დამადასტურებელ დოკუმენტსაც წარმოადგენს. სასამართლოს აღნიშნული არ გაუთვალისწინებია;

რაც შეეხება ზ. ტ-ის საკასაციო საჩივარს, იგი მოითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში (მოპასუხისათვის სესხის პროცენტის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში) და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

კასატორს მიაჩნია, რომ მან საქმეზე წარადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურებულია, რომ სესხი იყო სარგებლიანი. როგორც სესხის ხელშეკრულების, ისე მისი სარგებლიანობის დასადასტურებლად მოსარჩელემ წარადგინა ერთი და იგივე მტკიცებულებები, კერძოდ, წერილობითი მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ნაწილობრივ გაიზიარა. საქმეზე მოწმის სახით დაკითხული ნ. დ-ის ჩვენება, რომელიც მოპასუხე ორგანიზაციაში სესხის გადაცემის დროს ოპერატორად მუშაობდა, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა სესხის ხელშეკრულების დადების ნაწილში, ხოლო სესხის სარგებლიანობის ნაწილში სასამართლომ ეს მტკიცებულება არ გაიზიარა. ასეთივე შეფასება მისცა სასამართლომ როგორც მხარის განმარტებას, ისე საქმეზე დაკითხული სხვა მოწმეების ჩვენებებს;

კასატორი მიუთითებს საქმეში არსებულ ე.წ. ლომბარდის ჩანაწერების ჟურნალზე, რომელსაც ძირითადად ავსებდა საქმეზე მოწმის სახით დაკითხული ნ. დ-ე და სადაც მოსარჩელე ზ. ტ-ის გრაფაში მითითებულია, რომ ამ უკანასკნელს ლომბარდში სესხის სახით შეტანილი აქვს 14000 აშშ დოლარი. იქვე, გვერდზე გაკეთებულია ჩანაწერები იმასთან დაკავშირებით, რომ 2007 წლის დეკემბრის თვიდან 2008 წლის ივნისის ჩათვლით ზ. ტ-ს მიღებული აქვს ყოველი თვის 15-16 რიცხვში სესხის პროცენტი. ხსენებული რვეული მოწმე ნ. დ-ის სამუშაოდან წასვლის შემდეგ ინახებოდა მოპასუხე შპს „... – 2007-ის» დამფუძნებელ და დირექტორ ს. თ-სთან, იგი წარდგენილ იქნა სასამართლოში მ. შ-ის სარჩელის განხილვის დროს 2009 წელს. ყურადსაღებია, რომ მითითებული ჩანაწერები ზუსტად ემთხვევა საქმეზე მოწმედ დაკითხული პირების ჩვენებებს. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს მისცა არას-

წორი სამართლებრივი შეფასება და გასაჩივრებულ ნაწილში საქმეზე ფაქტობრივი გარემოება არასწორად დაადგინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „... – 2007-ის» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ზ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ზ. ტ-სა და მოპასუხე შპს „... – 2007-ს» შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 14000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა შპს „... – 2007-ის» დირექტორის თანხმობით მიიღო და ე.წ. „ლომბარდის რვეულში» შესაბამისი ჩანაწერი შეასრულა შპს „... – 2007-ის» მუშაკმა (ოპერატორმა) ნ. დ-მ. სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი სასამართლომ დადგენილად ჩათვალა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ე.წ. „ლომბარდის რვეულის» ასლის საფუძველზე, ასევე მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, კასატორ შპს „... – 2007-ს» წამოყენებული აქვს დასაბუთებული პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ე.წ. „ლომბარდის რვეულის» ასლს და არასწორად მიიჩნია იგი სესხის ხელშეკრულების დადების დამადასტურებელ დოკუმენტად, ვინაიდან, ჯერ ერთი, ეს ე.წ. „ლომბარდის რვეული» არ ეკუთვნის მოპასუხეს, გარდა ამისა, მასში არსებული ჩანაწერი ხელმოუწერელია და არც მისი შინაარსით დგინდება მოპასუხისათვის სესხის გადაცემის ფაქტი. მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით კი, ამ ფაქტის დადასტურება დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტის ასლი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების დადების დამადასტურებელ მტკიცებულებად, ვინაიდან ეს დოკუმენტი ხელმოუწერელია და, შესაბამისად, არ ირკვევა მხარეთა ნება სესხის ხელშეკრულების დადების თაობაზე. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 327-ე და 624-ე მუხლების მიხედვით, სესხის ხელშეკრულებაში უნდა ჩანდეს მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობები, რამაც სესხის კონკრეტული ხელშეკრულების დადება განაპირობა. მოცემულ შემთხვევაში, სადავო დოკუმენტი არ შეიცავს მხარეთა შეთანხმებას ხელშეკრულების პირობებზე, ანუ ამ დოკუმენტს სესხის ხელშეკრულების შინაარსი არ გააჩნია. ამდენად, სესხის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების ფაქტს მოსარჩელე ვერ ადასტურებს. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მოწმეთა ჩვენებებზე მითითებას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულება შეიძლება წარუდგინოს მხარემ სასამართლოს თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი საფუძვლის არსებობის დამტკიცების მიზნით. ასეთია მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცესუალური პრინციპი, მაგრამ ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მიხედვით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. მითითებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, თუ სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით, მაშინ, დავის შემთხვევაში, მისი ნამდვილობა ვერ დადგინდება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, საჭიროა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულებებიც. ასეთად შეიძლება განხილულ იქნეს მაგალითად ხელწერილი ვალის არსებობის თაობაზე ან ნებისმიერი სხვა წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს მოდავე მხარეებს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთ მტკიცებულებად სასამართლო ვერ მიიჩნევს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ე.წ. „ლომბარდის რვეულის» ასლს, სხვა მტკიცებულებები კი მას არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ასევე კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ იმ ფაქტის არასწორად დადგენის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ე.წ. „ლომბარდის რვეულის» ქსეროასლი და მასში არსებული ჩანაწერები ეკუთვნის მოპასუხეს. აღნიშნული ფაქტი სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ეს დასკვნა დაუსაბუთებელია, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნიათ მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობდნენ. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მხარეებს წარმოადგენდნენ მოსარჩელე – მ. შ-ე და მოპასუხეები – ნ. დ-ე და ს. თ-ე, ხოლო განსახილველი საქმის მხარეები კი არიან – მოსარჩელე ზ. ტ-ე და შპს „... – 2007». ამ-

დენად, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მთავარი წინაპირობა – ერთი და იგივე მხარეების მონაწილეობა როგორც უკვე განხილულ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებულ, ასევე განსახილველ სამოქალაქო საქმეში, შესაბამისად, არ არსებობს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების პრეიუდიციულად მიჩნევის საფუძველი. სადავო გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული ასევე მოწმე ნ. დ-ის ჩვენება, ვინაიდან მოპასუხე და მითითებული მოწმე, სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე, ურთიერთდაპირისპირებულ პირებს წარმოადგენენ და, შესაბამისად, ასეთი მოწმის ჩვენება სარწმუნოდ ვერ იქნება მიჩნეული, რადგან იგი უშუალოდაა დაინტერესებული საქმის შედეგით.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები იმის შესახებ, რომ ნ. დ-ე წარმოადგენდა შპს „... – 2007-ის» ოპერატორს (მუშაკს) და საზოგადოების დირექტორის მიერ აღჭურვილი იყო უფლებამოსილებით მიეღო სესხი მოქალაქეების, მათ შორის, მოსარჩელისაგან, რაც მან განახორციელა კიდეც. აღნიშნული გარემოებები სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა მოწმე ნ. დ-ის ჩვენების საფუძველზე, რასაც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან კასატორს წამოყენებული აქვს დასაბუთებული პრეტენზია. კერძოდ, კასატორის განმარტებით, ნ. დ-ე წარმოადგენდა არა შპს „... – 2007-ის» მუშაკს, არამედ იგი მოქმედებდა ამ საზოგადოების დირექტორის მიერ გაცემული დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ ეს ხელშეკრულება მას არ ანიჭებდა საზოგადოების სახელით მოქალაქეებისაგან სესხის მიღების უფლებას, შესაბამისად, იგი საზოგადოების სახელით მოსარჩელისაგან სესხს ვერ მიიღებდა. კასატორის მიერ მითითებული გარემოება დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მინდობილობით, რომლის შინაარსით ირკვევა, რომ საზოგადოებას ნ. დ-სათვის არ დაუვალებია მოქალაქეებისაგან სესხის მიღება.

სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს, როგორც წარმოდგენილ პირს, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები მოსარჩელის მიმართ წარმოეშობოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდებოდა, რომ წარმომადგენელმა (ნ. დ-მ) მოსარჩელესთან სესხის ხელშეკრულება დადო წარმოდგენილი პირის (მოპასუხის) სახელით თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მოპასუხის მიერ გაცემული მინდობილობა ნ. დ-ს (წარმომადგენელს) არ ანიჭებდა უფლებამოსილებას, რომ მოპასუხის სახელით მოსარჩელესთან დაედო სესხის ხელშეკრულება. ამასთან, ასეთი უფლებამოსილება ნ. დ-ს მინიჭებულიც რომ ჰქონოდა, მოპასუხეს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება მაშინ წარმოეშობოდა, თუ თავად სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი არ იქნებოდა სადავო. მოცემულ შემთხვევაში ეს ფაქტი სადავოა და იგი ვერ დადასტურდება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, ვინაიდან გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მიხედვით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. იგივე უნდა ითქვას იმ შემთხვევაზეც, თუ ნ. დ-ს შპს „... – 2007-ის» მუშაკად მივიჩნევდით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები და, შესაბამისად, არასწორად დაადგინა მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე» ქვეპუნქტის თანახმად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ შპს „... – 2007-ის» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „... – 2007-ს» ზ. ტ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10000 აშშ დოლარის გადახდა და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ზ. ტ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება ზ. ტ-ის საკასაციო საჩივარს, პალატა მიიჩნევს, რომ იგი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას შემდეგ გარემოებათა გამო: კასატორის მოთხოვნას წარმოადგენს, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის სესხის პროცენტის დაკისრება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პროცენტის გადახდის ვალდებულება დამატებითი ვალდებულებაა და იგი ეფუძნება მთავარ ვალდებულებას, როგორიცაა

სესხთან დაკავშირებული ვალდებულება. თუ არ წარმოიშობა მთავარი ვალდებულება ანდა მისი საფუძველი იქნება ბათილი, არც პროცენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა. ამიტომ პროცენტის გადახდის ვალდებულება აქცესორული ხასიათისაა წარმოშობის თვალსაზრისით. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სესხის ხელშეკრულების, ანუ ვალდებულების არსებობის ფაქტი, ამიტომ პროცენტის გადახდის ვალდებულებაც არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ზ. ტ-ის სარჩელი პროცენტის გადახდის თაობაზე დაუსაბუთებელია და იგი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მაგრამ არა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული დასაბუთებით, არამედ იმის გამო, რომ სესხის ხელშეკრულების არარსებობა გამორიცხავს პროცენტის გადახდის ვალდებულებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს ზ. ტ-ის საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორს სახელმწიფო ბაჟის სახით სააპელაციო საჩივარზე გადახდილი აქვს 1162.10 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე 829.15 ლარი. აქედან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარეს, ზ. ტ-ს კასატორ შპს „... – 2007-ის» სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გაღებული 1991.25 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „... - 2007-ის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ზ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „... – 2007-ს» ზ. ტ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10000 აშშ დოლარის გადახდა და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ზ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
6. ზ. ტ-ს კასატორ შპს „... – 2007-ის» სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად გაღებული 1991.25 ლარის გადახდა;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა

განჩინება

№ას-294-278-2011 3 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «ა-მ» სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. გ-ის მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მოპასუხის მიერ შეუსრულებლობის გამო თანხის – 18995 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

2005 წლის 8 ნოემბერს მოპასუხე დ. გ-ემ შპს «ა-დან» ისესხა 4000 აშშ დოლარი და სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავდა «მერსედესის» მარკის ავტომობილი. მოპასუხემ რამდენიმე თვეში გაიტაცა გირავნობის საგანი და ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

2007 წლის 10 აგვისტოს შპს «ა-ს» დამფუძნებელმა ე. ბ-ემ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა განცხადების საფუძველზე წინასწარი გამოძიება არ დაწყებულა.

2009 წლის 12 თებერვალს შპს «ა-ს» დამფუძნებელმა ე. ბ-ემ და ზ. მ-მა კვლავ მიმართეს განცხადებით ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს, რის გამოც დაიწყო წინასწარი გამოძიება და მოპასუხე დ. გ-ემ აღიარა სესხის აღების ფაქტი, ხოლო 2009 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებით შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. მოპასუხეს ნაკისრი ვალდებულება შესრულებული არ აქვს, რის გამოც აუდიტის დასკვნის საფუძველზე მოსარჩელემ მოითხოვა სესხის ძირითადი თანხის – 4000 აშშ დოლარის, სარგებლის – 13628 აშშ დოლარისა და საურავის – 1367 აშშ დოლარის, ასევე სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელეს არ წარმოუდგენია სარჩელში მითითებული სესხის არსებობის, ასევე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის გაფორმების დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება, რაც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სწორედ წერილობით უნდა დადასტურდეს, მოსარჩელის მითითება სესხის ხელშეკრულების არსებობის ფაქტის წინასწარი გამოძიებისას მოპასუხის მიერ აღიარების თაობაზე უსაფუძვლოა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი წინასწარი გამოძიების მასალებით აღნიშნული არ დასტურდება.

მოპასუხემ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია სესხის სარგებლისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნაც, რადგანაც მოსარჩელე სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტს არ ადასტურებს, არც სხვა რაიმეს მოთხოვნის უფლება წარმოშობია მას, ამასთან, საქმეში წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა არ არის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, სწორედ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სესხის ხელშეკრულების არსებობა არ დასტურდება საქმის მასალებით, ასევე გაუგებარია სესხის არარსებობის პირობებში აუდიტის მითითება სარგებელსა და პირგასამტეხლოზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით შპს «ა-ს» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე დ. გ-ეს შპს «ა-ს» სასარგებლოდ დაეკისრა 5647 აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ა-მ» (უფლებამონაცვლე შპს «ბ-ი»), ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა დ. გ-ემაც.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «ბ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, დ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დ. გ-ეს შპს «ა-ს» სასარგებლოდ დაეკისრა 5647 აშშ დოლარის გადახდა, ასევე სახელმწიფო ბაჟის 320 ლარისა და ადვოკატის მომსახურეობის ხარჯების – 295,88 ლარის ანაზღაურება და შპს «ბ-ის» (შპს «ა.») სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სხვა ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე შპს «ა.» ეწეოდა სალომბარდო საქმიანობას და 2005 წლის 8 ნოემბერს, სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს, მისი დირექტორი იყო ზ. მ-ი, სააპელაციო საამართლოში წარმოდგენილი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერითა და აპელანტის განმარტებით დადგინდა, რომ შპს «ა-ს» შეეცვალა სახელწოდება და გახდა შპს «ბ-ი». 2009 წლის 25 თებერვლის გამოკითხვის ოქმში ასახულია სისხლის სამართლის საქმეზე დ. გ-ის ახსნა-განმარტება, რომლის თანახმადაც დ.გ-ეს ნათესავმა გ. გ-ემ სთხოვა ფინანსური დახმარება. გ. გ-ე ეწეოდა ბიზნესსაქმიანობას. დ.გ-ე შეხვდა ზ. მ-ს და სთხოვა, მისი თავდებობით გ. გ-ისათვის ესესხებინა გარკვეული თანხა, რაზეც ზ. მ-ი დათანხმდა, თუმცა გირაოს სახით მოითხოვა ნივთის დატოვება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დ. გ-ე დააგირავებდა მის ავტომანქანა «მერსედესს». მოლაპარაკებიდან რამდენიმე დღეში შეასრულა მხარემ პირობა კიდევაც. დ.გ-ის მითითებით, თანხა წამოიღო გ. გ-ემ. მას შემდეგ, რაც გ. გ-ემ ვერ გადაუხადა თანხა ზ. მ-ს, მან თანხის დაფარვა კატეგორიულად მოსთხოვა დ. გ-ეს, რომელმაც შესთავაზა ძირი თანხის გადახდა, მაგრამ ზ. მ-ი არ დაეთანხმა და მოსთხოვა 25000 აშშ დოლარი დ.გ-ეს, როგორც მისი ნათესავის – გ. გ-ის თავდებს. მოთხოვნილი თანხის გადახდაზე დ. გ-ემ უარი განაცხადა, მაგრამ უარი არ განუცხადებია სესხის ძირითადი თანხის გადახდაზე. როგორც გ. გ-ემ, ისე დ. გ-ემ, არაერთხელ გაუგზავნეს ზ. მ-ს სესხის ძირითადი თანხა, მაგრამ მან შესრულება არ მიიღო. სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით 2009 წლის 16 აპრილს დაკითხვისას დ. გ-ემ დაადასტურა, რომ რაიმე სახის საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავდა მხარეთა შორის ვალდებულებებს სარგებლის შესახებ მას და შპს «ა-ს» შორის არ გაფორმებულა. ზ. მ-ის მიმართ თანხის (4000 აშშ დოლარი) დაბრუნებაზე პასუხისმგებელი იყო გ. გ-ე, ხოლო დ. გ-ე იყო გ. გ-ის თავდები. გ. გ-ემ დაპირება არ შეასრულა და დათქმულ დროს არ მიუტანა თანხა. ზ. მ-ს აღნიშნული

თანხა პირადად გადასცა გ. გ-ემ მას შემდეგ, რაც ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და გასაღები მოუტანა. თანხის გადაცემას არავინ ესწრებოდა. ზ. მ-ის მიერ პროცენტებისა და ფინანსური სანქციების მოთხოვნის შემდეგ, მან გამოიჩინა კეთილი ნება და «... ბანკის» ანგარიშზე ჩაურიცხა 4500 აშშ დოლარი. წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე №171090286 დადგენილების თანახმად, საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგინდა ზ. მ-სა და დ. გ-ეს შორის გირავნობის ხელშეკრულების არსებობა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და განმარტა, რომ კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. სასამართლომ მიუთითა ამავე კოდექსის 623-ე, 624-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულების ფორმად წერილობითი ფორმის არჩევა სავალდებულო ამ გარიგების ნამდვილობისათვის არაა, თუმცა მისი დადასტურება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით არ დაიშვება.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 მუხლისა და 103-ე მუხლების საფუძველზე, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მოპასუხედ დასახელებულმა დ. გ-ემ სადავო გახადა შპს «ა-სთან» სასესხო ვალდებულების არსებობის ფაქტი, ხოლო მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია მხარეთა შორის დადებული წერილობითი სესხის ხელშეკრულება, არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება, რომ მან 2005 წლის 8 ნოემბერს დ. გ-ეს ასესხა 4000 აშშ დოლარი თვეში 7%-ის დარიცხვით.

სამოქალაქო კოდექსის 254-ე, 255-ე მუხლების, 257-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის, სისხლის სამართლის საქმეზე 2009 წლის 25 თებერვლის დ. გ-ის გამოკითხვის ოქმისა და 2009 წლის 16 აპრილს, სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დ. გ-ის დაკითხვის ოქმის, №171090286 სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების საფუძველზე სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს «ა-სა» და დ. გ-ეს შორის არსებობდა გ. გ-ის სესხთან დაკავშირებული მფლობელობითი გირავობის ურთიერთობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ამ მტკიცებულებებს და არასწორად მიიჩნია, რომ ამ მტკიცებულებებით დასტურდებოდა დ. გ-ის მიერ თანხის სესხების ფაქტი.

სასამართლომ, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მხარეები სადავოდ არ მიიჩნევენ «მერსედესის» მარკის ავტომობილის მოპასუხისათვის გადაცემის ფაქტს, სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა შორის გირავნობითი ურთიერთობა შეწყვეტილად ჩათვალა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენის დროისათვის შპს «ა-ს» (შპს «ბ-ი») მიმართ დ. გ-ის ვალდებულების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარუდგენლობის გამო, სასარჩელო მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მისთვის თანხების დაკისრების თაობაზე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო.

იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, პალატამ მიიჩნია, რომ ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლისა და 394-ე მუხლის «ე¹» ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ამავე კოდექსის 386-ე მუხლის თანახმად, ახალი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «ა-ს» უფლებამონაცვლე შპს «ბ-მა», მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 624-ე მუხლები, კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების გარდა, სესხის არსებობა სხვა მტკიცებულებებებით არ შეიძლება დადასტურდეს. საქმეში არსებული მტკიცებულებები: წინასწარი გამოძიების მასალები და სხვა, ადასტურებენ დ. გ-ის მიერ სესხის აღების ფაქტს.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტი, რომ შპს «ა-დან» სესხი გ. გ-ემ მიიღო დ. გ-ის თავდებობით და სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავდა დ. გ-ის ავტომობილი, აღნიშნული დასკვნა საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს, პირიქით ირკვევა, რომ შპს «ა-ს» მოვალე სწორედ მოპასუხეა.

წინასწარი გამოძიებისას, 2009 წლის 25 თებერვალს დაკითხული დ. გ-ე აღიარებს სესხის აღების ფაქტს და უთითებს, რომ სესხის გაცემის საფუძველი ზ. მ-თან ახლო ურთიერთობა გახდა, ამავე ჩვენებით ადასტურებს მოპასუხე სესხის ძირითადი თანხის – 4000 აშშ დოლარის შეთავაზებას ზ. მ-ისათვის, 2009 წლის 10 მარტის ოქმით ასევე ირკვევა, რომ სესხის გაცემის საფუძველი მოდავე მხარეთა ახლო ურთიერთობა იყო, ხოლო 2009 წლის 16 აპრილის ჩვენების თანახმად, დ. გ-ე აღიარებს, რომ სესხის ძირითადი თანხის – 4000 აშშ დოლარის გადაცემის შემდეგ ზ. მ-მა პირადად გადასცა ავტომობილის ტექნიკური პასპორტი და გასაღები, ამის შემდეგ მოპასუხემ კეთილი ნების საფუძველზე «... ბანკის» ანგარიშზე ჩაურიცხა 4500 აშშ დოლარი

და ანგარიში ეკუთვნოდა დ.გ-ის ადვოკატ ზ. ჩ-ს. წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებით ირკვევა, რომ დ. გ-ის ახლობელმა მის ოფისში მიიყვანა და დატოვა «მერსედესის» მარკის ავტომობილი გასაღებთან და ტექნიკურ პასპორტთან ერთად, რის სანაცვლოდაც მან გადასცა 4000 აშშ დოლარი, გარდა აღნიშნულისა, დადასტურებულია, რომ მხარეები სიტყვიერად შეთანხმდნენ სესხის სარგებლად ყოველთვიურად 6%-ის გადახდაზე. მითითებული გარემოებები ადასტურებს დ. გ-ის მიერ სესხის აღების ფაქტს, თუმცა დ. გ-ემ სასამართლო შეცდომაში შეიყვანა და არასწორად დადგინდა შპს «ა-სა» და დ. გ-ეს შორის სასესხო-სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობა. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დ. გ-ემ დაადასტურა ზ. მ-ისათვის თანხის გადაცემის ფაქტი და მის მიერ ამ ფაქტის უარყოფა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს, რადგანაც აღიარება ასევე გაკეთებულია წინასწარი გამოძიების დროს, რაც საქმის მასალებით იკვეთება.

საქმეში მტკიცებულებების არარსებობისას, სასამართლო არასწორად ადგენს, რომ ზ. მ-ს გ. გ-ემ გადაუხადა 4000 აშშ დოლარი, ხოლო დ. გ-ემ – 4500 აშშ დოლარი.

სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ დაადგინა ის ფაქტი, რომ დაგირავებული ავტომობილი გაიტაცა დ. გ-ემ. საქმეში არსებული წინასწარი გამოძიების მასალებით დასტურდება სისხლის სამართლის კოდექსის 306-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი, თუმცა ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ამნისტირების გამო შეწყვეტილია საქმის წარმოება, დაგირავებული ავტომობილის გატაცების ფაქტს საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებიც ადასტურებს.

სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა, როგორც მტკიცებულება, არ შეაფასა, თუმცა ვალდებული იყო, შეეფასებინა აღნიშნული და გაეზიარებინა ან არ გაეზიარებინა იგი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ივლისის განჩინებით შპს «ბ-ის» საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებისა და შპს «ბ-ის» საკასაციო პრეტენზიების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე შპს «ა-» (უფლებამონაცვლე – შპს «ბ-ი») ეწეოდა სალომბარდო საქმიანობას და 2005 წლის 8 ნოემბერს, სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს, მისი დირექტორი იყო ზ. მ-ი,

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 მუხლისა და 103-ე მუხლების საფუძველზე, არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება, რომ მან 2005 წლის 8 ნოემბერს დ. გ-ეს ასესხა 4000 აშშ დოლარი ყოველთვიური სარგებლის დარიცხვით. ამასთან, სასამართლოს დასკვნით, შპს «ა-სა» (შპს «ბ-ი») და დ. გ-ეს შორის არსებობდა გ. გ-ის სესხთან დაკავშირებული მფლობელობითი გირავნობის ურთიერთობა. იმის გათვალისწინებით, რომ მხარეები სადავოდ არ მიიჩნევენ «მერსედესის» მარკის ავტომობილის მოპასუხისათვის გადაცემის ფაქტს, სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა შორის გირავნობითი ურთიერთობა სააპელაციო სასამართლომ შეწყვეტილად ჩათვალა.

სააპელაციო პალატამ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიებისას დ. გ-ის მიერ 2009 წლის 25 თებერვალს და 16 აპრილს მიცემული ჩვენებების საფუძველზე აღნიშნა შემდეგი: დ. გ-ეს ნათესავმა გ. გ-ემ სთხოვა ფინანსური დახმარება. გ. გ-ე ეწეოდა ბიზნესსაქმიანობას. დ. გ-ე შეხვდა ზ. მ-ს და სთხოვა, მისი თავდებობით გ. გ-ისათვის ესეხებინა გარკვეული თანხა, რაზეც ზ. მ-ი დათანხმდა, თუმცა გირაოს სახით მოითხოვა ნივთის დატოვება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დ. გ-ე დააგირავებდა მის ავტომანქანა «მერსედესს». მოლაპარაკებიდან რამდენიმე დღეში შეასრულა მხარემ პირობა კიდევაც. თანხა წამოიღო გ. გ-ემ. მას შემდეგ, რაც გ. გ-ემ ვერ გადაუხადა თანხა ზ. მ-ს, მან თანხის დაფარვა კატეგორიულად მოსთხოვა დ. გ-ეს, რომელმაც შესთავაზა ძირი თანხის გადახდა, მაგრამ ზ. მ-ი არ დაეთანხმა და მოსთხოვა 25000 აშშ დოლარი დ. გ-ეს, როგორც მისი ნათესავის – გ. გ-ის თავდებს. ზ. მ-ის მიერ პროცენტებისა და ფინანსური სანქციების მოთხოვნის შემდეგ, მან გამოიჩინა კეთილი ნება და «... ბანკის» ანგარიშზე ჩაურიცხა 4500 აშშ დოლარი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინდა შპს «ა-სა» (შპს «ბ-ი») და დ. გ-ეს შორის სასესხო-სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობა. ასევე ის ფაქტი, რომ ზ. მ-ს გ. გ-ემ გადაუხადა 4000 აშშ დოლარი, ხოლო დ. გ-ემ – 4500 აშშ დოლარი. კასატორი მითითებული პრეტენზიის დასაბუთებისას აპელირებს სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა

დარღვევაზე და განმარტავს, რომ სასამართლომ დავა გადაწყვიტა საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა-გამოკვლევის გარეშე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ამ სახის წარმოების ამოსავალი პრინციპია და დავის გადაწყვეტის ბედიც ამ პროცესში მონაწილე მხარეთა პოზიციითაა განსაზღვრული, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4.1 მუხლის მიხედვით, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსით განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის სტანდარტი, რაც ასახულია კოდექსის 102-ე მუხლში, რომლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის მიხედვით, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამავე კოდექსის 624-ე მუხლის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებელმა სესხის ხელშეკრულების დადებისათვის არ გაითვალისწინა სავალდებულო ფორმა, თუმცა კანონით განისაზღვრა მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმები, კერძოდ, ზეპირი ხელშეკრულების დროს სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, რაც იმას ნიშნავს, მოწმეთა ჩვენება ამ შემთხვევაში არასაკმარისი მტკიცებულებაა, მაშინ როცა სხვა სახის სამართალურთიერთობის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა არ კრძალავდეს მოწმის ჩვენების საფუძველზე კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შემადგენლობის (ფაქტების) დადასტურებას.

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის დასატასტურებლად მიუთითებდა წინასწარი გამოძიებისას მოპასუხის მიერ მიცემულ ჩვენებაზე, სადაც მან აღიარა მოსარჩელის წინაშე სასესხო-სამართლებრივი ურთიერთობა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მტკიცების ტვირთს შეადგენს მოპასუხისათვის თანხის გადაცემის დადასტურება, რაც თავისთავად ვალდებულების არსებობას გულისხმობს (სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი). როგორც აღვნიშნეთ, მოსარჩელემ ვალდებულების არსებობის დასადასტურებლად მიუთითა მხოლოდ მოპასუხის აღიარებაზე, თუმცა ასეთი არ არის დადგენილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის მხოლოდ სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა მიიჩნია დადასტურებულად. საკასაციო პალატის შეფასებით, კასატორმა ვერ მიუთითა მოპასუხის კონკრეტულ ახსნა-განმარტებაზე, სადაც ეს უკანასკნელი აღიარებს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოსარჩელისათვის მოპასუხის მიერ «... ბანკის» ანგარიშზე 4500 აშშ დოლარის ჩარიცხვის თაობაზე, საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის პოზიციას, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ემყარება მხოლოდ მოპასუხის ახსნა-განმარტებას და არ არის დადასტურებული სხვა მტკიცებულებებით, თუნდაც «... ბანკის» ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია საფუძვლიანია მხოლოდ მისთვის თანხის გადახდის ნაწილში, რაც შეეხება კასატორის სხვა არგუმენტებს, ისინი არ შეიცავენ დასაშვებ და დასაბუთებულ შედავებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «ა-ს» უფლებამონაცვლე შპს «ბ-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პროცენტი სესხისათვის

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ას-264-248-2011 18 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ზ. ალავიძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. და ფ. თ-ძეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ი. ძ-შვილის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2007 წლის მაისში ი. ძ-შვილმა ისესხა 3000 ლარი, 10%-ის სარგებლით 2008 წლის 10 ივნისამდე, რაც დაადასტურა ხელწერილით. ი. ძ-შვილმა გადაიხადა, მხოლოდ 3 თვის პროცენტი, სულ 900 ლარი, დანარჩენი თვეების სარგებელი და არც ძირითადი თანხა 3000 ლარი არ დაუბრუნებია. 2007 წელს ი. ძ-შვილმა ისესხა მ. თ-ძისაგან 1000 ამერიკული დოლარი 6 თვის ვადით, რომელიც დღემდე არ დაუბრუნებია. 2007 წლის 21 ივნისის მ. თ-ძესა და ი. ძ-შვილს შორის სესხის ხელშეკრულება დადასტურებულია ნოტარიულად. მოსარჩელეებმა მოითხოვეს, მოპასუხეს მ. თ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 1000 აშშ დოლარის, ხოლო ფ. თ-ძის სასარგებლოდ ძირითადი დავალიანების 3000 ლარის და სესხზე ვადაგადაცილებული 27 თვის პროცენტის – 8100 ლარის, სულ 11 100 ლარის გადახდა.

მოპასუხე ი. ძ-შვილმა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მ. თ-ძეს დედის მეშვეობით დაუბრუნა 500 აშშ დოლარი და დღეისათვის დასაბრუნებელი აქვს მხოლოდ 500 აშშ დოლარი. ფ. თ-ძისაგან სესხის აღების თაობაზე შედგენილ ხელწერილში მითითებული თანხით მას არ უსარგებლია. მან მხოლოდ რეკომენდაცია გაუწია სხვა პირს, ფ. თ-ძემ კი, მოტყუებით დააწერინა ხელწერილი. მას ფ. თ-ძისათვის დაბრუნებული აქვს 2400 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით მ. და ფ. თ-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. ძ-შვილს მ. თ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 აშშ დოლარის გადახდა. ძირითადი დავალიანების 3000 – ლარის, პროცენტის, 8100 ლარის, სულ – 11 100 ლარის გადახდა ფ. თ-ძის სასარგებლოდ, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ძ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ი. ძ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 21 ივნისს მ. თ-ძესა და ი. ძ-შვილს შორის სანოტარო წესით გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მ. თ-ძემ ი. ძ-შვილს ასესხა 1000 აშშ დოლარი სარგებლის გარეშე, ექვსი თვის ვადით 2007 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით. 2007 წლის 10 მაისს ხელწერილის თანახმად, ი. ძ-შვილმა ისესხა 3000 ლარი მოქალაქე ფ. თ-ძისაგან 10%-ით და თანხის დაბრუნების ვალდებულების შესრულების პერიოდად განისაზღვრა 2008 წლის 10 ივნისი. ი. ძ-შვილმა ფ. თ-ძეს გადასცა 900 ლარი პროცენტის სახით. ი. ძ-შვილს 2007 წლის 21 ივნისს სანოტარო წესით გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია. მ. თ-ძისათვის 1000 აშშ დოლარი არ დაუბრუნებია. ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება ი. ძ-შვილს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. ი. ძ-შვილის მიერ სესხის ხელშეკრულებით ფ. თ-ძის მიმართ ნაკისრი ვალდებულება არ შესრულებულა, მის მიერ გადახდილ იქნა მხოლოდ სამი თვის პროცენტი 900 ლარის ოდენობით. ი. ძ-შვილმა მიუთითა, რომ მ. თ-ძეს დაუბრუნა თანხის ნაწილი 500 აშშ დოლარი, ხოლო ფ. თ-ძეს 2400 ლარი. 2007 წლის 21 ივნისს მ. თ-ძესა და ი. ძ-შვილს შორის სანოტარო წესით გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მ. თ-ძემ ი. ძ-შვილს ასესხა 1000 აშშ დოლარი სარგებლის გარეშე, ექვსი თვის ვადით 2007 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 623-ე და 625-ე მუხლების თანახმად, ვინაიდანDდადგენილია ის გარემოება, რომ ი. ძ-შვილის მიერ ვალდებულება არ იქნა შესრულებული ჯეროვნად, იგი ვალდებულია მ. თ-ძეს დაუბრუნოს სესხის ძირითადი თანხა 1000 აშშ დოლარი, ხოლო ფ. თ-ძეს სესხის ძირითადი თანხა 3000 ლარი

და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი 27 თვეზე, რაც შეადგენს 8100 ლარს, სულ – 11 100 ლარი.

პალატამ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, აპელანტ ი. ძ-შვილს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას, სასამართლოსთვის მითითებული სამართლებრივი ნორმით დადგენილი წესის თანახმად, არ წარმოუდგენია. პალატამ განმარტა, რომ 2007 წლის 10 მაისს სესხის ხელშეკრულების დადებისას მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი, შეიცავდა დათქმას იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების მხარეების მიერ დადგენილი პროცენტი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ გონივრულ ზღვრულ ოდენობას, მაგრამ 2007 წლის 10 მაისის სესხის ხელწერილით 3000 ლარის სარგებლობისათვის გათვალისწინებული 10% არ არის შეუსაბამოდ მაღალი, არ ეწინააღმდეგება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობებისათვის დადგენილ კანონის ძირითად პრინციპებსა და საჯარო წესრიგს. რაც შეეხება აპელანტის მოსაზრებას სესხის ხელშეკრულებების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, ხელშეკრულება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი გარიგების ბათილობის საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ხოლო მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სესხის ხელშეკრულების სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ძ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: 2007 წლის 21 ივნისს მას და მ. თ-ძეს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება. მ. თ-ძემ ასესხა 1000 აშშ დოლარი 2007 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით. აუდიოჩანაწერში მ. თ-ძე ადასტურებს 500 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტს.

2007 წლის 10 მაისს ფ. თ-ძისაგან ისესხა 3000 ლარი, რომელიც უნდა დაებრუნებია 2008 წლის 10 ივნისს, პროცენტი არ იყო განსაზღვრული, 10% არის ჩამატებული. ხელწერილის დედანი სასამართლო პროცესზე არ წარმოუდგენია. ამ საკითხზე ესაუბრა ფ. თ-ძეს, რაზეც არსებობს აუდიოჩანაწერი. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2007 წლის 10 მაისის სესხის ხელწერილით 3000 ლარის სარგებლობისათვის გათვალისწინებული 10% არ არის შეუსაბამოდ მაღალი, არ ეწინააღმდეგება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დადგენილ ძირითად პრინციპებს. სასამართლო არ მიუთითებს, ვალდებულებითი სამართლის რომელ ნორმებს ეყრდნობა. დარღვეულია სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მოთხოვნა. პროცენტი ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის გონივრულ ზღვრულ ოდენობას უნდა შეესაბამებოდეს. ამ შემთხვევაში უნდა დადგენილიყო მხოლოდ 3%.

ვინაიდან, ი. ძ-შვილმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე მ. თ-ძის მოთხოვნის ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 აპრილის №ას-264-248-2011 განჩინებით ამ ნაწილში საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ძ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ – სესხზე დადგენილი პროცენტის გაუქმების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2007 წლის 10 მაისს ხელწერილის თანახმად, ი. ძ-შვილმა ისესხა 3000 ლარი ფ. თ-ძის ოფისიდან 10%-ით. თანხის დაბრუნების ვალდებულების შესრულების პერიოდად განისაზღვრა 2008 წლის 10 ივნისი. ი. ძ-შვილის მიერ სესხის ხელშეკრულებით ფ. თ-ძის მიმართ ნაკისრი ვალდებულება არ შესრულებულა და მის მიერ გადახდილია მხოლოდ სამი თვის პროცენტი 900 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს და Eეთანხმება სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 623-ე და 625-ე მუხლების საფუძველზე ი. ძ-შვილისთვის ფ. თ-ძის სასარგებლოდ სესხის ძირითადი თანხის – 3000 ლარის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს სესხზე დადგენილი პროცენტის ოდენობა, კერძოდ:

დადგენილია, რომ სადავო 2007 წლის 10 მაისის სესხის ხელშეკრულების დადებისას მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი, შეიცავდა დათქმას, რომ ხელშეკრულების მხარეების მიერ დადგენილი პროცენტი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ გონივრულ ზღვრულ ოდენობას. სესხზე გონივრული ოდენობის პროცენტის განსაზღვრის ნაწილში საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით (იხ. №ას-1083-1321-05 2006 წ. 20 ივლისი, №ას-192-614-06 2006 წ.

13 სექტემბერი, ას-1184-1428-05 30 მაისი, №ას-1199-1443-05 10 მარტი, 2006 წ. №ას-797-1163-06 18 ივნისი, 2007 წ. №ას-538-21-06 5 თებერვალი, 2007 წელი) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პროცენტის ზღვრული ოდენობის შესაბამისად, ფულად ვალზე პროცენტი 2.4%-დან 3%-მდე განისაზღვრებოდა.

სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის (2007 წლის 29 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტი, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება ბათილია. ამავე კოდექსის 54-ე მუხლით ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ხოლო 62-ე მუხლით გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც. კანონსაწინააღმდეგო გარიგებები მიეკუთვნება უცილოდ ბათილ გარიგებებს, შესაბამისად, მხარეთა შეთანხმება სესხზე ყოველთვიური 10%-იდან 7%-ის ნაწილში ბათილია, ვინაიდან სესხის ხელშეკრულების დადებისას 2007 წლის 10 მაისს მხარეების მიერ დადგენილი პროცენტი არ შეესაბამება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ გონივრულ ზღვრულ ოდენობას. საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული დასაბუთების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სესხზე პროცენტის ოდენობა უნდა განისაზღვროს 3%-ით ანუ თვეში 30 ლარით, რაც შეადგენს (27X30) 810 ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ი. მ-შვილის საკასაციო საჩივარი სესხზე შეუსაბამო პროცენტის განსაზღვრის ნაწილში საფუძვლიანია და გასაჩივრებული განჩინება სესხზე ვადაგადაცილებული 27 თვის პროცენტის – 8100 ლარის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს; ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. მ-შვილს ფ. თ-ძის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს ძირითადი დავალიანების – 3000 ლარის პროცენტის – 810 ლარის, სულ – 3 810 ლარის გადახდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლის 55-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ფ. თ-ძეს უნდა დაეკისროს სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სახელმწიფო ბაჟის 365 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ი. მ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ნოემბრის განჩინება ფ. თ-ძის სარჩელის სესხზე პროცენტის 8100 ლარის დაკისრების დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

ი. მ-შვილს დაეკისროს ფ. თ-ძის სასარგებლოდ ძირითადი დავალიანების – 3000 ლარზე პროცენტის 810 ლარის, სულ 3 810 ლარის გადახდა. ფ. თ-ძის სარჩელი სესხზე პროცენტის – 7290 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

ფ. თ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 365 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნარდობის ხელშეკრულება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ას-1373-1390-2011 21 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. მ-ამ მოპასუხე ამხანაგობა „რ-ის» და მისი წევრების – გ. მ-ას, ნ. ჭ-ას, მ. თ-ის, ს. გ-ას, ტ. თ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხე ამხანაგობა „რ-ის» მიერ

2009 წლის 3 აგვისტოს ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, ქ.ქობულეთში, ... 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 ბინების მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაცემა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით:

1. ნ. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა;

2. ამხანაგობა „რ-ს», მის წევრებს – გ. მ-ას, მ. თ-ეს, ტ. თ-ეს, ს. გ-ას, ნ. ჭ-ას დაევალათ 2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა „რ-სა» და ნ. მ-ას შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, 2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა „რ-სა» და ნ. მ-ას შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში აღნიშნული ნასყიდობის საგნის, ქ.ქობულეთში, ... 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 საცხოვრებელი ბინების ნ. მ-ას საკუთრებაში გადაცემა;

3. ნ. მ-ა საჯარო რეესტრში აღირიცხა 2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა „რ-სა» და ნ. მ-ას შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში აღნიშნული ნასყიდობის საგნის, ქ.ქობულეთში, კ-ის 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 საცხოვრებელი ბინების მესაკუთრედ;

4. ამხანაგობა „რ-ს», მის წევრებს – გ. მ-ას, მ. თ-ეს, ტ. თ-ეს, ს. გ-ას, ნ. ჭ-ას ნ. მ-ას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 3000 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ სარჩელზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ;

5. ამხანაგობა „რ-ს», მის წევრებს – გ. მ-ას, მ. თ-ეს, ტ. თ-ეს, ს. გ-ას, ნ. ჭ-ას ნ. მ-ას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 800 ლარის გადახდა ნ. მ-ას მიერ წარმომადგენლის იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ამხანაგობა «რ-ის» 2009 წლის 3 აგვისტოს დამფუძნებელი კრების №1 სხდომის ოქმის თანახმად, ამხანაგობის წევრებმა ამავე კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით დაადგინეს ქ.ქობულეთში, კ-ის ქ.2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25, №27 ბინების (ფართით 390-405კვ.მ) გასხვისება და ნ. მ-ასათვის 180000 აშშ დოლარად მიყიდვა, შესაბამისად დაადგინეს ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების გაფორმება;

2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა «რ-ის» თავმჯდომარე გ. მ-ამ და ნ. მ-ამ გააფორმეს ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეები იღებდნენ ვალდებულებას ერთმანეთს შორის დაედოთ ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ნ. მ-ას გადაეცემოდა ქ.ქობულეთში, ... 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25, №27 (სართულები – ორი ოროთახიანი ბინა მეხუთე სართულზე, ორი ოროთახიანი ბინა მეოთხე სართულზე, ერთი ოროთახიანი ბინა პირველ სართულზე, თითო ბინის ფართი 78-80კვ.მ, საერთო ფართი 390-405კვ.მ). ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, მყიდველმა სრულად გადაიხადა ნასყიდობის საფასური 180000 აშშ დოლარი. სახლი უნდა აშენებულიყო 2010 წლის 1 აგვისტოსათვის, რის შემდეგაც გამყიდველს ორი კვირის განმავლობაში უნდა შეეტყობინებინა ამის შესახებ მყიდველისათვის და მოეწვია ძირითადი ხელშეკრულების გასაფორმებლად. მითითებულ ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა დაამოწმა ნოტარიუსმა;

დავის საგანს არ წარმოადგენდა ის, რომ ამხანაგობა «რ-მა» დადგენილ ვადაში ექსპლოატაციაში შეიყვანა აშენებული სახლი, მაგრამ ნ. მ-ასთან ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება არ გააფორმა;

სს «... ბანკის» ანგარიშის მფლობელის ამონაწერით დგინდებოდა და სადავო არ იყო, რომ ნ. მ-ამ გ. მ-ას სახელზე 2004-2006 წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს სულ 345253 აშშ დოლარი ჩარიცხა. უდავო იყო ის გარემოება, რომ აღნიშნული თანხა ნ. მ-ამ გადარიცხა ერთობლივი საქმიანობის საწარმოებლად, ჩხოროწყუს ბაზრის მშენებლობისათვის;

2009 წლის 8 სექტემბერს ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას შორის დაიდო საერთო საკუთრების წილზე ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მხარეებმა აიღეს ვალდებულება დადონ ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის საგანი იქნება საერთო საკუთრების წილი უძრავ ნივთზე მდებარე დ.ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის №1-ში. აღნიშნული ნივთის თანამესაკუთრეები იყვნენ ნ. მ-ა და შპს «გ- და კ-ა». ხელშეკრულებით ნასყიდობის ფასად განისაზღვრა 180000 აშშ დოლარი, რომლის გადახდა უნდა მომხდარიყო ყოველთვიურად 12000 აშშ დოლარით 15 თვის განმავლობაში;

2010 წლის 23 მარტს ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას შორის გაფორმდა საერთო საკუთრებაში არსებული ქონების (შენობა-ნაგებობის) რეალური წილის გამიჯვნის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეებმა მოახდინეს მათ საერთო საკუთრებაში არსებული, დაბა ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის მესამე შესახვევის №1-ში მდებარე უძრავი ქონების – შენობა-ნაგებობის (საერთო-სასარგებლო ფართით 2112კვ.მ) გამიჯვნა. ხელშეკრულება დაამოწმა ნოტარიუსმა;

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით, ნ. მ-ას სარჩელი, რომლითაც იგი გ. მ-ასაგან ითხოვდა მის მიერ ერთობლივ საქმიანობაში ჩადებული თანხის, 345000 აშშ დოლარის გადახდას და ზიანის ანაზღაურებას, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. მ-ას ნ. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 9413 ლარის გადახდა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ასანაზღაურებლად, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო;

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, დაბა ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის ... №1-ში მდებარე უძრავი ქონება – არასაცხოვრებელი ფართი, რეგისტრირებულია ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას სახელზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ნ. მ-ა სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითებდა შემდეგ გარემოებაზე: მოპასუხე ამხანაგობა „რ-მა» დაარღვია მხარეთა შორის 2009 წლის 3 აგვისტოს დადებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ბინების საკუთრებაში გადაცემის შესახებ. მოსარჩელემ განმარტა, რომ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებაში მითითებული ნასყიდობის საფასური – 180000 აშშ დოლარი მას მოპასუხისათვის თანხის სახით არ გადაუხდია. ამხანაგობა „რ-მა» თანხის მიღების სანაცვლოდ იკისრა გ. მ-ას ძმის, გ. მ-ას ვალის გადახდის ვალდებულება, რომელიც ჩხოროწყუს ბაზარში ნ. მ-ას წილის გამოსყიდვას ითვალისწინებდა და ჩაითვლებოდა ნასყიდობის საფასურში. მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელის მსჯელობას და მიიჩნია, რომ: ნასყიდობის თანხის გადაუხდელობის გამო წინარე ხელშეკრულება არ იყო ნამდვილი. ნ. მ-ამ თავად დაარღვია ვალდებულება, გააგრძელა სასამართლო დავა, მიიღო ბაზრის 50%-იანი წილი და დარეგისტრირდა მის მესაკუთრედ. შესაბამისად, ამხანაგობა „რ-ს» აღარ გააჩნდა ბინების გადაცემის ვალდებულება.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და მიიჩნია, რომ ამხანაგობა „რ-მა» დაარღვია 2009 წლის 3 აგვისტოს დადებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მოსარჩელისათვის ბინების საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

რაც შეეხებოდა მოპასუხის არგუმენტებს, საქალაქო სასამართლომ ისინი არ გაიზიარა, რასაც საფუძვლად დაუდო შემდეგი მოსაზრებები:

საქმეში არსებული მასალებით (მოწმეთა ჩვენებებით, ხელშეკრულებებით) დგინდებოდა და დავის საგანს არ წარმოადგენდა, რომ გ. მ-ა, გ. მ-ა და ნ. მ-ა 2009 წლის ზაფხულში შეთანხმდნენ გამოესყიდათ ნ. მ-ას კუთვნილი წილი ბაზარში და გადაეხადათ მისთვის 360000 აშშ დოლარი, რის შემდეგაც მოსარჩელე თმობდა ჩხოროწყუს ბაზარში მთლიან წილს. ამ თანხიდან, გ. მ-ას მიერ აღებული ვალდებულებით, 180000 აშშ დოლარი უნდა გადახდილიყო ამხანაგობა „რ-ის» ბინების გადაცემით, ხოლო დარჩენილი 180000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა ზ. ლ-ას 15 თვის განმავლობაში დადგენილი და შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ყოველთვიურად 12000 აშშ დოლარის გადახდით. სასამართლოს მოსაზრებით, მითითებულ გარემოებას ადასტურებდა 2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა „რ-ის» თავმჯდომარე გ. მ-ასა და ნ. მ-ას შორის გაფორმებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება და 2009 წლის 8 სექტემბერს ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას შორის დადებული საერთო საკუთრების წილზე ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება. დგინდებოდა, რომ აღნიშნული ხელშეკრულებებით ნ. მ-ას მიმართ ნაკისრი ვალდებულებები ბინების გადაცემისა და საერთო საკუთრების წილის გამოსყიდვის შესახებ არ შესრულდა;

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ვერ დაამტკიცა გარემოებები, რომლებზედაც ამყარებდა თავის შესაგებელს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ ზემოთ დასახელებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა მოსარჩელის მიზეზით მოხდა, კერძოდ, მოსარჩელემ დაბლოკა ბანკიდან სესხის გამოტანის შესაძლებლობა, რომლითაც 180000 აშშ დოლარის გადახდა უნდა მომხდარიყო და შემდეგ საკუთრებაში გადაიფორმა თავისი წილი. ეს გარემოებები საქმის მასალებით არ დასტურდებოდა. საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა, რომ ნ. მ-ამ იკისრა ვალდებულება სესხის გამოტანის ხელშეწყობაზე და უარი თქვა თავის წილზე.

საქალაქო სასამართლოს შეფასებით, 2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა „რ-ის» თავმჯდომარე გ. მ-ასა და ნ. მ-ას შორის დადებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება ნამდვილი იყო. იგი წარმოადგენდა ჩვეულებრივ ხელშეკრულებას და მის მიმართ სრულად გამოიყენებოდა სახელშეკრულებო ვალდებულების წესები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლ ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ყველაზე გავრცელებული საფუძველი ვალდებულების წარმოშობისათვის, არის ხელშეკრულება. ხელშეკრულება ეს არის მხარეთა შეთანხმება მათი ურთიერთობის არსებით და მნიშვნელოვან მომენტებზე, რომელიც გავლენას ახდენს მათი უფლება-მოვალეობების წარმოშობაზე და იმაზე, წარმოშობს თუ არა ეს ურთიერთობა დასახულ შედეგებს.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც, რომელიც წარმოადგენს ჩვეულებრივ ხელშეკრულებას და მის მიმართ სრულად გამოიყენე-

ბა სახელშეკრულებო ვალდებულების წესები. წინარე ხელშეკრულებით წარმოიშობა მომავალი (ძირითადი) ხელშეკრულების დადების ვალდებულება.

მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ 2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა «რ-ის» თავმჯდომარე გ. მ-ასა და ნ. მ-ას შორის დაიდო ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეები იღებდნენ ვალდებულებას ერთმანეთს შორის დაედოთ ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლითაც ნ. მ-ასათვის გადაეცემოდა ქ.ქობულეთში, ... ქ.2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 ბინები კონკრეტულ ვადაში.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ძირითადი ხელშეკრულების დადებისა და ბინების გადაცემის ვალდებულება მოპასუხემ არ შეასრულა. მან ვერ დაამტკიცა გარემოებები, რომლებზეც ამყარებდა თავის შესაგებელს. ამიტომ, მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რისი მოთხოვნის უფლებაც საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მას ჰქონდა.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს ვალდებულების დარღვევას. ამავე კოდექსის 405-ე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ეს ნორმა მხარეს, რომელიც ასრულებს ხელშეკრულებას, ანიჭებს უფლებას ხელშეკრულების დამრღვევი მხარის მიმართ. კერძოდ, მას ენიჭება უფლებამოსილება უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დგინდებოდა მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე შეტყობინების ფაქტი. მოსარჩელე ამ გარემოებას არ ადასტურებდა.

როგორც საქმის მასალებით დადგინდა, ამხანაგობა «რ-მა» თავმჯდომარე გ. მ-ას წარმომადგენლობით, თავის თავზე აიღო ვალდებულება გამოესყიდა ნ. მ-ას წილი მისთვის საკუთარი ბინების გადაცემით. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. გარიგების დადება მხარეებს წარმოუშობს ამ გარიგებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებს. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალები იძლეოდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ამხანაგობა „რ-ის» თავმჯდომარე გ. მ-ამ, წევრებმა: ნ. ჭ-ამ, მ. თ-ემ, ს. გ-ამ, ტ. თ-ემ. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით ამხანაგობა „რ-ის» თავმჯდომარე გ. მ-ას, წევრების: ნ. ჭ-ას, მ. თ-ის, ს. გ-ას, ტ. თ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ნ. მ-ას აპელანტების სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო ინსტანციაში გადახდილი ბაჟის – 5000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. მ-ამ აღძრა სარჩელი ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოში გ. მ-ას მიმართ და მოითხოვა ერთობლივ საქმიანობაში ჩადებული თანხის 345000 აშშ დოლარის და ზიანის ანაზღაურება. იგი ითხოვდა ბაზრის 70% წილის მის საკუთრებად აღრიცხვას;

სს «თიბისი ბანკის ანგარიშის მფლობელის ამონაწერით დგინდება და სადავო არ არის, რომ ნ. მ-ამ გ. მ-ას სახელზე 2004-2006 წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს სულ 345253 აშშ დოლარი ჩარიცხა. უდავოა ის გარემოება, რომ აღნიშნული თანხა ნ. მ-ამ გადმორიცხა ერთობლივი საქმიანობის საწარმოებლად, ჩხოროწყუს ბაზრის მშენებლობისათვის;

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით, ნ. მ-ას სარჩელი, რომლითაც იგი გ. მ-ასაგან ითხოვდა მის მიერ ერთობლივ საქმიანობაში ჩადებული თანხის 345000 აშშ დოლარის გადახდას და ზიანის ანაზღაურებას, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – კერძოდ, გ. მ-ას ნ. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 9413 ლარის გადახდა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ასანაზღაურებლად. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დაუსაბუთებლობის გამო;

დადგენილია, რომ სავაჭრო ცენტრის 100%-ის მფლობელი ყოველთვის იყო შპს «გ. და კ-ას» დამფუძნებელი გ- მ-ა, რის გამოც მიმდინარეობდა სასამართლო დავა, კერძოდ ნ. მ-ა ასაბუთებდა, რომ სავაჭრო ცენ-

ტრში მისი წილი შეადგენდა 70%-ს, რადგან გადახდილი ჰქონდა 70%-ის ღირებულების თანხა, 360000 აშშ დოლარი. აღნიშნულ დავასთან დაკავშრებით სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა წილი იყო თანაბარი და არა 70%-ი 30%-ზე;

ამის შემდეგ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სავაჭრო ცენტრიდან ნ. მ-ას წილს 50%-ს, გამოისყიდიდა შპს «გ. და კ-ა» და თანხის გადახდა მოხდებოდა შემდეგი სახით: ნაწილობრივ თანხით – 180000 აშშ დოლარი და ნაწილობრივ ნატურის სახით – 180000 აშშ დოლარის ღირებულების საცხოვრებელი ბინების გადაცემით, რომლებიც მდებარეობდა ქ.ქობულეთში, ... ქ.№2ა-ში;

ხსენებული შეთანხმების წინასწარ უზრუნველსაყოფად ამხანაგობა «რ-ის» 2009 წლის 3 აგვისტოს დამფუძნებელი კრების №1 სხდომის ოქმის თანახმად, ამხანაგობის წევრებმა ამავე კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით დაადგინეს ქ.ქობულეთში, ... ქ. 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25, №27 ბინების (ფართით 390-405კვ.მ) გასხვისება და ნ. მ-აზე 180000 აშშ დოლარად მიყიდვა, შესაბამისად მათ დაადგინეს ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების გაფორმება;

2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა «რ-ის» თავმჯდომარე გ. მ-ამ და ნ. მ-ამ გააფორმეს ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეები იღებდნენ ვალდებულებას ერთმანეთს შორის დაედოთ ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ნ. მ-ას გადაეცემოდა ქ.ქობულეთში, ... ქ.2ა-ში მდებარე ბინები №13, №15, №18, №25, №27 (სართულები: ორი ოროთახიანი ბინა მეხუთე სართულზე, ორი ოროთახიანი ბინა მეოთხე სართულზე, ერთი ოროთახიანი ბინა პირველ სართულზე, თითო ბინის ფართი 78-80კვ.მ, საერთო ფართი 390-405კვ.მ);

ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლში წერია, რომ მყიდველმა სრულად გადაიხადა ნასყიდობის საფასური 180000 აშშ დოლარი, თუმცა სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული დათქმა ატარებდა მოჩვენებით ხასიათს, რადგან თავად მოსარჩელეც აღიარებდა, რომ მას 180000 აშშ დოლარი გადახდილი არ ჰქონდა. წინარე ხელშეკრულება დაიდო იმიტომ, რომ მომხდარიყო ნ. მ-ას გასვლა ბაზრის წილიდან და შემდეგ მისთვის, მის მიერ გადახდილი 360000 აშშ დოლარის ანაზღაურება, მაგრამ, რადგან ამ თანხის ანაზღაურება ხდებოდა ფულით 180000 აშშ დოლარით და ნატურით 180000 აშშ დოლარის ღირებულების ბინების საკუთრებაში გადაცემით, სწორედ ამიტომ დაიწერა ეს თანხა წინარე ხელშეკრულებაში;

შპს «გ. და კ-ამ» ვერ შეძლო განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით თანხის გადახდა, რამაც განაპირობა მხარეთა შორის საერთო საკუთრებიდან წილის გამოსყიდვის შესახებ წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა და შესაბამისად მოშლა;

2010 წლის 23 მარტს ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას შორის გაფორმდა საერთო საკუთრებაში არსებული ქონების (შენობა-ნაგებობის) რეალური წილის გამიჯვნის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეებმა მოახდინეს მათ საერთო საკუთრებაში არსებული, დაბა ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის ... №1-ში მდებარე უძრავი ქონების – შენობა-ნაგებობის (საერთო სასარგებლო ფართი 2112 კვ.მ) გამიჯვნა. ხელშეკრულება დაამოწმა ნოტარიუსმა;

საქმეში არსებული 2010 წლის 31 მარტის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, რომელიც არის სავაჭრო ცენტრში წილების რეალურად გამიჯვნის შესახებ ხელშეკრულების ნაწილი, სავაჭრო ცენტრის 50%-ის ღირებულება შეადგენდა სწორედ 360000 აშშ დოლარს.

მხარეთა განმარტებების მოსმენის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების ღირებულება 180000 აშშ დოლარი ნ. მ-ას მიერ არ იყო გადახდილი. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება გაფორმდა ჩხოროწყუში ნ. მ-ას ბაზრის წილის სანაცვლოდ, ანუ ნ. მ-ას უნდა გადაეცა ბაზრის წილი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებაში. საქმეზე დადგინდა, რომ ნ. მ-ას არ გადაუცია კუთვნილი ბაზრის წილი შპს «გ. და კ-აზე», რასაც ითვალისწინებდა მათი შეთანხმება. შესაბამისად, ბაზრის წილის დათმობის პირობის შეუსრულებლობის გამო, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა, მოწინააღმდეგე მხარეს შეესრულებინა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საჯარო რეესტრის ამონაწერზე, რომლითაც ირკვევა, რომ დაბა ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის... №1-ში მდებარე უძრავი ქონება – არასაცხოვრებელი ფართი, რეგისტრირებულია ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ყველაზე გავრცელებული საფუძველი ვალდებულების წარმოშობისათვის არის ხელშეკრულება. ხელშეკრულება ეს არის მხარეთა შეთანხმება მათი ურთიერთობის არსებით და მნიშვნელოვან მომენტებზე, რომელიც გავლენას ახდენს მათი უფლება-მოვალეობების წარმოშობაზე და იმაზე, წარმოშობს თუ არა ეს ურთიერთობა დასახულ შედეგებს. სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც, რომელიც წარმოადგენს ჩვეულებრივ ხელშეკრულებას და მის მიმართ სრულად გამოიყენება სახელშეკრულებო ვალდებუ-

ლების წესები. წინარე ხელშეკრულებით წარმოიშობა მომავალი (ძირითადი) ხელშეკრულების დადების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული მასალებით (მოწმეთა ჩვენებებით, ხელშეკრულებებით) დგინდებოდა და არც დავის საგანს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ გ. მ-ა, გ. მ-ა და ნ. მ-ა 2009 წლის ზაფხულში შეთანხმდნენ გამოესყიდათ ნ. მ-ას კუთვნილი წილი ბაზარში და გადაეხადათ მისთვის 360000 აშშ დოლარი, რის შემდეგაც მოსარჩელე თმობდა ჩხოროწყუს ბაზარში მთლიან წილს. ამ თანხიდან, გ. მ-ას მიერ აღებული ვალდებულებით, 180000 აშშ დოლარი უნდა გადახდილიყო ამხანაგობა «რ-ის» ბინების გადაცემით, ხოლო დარჩენილი 180000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა ზ. ლ-ას 15 თვის განმავლობაში დადგენილი და შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ყოველთვიურად 12000 აშშ დოლარის გადახდით. მითითებულ გარემოებას ადასტურებდა 2009 წლის 3 აგვისტოს ამხანაგობა «რ-ის» თავმჯდომარე გ. მ-ასა და ნ. მ-ას შორის გაფორმებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება და 2009 წლის 8 სექტემბერს ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას შორის დადებული საერთო საკუთრების წილზე ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება გაფორმდა ჩხოროწყუში ნ. მ-ას ბაზრის წილის სანაცვლოდ ანუ ნ. მ-ას უნდა გადაეცა ბაზრის წილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებაში. ნ. მ-ას არ გადაუცია კუთვნილი ბაზრის წილი შპს «გ. და კ-აზე», რასაც ითვალისწინებდა მათი შეთანხმება, ანუ ვალდებულება არ შესრულდა მოსარჩელის მიერ.

სააპელაციო სასამართლომ მოიხმო სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს ვალდებულების დარღვევას; ამავე კოდექსის მე-400 მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება თუ შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდა; 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არარსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ; 405-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ: აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება ან/და განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ეს ნორმა მხარეს ანიჭებს უფლებას, ხელშეკრულების დამრღვევი მხარის მიმართ უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის წარდგენის დროისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მეორე მხარის მიერ არ უნდა იყოს შესრულებული, დამრღვევი მხარის მხრიდან ადგილი უნდა ჰქონდეს ძირითადი ვალდებულების დარღვევას და ეს დარღვევა მნიშვნელოვან ხასიათს უნდა ატარებდეს. ამასთან გასული უნდა იყოს მხარისათვის ვალდებულების შესრულებისათვის დამატებით განსაზღვრული ვადა.

რამდენადაც ნ. მ-ას არ დაუთმია თავისი წილი სავაჭრო ცენტრში (იგი დღესაც 50%-ის მფლობელია), ამიტომ მას ვალდებულებაც არ შეუსრულებია. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საფუძვლიანი იყო აპელანტის მიერ წინარე ხელშეკრულების მოშლა ბინების გადაცემის თაობაზე, რადგან ეს უკანასკნელი სანაცვლოდ არაფერს იღებდა და არც ის შედეგი დგებოდა, რისთვისაც მოხდა წინარე ხელშეკრულების დადება.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანი, დასაბუთებული იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონო იყო და იგი გაუქმებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობის დასასაბუთებლად მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე:

2004 წელს ნ. და გ. მ-ები შეთანხმდნენ ერთობლივ საქმიანობაზე, რაც გულისხმობდა ჩხოროწყუს საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობას ნ. მ-ას სახსრებით. ამ მიზნით, მის მიერ გ. მ-ასათვის ჩარიცხულ იქნა გარკვეული თანხა, საიდანაც გ. მ-ა აღიარებს მხოლოდ 360000 აშშ დოლარის ჩარიცხვას. 2009 წელს ნ. მ-ამ აღძრა სარჩელი გ. მ-ას წინააღმდეგ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებიდან გასვლისა და თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით. ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. მ-ას სარჩელი მიუღებელი შემოსავლის ნაწილში. აღნიშნული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადაში მხარეებმა მიაღწიეს გარკვეულ შეთანხმებას, კერძოდ, გ. მ-ა გადაუხდიდა ნ. მ-ას ამ უკანასკნელის მიერ ბაზრის მშენებლობისათვის გადახდილ თანხას – 360000 აშშ დოლარს შემდეგი სახით: 180000 აშშ დოლარის ღირებულების ნაცვლად გადასცემდა უძრავი ნივთის (საკოლმეურნეო ბაზრის შენობის) ნახევარზე საკუთრების უფლებას, ხოლო დარჩენილი 180000 აშშ

დოლარის სანაცვლოდ ნ. მ-ას ამხანაგობა „რ-ისაგან» უნდა მიეღო ქ.ქობულეთში, ... ქუჩაზე მშენებარე ობიექტში განსაზღვრული ფართი. ამ შეთანხმების საფუძველზე, 2009 წლის 3 აგვისტოს დაიდო ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლითაც ამხანაგობა „რ-მა» იკისრა ვალდებულება გ. მ-ას ვალის ნაწილის, 180000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, ნ. მ-ასათვის საკუთრებაში გადაეცა სადავო ფართი. აღნიშნულის საფუძველზე ხელშეკრულებაში აღინიშნა, რომ ნასყიდობის ფასი სრულად იყო გადახდილი. არსებული შეთანხმების ფარგლებში გ. მ-ას შეეძლო ნ. მ-ასათვის გადაცემული წილის გამოსყიდვა, რის გამოც 2009 წლის 8 სექტემბერს დაიდო ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება ნ. მ-სა და ზ. ლ-ას შორის. გამოსასყიდი თანხა შეადგენდა 180000 აშშ დოლარს, რომლის გადახდა უნდა მომხდარიყო შეთანხმებული გრაფიკით. ზ. ლ-ას მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გახდა ხელშეკრულების მოშლის საფუძველი;

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმასთან დაკავშირებით, რომ ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ უნდა მომხდარიყო ნ. მ-ას წილის გამოსყიდვა, ხოლო 4.6 პუნქტის თანახმად, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დაიდო ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება ქობულეთში არსებულ ბინებზე. კასატორი განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების შემდგომ მხარეთა შორის შეთანხმების საგანს წარმოადგენდა ბაზრის წილისა და ქობულეთში არსებული ქონების ნ. მ-ასათვის გადაცემა და არა სასამართლოს მიერ დადგენილი ბაზრის წილის გამოსყიდვა. ქობულეთის ბინებზე დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა გ. მ-ას მიერ აღიარებული ვალის – 360000 აშშ დოლარის ნაწილის გადახდის უზრუნველყოფას და არა 4.6 პუნქტში მითითებული წილის გამოსყიდვის ხელშეკრულების უზრუნველყოფას. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ბინების გადაცემის ვალდებულება არ შეასრულა ამხანაგობა „რ-მა»;

კასატორის მოსაზრებით, სამართლებრივად დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბინების სანაცვლოდ ნ. მ-ას მოწინააღმდეგე მხარისათვის უნდა გადაეცა ბაზრის წილი. ასეთი ზეპირი შეთანხმება რომც არსებულიყო, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლისა და 327-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იგი არ წარმოშობდა ვალდებულებას გარიგების ფორმის დაუცველობის გამო;

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარემ წარადგინა და შესაბამისად სასამართლომ საქმეს დაურთო 2010 წლის 31 მარტით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი. მითითებული აქტით სასამართლომ დაადგინა, რომ ჩხოროწყუში არსებული საკოლმეურნეო ბაზრის ნახევრის ღირებულებაა 360000 აშშ დოლარი, რაც არამართებულია. საკასაციო საჩივარს თან ერთვის 2009 წლის 7 სექტემბრის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ასლი, სადაც ნათლად აღინიშნა მითითებული ნივთის ღირებულება – 180000 აშშ დოლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. მ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

მოსარჩელე ნ. მ-ამ გ. მ-ას 2004-2006 წლებში გადაურიცხა 345253 აშშ დოლარი ჩხოროწყუს საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობისათვის;

ამხანაგობა «რ-ის» 2009 წლის 3 აგვისტოს დამფუძნებელი კრების №1 სხდომის ოქმის თანახმად, ამხანაგობის წევრებმა (გ. მ-ა, ნ. ჭ-ა, მ. თ-ე, ს. გ-ა, ტ. თ-ე) ამავე კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით დაადგინეს ამხანაგობა „რ-ის» კუთვნილი – ქ.ქობულეთში, ... ქ. №2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 ბინების გასხვისება და ნ. მ-ასათვის 180000 აშშ დოლარად მიყიდვა;

2009 წლის 03 აგვისტოს ამხანაგობა «რ-ის» თავმჯდომარე გ. მ-ასა და ნ. მ-ას შორის დაიდო ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლითაც ამხანაგობა «რ-მა» იკისრა ვალდებულება, 2010 წლის 1-ლ აგვისტომდე აეშენებინა და ნ. მ-ასათვის საკუთრებაში გადაეცა ქ.ქობულეთში, ... ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინები (ნასყიდობის საგანი);

ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებული საცხოვრებელი სახლი დადგენილ ვადაში იქნა მიღებული ექსპლოატაციაში, მაგრამ ამხანაგობა „რ-მა» არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, ნ. მ-ას საკუთრებაში არ გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინები;

2009 წლის 8 სექტემბერს ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას შორის დაიდო საერთო საკუთრების წილზე ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლითაც ნ. მ-ამ იკისრა ვალდებულება, ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე, ზ. ლ-ასათვის საკუთრებაში გადაეცა მისი კუთვნილი წილი დაბა ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის ... №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან. ხელშეკრულების მიხედვით, ნასყობის ფასი შეადგენდა 180000 აშშ დოლარს, რომელიც ზ. ლ-ას უნდა გადაეხადა ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკის მიხედვით;

ზ. ლ-ამ ვერ შეძლო შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით თანხის გადახდა, რამაც განაპირობა მხარეთა შორის საერთო საკუთრებიდან წილის გამოსყიდვის შესახებ წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა და შესაბამისად მოშლა;

2010 წლის 23 მარტს ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას შორის გაფორმდა საერთო საკუთრებაში არსებული ქონების (შენობა-ნაგებობის) რეალური წილის გამიჯვნის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეებმა მოახდინეს

მათ საერთო საკუთრებაში არსებული, დაბა ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის ... №1-ში მდებარე უძრავი ქონების – შენობა-ნაგებობის (საერთო სასარგებლო ფართი 2112 კვ.მ) გამიჯვნა;

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, დაბა ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის ... №1-ში მდებარე უძრავი ქონება რეგისტრირებულია ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას სახელზე თანასაკუთრების უფლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, კასატორს წამოყენებული აქვს დასაბუთებული პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ამხანაგობა «რ-ის» თავმჯდომარე გ. მ-ასა და ნ. მ-ას შორის 2009 წლის 3 აგვისტოს და ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას შორის 2009 წლის 8 სექტემბერს დადებულ ხელშეკრულებებს და, შესაბამისად, არასწორად მიიჩნია, რომ ამ ორი ხელშეკრულების სანაცვლოდ ნ. მ-ას უნდა დაეთმო მისი კუთვნილი 50% წილი ჩხოროწყუს სავაჭრო ცენტრში, კერძოდ, დაბა ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის ... №1-ში მდებარე უძრავი ქონების ნახევარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მხარეთა ახსნა-განმარტებებით დადგენილია და სადავო არაა, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების დადებას წინ უსწრებდა მხარეთა შეთანხმება, რომელიც უკავშირდება გ. მ-ას (ამხანაგობა „რ-ის» თავმჯდომარის გ. მ-ას ძმის) ვალდებულებას ნ. მ-ას წინაშე 360000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე. სადავო არაა ასევე ის გარემოება, რომ ნ. მ-ას 360000 აშშ დოლარი უნდა მიეღო შემდეგი სახით: 180000 აშშ დოლარი – ფულადი სახით, ხოლო დარჩენილი 180000 აშშ დოლარის ნაცვლად საკუთრებაში უნდა გადასცემოდა ამხანაგობა „რ-ის» კუთვნილი – ქ.ქობულეთში, ... ქ. №2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 ბინები.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ ზემოხსენებული შეთანხმების შესაბამისად, დაიდო ორი ხელშეკრულება: 1. 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულება, ამხანაგობა «რ-ის» თავმჯდომარე გ. მ-ასა და ნ. მ-ას შორის, რომლითაც ამხანაგობა «რ-მა» იკისრა ვალდებულება, აეშენებინა და ნ. მ-ასათვის საკუთრებაში გადაეცა ქ.ქობულეთში, ... ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინები და 2. 2009 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულება, ნ. მ-ასა და ზ. ლ-ას შორის, რომლითაც ნ. მ-ამ იკისრა ვალდებულება, ზ. ლ-ასათვის საკუთრებაში გადაეცა მისი კუთვნილი წილი დაბა ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის ... №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან 180000 აშშ დოლარად;

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა ზემოხსენებული შეთანხმება ითვალისწინებდა ნ. მ-ას წინაშე გ. მ-ას ვალდებულების (360000 აშშ დოლარის გადახდა) შესრულებას 2009 წლის 3 აგვისტოს და 2009 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულებების საფუძველზე.

მოპასუხის მოსაზრებით, 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება ამხანაგობა „რ-ს» წარმოეშობოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ნ. მ-ა დათმობდა თავის კუთვნილ 50% წილს გ-ას ქუჩის ... №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან.

საკასაციო პალატა არ იზიარებს მოპასუხის ზემოხსენებულ მოსაზრებას და ყურადღებას მიაქცევს 2009 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულებაზე, რომლითაც ნ. მ-ამ იკისრა ვალდებულება, მისი კუთვნილი წილი, დაბა ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის ... №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან, გაესხვისებინა 180000 აშშ დოლარად. ამდენად, უდავოა, რომ მოსარჩელეს მისი კუთვნილი წილი უნდა გაესხვისებინა 180000 აშშ დოლარად, რითაც დაიფარებოდა მოსარჩელის წინაშე გ. მ-ას ვალდებულების – 360000 აშშ დოლარის ნახევარი. ამ ვალდებულების მეორე ნახევრის შესრულების სანაცვლოდ კი, ამხანაგობა «რ-მა» 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, აეშენებინა და მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა ქ.ქობულეთში, ... ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამხანაგობა «რ-ის» მიერ 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება არ უკავშირდება მოსარჩელის მიერ დაბა ჩხოროწყუში, გ-ას ქუჩის ... №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან მისი კუთვნილი წილის გასხვისებას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, 2009 წლის 3 აგვისტოს და 2009 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულებების ურთიერთკავშირი მდგომარეობს იმაში, რომ ამ ხელშეკრულებებით უნდა შესრულებულიყო გ. მ-ას ვალდებულება მოსარჩელის წინაშე, რაც გულისხმობდა მოსარჩელისათვის 360000 აშშ დოლარის გადახდას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უსაფუძვლოა მოპასუხის მითითება ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან, თავად მოპასუხის განმარტებით, სწორედ ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეთანხმდნენ მხარეები, რომ მოსარჩელის წინაშე გ. მ-ას ვალდებულება (360000 აშშ დოლარის გადახდა) შესრულდებოდა 2009 წლის 3 აგვისტოს და 2009 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულებების საფუძველზე. გარდა ამისა, მითითებული გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი მოსარჩელის კუთვნილი წილის ღირებულება. უსაფუძვლოა ასევე მოპასუხის მითითება 2010 წლის 31 მარტის მიღება-ჩაბარების აქტზე, რომლითაც მოპასუხის მოსაზრებით, დასტურდება, რომ მოსარჩელის წილის ღირებულება შეადგენს 360000 აშშ დოლარს. საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის მოსაზრებას ხსენებული აქტის გაუზიარებლობის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მას ხელს არ აწერს მოსარჩელე. გარდა ამისა, ეს აქტი სარწმუნოდაც რომ მივიჩნიოთ, ის ვერ აბათილებს 2009 წლის 8 სექტემბრის წილის ნასყიდობის

ხელშეკრულებაში მკაფიოდ მითითებულ წილის ნასყიდობის ფასს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ხსენებული აქტი წარმოადგენს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების (შენობა-ნაგებობის) რეალური წილის გამიჯვნის 2010 წლის 23 მარტის ხელშეკრულების დანართს, შესაბამისად, მას არა აქვს კავშირი 2009 წლის 8 სექტემბრის ხელშეკრულებასთან. ამდენად, მოპასუხემ ვერ შეძლო მის მიერ მითითებული გარემოების დადასტურება, რაც მის მოვალეობას წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამხანაგობა «რ-მა» 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, დაეფარა მოსარჩელის (კრედიტორის) წინაშე გ. მ-ას ვალდებულების – 360000 აშშ დოლარის ნახევარი, რისთვისაც მას უნდა აეშენებინა და მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა 180000 აშშ დოლარად ღირებული უძრავი ქონება – ქ.ქობულეთში, ... ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინები.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულებით მოხდა ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, რაც შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის დანაწესს, რომლის მიხედვით, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. კრედიტორს შეუძლია არ მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დადებული 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ნარდობის მარეგულირებელი ნორმები (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება, №ას-409-1073-03).

სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

მოცემულ შემთხვევაში, ამხანაგობა «რ-მა» 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, დაეფარა მოსარჩელის (კრედიტორის) წინაშე გ. მ-ას ვალდებულების – 360000 აშშ დოლარის ნახევარი, რისთვისაც მას უნდა აეშენებინა და მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა 180000 აშშ დოლარად ღირებული უძრავი ქონება – ქ.ქობულეთში, ... ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინები. ამდენად, მითითებული ხელშეკრულებით ამხანაგობა „რ-ს» ევალებოდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო და დამზადებული (აშენებული) უძრავი ნივთი გადაეცა შემკვეთის (მოსარჩელის) საკუთრებაში.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია და სადავო არაა, რომ 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებაში მითითებული უძრავი ნივთი აშენებულია და მიღებულია ექსპლოატაციაში. დადგენილია ასევე, რომ ამხანაგობა „რ-მა» არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, ნ. მ-ას საკუთრებაში არ გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინები.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ზემოხსენებული ნორმებიდან გამომდინარე, მოსარჩელე უფლებამოსილია მოთხოვოს ამხანაგობა «რ-ს» 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, ქ.ქობულეთში, ... ქ. №2ა-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში №13, №15, №18, №25 და №27 ბინების საკუთრებაში გადაცემა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულის გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ვინაიდან არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, ამიტომ საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით ნ. მ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უა-

რი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს სარჩელზე – 3000 ლარი, საკასაციო საჩივარზე – 6000 ლარი, ხოლო წარმომადგენლის დახმარებისათვის – 800 ლარი. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 9000 ლარის ანაზღაურება, ასევე წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად 800 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ნ. მ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ნ. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. ამხანაგობა „რ-ს», მის წევრებს – გ. მ-ას, მ. თ-ეს, ტ. თ-ეს, ს. გ-ას, ნ. ჭ-ას დაევალოთ ამხანაგობა „რ-სა» და ნ. მ-ას შორის 2009 წლის 3 აგვისტოს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, მითითებული ხელშეკრულების მე-4 პუნქტში აღნიშნული უძრავი ქონების – ქ.ქობულეთში, ... ქ. 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 ბინების ნ. მ-ასათვის საკუთრებაში გადაცემა;

5. ნ. მ-ა საჯარო რეესტრში აღირიცხოს ამხანაგობა „რ-სა» და ნ. მ-ას შორის 2009 წლის 3 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების მე-4 პუნქტში აღნიშნული უძრავი ქონების – ქ.ქობულეთში, ... 2ა-ში მდებარე №13, №15, №18, №25 და №27 ბინების მესაკუთრედ;

6. ამხანაგობა „რ-ს», მის წევრებს – გ. მ-ას, მ. თ-ეს, ტ. თ-ეს, ს. გ-ას და ნ. ჭ-ას კასატორ ნ. მ-ას სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 9000 ლარის გადახდა;

7. ამხანაგობა „რ-ს», მის წევრებს – გ. მ-ას, მ. თ-ეს, ტ. თ-ეს, ს. გ-ას და ნ. ჭ-ას კასატორ ნ. მ-ას სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად 800 ლარის გადახდა.

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაზიდვის ხელშეკრულება

განჩინება

№ას-1024-1055-2011 30 აგვისტო, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ვაგონის მოცდენისა და ტვირთის შენახვის გამო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ს. რ-მ» სარჩელი აღძრა სასამართლოში „ბ. ო. ი. ლ-ის», მესამე პირების: შპს „ბ. ო. ტ-ისა» და შპს „ს-ის» მიმართ, მოსარჩელის კუთვნილი ვაგონების მოცდენისა და ტვირთის შენახვის გამო მოპასუხე „ბ. ო. ი. ლ-ისათვის» თანხის – 688 403 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2003 წლის ივლისიდან 2004 წლის ჩათვლით „ბ. ო. ი. ლ-ი» შპს „ს. რ-ის» მეშვეობით ახორციელებდა ნავთობპროდუქტების საერთაშორისო გადაზიდვას აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს ტერიტორიამდე, კერძოდ, ქ.ბათუმამდე. მოპასუხე ვერ უზრუნველყოფდა დანიშნულების ადგილას ტვირთის დროულ მიღებასა და დაცლას, რის შედეგადაც ხდებოდა ვაგონების სისტემური მოცდენა, მოსარჩელის მიერ წარ-

მოდგენილი, სარჩელზე დართული, შპს „ს. რ-ის» მიერ სადავო გადაზიდვისას შედგენილი საერთო ფორმის აქტებით დასტურდება „ს. ბ. ს-ში» მიწოდებული ტვირთის „ბ. ო. ი. ლ-ის» მიერ დაგვიანებით მიღების, ანუ გადმოტვირთვის მოლოდინში ვაგონების დაყოვნების ფაქტები, რის გამოც მოპასუხეს უნდა დაეკისროს სარჩელით მოთხოვნილი თანხის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

შპს „ს. რ-ის» სარჩელი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, „ბ. ო. ი. ლ-ი» არასათანადო მოპასუხეა, რადგანაც გადაზიდვისას ტვირთმიმღებს წარმოადგენდა შპს „ბ. ო. ტ-ი», რაც დასტურდება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ზედნადებებით. მოპასუხე შპს „ს. რ-სთან» სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა, ის თავად ტვირთის გადაზიდვებს არ აწარმოებდა და არც გადაზიდვის პროცესში იღებდა მონაწილეობას, რაც გამორიცხავს „ბ. ო. ი. ლ-ისათვის» ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეულ პასუხისმგებლობას. მოცემული სარჩელის სავარაუდო მოპასუხეს წარმოადგენს ტვირთმიმღები და ექსპედიტორი, რომელთაგან „ბ. ო. ი. ლ-ი» არც ერთს განეკუთვნება, მოსარჩელე სარჩელის საფუძვლად თავადვე უთითებს, რომ ტვირთის დაგვიანება გამოიწვია ბათუმში ვაგონების არადროულმა გადმოცლამ. მოპასუხემ ასევე სადავოდ გახადა მოთხოვნილი თანხის ოდენობა, ვინაიდან შპს „ს. რ-ს» არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ რამდენი ვაგონის მოცდენას ჰქონდა ადგილი, რა დროით მოხდა ვაგონების მოცდენა, ასევე რამდენ ვაგონ-ცისტერნაში იყო საწვავი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე „ბ. ო. ი. ლ-ს» შპს „ს. რ-ის» სასარგებლოდ დაეკისრა ტვირთის შენახვისა და ვაგონების მოცდენის საფასურის, სულ – 393 362, 15 ლარის გადახდა, შპს „ს. რ-ს» უარი ეთქვა დანარჩენი თანხის მოპასუხისათვის დაკისრებაზე დაუსაბუთებლობის გამო. „ბ. ო. ი. ლ-ს» დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს. რ-მ», მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა „ბ. ო. ი. ლ-მა» სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და შპს „ს. რ-ის» სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, „ბ. ო. ი. ლ-ის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ს. რ-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შპს „ს. რ-ს» „ბ. ო. ი. ლ-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 7000 ლარის გადახდა შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 26 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა შპს „ს. რ-მ» სხვადასხვა ფირმების, მათ შორის, ბ. ო-ის მიმართ დავალიანების გადახდის შესახებ გადახდის ბრძანების მიღების მოთხოვნით. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განცხადება დაკმაყოფილდა და ბ. ო-ს შპს „ს. რ-ის» სასარგებლოდ ვაგონების მოცდენისა და ტვირთის შენახვისათვის დაეკისრა 668 403 ლარის გადახდა. ზემოაღნიშნულ გადახდის ბრძანებაზე ბ. ო-მა შესაგებელი შეიტანა, რის გამოც ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2005 წლის 18 ივნისს გაუქმდა გასაჩივრებული გადახდის ბრძანება და საქმის განხილვა დაიწყო საერთო სასარჩელო წესით. საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 6 ნოემბრის განჩინებით, საქმეზე დაინიშნა სასამართლო საბუღალტრო ექსპერტიზა შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად: საქმეში არსებული საერთო ფორმის ქმანების მიხედვით, ქმანში მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით, რამდენი საათი მოცდა და, შესაბამისად, რას შეადგენს ამ ვაგონების მოცდენისა და ტვირთის შენახვის საფასური.

„ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» ექსპერტიზის №/334/03/3 დასკვნის თანახმად, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, ვაგონების დაყოვნების დრო შეადგენს 183 447 საათსა და 4 წუთს, ვაგონების დაყოვნების გამო ვაგონების გამოყენების საფასური დაყოვნების დროს შეადგენს 401347,2 ლარს, ხოლო ტვირთის შენახვის საფასური ამავე პერიოდში 87 543,4 ლარს. ექსპერტის მიერ 2010 წლის 5 თებერვლის წერილით, შპს „ს. რ-დან» გამოთხოვილ იქნა სამოქალაქო საქმეში არსებული ქმანების დედნები, რადგან საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის ქმანების ქსეროასლები სრულყოფილად ვერ იკითხებოდა, რის გამოც შპს „ს. რ-ის» მიერ ექსპერტიზის ბიუროში წარდგენილ იქნა საერთო ფორმის აქტები ქსეროასლების სახით. მითითებული დაერთო საქმეს. დამატებით წარმოდგენილი მასალები არ წარმოადგენდა საქმეში არსებული საერთო ფორმის ქმანების დედნებს, ამასთან წარმოდგენილი საერთო ფორმის ქმანებიდან ნაწილი შედგენილი იყო სხვადასხვა ფირმებზე და არა ბ. ო-ზე. ექსპერტიზა ჩატარდა როგორც საქმეში არსებულ ქმანებზე, ასევე დამატებით წარდგენილ იმ საერთო ფორმის ქმანებზე, რომლებიც ბ. ო-ის სახელზე იყო შედგენილი. ექსპერტიზის №/334/09/3 დასკვნის თანახმად, ვაგონების გამოყენების საფასური დაყოვნების მთელი დროისათვის შეადგენს 401 347,2 ლარს, მათ შორის საქმეში არსებული ქმანების მიხედვით, მოცდენის საფასური – 305 818,75 ლარს, ხოლო დამატებით ექსპერტისათვის წარმოდგენილი აქტების მიხედვით – 87543,45 ლარს, ტვირთის შენახვის საფასური – 87543,4 ლარს, რომელიც გაანგარიშებულია მთლიანად საქმეში არსებულ ქმანებზე დართული საგზაო უწყისებით. სასამარ-

თლოს მთავარ სხდომაზე დაკითხულ იქნა ექსპერტიზის დასკვნის ავტორი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 სექტემბრის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა „ბ. ო. ი. ლ-ის» შუამდგომლობა საქმეზე წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებების დაუშვებლად მიჩნევის თაობაზე და 2010 წლის 5 მარტის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში» წარდგენილი დამატებითი მასალები ამოირიცხა საქმიდან. მტკიცებულებები, რომლებიც არ ერთვოდა თავდაპირველ სარჩელს და რომლებიც მხოლოდ ექსპერტთან იქნა წარდგენილი საქართველოს რკინიგზის მიერ, განთავსებულია საქმეში პირველსა და მე-2 ტომში, 591 ფურცლად, ხოლო თავდაპირველად სარჩელთან ერთად პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები განთავსებულია საქმის მე-3 და მე-4 ტომებში. სადავო პერიოდის საერთო ფორმის ქმანები განთავსებულია მე-4 ტომში (ეს ის მტკიცებულებებია, რომლებიც სარჩელს თან ერთვოდა). სულ მითითებულ ტომში განთავსებულია 38 ქმანი და მათგან ნაწილი საერთოდ არ იკითხება, ქმანი №10 და №11. რაც შეეხება საგზაო უწყისებს, ისინი განთავსებულია მე-3 და მე-4 ტომებში (სულ წარმოდგენილია 77 საგზაო უწყისი). ამ უწყისიდან 67-ის მიხედვით „ბ. ო-ი» წარმოადგენდა მხოლოდ ტვირთმფლობელს და არა ტვირთმიმღებს, 10 საგზაო უწყისის მიხედვით კი, ტვირთმფლობელად სხვა კომპანიებია მითითებული, ხოლო მიმღებად „ბ. ო.ტ-ი». მე-4 ტომში განთავსებული ქმანების მიხედვით, მიმღებად „ბ. ო-ი» არსად ფიქსირდება, უმრავლეს მათგანში საერთოდ არ არის მითითება დაყოვნების მიზეზებზე, დაყოვნების დაწყებისა და დამთავრების დროზე, ასევე დაყოვნების ფაქტობრივ დროზე, ხოლო იქ, სადაც მითითებაა დაყოვნების მიზეზებზე, ვაგონების დაყოვნება სხვადასხვა მიზეზებითაა ახსნილი. პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ბ. ო-ი არ წარმოადგენს ტვირთმიმღებს და ჩათვალა, რომ მისი, როგორც ტვირთმიმღების პასუხისმგებლობა სრულად გამორიცხულია, რადგანაც საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ტვირთის შენახვის გამო პასუხისმგებელ პირს ასევე წარმოადგენს ექსპედიტორი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში „ს-ა» წარმოადგენს, ხოლო რადგანაც „ბ. ო. ი. ლ-ი» არ წარმოადგენდა არც ტვირთმიმღებს და არც ექსპედიტორს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ მხრივ მისი პასუხისმგებლობა სრულად გამორიცხულია. წინამდებარე სამართლებრივ ურთიერთობაში მოპასუხე ტვირთმფლობელს წარმოადგენდა, სასამართლოს მითითებით, საქართველოს სარკინიგზო კოდექსი ტვირთმფლობელსაც აკისრებს გარკვეულ პასუხისმგებლობას, თუმცა გარკვეული გარემოებების არსებობისას და არა უპირობოდ. იმ საკითხის გადაწყვეტამდე, კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს თუ არა ბ. ო-ის, როგორც ტვირთმფლობელის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის პოზიცია მოპასუხის სტატუსთან მიმართებაში არაერთგვაროვანია, კერძოდ, მოსარჩელე ბ. ო-სათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას მოითხოვს როგორც ტვირთმიმღები მხარისათვის და იმავდროულად მიუთითებს, რომ ბ. ო-ი ტვირთმფლობელია და მას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სწორედ როგორც ტვირთმფლობელს. სასამართლოს განმარტებით, სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მე-7 ნაწილი განსაზღვრავს რკინიგზის მიერ გაწეული მომსახურების ანგარიშსწორების წესს და ერთმნიშვნელოვნად შეიცავს დათქმას, რომ ტვირთმფლობელის (ან ექსპედიტორის) პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა არ არის გადახდილი ტვირთის გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების გაწევის საფასური. დაზუსტებული სარჩელით შპს „ს. რ-ა» მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 668-ე და სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელთა მიხედვითაც მოპასუხე წინასწარ იხდიდა ტვირთის გადაზიდვის ღირებულებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ შპს „ს. რ-ის» მიერ ტვირთის გადაზიდვის ღირებულების მოპასუხის მიერ წინასწარ გადახდის ფაქტის დადასტურება სრულად გამორიცხავს ბ. ო-ის, როგორც ტვირთმფლობელის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვაგონების მოცდენისა და ტვირთის შენახვის გამო, ამასთან, საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის ქმანების, უმრავლესობაში არ არის მითითებული ვაგონების დაყოვნების კონკრეტული მიზეზები, მოცდენის დრო და ა.შ ანუ აღნიშნული ქმანები არ შეიცავს იმ არსებით რეკვიზიტებსა თუ მონაცემებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია გარკვეული გარემოებების დადგენა. სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ ქმანებს თან ერთვის ე.წ საგზაო უწყისები და სავაგონო ფურცლები, რომლებიც ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სარკინიგზო დოკუმენტს წარმოადგენენ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მსგავსი კატეგორიის დავაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2007 წლის 12 ივლისს მიღებულ განჩინებაზე (შპს „ს. რ-ა» – „ჩ. ე-ი»), სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: საერთო ფორმის აქტის შედგენის ადგილს არ შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა დავის გადაწყვეტისას. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმ გარემოების დადგენა, თუ რა სახის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის აქტებით. საერთო ფორმის აქტზე გარკვეული რეკვიზიტის არარსებობა არ ნიშნავს, რომ აქტი ბათილია. მასზე მსჯელობა შესაძლებელია სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. ზემოაღნიშნული განმარტების საფუძველზე, პალატამ დაასკვნა, რომ არა რომელიმე რეკვიზიტის არსებობა-არარსებობით უნდა შეფასდეს საერთო ფორმის აქტის სამართლებრივი ღირებულება, არამედ მისი შეფასება და ფაქტობრივი გარემოებების დასტურად მოხმობა უნდა მოხდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეჯერებისა და შეფასების შემდგომ მიღებული შესაძლებლობით და მიიჩნია, რომ სრულიად დაუდასტურებულია მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნა, რადგანაც კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში ტვირთმიმღებს არ წარმოადგენს მოპასუხე, ასევე იგი მითითებულია მხოლოდ №132 და №29 ქმანში, რომელთა მიხედვითაც მატარებელი შემოვიდა

სადგურში და დავარდა დისპეტჩერის განკარგულებით (ხსენებულ ქმანებში არ არის მითითება იმის თაობაზე თუ რის გამო მოხდა მოცდენა, ვინ არის ამაში ბრალეული სუბიექტი). სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 672-ე და 674-ე მუხლებით, სარკინიგზო კოდექსის მე-2 მუხლის „ო» ქვეპუნქტით და ჩათვალა, რომ წარმოდგენილი ქმანების, ასევე საგზაო უწყისებისა და სავაგონო ფურცლების მიხედვით, მიმღებად თითქმის ყველგან ფიქსირდება ბა. ო-ი და არა ბ. ო-ი, ხოლო იქ სადაც მიმღებად ბ. ო-ია მითითებული, მოცდენაში მიმღების ბრალეულობა სრულად დაუდასტურებელია. ამავე მუხლის „ჰ[15]» ქვეპუნქტით განმარტებულია ტვირთმიმღების ცნება, შესაბამისად, არ იქნა გაზიარებული შპს „ს. რ-ის» წარმომადგენლის მოსაზრება, რომ მხოლოდ საგზაო უწყისში მითითებული „ტვირთმიმღები», რომელთანაც ტვირთმფლობელს არ გააჩნია სახელშეკრულებო ურთიერთობა», არ შეიძლება განსაზღვრავდეს მის (მიმღების) სამართლებრივ მდგომარეობას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილ პირად. სარკინიგზო კოდექსში (სპეციალურ კანონში) ტერმინთა განმარტებებით განისაზღვრა, თუ ვინ არის ტვირთმიმღები, შესაბამისად, „ტვირთმიმღების» სამართლებრივი სტატუსის მინიჭებისათვის არ არის საკმარისი, გაგაჩნდეს რეზერვუარები, არამედ აუცილებელია და განმსაზღვრელია იყო ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილი პირი. აღნიშნულის გათვალისწინებით არ იქნა გაზიარებული შპს „ს. რ-ის» მოსაზრება, რომ კონკრეტულ საგზაო უწყისებსა და ქმანებში მითითებული ტვირთმიმღები არის ის სუბიექტი, რომელიც ფლობს რეზერვუარებს. სარკინიგზო დოკუმენტებში მითითებული ტვირთმიმღები (ბათუმი ოილი) იმ სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი სუბიექტია, რაზედაც სარკინიგზო კოდექსი მიუთითებს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბ. ო-ის მოსაზრება, რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბ. ო-ი მიიჩნევა ტვირთმიმღებად, მისი პასუხისმგებლობა მაინც გამორიცხულია, რადგან დარღვეულია სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილები, რომლებიც ავალდებულებს რკინიგზას, შეატყობინოს ტვირთმიმღებს დანიშნულების სადგურში მისი მისამართით მიტანილი ტვირთის შესახებ, ასევე დარღვეულია რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების 352-ე და 357-ე მუხლები.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ზემოთ მითითებული ვერც ერთი სამართლებრივი საფუძვლით ვერ იქნა დადასტურებული მოპასუხის მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს „ს. რ-მ» ვერ დაადასტურა მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა, რის გამოც უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა შპს „ს. რ-ის» სააპელაციო საჩივრის არგუმენტები, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა მიეღო და შეეფასებინა მის მიერ ექსპერტისათვის წარდგენილი მასალები და ჩათვალა, რომ ამ ნაწილში სწორია პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 3 სექტემბრის განჩინება, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს არ დაუდასტურებია საპატიო მიზეზის არსებობის ფაქტი, თუ რატომ ვერ შეძლო მოსამზადებელ ეტაპზევე სარჩელის შეტანისას იმ დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა და სარჩელზე დართვა, რაც წარუდგინა ექსპერტიზის ბიუროს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს. რ-მ», მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, მოპასუხისათვის 688 403 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

შპს „ს. რ-ის» მოთხოვნას წარმოადგენდა ვაგონის მოცდენისა და ტვირთის შენახვის საფასურის – 688 403 ლარის გახდა. აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნიდან ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შპს „ს. რ-ის» მოთხოვნა 295 040.85 ლარის ნაწილში დაუსაბუთებლობის გამო, რაც შპს „ს. რ-ის» მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით კი, უარი ეთქვა შპს „ს. რ-ს» სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რაც არასწორია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული და არც იმ სამართლებრივ ნორმათა სწორ განმარტებას შეიცავს, რომელიც რკინიგზის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს, კერძოდ: შპს „ს. რ-ა» 2003-2004 წლებში აწარმოებდა აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან ბათუმამდე ბ. ო-ის კუთვნილ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვას, რისთვისაც სამოქალაქო კოდექსის 668-ე და სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოპასუხე წინასწარ იხდიდა ტვირთის გადაზიდვის ღირებულებას. შპს „ს. რ-ა» გადამზიდველის ვალდებულებას ასრულებდა ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დროულად, შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევას, მაგრამ მოპასუხე ვერ უზრუნველყოფდა გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვან და დროულ შესრულებას, რის გამოც რკინიგზა ითხოვს მისთვის ვაგონით სარგებლობისა და ტვირთის შენახვის ხარჯის დაკისრებას. ვინაიდან, განსახილველი დავის საგანია ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ურთიერთობა, სასამართლომ დავის გადაწყვეტისას, გარდა სამოქალაქო კოდექსის 668-ე-708-ე მუხლებისა, ასევე უნდა იხელმძღვანელოს სარკინიგზო კოდექსით, რომელიც სპეცალური კანონია. სამოქალაქო კოდექსის 686-ე და სარკინიგზო კოდექსის 47-ე მუხლები აწესებენ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, შპს „საქართველოს რკინიგზის», როგორც გადამზიდველის, პასუხისმგებლობას. კანონმდებლობა, გარდა გადამზიდველისა, ასევე ითვალისწინებს მოპასუხის, როგორც ტვირთმფლობელის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობის სამართლებრივ სა-

ფუძვლებს. ტვირთმფლობელი ვალდებულია, ხელშეკრულების შესაბამისად ისარგებლოს მიწოდებული ვაგონით, უზრუნველყოს ტვირთის დროული მიღება და ვაგონის დაცლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაგონის დაყოვნების გამო, მას დაეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე. საქმეში წარმოდგენილი მასალებით უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომ, ტანკერების არადროული შემოსვლისა და ტერმინალზე საცავების უქონლობის გამო, მოპასუხე ბ. ო-ი ვერ უზრუნველყოფდა დანიშნულების სადგურში მათ სახელზე მისული ტვირთის დროულ მიღებასა და ვაგონების დაცლას, რის გამოც ტვირთი ჩერდებოდა გზად მდებარე სადგურებში, ამიტომ, სარკინიგზო კოდექსის 22-23-ე, 25-26-ე და 36-ე მუხლების საფუძველზე, ვაგონების დაყოვნების მთელ პერიოდზე ბ. ო-ს კანონიერად დაერიცხა ვაგონით სარგებლობის საფასური და ტვირთის შენახვის ხარჯები, რაც სამართლებრივად წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებულ ზიანის ანაზღაურებას. საგზაო უწყისებით, რომელიც საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულებაა, დასტურდება, რომ სადავო გადაზიდვებში ტვირთმფლობელს წარმოადგენდა მოპასუხე, რასაც თავადვე აღიარებს და ვაგონების მოცდენებზე პასუხისმგებლობაც, სარკინიგზო კოდექსიდან გამომდინარე, სწორედ მას უნდა დაეკისროს. მოცდენილ ვაგონებში არსებული ტვირთის ბი-პის მიერ მიღების ფაქტს ადასტურებს ის გარემოება, რომ მოპასუხეს არასდროს გამოუთქვამს პრეტენზია მისი დანიშნულებით გამოგზავნილი ტვირთის მიუღებლობაზე და რკინიგზის მიმართ არ დაუყენებია რაიმე პრეტენზია. კასატორმა მიუთითა სარკინიგზო კოდექსის 23-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, ამავე კოდექსის 26-ე მუხლის მე-7 ნაწილზე, და განმარტა, რომ ბ. ო-ი ცდილობს პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას, თუმცა საქმეში წარმოდგენილი მასალები საპირისპიროს ამტკიცებს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 ნოემბრის სხდომაზე ბი-პი ოილის შუამდგომლობით, საქმეში მესამე პირად ჩართული „ბ. ო. ტ-ის» წარმომადგენელმა განმარტა შემდეგი: საბაჟო დეკლარაციის მიხედვით, ტვირთის მიმღები იყო „სადგური ბათუმი» და რომ შემდეგ ტვირთი მიდიოდა ტერმინალში, ხოლო, რაც შეეხება ბათუმი ოილს, როგორც ტვირთმიმღებს, ამ უკანასკნელის წარმომადგენელმა აღნიშნული ფაქტი უარყო და განმარტა, რომ მოცემულ საქმეზე „ბ. ო. ტ-ი» ბ. ო-ის კუთვნილი ტვირთის მიმღებს არ წარმოადგენდა. აღნიშნულს მოპასუხე არ შედავებია, რაც ადასტურებს იმას, რომ ტვირთმიმღები და ტვირთმფლობელი თვითონ არის, ხოლო ზედნადებში და საგზაო უწყისებში გაკეთებული ჩანაწერები გადაზიდვაში მონაწილე სუბიექტების შესახებ განსაზღვრა თვითონ მოპასუხემ, მას თუ არ ჰქონდა რაიმე ფორმის ხელშეკრულება „ბ. ო. ტ-თან», მაშინ გასარკვევია, თუ რის საფუძველზე მიუთითა გადაზიდვის ხელშეკრულებაში მიმღებად ზემოაღნიშნული პირი. ცხადია, რომ შპს „ს. რ-ს» არ აუღია მოპასუხის წინაშე ვალდებულება, რომ თვითონ უზრუნველყოფდა „ბ. ო-ის» კუთვნილი ტვირთის გადატვირთვას.

კასატორმა მიუთითა სარკინიგზო კოდექსის 36-ე მუხლის მე-10 ნაწილზე, 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ» ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული მუხლებით იმპერატიულადაა განსაზღვრული დანიშნულების სადგურში გადაზიდული ტვირთის დაგვიანებით მიღებისა და, ვაგონის დაყოვნების გამო, მოპასუხის ქონებრივი პასუხისმგებლობა და სწორედ აღნიშნული ნორმები წარმოადგენენ შპს „ს. რ-ის» სარჩელის სამართლებრივ საფუძველს. სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ» ქვეპუნქტისა და 52-ე მუხლის თანახმად, დანშნულების ადგილზე ტვირთის მიწოდების დაყოვნების დროს უნდა შედგეს საერთო ფორმის აქტი. სარჩელზე დართული მტკიცებულებების სახით მოსარჩელემ წარადგინა სადავო გადაზიდვების დროს შედგენილი საერთო ფორმის აქტები, რომლებითაც დასტურდება დანიშნულების სადგურში მიწოდებული ტვირთის ბ. ო-ის მიერ დაგვიანებით მიღების, ანუ გადმოტვირთვის მოლოდინში ვაგონების დაყოვნების ფაქტები. ამ მოცდენებზე მოპასუხეს სარკინიგზო კოდექსის 22-23-ე, 25-26-ე და 36-ე მუხლების საფუძველზე, დაერიცხა ვაგონებით სარგებლობის საფასური და ტვირთის შენახვის ხარჯები საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციის მინისტრისა და შპს „ს. რ-ის» გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ს. რ-ის სატარიფო პოლიტიკის» 32-ე მუხლის გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული ნორმების გამოყენებით უნდა დაეკმაყოფილებინა „ს. რ-ის» სარჩელი. კასატორმა მიუთითა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 სექტემბრის საოქმო განჩინებაზე, რომლითაც დაკმაყოფილდა მოპასუხე „ბ. ო. ი. ლ-ის» შუამდგომლობა სამოქალაქო საქმეზე ახალ მტკიცებულებათა დაუშვებელ მიჩნევასთან დაკავშირებით და საქმიდან არასწორად ამოირიცხა 2010 წლის 5 მარტს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიის ეროვნულ ბიუროში» წარდგენილი დამატებითი მასალები. მასალების წრე, რომელთა საფუძველზეც უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, განისაზღვრება და დგინდება სასამართლოს მიერ. 2010 წლის 5 თებერვლის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ» №13-655 წერილით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს დამატებით მასალების წარმოდგენის თაობაზე, რაც გახდა შპს „ს. რ-ის» მიერ მასალების დამატებით წარდგენის საფუძველი. მოსარჩელეს დამატებითი მასალები თვითნებურად არ წარუდგენია. სასამართლო იღებს მხოლოდ ისეთი სახის მტკიცებულებებს, რომელთაც შემხებლობა აქვს საქმესთან და შეუძლიათ, დაადასტურონ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები. ექსპერტიზის ბიუროში, შპს „ს. რ-ის» მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, წარდგენილ იქნა სათანადო წესით დამოწმებული მტკიცებულებები, შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლომ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რაც ასევე არასწორად არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე

მუხლები. „ბ. ო. ი. ლ-ი» წარმოადგენს ტვირთმფლობელს, რომელიც შპს „ს. რ-ის» მეშვეობით, 2003 წლის ივლისიდან ახორციელებდა აზერბაიჯანიდან ბათუმის პორტამდე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვას. მოპასუხე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ტვირთის გადაზიდვა ხორციელდებოდა დროულად, მაგრამ ვერ ხორციელდებოდა სადგურში მიტანილი ტვირთის დროული მიღება და ვაგონების დაცლა, რის გამოც ადგილი ჰქონდა მოცდენებს. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, გადაზიდვის ხელშეკრულება წარმოადგენს სასყიდლიან გარიგებას, რომლის ღირებულებასაც ტვირთგამგზავნი რკინიგზას უხდის წინასწარ. ამავე კოდექსის 686-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია გადამზიდველის პასუხისმგებლობა, აღნიშნულს მიუთითებს სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილიც. თუ „ბ. ო. ტ-ი» იყო ტვირთის მიმღები, მაშინ მასთან ტვირთმფლობელს უნდა ჰქონოდა რაიმე ტიპის ხელშეკრულება, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც მას დაეკისრებოდა ტვირთმფლობელის მიმართ პასუხისმგებლობა. სარკინიგზო კოდექსის 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 22-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, შპს „ს. რ-ს» გააჩნია სრული საფუძველი, მოცემულ დავაში მოპასუხედ დაასახელოს ტვირთმფლობელი „ბ. ო. ი. ლ-ი». ვაგონით სარგებლობის საფასური წარმოადგენს ვაგონების მოცდენის, ტვირთის დაგვიანებით მიღების გამო გამოწვეული ზიანის ანაზაურებას, რადგან ტვირთის დროულად მიღებისა და დაცლის შემთხვევაში, მოსარჩელე იმავე ვაგონების გამოყენებით შეძლებდა სხვა გადაზიდვის განხორციელებას, რაც აისახებოდა მის შემოსავლებზე სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დარღვეულია სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361-ე, 394-ე, 411-ე, 412-ე, 668-ე, 672-ე მუხლები, ასევე სარკინიგზო კოდექსის 22-ე, 23-ე, 25-ე, 26-ე, 36-ე, მუხლები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, 105-ე, 409-ე, 411-ე და 412-ე მუხლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 იანვრის განჩინებით, შპს „ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა» ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობისა და შპს „ს. რ-ის» საკასაციო პრეტენზიების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილად მიიჩნია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

„ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» ექსპერტის №/334/09/3 დასკვნის თანახმად, ვაგონების გამოყენების საფასური დაყოვნების მთელი დროისათვის შეადგენს 401 347,2 ლარს, მათ შორის საქმეში არსებული ქმანების მიხედვით, მოცდენის საფასური – 305 818,75 ლარს, ხოლო დამატებით ექსპერტისათვის წარმოდგენილი აქტების მიხედვით – 87543,45 ლარს, ტვირთის შენახვის საფასური – 87543,4 ლარს.

სადავო პერიოდის საერთო ფორმის ქმანების ნაწილი საერთოდ არ იკითხება. ამასთან, მე-4 ტომში განთავსებული ქმანების მიხედვით, მიმღებად ბ. ო. არსად ფიქსირდება, უმრავლეს მათგანში საერთოდ არ არის მითითება დაყოვნების მიზეზებზე, დაყოვნების დაწყებისა და დამთავრების დროზე, ასევე დაყოვნების ფაქტობრივ დროზე,

საქმეში წარმოდგენილი 77 საგზაო უწყისიდან, 67-ის მიხედვით ბ. ო-ი წარმოადგენდა მხოლოდ ტვირთმფლობელს და არა ტვირთმიმღებს, 10 საგზაო უწყისის მიხედვით კი, ტვირთმფლობელად სხვა კომპანიებია მითითებული, ხოლო მიმღებად „ბ. ო. ტ-ი».

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბ. ო-ის მოსაზრება, რომ, იმ შემთხვევაშიც, თუ ბი-პი ოილი მიიჩნევა ტვირთმიმღებად, მისი პასუხისმგებლობა მაინც გამორიცხულია, რადგან დარღვეულია სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილები, რომლებიც ავალდებულებს რკინიგზას, შეატყობინოს ტვირთმიმღებს დანიშნულების სადგურში მისი მისამართით მიტანილი ტვირთის შესახებ, ასევე დარღვეულია რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების 352-ე და 357-ე მუხლები.

სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან ბ. ო-ი არ წარმოადგენს ტვირთმიმღებს, მისი, როგორც ტვირთმიმღების პასუხისმგებლობა სრულად გამორიცხულია ბრალეულობის არარსებობის გამო.

საკასაციო პალატა განსახილველი დავის საგნისა და საკასაციო პრეტენზიების გათვალისწინებით, მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ვალდებულების წარმოშობის ზოგად ნორმებზე, კერძოდ 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით

გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. როგორც კასატორის განმარტებიდან და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლების ანალიზიდან დგინდება, შპს „ს. რ-ა» მოითხოვს „ბ. ო. ი. ლ-ისაგან» გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით (დანიშნულების ადგილზე მიტანილი ტვირთის დაგვიანებით მიღება და დაცლა) გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. შესაბამისად, სარჩელის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც მოცემულია გადაზიდვის თავში და სპეციალური კანონმდებლობა – საქართველოს სარკინიგზო კოდექსი და მის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ რკინიგზის მომსახურებით სარგებლობისას წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

სადავო პერიოდისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის **668**-ე მუხლის თანახმად, გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთან-ხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე. ამავე კოდექსის **672**-ე მუხლით დადგენილია გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმა, კერძოდ გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზედნადების (ან სხვა დოკუმენტის) სახით. ზედნადების არარსებობის, მისი ხარვეზის ან დაკარგვის მიუხედავად, გადაზიდვის ხელშეკრულების შინაარსი და ნამდვილობა განისაზღვრება ამ თავის ნორმებით. ხოლო **674**-ე მუხლი ეხება გადაზიდვის ხელშეკრულების (ზედნადების) რეკვიზიტებს, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად შეიცავს ინფორმაციას გადაზიდვის ხელშეკრულების მხარეთა შესახებ, როგორიცაა: გამგზავნის სახელი, გადამზიდველის სახელი, ტვირთის მიმღების სახელი. ამდენად, ზემოთ მოხმობილ ნორმათა საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გადაზიდვის ხელშეკრულების მხარეებს შეიძლება წარმოადგენდნენ ტვირთის გადამზიდველი, ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღები. როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაა დადგენილი, „ბ. ო. ი. ლ-ი» წარმოადგენდა მხოლოდ ტვირთმფლობელს და არა ტვირთმიმღებს, შესაბამისად იგი არ წარმოადგენდა გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილეს. ის ფაქტი, რომ კასატორის მოწინააღმდეგე მხარე წარმოადგენდა ტვირთმფლობელს არც კასატორი უარყოფს თავის პრეტენზიაში, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ტვირთი საბოლოოდ განკუთვნილი იყო ბ.-სთვის, მიიჩნევს, რომ ეს არ უნდა გახდეს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ საკითხს, რომ კასატორს არ მიუთითებია იმ მტკიცებულებებზე, რომელთა შეფასების საფუძველზეც უნდა დადგინდეს ბ.-ს, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილისა და ვალდებული პირის პასუხისმგებლობა, და რომლებიც არ იქნა სწორად შეფასებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. შესაბამისად, კასატორის ზოგადი პრეტენზია, რომელიც მოკლებულია სათანადო დასაბუთებას ვერ იქნება გაზიარებული სასამართლოს მიერ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაზიდვის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურება, რაც ტრანსპორტირების გარდა სხვა მოქმედებებსაც მოიცავს, როგორიცაა ტვირთის მიმღებისათვის გადაცემა, ტვირთის შენახვა და ა.შ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს სარკინიგზო კოდექსის **26**-ე მუხლის მე-**6** ნაწილი, რომლის შესაბამისად საერთო სარგებლობის ადგილებზე ტვირთის მიღებისას ტვირთმიმღები ვალდებულია მიიღოს თავისი კუთვნილი ტვირთი და გაიტანოს რკინიგზის სადგურიდან. ამავე მუხლის მე-**7** ნაწილის მიხედვით, ვაგონიდან (კონტეინერიდან) ტვირთის დაგვიანებით გადმოტვირთვის ან ტვირთმიმღების მიერ რკინიგზის სადგურიდან ტვირთის დაგვიანებით გატანის და ამ მიზეზებით რკინიგზის სადგურზე ტექნიკური სიძნელეების წარმოშობის შემთხვევაში ტვირთმიმღები ვალდებულია გადაუხადოს რკინიგზას გადმოტვირთული ტვირთის შენახვისა და ვაგონით (კონტეინერით) სარგებლობის საფასური „რკინიგზის სატარიფო პოლიტიკით» დადგენილი ოდენობით. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სარკინიგზო კოდექსის **52**-ე მუხლზე, რომლის **1**-ლი ნაწილის მიხედვით, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო ფორმის აქტები წარმოადგენენ იმ სათანადო მტკიცებულებებს, რომლებითაც შესაძლებელია დადასტურდეს ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიწოდების დაყოვნება ან სხვა გარემოებები, რომელთა საფუძველზეც დგება მხარეთა პასუხისმგებლობა. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ სადავო პერიოდის საერთო ფორმის ქმანების ნაწილი საერთოდ არ იკითხება. ამასთან, მე-**4** ტომში განთავსებული ქმანების მიხედვით, უმრავლეს მათგანში საერთოდ არ არის მითითება დაყოვნების მიზეზებზე, დაყოვნების დაწყებისა და დამთავრების დროზე, ასევე დაყოვნების ფაქტობრივ დროზე. განსახილველ შემთხვევაში, კასატორს არც ამ გარემოებაზე წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-**4** მუხლზე, რომლის მიხედვითაც სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. საკასაციო პალატის მოსაზრებით „ბ. ო. ი. ლ-მა» შპს „ს. რ-ის» სარჩელზე წარმოადგინა სამართლებრივი შესაგებელი, რაც გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილებს, კერძოდ, მან მიუთითა საქართველოს სარკინიგზო კოდექსის **25**-ე მუხლის მე-**5** და მე-**7** ნაწილებით გათვალის-

წინებულ საფუძვლებზე და განმარტა, რომ გადამზიდველმა ჯეროვნად არ შეასრულა ვალდებულება, რაც გამოიხატა დანიშნულების სადგურში ტვირთის მიტანის შესახებ ტვირთმიმღების შეუტყობინებლობაში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რკინიგზის მომსახურების სფეროში, დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიტანის შესახებ ტვირთის მიმღების შტყობინება დადგენილია საქართველოს სარკინიგზო კოდექსის იმპერატიული ნორმებით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სარკინიგზო გადაზიდვებიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის დადგენა, ეცნობა თუ არა დროულად მიმღებს ტვირთის მიტანის შესახებ. სარკინიგზო კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია რკინიგზის სადგურის ვალდებულება, ტვირთგამგზავნს შეატყობინოს საჭირო ვაგონის (კონტეინერის) დასატვირთად გამოყოფის დრო გამოყოფამდე არა უგვიანეს 2 საათისა. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, რკინიგზა ვალდებულია, დანიშნულების რკინიგზის სადგურში ტვირთის მიტანის შესახებ შეატყობინოს ტვირთმიმღებს. თუ რკინიგზა ტვირთის მიტანის შესახებ ვერ ატყობინებს ტვირთმიმღებს ამ უკანასკნელის მიზეზით, პასუხისმგებლობა ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნებისა და ტვირთის შენახვისათვის ეკისრება ტვირთმიმღებს. ხოლო ამავე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, რკინიგზა ვალდებულია, ტვირთმიმღებს შეატყობინოს ვაგონის (კონტეინერის) გადმოსატვირთად მიწოდების დრო მიწოდებამდე არა უგვიანეს 2 საათისა. მოცემული საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია ასევე შევეხოთ სამოქალაქო კოდექსის 686-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებას, რომელიც ადგენს გადამზიდველის პასუხიმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს, თუ ტვირთის მიტანის ვადის გადაცილება უფლებამოსილი პირის ბრალით ან¬და ამავე პირის ისეთი მითითებით მოხდა, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს. ამდენად სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და სამოქალაქო კოდექსის 686-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებები ერთმანეთთან თანხვედრაშია. საინტერესოა პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება, რაზეც პასუხს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 687-ე მუხლი, რომელიც მტკიცების ტვირთს გადამზიდველს აკისრებს. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ ანალოგიური დავების გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნეს საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2003 წლის 16 აპრილის №26 ბრძანებით დამტკიცებული რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესები, რომელიც უფრო დეტალურად აწესრიგებს სარკინიგზო კოდექსში ასახულ დებულებებს, განსაკუთრებით კი ისეთ საკითხებს, რომლებიც ეხება რკინიგზის ვალდებულებას ტვირთის მიტანის შეტყობინების შესახებ (მუხლი 352). რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების 353-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია ტვირთმიმღების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები ტვირთის მიტანის შეტყობინების მიღებამდე, თუ სადგური ტვირთის მიტანის შესახებ არ შეატყობინებს ტვირთმიმღებს. ამდენად ზემოთ მითითებული ნორმების ფაქტობრივი შემადგენლობის არსებობისას, გადამზიდველის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლები არ არსებობს. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ დარღვეულ იქნა სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილები, ასევე დარღვეულია რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების 352-ე და 357-ე მუხლები. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით კასატორს საერთოდ არ განუცხადებია პრეტენზია საკასაციო საჩივარში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი, თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორი განმარტების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება შპს „ს. რ-ის» სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და „ბ. ო. ი. ლ-ის» სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ტვირთის გადაცემის ხელისშემშლელი გარემოებები

განჩინება

№ას-1685-1671-2011 29 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ს. რ-ამ» სარჩელით მიმართა ცსაქალაქო სასამართლოს „ბ. ლ-ის» მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის, 846 125 ლარის, ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით: 2004 წლიდან შპს „ს. რ-ის» მეშვეობით კომპანია „ბ. ლ-ი» ახორციელებდა საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვას სხვადასხვა მოცულობით. მიუხედავად შპს „ს. რ-ის» მხრიდან საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისა, გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარე, რომელიც იმავდროულად იყო ტვირთმიმღები, ვერ უზრუნველყოფდა დანიშნულების ადგილზე მიტანილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დროულად მიღებასა და დაცლას, რის გამოც, ვაგონ-ცისტერნები ყოვნდებოდა, როგორც ფოთის, ასევე გზად მდებარე სადგურებში (ფილიალ „სადგურ თბილისი მახარისხებელში», „სადგურ თბილისი საკვანძოში», „სადგურ ზესტაფონში»). ვაგონების გამოყენებისა და ტვირთის შენახვისათვის მოპასუხე ორგანიზაციის მიერ გადასახდელი საფასური განისაზღვრება საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2002 წლის 3 იანვრის №1 „ს. რ-ის სატარიფო პოლიტიკის შესახებ» ბრძანების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეზე შპს „ს. რ-ის მიერ, მოქმედი ნორმატიული აქტებისა და ტარიფების შესაბამისად, 2005 წლის იანვრიდან დღემდე დარიცხულია და გადახდას ექვემდებარება 846 125 ლარი.

„ბ. ლ-მა» წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოცემულ შემთხვევაში ტვირთმიმღებს წარმოადგენდა ფოთის ერთ-ერთი ტერმინალის ოპერატორი კომპანია „ჩ. ე-ი». სარკინიგზო კოდექსის მე-2 მუხლის საფუძველზე ტვირთმიმღები განმარტებულია, როგორც ტვირთის მიღების უფლებამოსილების მქონე პირი. სწორედ ასეთ პირს წარმოადგენდა „ჩ. ე-ი», რომელიც აწარმოებდა ტვირთის მიღებასა და მომსახურებას, რასაც, ცხადია, „ბ. ი-ი», როგორც არარეზიდენტი კომპანია, რომელიც არ არის საქართველოში რეგისტრირებული და არ არის დაკავებული მსგავსი საქმიანობით, ვერ გააკეთებდა. ამასვე ადასტურებს „ბ. ი-სა» და „ჩ. ე-ის» შორის არსებული 2003 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებაც, რომლის საფუძველზეც, დანიშნულების ადგილას ტვირთის მიტანის შემდგომ ფოთის პორტის სატვირთო ტერმინალში ტვირთის გადმოტვირთვის და მისი რეზერვუარებში დროული განთავსების ვალდებულება ეკისრებოდა „ჩ. ე-ის». იგივე დასტურდება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ყველა ზედნადებით, რომლებშიც ტვირთმიმღების გრაფაში პირდაპირ არის მითითება „ჩ. ე-ზე». „ბ. ი-ს» არ აკავშირებდა რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა მოსარჩელესთან, თავად არ აწარმოებდა ტვირთის გადაზიდვებს და გადაზიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ იღებდა მონაწილეობას. ამ საქმიანობას ახორციელებდნენ სრულიად დამოუკიდებელი გადამზიდავი კომპანიები, შესაბამისად, „ბ. ი-ს» არ დაურღვევია სახელშეკრულებო ვალდებულებები და გამორიცხულია მისი პასუხისმგებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და „ბ. ლ-ს» შპს „ს. რ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 390 946,57 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა. პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: «ბ. ლ-ი» არის დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული კომპანია და საქართველოში არ აქვს წარმომადგენლობა. «ბ. ლ-ის» დაკვეთით ტვირთს აზერბაიჯანიდან საქართველოში (ფოთში) სარკინიგზო ტრანსპორტის მეშვეობით აგზავნიდა აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია «ს-ი». ტვირთის მესაკუთრე იყო «ბ. ლ-ი», რომელიც წინასწარ იხდიდა ტვირთის გადაზიდვის ღირებულებას. თანხის წინასწარ გადახდის ფაქტი დადასტურდა სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ. მხარეთა შორის სადავოა 2004 ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში ვალდებულების შეუსრულებლობა. «ბ. ლ-ს» სადავოდ არ გაუხდია ვაგონ-ცისტერნების მოცდენის გარემოება, თუმცა მან უარყო მოცდენაში მისი ბრალის არსებობა. დადგენილია, რომ შპს «ჩ-სა» და «ბ. ლ-ს» შორის 2003 წლის 25 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება „დასაწყობებისა და გადატვირთების შესახებ», რომლის პირველი და მეორე მუხლების თანახმად, «ბ. ო-ი» არის სივრცისა და მომსახურების მყიდველი (მომხმარებელი), ხოლო «ჩ. ე-ი» კი, სივრცისა და მომსახურების გამყიდველი. «ჩ. ე-ი» მდებარეობს ქ. ფოთში და წარმოადგენს სანაპირო რეზერვუარებს ფოთის საზღვაო

პორტში. ხელშეკრულებით «ბ-ს» «ჩ. ე-ის» უნდა მიეწოდებინა დიზელის საწვავ და ბენზინი 2003 წლის 30 დეკემბრიდან 2004 წლის 30 დეკემბრამდე. ხელშეკრულების მე-5 მუხლით, «ბ-ი» ვალდებული იყო, საწვავი მიეწოდებინა თავისი ხარჯებით და «ჩ. ე-ან» შეეთანხმებინა გაგზავნისა და მიწოდების პროგრამა თითოეული თვის ბოლომდე, რათა განსაზღვრულიყო მომდევნო თვის მიწოდების გრაფიკი მოცდენების თავიდან აცილების მიზნით. მე-8 მუხლის თანახმად, ტერმინალზე დასაწყობებული პროდუქციის საკუთრების უფლება ეკუთვნოდა «ბ-ის». მოპასუხის წარმომადგენლები პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე თავდაპირველად ცალსახად არ ადასტურებდნენ და არც უარყოფდნენ ტვირთის «ბ-მი» კუთვნილებას, მაგრამ შემდგომ დაადასტურეს აღნიშნული გარემოება. ამასთან, ეს ფაქტი ასევე დგინდება «ბ-სა» და „ჩ. ე-ს" შორის დადებული ხელშეკრულებითაც. 2004 წლის ოქტომბერ-დეკემბერში შპს «ს. რ-ის» მიმართ «ბ-ს» ტვირთის დაგვიანებით გადაზიდვის ან მისი მიუღებლობის გამო რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს. 2004 წლის 14 იანვარს შპს «ს. რ-ას» და შპს «ს-ას» (შემკვეთი, ექსპედიტორი) შორის დადებულია ხელშეკრულება ს.რ-ზე ტვირთების გადაზიდვის შესახებ. «ბ.ლ-მა» სადავოდ გახადა მას და შპს «ს.რ-ას» შორის გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა და მიუთითა, რომ იგი არ იყო აზერბაიჯანიდან გამოგზავნილი ტვირთის მიმღები და ან ტვირთის მფლობელი და, შესაბამისად, წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს, რის გამოც შპს «ს.რ-ის» მიმართ, ვაგონების მოცდენის გამო, ვაგონით სარგებლობის საფასურისა და ტვირთის შენახვის ხარჯების სადავო თანხის გადახდის ვალდებულება არ გააჩნდა, ხოლო ტვირთმიმღებს, ე.ი სათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა ფოთის ტერმინალის ოპერატორი კომპანია «ჩ. ე-ი», რომელიც ემსახურებოდა პორტში არსებულ რეზერვუარებს. სასამართლომ არ გაიზიარა «ბ-ის» ზემოაღნიშნული პოზიცია და იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით «ბ-ი» ვალდებული იყო, ფოთის ტერმინალზე პროდუქცია საკუთარი ხარჯებით მიეწოდებინა და ტვირთზე საკუთრების უფლებაც მას ეკუთვნოდა, სასამართლომ ტვირთმფლობელად და ტვირთმიმღებადაც ჩათვალა «ბ. ლ-ი». ტვირთის გადაზიდვის დროს მხარეთა შორის გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა დასტურდება ზედნადებით. საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისების პირველი გრაფის მიხედვით, საწვავის გამომგზავნი იყო აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია (სოკარი), ხოლო მე-4 და მე-5 გრაფაში გარკვევით იქნა მითითებული, რომ ტვირთის ექსპორტიორი და ტვირთმიმღები იყო კომპანია «ბ-ი», რომელიც მდებარეობდა შემდეგ მისამართზე – საქართველო, ფოთი. მართალია, ტვირთმიმღებად «ბ-ის» მითითების შემდეგ მე-5 გრაფაშივე აღნიშნულია «ჩ. ე-ის» რეზერვუარები, მაგრამ ჩანაწერის მიხედვით, «ჩ. ე-ი» იყო ტვირთმიმღები, ვინაიდან ზემოთ აღინიშნა, რომ «ჩ. ე-ან» დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო «ბ-ის» კუთვნილი და «ჩ. ე-ის» რეზერვუარებში მის მიერვე ფოთის ტერმინალში მიწოდებული საწვავის განთავსების შესახებ. «ჩ. ე-ი» ტერმინალზე მიწოდებულ საწვავს მხოლოდ ინახავდა. ამდენად, ის გარემოება, თუ რომელ რეზერვუარებში განთავსდებოდა «ბ-ის» კუთვნილი და მის მიერვე მიწოდებული საწვავი, ამ უკანასკნელის, როგორც ტვირთმიმღების, სამართლებრივ სტატუსს არ ცვლის, ვინაიდან, საგზაო უწყისში, რომელიც წარმოადგენს გადაზიდვის ხელშეკრულებას, ტვირთმიმღებად დაფიქსირებულია «ბ-ი», ხოლო ის გარემოება, რომ მას საქართველოში არ აქვს წარმომადგენლობა, არ გამორიცხავს და ვერ აბათილებს, რომ ფოთში სწორედ იგი იყო ტვირთმიმღები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო პერიოდში მოსარჩელესა და მოპასუხეს ერთმანეთთან გადაზიდვის სახელშეკრულებო-ვალდებულებითი ურთიერთობა ჰქონდათ და მოპასუხე იყო ტვირთმიმღები. ამდენად, სადავო პერიოდში საქართველოში რკინიგზაზე ვაგონ-ცისტერნების მოცდენისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა «ბ-ის», კერძოდ: მტკიცებულების სახით საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის ქმანების მიხედვით დადგენილ იქნა, რომ საწვავით დატვირთული ვაგონ-ცისტერნების დაცლა ფერხდებოდა ფოთის ტერმინალზე «ჩ. ე-ის» რეზერვუარებში ადგილის უქონლობის გამო. ზოგიერთ ქმანში მოცდენის მიზეზად აღნიშნული იყო «ფოთის მიუღებლობა», რასაც სასამართლო რეზერვუარებში სათანადო ადგილის (სათავსის, სივრცის) არარსებობად მიიჩნევს. სასამართლო მიუთითებს «ბ-სა» და «ჩ. ე-ის» შორის 2003 წლის 25 დეკემბერს დადებულ ტვირთის დასაწყობების შესახებ ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც ხსენებულ პირებს ერთმანეთთან უნდა შეეთანხმებინათ ტვირთის გაგზავნისა და მიწოდების პროგრამა, რათა თავიდან აეცილებინათ მოცდენები. ამ პირთა შორის ურთიერთობა, მართალია, განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერმინალამდე ტრანსპორტირებული საწვავით სავსე ვაგონ-ცისტერნების დაუცლელობა და აღნიშნულის შედეგად ვაგონების მოცდენა, გამოწვეული იყო «ბ-სა» და «ჩ. ე-ის» ურიერთშეუთანხმებელი მოქმედებით, რაც, თავის მხრივ, იწვევს რკინიგზის მიმართ «ბ-ის» პასუხისმგებლობას. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენელთა მოსაზრება საერთო ფორმის ქმანების მტკიცებულებად მიუღებლობის შესახებ მათი არასრულყოფილად შედგენის საფუძვლით. ქმანებში ასახული მონაცემები, საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ერთობლივად, ნათლად ადასტურებდა, რომ ვაგონების მოცდენის მიზეზი იყო ტერმინალის რეზერვუარებში საწვავის განთავსებული ადგილის უქონლობა და ქმანები შედგენილი იყო იმ სადგურებში, სადაც ვაგონები მოცდა. შპს «ს. რ-ას» და შპს «ს-ას» შორის 2004 წლის 14 იანვარს დადებული ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ხსენებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა შპს «ს-ის» პასუხისმგებლობას საქართველოს ტერიტორიაზე დანიშნულებისა და გზადმდებარე სადგურებში ვაგონების მოცდენის შემთხვევაში. ხელშეკრულების №2.2.4. პუნქტის შესაბამისად, შპს «ს-ამ» იკისრა მხო-

ლოდ გადაზიდვის დაწყებამდე გადაზიდვის ღირებულება და სხვა დამატებითი სამუშაოებისა და მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება, ხოლო საგზაო უწყისების მე-4 გრაფაში არსებული ჩანაწერი, ს.რ-ზე ანგარიშსწორებას ახორციელებს «ს-ა», ნიშნავს, რომ იგი ანაზღაურებს რკინიგზაზე გადაზიდვის ღირებულებას და არა ვაგონებით სარგებლობის საფასურს, ამიტომ ვაგონების მოცდენა და ტვირთის შენახვის საფასური უნდა აანაზღაუროს ტვირთმიმღებმა «ბ-იმ».

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია ვაგონების მოცდენის გამო, მოპასუხისათვის 846 125 ლარის დაკისრების შესახებ და მიუთითა, რომ სადავო თანხის რაოდენობასთან დაკავშირებით მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებდა ვაგონების გამოყენებისა და ტვირთის შენახვის შესახებ უწყისებზე, რომელთა ბოლოშიც, მისივე მითითებით, გამოყვანილია საერთო ხარჯის ჯამური ოდენობა, რაც, მოსარჩელის აზრით, უნდა დაეკისროს მოპასუხეს. ამგვარი უწყისების დედნები წარმოდგენილია საქმეში, თანხით, 354 138,15 ლარი; 78 223,65 ლარით; 8 984,46 ლარი; 14 714,52 ლარით, რაც ჯამში შეადგენს 456 060,78 ლარს და არა სარჩელით მოთხოვნილ 846 125 ლარს. ხსენებული უწყისების მიხედვით, ვაგონების გამოყენების საბოლოო ჯამურ ღირებულებაში შეტანილია ვაგონების ჩვეულებრივი, ნორმირებული წესით გამოყენების ღირებულება (რაც ჯამში არის 65 096,21 ლარი) და ასევე, მათი მოცდენის გამო, ზემოთ ხსენებული წესით გამოყენების ღირებულებაც. მოსარჩელის წარმომადგენელმა კი, სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ «ბ-ი» წინასწარ იხდიდა მომსახურების საფასურს, ამიტომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ უწყისებში მითითებულ ჯამურ თანხას – 456 060,78 ლარს, უნდა გამოაკლდეს ვაგონებით ნორმირებული სარგებლობისათვის მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა – 65 096, 21 ლარი, რაც შეადგენს 390 964,57 ლარს და იგი გადასახდელად უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლის თანახმად, გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია, შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი, ასევე, პალატა მიუთითებს სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ტვირთის გადაზიდვისა და ამასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის საფასურს ტვირთგამგზავნი იხდის წინასწარ, რკინიგზის სადგურიდან ტვირთის გაგზავნამდე, თუ კოდექსით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კანონის აღნიშნული დანაწესი ითვალისწინებს ტვირთის გაგზავნამდე ტვირთის გადაზიდვის ღირებულების წინასწარი გადახდის ვალდებულებას. კონკრეტულ შემთხვევაში, «ბ. ლ-მა» ტვირთის გადაზიდვა განახორციელა ექსპედიტორის მეშვეობით. შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 730-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის დანაწესით, ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორი კისრულობს, თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი. ამდენად, «ბ-ს» ეკისრებოდა ტვირთის გადაზიდვის ღირებულების წინასწარი გადახდის ვალდებულება, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს უკანასკნელი გადაზიდვას ახორციელებდა ექსპედიტორის მეშვეობით, გადაზიდვის ღირებულება ფაქტობრივად გადაიხადა ექსპედიტორმა, თუმცა რეალურად ეს იყო «ბ-ის» თანხა, ანუ ექსპედიტორმა გადაზიდვის ღირებულება აანაზღაურა «ბ-ის» ხარჯზე, შესაბამისად, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ გადაზიდვის ღირებულება ორმაგად არ ანაზღაურებულა. პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია «ბ-ის» მოსაზრება «ბ-სა» და «ჩ. ე-ს» შორის 2003 წლის 30 დეკემბრის «დასაწყობებისა და გადატვირთვის შესახებ» გაფორმებული ხელშეკრულების არასწორად შეფასებაზე. აღნიშნული ხელშეკრულების მე-5 მუხლის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ «ბ. ლ-ი» იძლეოდა გარანტიას 200 000 ტონა დიზელისა და 300 000 ტონა ბენზინის მიწოდებაზე 2003 წლის 30 დეკემბრიდან 2004 წლის 30 დეკემბრამდე. მომხმარებელი «ბ-ი» ვალდებული იყო, მიეწოდებინა პროდუქცია ფოთის ტერმინალზე საკუთარი ხარჯით. ამასთან, «ბ-ი» ვალდებული იყო, ტვირთის გაგზავნა – მიწოდების პროგრამა წინასწარ შეეთანხმებინა «ჩ. ე-ან», რათა თავიდან აეცილებინათ მოცდენები, ხოლო მე-8 მუხლით, «ბ-ის» მიერ ფოთის ტერმინალზე დასაწყობებული პროდუქციის საკუთრების უფლება ეკუთვნოდა «ბ-ს». როგორც ირკვევა, ხელშეკრულებაში ნათლად იყო განსაზღვრული «ბ. ლ-ის» მოვალეობა «ჩ. ე-ის» საწვავის საკუთარი ხარჯით მიწოდების თაობაზე. ტერმინალში დასაწყობებულ საწვავზე საკუთრების უფლება კვლავ «ბ-ის» ეკუთვნოდა. ხელშეკრულების არც ერთი მუხლით არ იყო დათქმული, რომ ტერმინალში რკინიგზის მიერ მიწოდებული ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილი და პასუხისმგებელი პირი იყო «ჩ. ე-ი», რომელსაც უნდა უზრუნველეყო ტერმინალში მიტანილი ტვირთის დროული დაცლა. ვინაიდან, ხელშეკრულების მიხედვით ტერმინალზე ტვირთის საკუთარი ხარჯებით მიტანის ვალდებულება ჰქონდა «ბ-ის» და ტერმინალში დასაწყობებულ ტვირთზე საკუთრების უფლებასაც თვითონვე ინარჩუნებდა. ამდენად, «ბ-სა» და «ჩ. ე-ს» შორის 2003 წლის 30 დეკემბრის «დასაწყობებისა და გადატვირთვის შესახებ» ხელშეკრულებით სარკინიგზო გადაზიდვაში მონაწილე მხარეს – ტვირთმფლობელს და, შესაბამისად, ტვირთმიმღებსაც ვაგონების მოცდენაზე პასუხისმგებელ პირსაც სწორედ «ბ-ი» წარმოადგენდა.

ვაგონების მოცდენებზე პასუხისმგებელი პირის დადგენასთან დაკავშირებით პალატამ მიუთითა 2004 წლის 14 იანვარს შპს «ს-ან» დადებულ «ს. რ-ზე ტვირთების გადაზიდვის შესახებ» №მც-20 ხელშეკრულების №2.2.4 პუნქტზე, რომლის თანახმად, «ს-ა» (შემკვეთი) უზრუნველყოფდა მხოლოდ გადაზიდვის დაწყებამდე სარკინიგზო გადაზიდვის ღირებულებას და სხვა დამატებითი სამუშაოების საფასურის გადახდას. «ს-ან» დადებულ ხელშეკრულებაში არ არის მითითება საქართველოს ტერიტორიაზე დანიშნულებისა და გზადმდებარე სადგურებში ვაგონების მოცდენაზე «ს-ის» პასუხისმგებლობის თაობაზე. აქედან გამომდინარე,

გზადმდებარე და დანიშნულების სადგურში დაყოვნებულ ვაგონებზე სარგებლობის საფასურზე და ტვირთის შენახვის ხარჯებზე პასუხისმგებელ პირად «ს-ა» არ იქნა მიჩნეული, რადგან ამ უკანასკნელს ხელშეკრულებით ასეთი ვალდებულება არ აუღია. 2004 წლის 14 იანვრის ხელშეკრულების №2.2.4 პუნქტით «ს-ამ» იკისრა მხოლოდ გადაზიდვის დაწყებამდე გადაზიდვის ღირებულების გადახდა. შესაბამისად, წარმოდგენილი საგზაო უწყისების მე-4 გრაფაში «გამგზავნის განსაკუთრებული განაცხადში» არსებული ჩანაწერი, «ს.რ-ზე ანგარიშსწორებას ახდენს «ს-ა», იმას ნიშნავს, რომ ს. რ-ზე მხოლოდ გადაზიდვის ღირებულებას ანაზღაურებდა «ს-ა» «ბ. ლ-ის» სახსრებით. აქედან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ვაგონების მოცდენაზე პასუხისმგებელი პირი არ იყო «ს-ა». აპელანტის იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ შპს «ს.რ-ა» ვალდებული იყო, შეეტყობინებინა ტვირთმიმღებისათვის დანიშნულების სადგურში მისი მისამართით მიტანილი ტვირთის შესახებ, პალატამ მიუთითა «სარკინიგზო კოდექსის» 25-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, რკინიგზა ვალდებულია, დანიშნულების სადგურში ტვირთის მიტანის შესახებ შეატყობინოს ტვირთმიმღებს, მაგრამ სარკინიგზო კოდექსით შეტყობინების სავალდებულო წერილობითი ფორმა არ არის დადგენილი. აღნიშნულის გათვალისწინებით პალატამ გაიზიარა შპს «ს. რ-ის» წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, «რ-ა» მსგავს შეტყობინებებს ტელეფონის მეშვეობით გადასცემდა. ამასთან, პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ საგზაო უწყისებზე, რომლითაც ირკვევა, რომ რკინიგზა დროულად ატყობინებდა მოპასუხის წარმომადგენელებს დანიშნულების სადგურში ტვირთის ჩამოსვლის შესახებ, რაც დასტურდება საგზაო უწყისების 97-ე გრაფაში ჩანაწერით.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, ვაგონების «ბ-ის» ბრალით დაყოვნებას. საქმეში წარმოდგენილ ზოგ ქმანებში სრულყოფილად არის მითითებული ვაგონების მოცდენის დაწყებისა და დასრულების თარიღი და საათი, კერძოდ, ქმან №19-ში, №21-სა და №22-ში, თუმცა ზოგიერთ ქმანში მითითებულია მხოლოდ მოცდენის დაწყების თარიღი და არ არის აღნიშნული მოცდენის დასრულების დრო. აღნიშნული გარემოების დადგენის მიზნით საქმეში წარმოდგენილია ვაგონების გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისები, რომლებშიც თითოეულ ვაგონზე ამომწურავად არის მითითებული ვაგონების მოცდენის დაწყებისა (გრაფა №16-შემადგენლობის მიღების თარიღი) და დასრულების დრო (გრაფა №5-6 ვაგონების გამოყენების პერიოდი). შესაბამისად, „სატარიფო პოლიტიკის» 32-ე მუხლის თანახმად, რკინიგზამ დაინგარიშა დარიცხული თანხა მოცდენის გამო. პალატამ სადავოდ გამხდარი ქმანებისა და საგზაო უწყისების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 16 ნოემბერს «ს. რ»-ის მიერ შედგენილი №15 – ქმანის მიხედვით დანიშნულების სადგურ ფოთში, რეზერვუარებში ადგილის უქონლობის გამო, მოსცდა 12 ვაგონი. ის გარემოება, რომ აღნიშნული ვაგონებით ხდებოდა «ბ. ლ-ის» ტვირთის გადატანა დგინდება საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისებით. აღნიშნული ქმანის მიხედვით 12 ვაგონი, რეზერვუარებში ადგილის უქონლობის გამო, მოსცდა დანიშნულების სადგურ ფოთში 2004 წლის 16 ნოემბრიდან 2005 წლის 6 იანვრამდე. ყველა საგზაო უწყისის 47-ე გრაფაში ვაგონების დანიშნულების სადგურში შესვლის თარიღად მითითებულია 2004 წლის 16 ნოემბერი, 03:30 სთ, ხოლო მოცდენა 2005 წლის 7 იანვარს 03.სთ-ზე. ს.რ-ის მიერ 2004 წლის 26 ნოემბერს შედგენილი ქმანი №16 მიხედვით, დანიშნულების სადგურ ფოთში, რეზერვუარებში ადგილის უქონლობის გამო, მოცდა 2 ვაგონი. ის გარემოება, რომ აღნიშნული ვაგონებით ხორციელდებოდა «ბ-ის» ტვირთის გადატანა, დგინდება საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისებით. აღნიშნული ორი ვაგონის მოცდენა დაიწყო 2004 წლის 26 ნოემბერს, 3:40 საათზე და დასრულდა 2005 წლის 7 იანვარს, 15 სთ-ზე. ქმანი №17 მიხედვით დანიშნულების სადგურ ფოთში, რეზერვუარებში ადგილის უქონლობის გამო, მოცდა 23 ვაგონი. ის გარემოება, რომ აღნიშნული ვაგონებით განხორციელდა «ბ. ლ-ის» ტვირთის გადატანა, დგინდება საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისებით. აღნიშნული ქმანის მიხედვით 23 ვაგონი, დანიშნულების სადგურ ფოთში 2004 წლის 4 დეკემბრიდან 21:30 სთ-დან მოსცდა რეზერვუარებში ადგილის უქონლობის გამო. 18 ვაგონის მოცდენა დასრულდა 2005 წლის 7 იანვარს, ხოლო 5 ვაგონი დაცლილია 8 იანვარს, 22 სთ-ზე. 2004 წლის 5 დეკემბერს შპს „ს. რ-ის» მიერ შედგენილი შედგენილი №18 ქმანის მიხედვით დანიშნულების სადგურ ფოთში, რეზერვუარებში ადგილის უქონლობის გამო, მოსცდა 16 ვაგონი. მოცდენა დაიწყო 2004 წლის 5 დეკემბერს 14 საათზე და დასრულდა 2005 წლის 7 იანვარს. აღნიშნული ვაგონებით «ბ-ის» ტვირთის გადატანის ფაქტი დგინდება საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისებით. №19 ქმანის მიხედვით, მოცდენა დაიწყო 2004 წლის 28 დეკემბერს 1 სთ-ზე და დასრულდა 2005 წლის 7 იანვარს, 03.00 სთ-ზე. 2004 წლის 28 ნოემბერს «ს. რ-ის» მიერ შედგენილი №20 ქმანის მიხედვით, დანიშნულების სადგურ ფოთში, რეზერუარებში ადგილის უქონლობის გამო, მოცდა 2 ვაგონი. მოცდენა დაიწყო 2004 წლის 28 დეკემბერს, 20:51 სთ-ზე და დასრულდა 2005 წლის 7 იანვარს, 05:00 საათზე. ის გარემოება, რომ აღნიშნული ვაგონებით გადაჰქონდა «ბ. ლ-ის» ტვირთი დგინდება საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისებით, რომელთა 47-ე გრაფაში – „დანიშნულების სადგურის კალენდარული ბეჭედი» ვაგონების დანიშნულების სადგურში შესვლის თარიღად მითითებულია 2004 წლის 28 დეკემბერი. №21 ქმანის მოცდენა დაიწყო 2004 წლის 28 დეკემბერს, 1 სთ-ზე და დასრულდა 2005 წლის 9 იანვარს, 11 საათზე.

№22 ქმანით მოცდენა დაიწყო 2004 წლის 29 დეკემბერს, 21:25 სთ-ზე და დასრულდა 2005 წლის 7 იანვარს, 3 საათზე. «ბ. ლ-ის» ტვირთის გადატანა დგინდება საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისებით. №23 ქმანით დანიშნულების სადგურ ფოთში, რეზერვუარებში ადგილის უქონლობის გამო, მოსცდა 4 ვაგონი.

მოცდენა დაიწყო 2004 წლის 30 დეკემბერს, 01:00 სთ-ზე და დასრულდა 2005 წლის 7 იანვარს, 05:00 საათზე. აღნიშნული ვაგონებით «ბ. ლ-ის» ტვირთის გადატანა დგინდება საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისებით. აღნიშნული ქმანის მიხედვით დგინდება, რომ №23 ქმანში მითითებული მოცდენილი ვაგონებით ნამდვილად გადაიზიდებოდა «ბ. ლ-ის» კუთვნილი ტვირთი. №24 ქმანით დანიშნულების სადგურ ფოთში, რეზერვუარებში ადგილის უქონლობის გამო, მოსცდა 10 ვაგონი. 5 ვაგონის მოცდენა დაიწყო 2004 წლის 30 დეკემბერს, 1 საათზე და დასრულდა 2005 წლის 9 იანვარს, 9 სთ-ზე. ის გარემოება, რომ აღნიშნული ვაგონებით გადაჰქონდათ «ბ. ლ-ის» ტვირთი, დგინდება საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისებით. №25 ქმანით 2 ვაგონის მოცდენა დაიწყო 2004 წლის 11 დეკემბერს, 18:35 სთ-ზე და დასრულდა 2005 წლის 6 იანვარს, 22 სთ-ზე. «ბი-პის» ტვირთის გადატანა დგინდება საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისებით.

პალატამ არ გაიზიარა რა «ბ-ის მოსაზრება, რომ წარმოდგენილ რიგ ქმანებში მოცდენის მიზეზად მითითებულია ფოთის მიუღებლობა, ხოლო დაყოვნების კონკრეტული მიზეზის თაობაზე კი, ინფორმაცია არ არსებობს და მიუთითა სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლსა და „რკინიგზის ტვირთის გადაზიდვის წესების» 443-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საერთო ფორმის აქტით (ქმანით) დასტურდება ვაგონების მოცდენის ფაქტი. სარკინიგზო კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მხარეები პასუხს აგებენ მხოლოდ მათ მიერ ჩადენილი ან მათი მიზეზით გამოწვეული დარღვევისათვის. ზემოაღნიშნული წესების 440-ე მუხლი ადგენს საერთო ფორმის აქტის სავალდებულო რეკვიზიტებს, რომელთა შორის მითითებულია ვაგონების მოცდენის მიზეზი. შპს „ს. რ-ის» მიერ წარმოდგენილი №15-25 საერთო ფორმის აქტების მიხედვით, დანიშნულების სადგურ ფოთში მიტანილი ტვირთის დროულად მიუღებლობა გამოწვეული იყო ტერმინალის რეზერვუარებში თავისუფალი ადგილის უქონლობით, რაზეც, პალატის მოსაზრებით, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მოპასუხე „ბ-ს», რადგან „ჩ. ე-ან» დადებული „დასაწყობებისა და გადატვირთვის შესახებ» ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული იყო «ბ-ის» ტვირთის გადატანა, რაც დგინდება საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისებით. რკინიგზის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით სასამართლომ დადასტურებულად ცნო, რომ ტანკერების არადროული შემოსვლისა და ტერმინალზე თავისუფალი რეზერვუარების უქონლობის გამო, 2004 წლის 27 სექტემბერს «ბ-ის» ტვირთის გადატანა დგინდება საქმეში წარმოდგენილი საგზაო უწყისებით. რაც შეეხება, საერთო ფორმის აქტებში მითითებულ ზოგად მიზეზს „ფოთის მიუღებლობას», აღნიშნული გამოწვეული იყო აპელანტის ბრალით, კერძოდ კი, „ჩ. ე-ან» შეუთანხმებელი, დაუგეგმავი გადაზიდვის განხორციელებით.

2004 წლის 27 სექტემბრიდან, სადგურ სამტრედიაში №27-28, №36 და №42 ბრძანებების საფუძველზე გაჩერებული იყო «ბ-ის» 76 ცისტერნა დიზელი, რადგან ტანკერების არადროული შემოსვლის გამო, აპელანტს ფოთის ტერმინალზე არ ჰქონდა თავისუფალი საცავები. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიუთითა 2004 წლის 11 დეკემბრის №33 ბრძანებაზე, იმ დროისათვის, გემის მოუსვლელობისა და სათავსის უქონლობის გამო, ფოთში დაუცლელი იდგა «ბ. ლ-ის» დიზელით დატვირთული 178 ვაგონი, რის გამოც, თბილისის მახარისხებელსა და სამტრედიაში 19 დეკემბრიდან გაჩერებული იყო მოპასუხის 18 ვაგონი, რაზედაც შედგა №1057 და №279 საერთო ფორმის აქტები, სადაც მოცდენის მიზეზად მითითებულია „ფოთის მიუღებლობა». იმავე მიზეზით, თავისუფალი რეზერვუარების უქონლობისა და ფოთის მიუღებლობის გამო, 28 დეკემბრიდან თბილისის მახარისხებელში იდგა №1076 და №1065 საერთო ფორმის აქტებში მითითებული მოპასუხის 14 ვაგონი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, პალატამ საქმეში წარმოდგენილი აქტები შეაფასა სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით, საიდანაც ირკვევა, რომ, გემების მოუსვლელობისა და ტერმინალში თავისუფალი საცავების არქონის გამო, დანიშნულების სადგურ ფოთში დაუცლელი იდგა „ბ-ის» ვაგონები, ამდენად, „რკინიგზის ტვირთის გადაზიდვის წესების» 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „ბ-ის» დანარჩენი ვაგონები გაჩერდა გზადმდებარე სადგურებში, რაზეც შედგა საერთო ფორმის აქტები, სადაც მოცდენის მიზეზად ზოგადად მითითებულია ფოთის მიუღებლობა, რაც, პალატის მოსაზრებით, გამოწვეული იყო „ბ-ის» მიზეზით, „ჩ. ე-ან» შეუთანხმებელი გადაზიდვის განხორციელებით.

პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელირება საქმეში წარმოდგენილ №285 და №279 ქმანებთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ სადგურ სამტრედიაში 2004 წლის 27 დეკემბერს შედგენილი №279 ქმანის მიხედვით №33 დეპეშის საფუძველზე გააჩერეს 16 ცისტერნა, რადგან ამ დროისათვის, გემისა და სათავსის უქონლობის გამო, სადგურ „ფოთში» იდგა დაუცლელი 178 ვაგონი. №279 ქმანში მითითებული 16 ცისტერნიდან 2 ცისტერნა: №79505806 და №79700308 იყო «ბ. ლ-ის», რაც დასტურდება №02625500 და №02655499 საგზაო უწყისებით. მოცდენის თანხა ამ შემთხვევაში, მხოლოდ ამ ორ ვაგონზეა დარიცხული, რაც ირკვევა №1 უწყისით. სწორედ, ეს ორი ვაგონი იდგა ფოთში, რეზერვუარებში ადგილის უქონლობის გამო, რაზედაც შედგა ქმანი №20. №285 ქმანის მიხედვითაც 2004 წლის 30 დეკემბერს სადგურ „სამტრედიაში» გაჩერებული იყო 31 ცისტერნა, რადგან, 28 დეკემბრიდან რეზერვუარებში ადგილის უქონლობის გამო, 2005 წლის 6-9 იანვრამდე გაჩერებული იყო №19-24 ქმანებში მითითებული 24 ვაგონი. სამტრედიაში გაჩერებული 31 ცისტერნიდან 7 იყო «ბ-ის» და მოცდენის საფასურიც მხოლოდ ამ 7 ვაგონზეა დარიცხული, რაც დასტურდება საგზაო უწყისებით. საქმეში წარმოდგენილი სადგურ „სამტრედიაში» 2004 წლის 11 დეკემბერს შედგენილი 266-ე ქმანის მიხედვით, 24 ვაგონი, სათავსის უქონლობის გამო, დაუცლელი იდგა სადგურ ფოთში, საფუძ-

ვლად მითითებულია სადგურის უფროსის №56 ბრძანება, ფოთის მიუღებლობის მიზეზია სათავსების უქონლობა.

პალატამ არ გაიზიარა შპს „ს. რ-ის» წარმომადგენლების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ «ბ-ს» რკინიგზის მიმართ ერიცხებოდა საკმაოდ სოლიდური დავალიანება, რაც გამოწვეული იყო მოპასუხის მიზეზით ვაგონების დაყოვნებით. რკინიგზამ ისარგებლა სამოქალაქო კოდექსის 685-ე და სარკინიგზო კოდექსის 58-ე მუხლებით და მოპასუხის კუთვნილ 8 ვაგონ-ცისტერნაზე გამოიყენა გირავნობის უფლება. მითითებული ნორმების თანახმად, რკინიგზას, გადაზიდვების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო, ტვირთზე აქვს გირავნობის უფლება, ვიდრე იგი უფლებამოსილია, განკარგოს ეს ტვირთი. შპს «ს. რ-ას» გირავნობის საგანი, მართალია, არ განუკარგავს, მაგრამ 2004 წლის 26 ნოემბრიდან 2007 წლის 26 მარტამდე, «ბ-ის» 8 ვაგონი გირავნობის უფლებით გაჩერებული იყო დანიშნულების სადგურ „ფოთში», რის დასადასტურებლადაც რკინიგზამ წარმოადგინა მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვრო №77 და ვაგონების მიწოდება-აკრეფის ყოველთვიური უწყისები.

პალატამ საქმეში წარმოდგენილი შპს „ს. რ-ის» ფილიალის სადგურ ფოთის დირექტორის 2005 წლის 1 ივლისის წერილით დადგენილად მიიჩნია, რომ 795 51 817, 740 90 754, 730 63 570, 730 75 079, 720 61 377, 731 75 812, 730 57 234, 740 91 117 დიზელის საწვავით დატვირთული ვაგონების მიმღები იყო „ბ-ი» დასაცლელად „ჩ. ე-ის» რეზერვუარებში. ვინაიდან, „ბ-მა» არ გადაიხადა ვაგონების გამოყენების გადასახადი, რკინიგზამ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება გირავნობის შესახებ. საქმეში წარმოდგენილი №77 მიმღებ-ჩამბარებლის სამახსოვროს მიხედვით გირავნობის უფლებით დაკავებულ იქნა ასევე რვა ვაგონი, კერძოდ, 70551817-28, 74090754-28, 73063570-28, 73075079-28, 72061377-28, 73175812- 28, 73057234-28, 74091117-28. პალატამ «62 მარკის დიზელის საწვავზე გირავნობის მოხსნისა და უზრუნველყოფის სახით თანხის დეპონირების შესახებ» მხარეებს შორის 2006 წლის 31 დეკემბერს დადებულ ხელშკრულებით ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ, საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 58-ე მუხლის თანახმად, «ს. რ-ას» გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო, ტვირთზე წარმოეშვა გირავნობის უფლება. ამავე ხელშეკრულების თანახმად, „ბ-ი» არ ცნობს «ს. რ-ის» მიერ მის მიმართ წაყენებულ მოცდენის შესახებ სარჩელის კანონიერებას, თუმცა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ „ბ-ი» განახორციელებდა 846,124.00 ლარის დეპონირებას პროცენტიან საბანკო ანგარიშზე, რის სანაცვლოდაც რკინიგზა მოხსნიდა ტვირთზე გირავნობას, მოცდენის შესახებ სარჩელზე არსებული დავის დასრულებამდე.

პალატამ არ გაიზიარა რკინიგზის სააპელაციო საჩივარში მითითებული მოსაზრება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით „ბ-მა» სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის საფუძველზე აღიარა რა 8 ვაგონის გირავნობის უფლებით მოცდენის ფაქტი, შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნულის გათვალისწინებით, რკინიგზის სარჩელი მოთხოვნის ამ ნაწილშიც უნდა დაეკმაყოფილებინა. პალატამ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 2006 წლის 31 დეკემბერს დადებულ იქნა ხელშეკრულება „62 მარკის დიზელის საწვავზე გირავნობის მოხსნისა და უზრუნველყოფის სახით თანხის დეპონირების შესახებ», თუმცა „ბ-ის» მიერ იმ ფაქტის აღიარება, რომ მის 8 ვაგონზე შპს „ს. რ-ას» წარმოეშვა გირავნობის უფლება, არ შეიძლება სასამართლომ საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას გირავნობის უფლებით დაკავებული ვაგონების მოცდენის ხარჯთან დაკავშირებით. პალატამ აღნიშნა, რომ შპს «ს. რ-ამ» ისარგებლა სამოქალაქო კოდექსის 685-ე და სარკინიგზო კოდექსის 58-ე მუხლებით და მოპასუხის კუთვნილ 8 ვაგონ-ცისტერნაზე გამოიყენა გირავნობის უფლება, რომლის თანახმადაც, შპს «ს. რ-ას», გადაზიდვების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო, ტვირთზე აქვს გირავნობის უფლება, ვიდრე იგი არ განკარგავდა ამ ტვირთს, თუმცა, სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული რკინიგზის მოთხოვნა, 2004 წლის 26 ნოემბრიდან 2007 წლის 26 მარტამდე გირავნობის უფლებით დაკავებულ მოპასუხის კუთვნილ 8 ვაგონ-ცისტერნაზე, ვაგონების მოცდენის ხარჯის დაკისრების თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 685-ე მუხლისა და სარკინიგზო კოდექსის 58-ე მუხლის თანახმად, გადამზიდველს, გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო, აქვს ტვირთზე გირავნობის უფლება, ვიდრე იგი უფლებამოსილია, განკარგოს ეს ნივთი. რკინიგზის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებით, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დაკავებული ვაგონების საფასურის საბაზრო განაკვეთი გაიზარდა 300%-ით, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა გირავნობით დაკავებული 8 ვაგონის მოცდენის ხარჯი. სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ შპს „ს. რ-ამ» თავად შეუწყო ხელი ზიანის ოდენობის დადგომას, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსისა და სარკინიგზო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მას შეეძლო, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში საბაჟო პროცედურების დაცვით განეხორციელებინა ტვირთის-გირავნობის საგნის რეალიზაცია ან საწვავი განეთავსებინა რეზერვუარებში, რითაც შეეძლო, თავიდან აეცილებინა ზიანის დადგომა ან შეემცირებინა მისი ოდენობა. აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, შპს „ს. რ-ას» წარმოეშვებოდა საწვავის შენახვის ხარჯების მოთხოვნის უფლება, რაც შპს „ს. რ-ას» არ განუხორციელებია და ხელოვნურად შეუწყო

ხელი ზიანის ოდენობის დადგომას. პალატამ მიიჩნია, რომ «ბ-ი» უნდა გათავისუფლდეს გირავნობით დაკავებული 8 ვაგონის მოცდენის ხარჯის ანაზღაურებისაგან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს.რ-ამ» შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ მიმღებ-ჩამბარებლის №77 სამახსოვროს, მხარეებს შორის 2006 წლის 31 დეკემბერს დადებული „62 მარკის დიზელის საწვავზე გირავნობის მოხსნისა და უზრუნველყოფის სახით თანხის დეპონირების შესახებ» ხელშეკრულებისა და ვაგონების მიწოდება-აკრეფის ყოველთვიური უწყისების საფუძველზე დადგენილად ცნო, რომ 2004 წლის 26 ნოემბრიდან 2007 წლის 26 მარტამდე დანიშნულების სადგურ ფოთში გირავნობის უფლებით გაჩერებული იყო „ბ-ის» 8 ვაგონ-ცისტერნაში გათავსებული ტვირთი, რადგან მოპასუხეს, ვაგონების მოცდენის გამო, ერიცხებოდა საკმაოდ სოლიდური დავალიანება. განჩინება წინააღმდეგობრივია, ვინაიდან, ერთი მხრივ, სასამართლო აღიარებს სამოქალაქო კოდექსის 685-ე და სარკინიგზო კოდექსის 58-ე მუხლებით რკინიგზისთვის მინიჭებულ უფლებას ტვირთის გირავნობაზე, მაგრამ ამავდროულად უარს ამბობს გირავნობის ნაწილში დარიცხული ვაგონის მოცდენის ღირებულების ანაზღაურებაზე. მოსარჩელეს, მართალია, გირავნობის საგანი არ განუკარგავს, მაგრამ 2004 წლის 26 ნოემბრიდან 2007 წლის 26 მარტამდე, „ბ-ის» 8 ვაგონი გირავნობის უფლებით გაჩერებული იყო დანიშნულების სადგურ ფოთში. რკინიგზა ვაგონების მოცდენის საფასურის დარიცხვას მთელი ამ დროის მანძილზე კი არ ითხოვდა, არამედ 2005 წლის დეკემბრის ჩათვლით, ანუ რკინიგზის მიერ სარჩელის აღძვრამდე. გირავნობის საგანი, 8 ვაგონში ჩატვირთული ნავთობპროდუქტი იყო არა იმპორტის საბაჟო რეჟიმით შემოტანილი, არამედ ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მყოფი ტვირთი, რაც, იმჟამად მოქმედი საბაჟო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, ნიშნავდა საქონლის უცხო სახელმწიფოთა შორის გადაადგილებას საქართველოს ტერიტორიის გავლით, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად, ანუ ტრანზიტით გადაადგილებული საქონელი უნდა დარჩენილიყო უცვლელად. ამდენად, საბაჟო კოდექსი იმპერატიულად კრძალავს ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მყოფი ტვირთის საქართველოში განკარგვას და, ბუნებრივია, მოსარჩელე კანონს ვერ დაარღვევდა. სამართლებრივად უსაფუძვლოა სასამართლოს მოსაზრება, რომ შპს «რ-ას» შეეძლო ტრანზიტის რეჟიმში მყოფ ტვირთზე საბაჟო რეჟიმის შეცვლა, ტვირთის განბაჟება და შემდგომში მისი რეალიზაცია. აღნიშნული ეწინააღმდეგება საბაჟო კოდექსს. სასამართლოს მოსაზრება, რომ რკინიგზამ თავად შეუწყო ხელი ზიანის წარმოშობას, უსაფუძვლოა. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი, რაც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა 258-ე მუხლი, რაც უნდა გამოეყენებინა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა „ბ. ლ-მა» შემდეგი დასაბუთებით: საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის №26 ბრძანებით დამტკიცებული „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» 436-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო ფორმის აქტში უნდა აღინიშნოს მისი შედგენის საფუძველი, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გადაზიდვა სვლის გზაზე ისეთი საფუძვლით იქნა შეჩერებული, რაც, ამ წესების მიხედვით, გამოიწვევს ტვირთის მიტანის ვადის შესაბამის გახანგრძლივებას, მაშინ საერთო ფორმის აქტში აღინიშნება ვაგონების დაყოვნების მიზეზი და ხანგრძლივობა. ამავე წესების 440-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა» ქვეპუნქტის თანახმად, საერთო ფორმის აქტში აღინიშნება ვაგონის დაყოვნების მიზეზი, მისი ნომრები, დაყოვნების დაწყებისა და დამთავრების, აგრეთვე, დაყოვნების ფაქტობრივი დრო. უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის განჩინებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო ფორმის აქტი წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის განსაზღვრის კრიტერიუმს, ამდენად, ამ დოკუმენტის შედგენის დროს დაცული უნდა იქნას ზემოაღნიშნული დანაწესები იმისათვის, რომ განისაზღვროს იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

„ვაგონების გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისები» შესაძლოა, შედგეს კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილ საერთო ფორმის აქტების საფუძველზე, ანუ იმ ქმანების საფუძველზე, სადაც ზედმიწევნითი სიზუსტით არის მითითებული მოცდენის დაწყებისა და დასრულების პერიოდი, შესაბამისად, ასეთი ქმანების საფუძველზე იქნება შესაძლებელი, რ-ამ დაითვალოს მოცდენის ხანგრძლივობა და დაყოვნების საფასური და არა ის, რომ ხარვეზიანი ქმანების საფუძველზე შედგენილი უწყისით გაინგარიშოს მოცდენის საფასური, თანაც ისე, რომ უწყისში თვითნებურად მიუთითოს მოცდენის დასრულების დრო, მაშინ, როდესაც რეალურად ქმანში ეს დაფიქსირებული არ არის. ქმანში არსებული ხარვეზის გამოსწორება სხვა დოკუმენტით, ამ შემთხვევაში, დაგვიანებით და ცალმხრივად შედგენილი „ვაგონების გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისით» შეუძლებელია, ასევე ეწინააღმდეგება კანონმდებლობასა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, ხოლო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ასეთ დოკუმენტზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება კი უკანონოა. სასამართლო გადაწყვეტილებაში უთითებს „სატარიფო პოლიტიკის» 32-ე მუხლზე, თითქოს ეს დოკუმენტი ადგენდეს მოცდენის დასრულების დადასტურების წესს, რაც სასამართლოს მხრიდან მხოლოდ შეცდომაში შეყვანას ემსახურება, რადგან ეს მუხლი არეგულირებს მოცდენის დაანგარიშების ტარიფებს იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობილია მოცდენის დაწყებისა და დასრულების ზუსტი დრო. მასზე მითითება კი, ვერ ცვლის მოქმედ კანონმდებლობას. არც ერთი კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტში, მათ შორის, საგზაო უწყისში მოცდენის დასრულების დრო მითითებული არ არის. სასამართლო მსჯელობს „ბ-ის» პასუხისმგებლობაზე, უთითებს 2004 წლის სექტემბერ-ნოემბერში შედგენილ ქმა-

ნებზე, თუმცა არაფერს ამბობს, თუ რითი დასტურდება 2004 წლის დეკემბრის ბოლოსა და 2005 წლის იანვრის დასაწყისში ვაგონების მოცდენის დასრულების დრო.

«რ-ამ» ვერ წარმოადგინა ვერც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ „ბ-ის» გაფრთხილებას ტვირთის მიწოდების თაობაზე. სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» 352-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, რკინიგზა ვალდებულია, შეატყობინოს ტვირთმიმღებს დანიშნულების სადგურში მისი მისამართით მიტანილი ტვირთის შესახებ ტვირთის მიტანის მომდევნო დღის არა უგვიანეს 12 საათისა. „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» 352-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად კი, შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს შეტყობინების გადაცემის დრო და თარიღი, ხოლო შეტყობინების გადაცემა რეგისტრირდება სადგურში ტვირთის მიტანის შეტყობინებათა დავთარში. სარკინიგზო კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» 357-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი, შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს შეტყობინების გადაცემის დრო და თარიღი, ხოლო შეტყობინების გადაცემა რეგისტრირდება სადგურში ტვირთის მიტანის შეტყობინებათა დავთარში. თუკი რკინიგზა მიიჩნევდა, რომ „ბ-ი» წარმოადგენდა ტვირთმიმღებს, მაშინ იგი ვალდებული იყო, სარკინიგზო კოდექსის აღნიშნული იმპერატიული მოთხოვნების თანახმად, გაეგზავნა „ბ-ის» შესაბამისი შეტყობინებები მიწოდებამდე არა უგვიანეს 2 საათისა.

სასამართლომ არასწორად განმარტა „სარკინიგზო კოდექსის» 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი და ამასთან არ გამოიყენა ზემოხსენებული კანონები, კერძოდ, სასამართლო აცხადებს, რომ შეტყობინების სავალდებულო წერილობითი ფორმა არ არის დადგენილი, თუმცა, „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» 352-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს შეტყობინების გადაცემის დრო და თარიღი, ხოლო შეტყობინების გადაცემა რეგისტრირდება სადგურში ტვირთის მიტანის შეტყობინებათა დავთარში წერილობით. აღნიშნული დავთრიდან, ამონაწერი რკინიგზას საერთოდ არ წარმოუდგენია. „ბ-ის» საქართველოში წარმომადგენელი საერთოდ არ ჰყოლია, იგი არ წარმოადგენდა ტვირთმიმღებს და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მისთვის შეტყობინების გაგზავნა ტელეფონის მეშვეობითაც კი, რასაც ადასტურებს კიდეც რკინიგზის მიერ ასეთი პირის ვინაობის დაუსახელებლობა. „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების» 352-ე მუხლების მე-3 პუნქტის თანახმად, ტვირთის მიღების თაობაზე შეტყობინების მიღების უზრუნველსაყოფად ტვირთმიმღები გამოყოფს პირს, რომლის გვარი, ტელეფონის, ფაქსის ან ტელექსის ნომერი წერილობით ეცნობება „ს. რ-ის» დანიშნულების სადგურს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, სწორედ, „ს. რ-ის მტკიცების ტვირთია იმ ფაქტის დამტკიცება, რომ „ბ-ს» ჰყავდა ასეთი წარმომადგენელი, რასაც იგი ვერ ადასტურებს.

საგზაო უწყისის 97-ე გრაფა, სადაც თითქოს ტვირთის დანიშნულების სადგურში მისვლის შეტყობინების შესახებ ჩაიწერა, საერთოდ არ არსებობს და ეს გარემოებაც, მოწინააღმდეგე მხარის მითითების მიუხედავად, სასამართლოს საერთოდ არ გამოუკვლევია. სასამართლომ არასწორად შეაფასა „ბ-სა» და „ჩ. ე-ის» შორის ტვირთის სატერმინალო მომსახურებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულება, მისავე ტექსტში დაფიქსირებული მხარეთა არჩევანის მიხედვით, რეგულირდება არა ქართული, არამედ ინგლისური სამართლით, შესაბამისად, თუ სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა უცხოური სამართლით რეგულირებული ხელშეკრულების განმარტება და გამოიყენა, მაშინ მას უნდა ეხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» კანონით და უნდა მიეღო საჭირო ზომები ინგლისური სამართლის შესაბამისი ნორმების არსის დასადგენად და გამოსაყენებლად, რაც მას არ გაუკეთებია. სასამართლო ხელშეკრულებას მოიხსენიებს და განიხილავს როგორც უბრალო დასაწყობების ხელშეკრულებას, რაც არ შეესაბამება ხელშეკრულების შინაარსს, ვინაიდან ხელშეკრულება ითვალისწინებს არა მხოლოდ ნავთობპროდუქტების რეზერვუარებში დასაწყობებას, არამედ ტვირთის რკინიგზიდან ტერმინალში მიღებისა და შემდგომ ტერმინალიდან გემებზე გაშვების მნიშვნელოვან და ამავდროულად ძალზე სპეციფიკურ სატერმინალო მომსახურებას. სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ დაასკვნა, თითქოსდა ხელშეკრულებით „ჩ. ე-ი» არ იყო ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილი და პასუხისმგებელი პირი. „ბ-ი» ვერ შესძლებდა ფოთის ტერმინალში თუნდაც საკუთარი ტვირთის მიღებასა და მომსახურებას არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას საქართველოში არავითარი წარმომადგენლობა და სამეწარმეო საქმიანობა არ გააჩნია, არამედ, იმიტომ, რომ ასეთ საქმიანობას ესაჭიროება სპეციალისტი და „ბ-ის» ასეთი გამოცდილება არ გააჩნია.

„ჩ. ე-ან» დადებული ხელშეკრულებით „ბ-ის» ეკუთვნოდა ტვირთზე საკუთრების უფლება. „ბ-ი» ადასტურებს, რომ იგი წარმოადგენდა ტვირთის მესაკუთრეს, ტვირთმფლობელს, მაგრამ აღნიშნული არ ადასტურებს, რომ იგი ასევე წარმოადგენდა ტვირთმიმღებს. ტვირთმიმღებს წარმოადგენდა ფოთის ტერმინალის ოპერატორი „ჩ. ე-ი», რაც დასტურდება არა მხოლოდ ადგილზე არსებული ფაქტობრივი ვითარებით, არამედ შესაბამისი დოკუმენტაციით, როგორიცაა, შესაბამისი ხელშეკრულება და ზედნადებები. მართალია, იმავე ზედნადებების ტვირთმიმღების გრაფაში „ჩ. ე-ან» ერთად მითითებულია „ბ-იც», მაგრამ მხოლოდ ზედნადებში არსებული შეცდომითი და ორაზროვანი ჩანაწერი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ „ბ-ი» მიჩნეულ იქნეს ტვირთმიმღებად. ის გარემოება, რომ „ბ-ი» წარმოადგენს არარეზიდენტ კომპანიას, რომელსაც საქართველოში არ ჰყავდა წარმომადგენლობა, დაქირავებული პერსონალი და სამეწარმეო საქმიანობა, სწორედაც რომ, გამორიცხავს მის ტვირთმიმღებობას. „ბ-ის» პასიური როლი და მონაწილეობა სადავო ურთიერთობებში შემოიფარგლებოდა იმით, რომ მან აზერბაიჯანში შეიძინა ნავთობპროდუქტები და იქვე

აზერბაიჯანში შეუკვეთა მისი ტრანსპორტირება საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე, ხოლო ტვირთის უშუალო გადაზიდვა, შუალედურ სადგურებსა თუ რეზერვუარებში ტვირთის მიღება-მომსახურება და საბოლოოდ ტანკერებზე დატვირთვა არა „ბ-ის», არამედ სხვა შესაბამისი კომპეტენცია-სპეციალიზაციის კომპანიების ვალდებულებას წარმოადგენდა, კერძოდ, სარკინიგზო გადაზიდვის ორგანიზება ევალებოდა რკინიგზას, ტვირთმიმღებს წარმოადგენდა „ჩ. ე-ი», ხოლო ექსპედიტორს, „ს-ა». სწორედ, ეს პირები წარმოადგენდნენ საქართველოს ტერიტორიაზე გადაზიდვის ხელშეკრულების მხარეებს, რაც ავტომატურად გულისხმობს, რომ ნებისმიერ დაგვიანება-მოცდენაზე ბრალეული პირი მათ შორის არის. ვაგონების დაყოვნებაზე სწორედ „ს-ა» არის პასუხისმგებელი, რაც თავად რკინიგზის წარმომადგენელმა აღიარა 2009 წლის 11 მარტს გამართულ სხდომაზე. მოცდენის მიზეზის დადასტურებას კონკრეტული მტკიცებულებები სჭირდება, რისთვისაც აღნიშნული ხელშეკრულება არ გამოდგება, ისევე, როგორც არ გამოდგება გადაწყვეტილებაში მითითებული სხვა ქმანები, რომლებიც შედგენილია 2004 წლის სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში, რადგანაც ვაგონების მიღება დაყოვნდა მხოლოდ დეკემბრის ბოლოსა და იანვრის დასაწყისში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 მაისის განჩინებით შპს „ს. რ-ის» შუამდგომლობის და წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე შპს „ს. რ-ის» უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სს „ს. რ-ა».

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ს. რ-სა» და „ბ. ლ-ის» საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ხოლო 394-ე მუხლის ე[1] პუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი არსებობს, თუკი გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა და მის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და, შესაბამისად, დავის სამართლებრივი შეფასების არასარწმუნოობა, კერძოდ, მოცემულ დავაზე სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

«ბ. ლ-ი» დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული კომპანიაა და საქართველოში არ აქვს წარმომადგენლობა. მისი დაკვეთით ტვირთს აზერბაიჯანიდან საქართველოში (ფოთში) სარკინიგზო ტრანსპორტის მეშვეობით აგზავნიდა აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია «ს-ი». ტვირთის მესაკუთრე იყო «ბ-ი», რომელიც წინასწარ იხდიდა ტვირთის გადაზიდვის ღირებულებას. შპს «ჩ. ე-სა» და «ბ-ს» შორის 2003 წლის 25 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება „დასაწყობებისა და გადატვირთების შესახებ», რომლის პირველი და მეორე მუხლების თანახმად, «ბ-ი» არის სივრცისა და მომსახურების მყიდველი (მომხმარებელი), ხოლო «ჩ. ე-ი» კი, სივრცისა და მომსახურების გამყიდველი. «ჩ. ე-ი» მდებარეობს ფოთში და წარმოადგენს სანაპირო რეზერვუარებს ფოთის საზღვაო პორტში. ხელშეკრულებით «ბ-ის» თავისი ხარჯებით «ჩ. ე-ის» უნდა მიეწოდებინა დიზელის საწვავი და ბენზინი 2003 წლის 30 დეკემბრიდან 2004 წლის 30 დეკემბრამდე. ხელშეკრულების მე-5 მუხლით, «ბ-ი» ვალდებული იყო, «ჩ. ე-სთან» შეეთანხმებინა გაგზავნისა და მიწოდების პროგრამა თითოეული თვის ბოლომდე, რათა განსაზღვრულიყო მომდევნო თვის მიწოდების გრაფიკი მოცდენების თავიდან აცილების მიზნით. მე-8 მუხლის თანახმად, ტერმინალზე დასაწყობებული პროდუქციის საკუთრების უფლება ეკუთვნოდა «ბ-ის». 2004 წლის 14 იანვარს შპს «ს. რ-ას» და შპს «ს-ას» (შემკვეთი, ექსპედიტორი) შორის დადებული №მც-20 ხელშეკრულების №2.2.4 პუნქტით, «ს-ა» უზრუნველყოფს გადაზიდვის დაწყებამდე სარკინიგზო გადაზიდვის ღირებულებას და სხვა დამატებითი სამუშაოების საფასურის გადახდას. ამავე ხელშეკრულების №2.2.4 პუნქტით «ს-ამ» იკისრა მხოლოდ გადაზიდვის დაწყებამდე გადაზიდვის ღირებულების გადახდა.

საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევით «ბ. ლ-ი» ტვირთმიმღებს და, შესაბამისად, მოცემულ დავაში სათანადო მოპასუხეს წარმოადგენს. ეს ფაქტობრივი გარემოება სააპელაციო პალატამ (იხ.გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.4 პუნქტი) თვით «ბ. ლ-სა» და შპს «ჩ. ე-ს» შორის 2003 წლის 25 დეკემბერს დადებული „დასაწყობებისა და გადატვირთების შესახებ» ხელშეკრულების ანალიზით დაადგინა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ მიმართებით კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. გადაზიდვის ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, ამ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ერთმნიშვნელოვნად და იმპერატიულად დადგენილია გადაზიდვის

ხელშეკრულების – ზედნადების წერილობითი ფორმა და იურიდიული ძალა. სამოქალაქო კოდექსის 677-ე მუხლის თანახმად, საპირისპიროს დამტკიცებამდე ზედნადები (კონოსამენტი ან გადაზიდვებში მიღებული სხვა ფორმები) არის მტკიცებულება იმისა, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ტვირთი გადამზიდველს მიღებული აქვს. ამავე კოდექსის 674-ე მუხლი კი იმპერატიულად განსაზღვრავს რა ზედნადების რეკვიზიტებს, „ე» ქვეპუნქტით ზედნადებში უნდა მიეთითოს მიმღების სახელი და მისამართი. კანონის აღნიშნული დანაწესების საპირისპიროდ დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად ვერ განიხილება კასატორის მითითება, რომ, მართალია, ზედნადებების ტვირთმიმღების გრაფაში „ჩ. ე-ან» ერთად მითითებულია «ბ. ლ-ი», მაგრამ მხოლოდ ზედნადებში არსებული შეცდომითი და ორაზროვანი ჩანაწერი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ „ბ-ი» მიჩნეულ იქნეს ტვირთმიმღებად. მტკიცებულების ამგვარი შეფასება მხოლოდ მხარის მოსაზრებას ეფუძნება, იგი სარწმუნოდ დადასტურებული არ არის და ამავე მტკიცებულებით პრეზუმირებული ფაქტის – ტვირთმიმღების ვინაობის უარსაყოფად დამაჯერებელი არ არის.

ასევე ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული მხარის მტკიცება, რომ რადგანაც «ბ. ლ-ი» წარმოადგენს არარეზიდენტ კომპანიას, რომელსაც საქართველოში არ ჰყავდა წარმომადგენლობა, დაქირავებული პერსონალი და სამეწარმეო საქმიანობა, ეს ფაქტები გამორიცხავს მის ტვირთმიმღებობას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორ «ბ. ლ-ის» მოსაზრებას, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება, მისავე ტექსტში დაფიქსირებული მხარეთა არჩევანის მიხედვით, რეგულირდება არა ქართული, არამედ ინგლისური სამართლით, შესაბამისად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» კანონით და უნდა მიეღო საჭირო ზომები ინგლისური სამართლის შესაბამისი ნორმების არსის დასადგენად და გამოსაყენებლად.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ კასატორის მიერ დასახელებული „დასაწყობებისა და გადატვირთების შესახებ» ხელშეკრულება დაიდო შპს «ჩ. ე-სა» და «ბ-ს» შორის, ხოლო მოსარჩელე შპს „ს. რ-ა» ამ ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ «ბ. ლ-ი» დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული კომპანიაა და საქართველოში არ აქვს წარმომადგენლობა, საქართველოს სასამართლოებს მოცემული დავის განხილვის კომპეტენცია აქვთ. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ტვირთის გადაზიდვისას წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი, ხოლო ვალდებულების შესრულების ადგილად განსაზღვრულია საქართველო, ქ.ფოთი. აღნიშნულს ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები – საგზაო უწყისები, რომელთა მიხედვით, ტვირთის ექსპორტიორი და ტვირთმიმღები იყო კომპანია «ბ-ი» «ჩ. ე-ის» რეზერვუარებში, რომელიც მდებარეობდა შემდეგ მისამართზე – საქართველო, ფოთი. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ: ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა; გ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა;

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს შემდეგი:

მხარეთა შორის სადავოა 2004 ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში ვალდებულების შეუსრულებლობა – გადაზიდული ტვირთის ვადაში მიუღებლობით მიყენებული ზიანი, რამაც ვაგონ-ცისტერნების მოცდენა გამოიწვია.

სამოქალაქო კოდექსის 683-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ დანიშნულების ადგილზე ტვირთის მისვლის შემდეგ წარმოიშობა ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები, გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს გამგზავნის მითითებები. თუ მიმღები უარს ამბობს ტვირთის მიღებაზე, გამგზავნი უფლებამოსილია, თვითონ განკარგოს ტვირთი ზედნადების პირველი პირის წარმოდგენის გარეშეც. «სარკინიგზო კოდექსის» 25-ე მუხლის მე-5 ნაწილით რკინიგზა ვალდებულია, დანიშნულების რკინიგზის სადგურში ტვირთის მიტანის შესახებ შეატყობინოს ტვირთმიმღებს. თუ რკინიგზა ტვირთის მიტანის შესახებ ვერ ატყობინებს ტვირთმიმღებს ამ უკანასკნელის მიზეზით, პასუხისმგებლობა ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნებისა და ტვირთის შენახვისათვის ეკისრება ტვირთმიმღებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა მითითებული ნორმა, კერძოდ, პალატამ მიუთითა, რომ სარკინიგზო კოდექსით შეტყობინების სავალდებულო წერილობითი ფორმა არ არის დადგენილი და გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ შპს «ს. რ-ა» მსგავს შეტყობინებებს ტელეფონის მეშვეობით გადასცემდა. ამასთან, პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებზე (საგზაო უწყისები), რომლითაც ირკვევა, რომ შპს «ს. რ-ა» დროულად ატყობინებდა მოპასუხის წარმომადგენელებს დანიშნულების სადგურში (სადგური – ფოთი) მათი ტვირთის ჩამოსვლის შესახებ, რაც დასტურდება საგზაო უწყისებში შესაბამისი ჩანაწერით 97-ე გრაფაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სარკინიგზო კოდექსით წერილობითი ფორმით შეტყობინება დადგენილი არ არის, თუმცა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2003 წლის 16 აპრილი №26 ბრძანებით დამტკიცებული რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების 352-ე მუხლით დეტალურად არის განსაზღვრული შეტყობინების წესი, კერძოდ: 1. რკინიგზა მოვალეა, შეატყობინოს ტვირთმიმღებს დანიშნულების სადგურში მისი მისამართით მიტანილი ტვირთის შესახებ ტვირთის მიტანის მომდევნო დღის არა უგ-

ვიანეს 12 საათისა; 2. მიტანილი ტვირთის შესახებ შეტყობინების წესსა და ფორმას ადგენს დანიშნულების სადგური. ტვირთმიმღების წინადადებით შეიძლება გავისაზღვროს შეტყობინების სხვაგვარი წესი. შეტყობინებისთვის გამოიყენება კავშირგაბმულობის არსებული საშუალებები; 3. შეტყობინების მიღების უზრუნველსაყოფად ტვირთმიმღები გამოყოფს შეტყობინების მიმღებ პასუხისმგებელ პირს, რომლის გვარი, ტელეფონის, ფაქსის ან ტელექსის ნომერი წერილობით ეცნობება დანიშნულების სადგურს; 4. შეტყობინების გადაცემა რეგისტრირდება სადგურში ტვირთის მიტანის შეტყობინებათა დავთარში; 5. ტვირთის მიტანის შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს შეტყობინების გადაცემის თარიღი და დრო. ამავე წესების 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, თუ სადგური ტვირთის მიტანის შესახებ არ შეატყობინებს ტვირთმიმღებს, ტვირთმიმღები თავისუფლდება ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობისა და ტვირთის შენახვის საფასურის გადახდისაგან ტვირთის მიტანის შეტყობინების მიღებამდე.

აღნიშნული ნორმების ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ გადაზიდვის სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებში ვალდებულების შესრულების შეტყობინების ვადა უშუალოდ კანონიდან გამომდინარეობს და ნორმატიული ნებით იმპერატიულად განისაზღვრება. ამდენად, ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება აკისრია რა გადამზიდველს, ს.რ-ას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ მოქმედების განხორციელების მტკიცების ტვირთიც მის მხარეზეა.

მოცემულ შემთხვევაში ტვირთმიმღები სადავოდ ხდის რა რკინიგზის მიერ ვალდებულების შესრულებას – შეტყობინების განხორციელებას, ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის თაობაზე ტელეფონით შეტყობინების შესახებ დასადასტურებლად მხოლოდ მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტება და ამავე მხარის მიერ ცალმხრივად შედგენილ აქტში – საგზაო უწყისის 97-ე გრაფაში მითითება დამაჯერებლობას მოკლებულია და იგი დამატებით სარწმუნოდ დამტკიცებას საჭიროებს. ამასთან, აღნიშნულ საკითხზე არსებობს რა სასამართლო პრაქტიკა (ას-511-485-2011, 13 ივნისი, 2011 წელი), სააპელაციო სასამართლოს განჩინება ამ საკითხზე არ შეიცავს დადგენილი პრაქტიკის საწინააღმდეგო კანონიერ დასაბუთებას, რის გამოც ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება გაზიარებული ვერ იქნება.

საქმის ხელახლა განხილვის შედეგად, თუკი დადგინდება გადამზიდველის მიერ ვალდებულების – ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის შეტყობინების სათანადოდ შეუსრულებლობა, ასევე გამოსაკვლევი და შესაფასებელია ტვირთმიმღების მოქმედების კანონიერებაც სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის დანაწესების შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მთლიანად ვალდებულების შესრულებაზე, და არა შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობაზეა ორიენტირებული, რასაც ამ კოდექსის ძირითადი პრინციპებისა და ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების ანალიზი ადასტურებს. ვალდებულების დროული შესრულება, უპირველესად, კრედიტორის ინტერესშია და მის მატერიალურ უფლებას წარმოადგენს. ამავდროულად, ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში კანონი მოვალის უფლებების გათვალისწინებით ადგენს, კრედიტორის მოვალეობას ვალდებულების შესრულების ჯეროვანი განხორციელებისთვის. აღნიშნულის დასტურია სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლის დანაწესი, რომლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, თუ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილებად ჩაითვლება, თუ იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს.

მოცემულ შემთხვევაში «ბ. ლ-ი» წარმოადგენდა რა ტვირთის მესაკუთრეს და ტვირთმიმღებს, ცხადია, ტვირთის ვადაში მიღება უპირველესად მის ინტერესში იყო, შესაბამისად, ტვირთის დაგვიანებით მიღების შედეგად წარმოშობილ ხარჯებში მისი ბრალეულობა დასადგენია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, დაადგინოს განჩინების კვლევით ნაწილში მითითებული საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს „ს. რ-სა» და „ბ. ლ-ის» საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საბანკო გარანტია

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ას-1303-1229-2012 15 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: კრედიტორთა სიაში აღრიცხვა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს. კ. ვ-ის» მიმართ მოპასუხისათვის 13500 ლარის დაკისრებისა და ამ თანხის მოთხოვნის უფლების მქონე კრედიტორად მოსარჩელის აღრიცხვის დავალდებულების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2011 წლის 12 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „ფ. 777-ს» შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №99 ხელშეკრულება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყ-სათვის საჯარო სკოლის შენობის მოწყობის სამუშაოების შესრულების თაობაზე. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 269555 ლარით, სამუშაოების შესრულების ვადა – 2011 წლის 5 სექტემბრამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2011 წლის 30 ნოემბრამდე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, შპს „ფ. 777» გაფრთხილდა 2011 წლის 25 აგვისტოს №01-11/1815 წერილით, ხოლო 2011 წლის 5 სექტემბრის №01-11/1915 წერილით შპს „ფ. 777-ს» ეცნობა, ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის გამო, პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, შპს „ფ. 777-ს» ვალდებულების შესრულება არ განუახლებია. 2011 წლის 8 ივლისსა და 12 ივლისს შპს „ს. კ. ვ-მა» გასცა საავანსო ანგარიშსწორებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №688 განკარგულებით შპს „ს. კ. ვ-ს» გაუუქმდა დაზღვევის საქმიანობის ლიცენზია და დაიწყო მისი გაკოტრების საქმის წარმოება, ხოლო საზოგადოების გაკოტრების მმართველს მოსარჩელე კრედიტორთა სიაში არ აღურიცხავს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

„მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის» მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებისას სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედება წყდება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების თაობაზე ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან, შესაბამისად, 2011 წლის 14 სექტემბრიდან – ეროვნული ბანკის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან ავტომატურად შეწყდა შპს „ს. კ. ვ-ის» მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ 2011 წლის 8 ივლისს გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის №017/004 საბანკო გარანტიის მოქმედება. ბენეფიციარის 2011 წლის 17 ნოემბრის წერილობითი მოთხოვნა გარანტის მიმართ წარდგენილია საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის შეწყვეტის შემდეგ, მაშინ, როდესაც, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში უნდა წარედგინოს, ამ ვალდებულების დარღვევამ კი მოსარჩელის მოთხოვნის შპს „ს. კ. ვ-ის» ვალდებულებად აღურიცხაობა გამოიწვია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ 2011 წლის 12 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „ფ. 777-ს» შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №99 ხელშეკრულება, რომლითაც მიმწოდებელმა ივალდებულა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყ-სათვის საჯარო სკოლის შენობის მოწყობის სამუშაოების შესრულება. შპს „ს. კ. ვ-ის» მიერ 2011 წლის 8 და 12 ივლისს გაცემულია საავანსო ანგარიშსწორებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები. საქართველოს ეროვ-

ნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №688 განკარგულების საფუძველზე შპს „ს. კ. ვ-ს» გაუუქმდა დაზღვევის საქმიანობის ლიცენზია და დაიწყო მისი გაკოტრების საქმის წარმოება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გაკოტრების მმართველს არ აუსახავს კრედიტორთა სიაში. პალატა ასევე დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, 887-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის შესახებ» საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლ პუნქტზე და არ იქნა გაზიარებული აპელანტის მტკიცება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონის არასწორ განმარტებასთან მიმართებით და, რომ სასამართლოს არ შეუმოწმებია, ვრცელდებოდა თუ არა მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობებზე „დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონის 271 მუხლის მე-3 პუნქტი. პალატამ, კანონის ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე განმარტა, რომ მზღვეველს ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაშიც უნარჩუნდება ვალდებულება, შეასრულოს ადრინდელი ვალდებულებები, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ვალდებულებები უნდა შესრულდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე. მართალია, შპს „ს. კ. ვ-ის» მიერ 2011 წლის 8 ივლისს 13500 ლარზე გაცემული №017/004 BG.ჩ საბანკო გარანტია მოქმედებდა 2011 წლის 11 დეკემბრამდე, მაგრამ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №688 განკარგულებით შპს „ს. კ. ვ-ს» გაუუქმდა დაზღვევის საქმიანობის ლიცენზია და მის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება. ლიცენზიის გაუქმება იწვევს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანების მე-20 მუხლით განსაზღვრულ შედეგს. „დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონის 271 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს ვალდებულების შესრულების აუცილებლობას, მაგრამ განსაზღვრავს შესრულების ვადას და ამ ვადად ადგენს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლას, ხოლო კანონქვემდებარე აქტი (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანების მე-20 მუხლი) ხელშეკრულებების მოქმედების შეწყვეტის ვადას უკავშირებს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ გარანტიის ვადად განისაზღვრა 2011 წლის 12 დეკემბერი, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №688 განკარგულების საფუძველზე, მისი მოქმედება შეწყდა, რაც „დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონის 271 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ათავისუფლებს მზღვეველს, მისი მოქმედების ვადის გასვლის გამო, ასეთი გარანტიის შესრულების ვალდებულებისაგან.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით დაარღვია კანონი, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» და „გ» ქვეპუნქტების შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. კასატორმა მიუთითა „დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონის 271 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლითაც განსაზღვრულია მზღვეველის ვალდებულება, ეროვნული ბანკის მიერ სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან არ განახორციელოს შესაბამისი ლიცენზიით განსაზღვრული სადაზღვევო საქმიანობა, გარდა იმისა, რომელიც მას ადრე ჰქონდა აღებული სადაზღვევო ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულების მოქმედების გასვლამდე. კასატორის განმარტებით, კანონით დადგენილი ზოგადი წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანება „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ», რომლის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მსგავსი შემთხვევისას სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება ლიკვიდაციის და/ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა და/ან ისეთი შემთხვევისა, როდესაც მოქმედი ხელშეკრულების შეწყვეტა უფრო დიდი საფრთხის მატარებელია, ვიდრე მისი მოქმედების გაგრძელება. სასამართლოს არ უმსჯელია სადავო ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდა თუ არსებობდა ბრძანებით დადგენილი საწინააღმდეგო შემთხვევა. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება და შეფასება მიეცა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მიზნისათვის, რომლის დარღვევაც უფრო დიდ ზიანს გამოიწვევდა, ვიდრე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანება და არასწორად განმარტა „დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონის 271-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „უ» ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა, ხოლო ამავე პალატის 2012 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით მისი საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა» ქვეპუნქტის საფუძველზე და საქმის განხილვა, ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საკასაციო საჩივრის ფარგლებში გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „ფ. 777-ს» შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №99 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელმა შპს „ფ. 777-მა» ივალდებულა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყ-სათვის საჯარო სკოლის შენობის მოწყობის სამუშაოების შესრულება.

შპს „ს. კ. ვ-მა» 2011 წლის 8 ივლისსა და 12 ივლისს გასცა საავანსო ანგარიშსწორებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №688 განკარგულების საფუძველზე, გაუქმდა შპს „ს. კ. ვ-ის» დაზღვევის საქმიანობის ლიცენზია და დაიწყო კომპანიის გაკოტრების საქმის წარმოება.

შპს „ს. კ. ვ-ის» გაკოტრების მმართველს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კრედიტორთა სიაში არ აუსახავს.

13500 ლარზე 2011 წლის 8 ივლისს მოპასუხის მიერ გაცემული №017/004 BG.ჩ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2011 წლის 11 დეკემბერი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ წერილობითი მოთხოვნა გარანტის მიმართ 2011 წლის 17 ნოემბერს წარადგინა.

სააპელაციო სასამართლოს დაკვნით, მიუხედავად იმისა, რომ საბანკო გარანტიის ვადა 2011 წლის დეკემბრამდე იყო, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №688 განკარგულების საფუძველზე, მისი მოქმედება შეწყდა, რაც „დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონის 271-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მისი მოქმედების ვადის გასვლის გამო ათავისუფლებს მზღვეველს ასეთი გარანტიის შესრულების ვალდებულებისაგან.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა, ვინაიდან კასატორის საკასაციო პრეტენზია ეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლობაზე მითითებას, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა კანონი. საკასაციო პალატა საკასაციო პრეტენზიის მართებულობის შემოწმების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

განსახილველი დავის საგანია მოპასუხისათვის 13500 ლარის დაკისრება და მისი დავალდებულება, რათა მოსარჩელე აღირიცხოს დაკისრებული თანხის კრედიტორად. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეთა შორის არსებობდა საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „ფ. 777-ს» შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №99 ხელშეკრულება, კერძოდ, შპს „ს. კ. ვ-ი» (გარანტი) კისრულობდა საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის (13500 ლარი) გადახდას, შპს „ფ. 777»-ის (პრინციპალი) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ბენეფიციარი) პირველი მოთხოვნისთანავე.

მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ შპს „ფ. 777»-ის მიერ დარღვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №99 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რის გამოც 2011 წლის 17 ნოემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შპს „ს. კ. ვ-ს» წარუდგინა წერილობითი მოთხოვნა 2011 წლის 8 ივლისს მოპასუხის მიერ გაცემული №017/004 BG.ჩ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდაზე, რაზეც უარი მიიღო. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის სამართლებრივი პოზიციის გაზიარებით მიიჩნიეს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი გაქარწყლებული იყო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, კერძოდ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მოთხოვნის წარდგენა გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრებამდე.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის დებულებაზე, რომლის მიხედვითაც საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნა-

კისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამავე კოდექსის 885-ე მუხლით დადგენილია მოთხოვნის წარდგენის ფორმა და ვადები. ვინაიდან, განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია ვადების განსაზღვრა, პალატა მოიხმობს 885-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის შესაბამისად, ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა. ამდენად, პალატის მიერ დასახელებულ ნორმათა ანალიზის შედეგად ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: თუ ბენეფიციარის მოთხოვნა აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს – წარდგენილია გარანტიაში მითითებული დოკუმენტები, მითითებულია ის, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია, და დაცულია მოთხოვნის წარდგენის ვადა – მოთხოვნა წარდგენილია გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა, გარანტს წარმოეშობა ვალდებულება გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულადი თანხა.

როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსიდან ირკვევა, სააპელაციო სასამართლო ერთის მხრივ ადგენს, რომ 2011 წლის 8 ივლისს მოპასუხის მიერ გაცემული №017/004 BG.ჩ საბანკო გარანტია მოქმედებდა 2011 წლის 11 დეკემბრამდე, ხოლო მეორეს მხრივ, განმარტავს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №688 განკარგულების საფუძველზე, სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად შეწყდა, შესაბამისად 2011 წლის 14 სექტემბრამდე შეეძლო ბენეფიციარს მოთხოვნის წარდგენა და არა შემდგომ პერიოდში. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ამგვარი მოსაზრება არ გამომდინარეობს კანონის ნორმათა სწორი განმარტებიდან შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №688 განკარგულების საფუძველზე, გაუქმდა შპს „ს. კ. ვ-ის» დაზღვევის საქმიანობის ლიცენზია და დაიწყო კომპანიის გაკოტრების საქმის წარმოება. „დაზღვევის შსახებ» საქართველოს კანონის 271 მუხლის მე-3 პუნქტის, მიხედვით, ეროვნული ბანკის მიერ სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ ან ამ კანონის მე-2 მუხლის „გ.ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფილიალის (წარმომადგენლობის) საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მზღვეველს არა აქვს უფლება, განახორციელოს შესაბამისი ლიცენზიით განსაზღვრული სადაზღვევო საქმიანობა, გარდა იმ ვალდებულებების შესრულებისა, რომლებიც მას ადრე ჰქონდა აღებული დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, მისი მოქმედების ვადის გასვლამდე. დასახელებული ნორმის სიტყვა-სიტყვითი და ლოგიკური განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში, მზღვეველს ეკრძალება ლიცენზიით განსაზღვრული სადაზღვევო საქმიანობის განხორციელება, ამასთან, კანონმდებელმა მზღვეველი ლიცენზიის მოქმედების პერიოდში აღებული ვალდებულებების მიმართ კვლავ უფლებამოსილ პირად დაადგინა, იმ ვადით, რა ვადითაც ლიცენზიის გაუქმებამდე დადებული ხელშეკრულებები მოქმედებდა. „დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონთან მიმართებაში მნიშვნელოვანია განიმარტოს ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის» მე-20 მუხლი, რომლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მზღვეველის ლიკვიდაციისა და/ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებისას, სადაზღვევო ხელშეკრულებების მოქმედება წყდება ლიკვიდაციის/გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების თაობაზე ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა და/ან ისეთი შემთხვევისა, როდესაც მოქმედი ხელშეკრულების შეწყვეტა უფრო დიდი საფრთხის მატარებელია ვიდრე მისი მოქმედების გაგრძელება. ლიკვიდატორი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაუბრუნოს დამზღვევს/დაზღვეულს სადაზღვევო შესატანი, შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და ოდენობით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი არ უნდა იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ მზღვეველის ლიკვიდაციის და/ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებას ყველა შემთხვევაში მოყვება სადაზღვევო ხელშეკრულებების მოქმედების შეწყვეტა, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ადგენს საგამონაკლისო შემთხვევებსაც, რა დროსაც გრძელდება ხელშეკრულების მოქმედება, ასეთია, კანონით გათვალისწინებული შემთხვევები და/ან ისეთი შემთხვევა, როდესაც მოქმედი ხელშეკრულების შეწყვეტა უფრო დიდი საფრთხის მატარებელია ვიდრე მისი მოქმედების გაგრძელება. კანონქვემდებარე ნორმის ამგვარი დანაწესი წინააღმდეგობაში არ მოდის კანონის ნორმასთან და იგი უნდა განხივიხილოთ როგორც კანონით დადგენილი ნორმის შემავსებელი დებულება. საკასაციო პალატის დასკვნით, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის დათქმა – „გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა», არ აკონკრეტებს თუ რომელ კანონზეა საუბარი, ამიტომ სრულებით შესაძლებელია ამ შემთხვევაში მოვიაზროთ „დაზღვევის შსახებ» საქართველოს კანონის 271-ე მუხლის მე-3 პუნქტის საგამონაკლისო მითითებაც. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის, „დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126 ბრძანების დებულებები უნდა განიმარტოს არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, არამედ სისტემურად.

მხარეთა შორის სადავო არაა, რომ მათ შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ეროვნული ბანკის მიერ შპს „ს. კ. ვ-სათვის» ლიცენზიის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ასევე დადგენილია, რომ წერილობითი მოთხოვნა გარანტის მიმართ 2011 წლის 17 ნოემბერს იქნა წარდგენილი, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს წარმოეშვა ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ, რაც შესრულებული არ არის. სამოქალაქო კოდექსის 888-ე მუხლის მიხედვით, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია. ამავე კოდექსის 889-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება: ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია, გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა ან ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას. განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ სახეზეა გარანტის ვალდებულების შეწყვეტის რომელიმე საფუძველი, შესაბამისად, მოპასუხე კვლავ რჩება ვალდებულ პირად მოსარჩელის წინაშე, გადაიხადოს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, რაც შპს „ს. კ. ვ-სათვის» თანხის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო პალატა მიუთითებს „დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონის 334 მუხლზე, რომლითაც მოწესრიგებულია მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „ა» ქვეპუნქტის თანახმად, გაკოტრების მმართველი ვალდებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში» და ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს განცხადება მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის ვადაში; ეს განცხადება განმეორებით უნდა გამოქვეყნდეს პირველი განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში. ამ განცხადებითვე დგინდება მზღვეველის ვალდებულება კრედიტორებისადმი. მზღვეველის კრედიტორებმა გაკოტრების მმართველს განცხადების მეორედ გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში უნდა წარუდგინონ დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნა თავიანთი კრედიტორული მოთხოვნის ოდენობისა და საფუძვლების მითითებით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ 2011 წლის 17 ნოემბრის შემდეგ, მოსარჩელემ 2011 წლის 12 დეკემბერს კვლავ მიმართა შპს „ს. კ. ვ-ის» გაკოტრების მმართველს და მოსთხოვა საბანკო გარანტიაში მითითებული თანხის მზღვეველის ვალდებულებებში ასახვა, რაც დავის განხილვის დროისათვის დაკმაყოფილებული არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის მითითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორებებზე, რომელთა გაზიარების შედეგადაც სასარჩელო მოთხოვნები საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე საქმის პირველი, სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვისას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „უ» ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით კი სრულად დაკმაყოფილდა მისი სარჩელი, რომლის საგნის ღირებულებაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, 13500 ლარია, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „ს. კ. ვ-ს» სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საქმის განხილვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ბაჟის გადახდა შემდეგი ოდენობით: პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისათვის – 405 ლარი (13500 ლარის 3%), სააპელაციო სასამართლოში – 540 ლარი (13500 ლარის 4%), ხოლო საკასაციო სასამართლოში – 675 ლარი (13500 ლარის 5%), სულ 1620 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. დაევალოს შპს „ს. კ. ვ-ს» (გაკოტრების მმართველი კ.ვ-ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აღრიცხოს 2011 წლის 8 ივლისის №017/004 ВЋ.Ђ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე 13500 ლარის მოთხოვნის მქონე კრედიტორად და დაეკისროს 13500 ლარის გადახდა სამინისტროს სასარგებლოდ.

4. შპს „ს. კ. ვ-ს» (ს/№...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს საქმის განხილვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ბაჟის – 1620 ლარის ანაზღაურება.

5. სახელმწეიფო ბაჟი ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა» ბანკის კოდი თღEშGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150.

6. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სადაზღვევო შენატანის გადახდის ვალდებულება

განჩინება

№ას-719-674-2010 27 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ.სულხანიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სადაზღვევო შესატანის გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 5 ოქტომბერს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია «ი-მა» მოპასუხე ა. მ-ძის მიმართ.

განმცხადებელმა მოითხოვა გადახდის ბრძანების გაცემა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ სრული სადაზღვევო შესატანის გადაუხდელი ნაწილის – 4462.5 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად განმცხადებელი შემდეგ გარემოებებზე მიუთითებდა:

2008 წლის 17 აპრილს სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია «ი-სა» და ა. მ-ძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სიცოცხლის დაზღვევის შესახებ და გაიცა სიცოცხლის დაზღვევის სერთიფიკატი №... ამ სერთიფიკატის თანახმად, მოპასუხეს კომპანიისათვის უნდა გადაეხადა სადაზღვევო შესატანი (პრემია) 8925 აშშ დოლარის ოდენობით, კერძოდ, 4462.50 აშშ დოლარი არაუგვიანეს 2008 წლის 25 აპრილისა, ხოლო დანარჩენი 4462.50 აშშ დოლარი არაუგვიანეს 2008 წლის 25 ოქტომბრისა. სადაზღვევო პრემიის ნაწილი ა. მ-ძემ გადაიხადა, ხოლო პრემიის მეორე ნაწილი ამ დრომდე გადაუხდელი იყო. 2009 წლის 15 ივნისის წერილით სადაზღვევო კომპანიამ შეახსენა მოპასუხეს თავისი ვალდებულების შესახებ და გააფრთხილა, რომ მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართავდა სასამართლოს. მიუხედავად ამისა, ა. მ-ძეს ვალდებულება არ შეუსრულებია.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 ოქტომბრის გადახდის ბრძანებით ა. მ-ძეს დაეკისრა სადაზღვევო შესატანის გადაუხდელი თანხის 4462 აშშ დოლარის გადახდა სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია «ი-ის» სასარგებლოდ.

ა. მ-ძემ შესაგებელი (პროტესტი) შეიტანა გადახდის ბრძანების წინააღმდეგ.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია «ი-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა, ა. მ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4462.5 აშშ დოლარის გადახდა გადახდის დროისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად, მასვე სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია «ი-ის» სასარგებლოდ დაეკისრა წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 226 ლარისა და წარმომადგენლისათვის გადახდილი თანხის 300 ლარის ანაზღაურება.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 17 აპრილს ა. მ-ძესა და სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია «ი-სს» შორის გაფორმდა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება;

მხარეთა შეთანხმებით სიცოცხლის დაზღვევის პერიოდი განისაზღვრა 2008 წლის 17 აპრილიდან 2009 წლის 16 აპრილამდე დროის მონაკვეთით, სადაზღვევო პრემია – 8 925 აშშ დოლარით, პრემიის გადახდის

წესი – ორჯერადი შენატანით, პირველი არაუგვიანეს 2008 წლის 25 აპრილამდე (4 462.5 აშშ დოლარი), მეორე არაუვიანეს 2008 წლის 25 ოქტომბრამდე (4 462.5 აშშ დოლარი);

ა. მ-ძემ 2008 წლის 24 აპრილს გადაიხადა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილი 4462.5 აშშ დოლარი, იმ დროისათვის არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში – 6505 ლარი;

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების 6.1.3 პარაგრაფის თანახმად, ა. მ-ძე ვალდებული იყო სრულად და დროულად გადაეხადა სადაზღვევო პრემია;

ა. მ-ძემ დაარღვია 2008 წლის 17 აპრილს მასა და სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია «ი-ს» შორის დადებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება, მან არ გადაიხადა სადაზღვევო პრემიის მეორე ნაწილი 4462.5 აშშ დოლარი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. მ-ძე ვალდებული იყო სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია «ი-თვის» აენაზღაურებინა მიუღებელი პრემია 4462.5 აშშ დოლარი, გადახდის დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად.

გადაწყვეტილების გამოტანისას რაიონულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ამავე კოდექსის 815-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები. კანონის დასახელებული ნორმების თანახმად, დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია); დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი მხოლოდ დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ. თუ დაზღვევის ინტერესი დაიკარგა, მაშინ მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მოპასუხე მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია მტკიცებულება (მიმართვა ან/და წერილი სადაზღვევო კომპანიის მიმართ) რაც დაადასტურებდა ა. მ-ძის მხრიდან დაზღვევის ინტერესის დაკარგვას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. მ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის განჩინებით ა. მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სადაზღვევო კომპანია არ იყო უფლებამოსილი მოეთხოვა სადაზღვევო პრემია დაზღვევის ვადის გასვლის შემდეგ.

აღნიშნულან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 799.2, 815-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ სადაზღვევო პრემიის გადახდა დამზღვევის ვალდებულებაა; დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ, დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ვინაიდან ა. მ-ძემ მიიღო დაზღვევის დამადასტურებელი საბუთი – სიცოცხლის სერთიფიკატი, იგი მოვალე იყო გადაეხადა სადაზღვევო შესატანი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მას ვალდებულება არ უნდა შეესრულებინა დაზღვევის მიმართ ინტერესის დაკარგვის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის მე-2 ნაწილი არეგულირებს შემთხვევას, როდესაც დაზღვევისადმი ინტერესის დაკარგვის გამო, დამზღვევი გადის ხელშეკრულებიდან. ასეთ დროს, მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ის შესატანი, რომელიც შეესაბამდებოდა ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა არის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ, ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლა არის ცალმხრივი ნების გამოვლენა. სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის ნება გამოლენილად ჩაითვლებოდა, თუკი იგი მიუვიდოდა დამზღვევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ა. მ-ძეს მოწინააღმდეგე მხარისათვის უნდა ეცნობებინა დაზღვევისადმი ინტერესის დაკარგვის თაობაზე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. მ-ძე სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებიდან არ გასულა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არასწორი იყო აპელანტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ სადაზღვევო პრემიის არადროული შეტანა სადაზღვევო კომპანიას ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან, ანუ მის მიერ მოთხოვნილი თანხა არ შეესაბამებოდა სადაზღვევო რისკის ხანგრძლივობას. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგზე:

მართალია, მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება სიცოცხლის დაზღვევის შესახებ, რომლის 4.1 პუნქტის თანახმად, სადაზღვევო პრემია უნდა გადაეხადა დამზღვევს მზღვეველისათვის ერთჯერადად, ხოლო 4.2 პუნქტის მიხედვით, პრემია უნდა გადახდილიყო სრული ოდენობით ხელშეკრულების გაფორმებისას,

თუმცა შემდგომში, მხარეები შეთანხმდნენ სადაზღვევო პრემიის გადახდის სხვა წესზე, რაც აისახა დაზღვევის დამადასტურებელ მოწმობაში – სიცოცხლის დაზღვევის სერთიფიკატში. სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ მზღვეველს მოვალეობისაგან ათავისუფლებს მხოლოდ პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის გადაუხდელობა. მოცემულ შემთხვევაში ა. მ-ძეს პირველადი შესატანი გადახდილი ჰქონდა. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიას ვალდებულება წარმოეშვა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ასევე სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სადაზღვევო შენატანის არადროული გადახდის შემთვევაში, მზღვეველი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება მას შემდეგ, რაც უშედეგოდ გავა მის მიერ სადაზღვევო შესატანის შეტანისათვის დადგენილი დამატებითი ვადა. მოცემულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარეს ა. მ-ძისათვის არ დაუდგენია დამატებითი ვადა სადაზღვევო პრემიის შესატანად, ამიტომ იგი დაზღვევის პირობების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

სააპელაციო სასამამართლომ აღნიშნა, რომ რამდენადაც საქალაქო სასამართლომ პროტესტი (შესაგებელი) გადახდის ბრძანებაზე დასაშვებად მიიჩნია და განიხილა სასარჩელო წარმოების წესით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 308.1 მუხლიდან გამომდინარე, სახეზე იყო საქმეზე გამოტანილი გადახდის ბრძანების გაუქმების საფუძველიც.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. მ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგს:

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ა. მ-ძე (დამზღვევი) არ გასულა ხელშეკრულებიდან, რის გამოც მან უნდა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანის დარჩენილი ნაწილი. სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არასწორი დასკვნის გაკეთება გამოიწვია სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის არასწორმა განმარტებამ და მხარეთა შორის 2008 წლის 17 აპრილს დადებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების არასწორმა შეფასებამ. კერძოდ, მითითებული ხელშეკრულება დაიდო საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე. 2007 წლის 26 დეკემბერს სს «... ბანკსა» და შპს «ი-2000-ს» შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის 8.2 პუნქტის მიხედვით, შპს «ი 2000-ის» 100%-იანი წილის მფლობელ ა. მ-ძეს 2008 წლის 1 თებერვლამდე უნდა დაეზღვია საკუთარი სიცოცხლე სს «... ბანკის» სასარგებლოდ 1000000 აშშ დოლარად, 12 თვის ვადით, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს «ი 2000-ზე» სესხის სახით გაიცა 800000 აშშ დოლარი, რომელიც ამ უკანასკნელმა დააბრუნა 2008 წლის 5 ივნისისათვის, ანუ ა. მ-ძის მიერ სადაზღვევო პრემიის მეორე ნაწილის გადახდის ვადის დადგომამდე. შესაბამისად, 2008 წლის 5 ივნისისათვის ა. მ-ძეს აღარ გააჩნდა ინტერესი მისი სიცოცხლის დაზღვევის მიმართ. სწორედ ამიტომ არ გადაიხადა მან სადაზღვევო პრემიის მეორე ნაწილი.

ხელშეკრულების 4.3 პუნქტის თანახმად, დამზღვევის მიერ სრული სადაზღვევო პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან. კასატორის განმარტებით, ხელშეკრულებაში არსებული აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, იგი მიიჩნევდა, რომ სადაზღვევო პრემიის სრულად გადახდამდე მხარეებს არ წარმოეშობოდათ ურთიერთვალდებულებები, ანუ არ ამოქმედდებოდა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 17 აპრილს ა. მ-ძესა და სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია «ი-ს» შორის გაფორმდა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება;

მხარეთა შეთანხმებით სიცოცხლის დაზღვევის პერიოდი განისაზღვრა 2008 წლის 17 აპრილიდან 2009 წლის 16 აპრილამდე დროის მონაკვეთით, სადაზღვევო პრემია – 8925 აშშ დოლარით, პრემიის გადახდის წესი – ორჯერადი შენატანით. პირველი სადაზღვევო შესატანი გადახდილი უნდა ყოფილიყო არაუგვიანეს 2008 წლის 25 აპრილამდე (4462.5 აშშ დოლარი), მეორე კი – არაუგვიანეს 2008 წლის 25 ოქტომბრამდე (4462.5 აშშ დოლარი);

ა. მ-ძემ 2008 წლის 24 აპრილს გადაიხადა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილი 4462.5 აშშ დოლარი, იმ დროისათვის არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში – 6505 ლარი;

სადაზღვევო პრემიის მეორე ნაწილი 4462.5 აშშ დოლარი ა. მ-ძეს არ გადაუხდია.

განსახილველ შემთხვევაში, სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია «ი-ი» (მზღვეველი) ა. მ-ძისაგან (დამზღვევი) მოითხოვს სადაზღვევო შესატანის მეორე ნაწილის გადახდას.

კასატორს (დამზღვევს) მიაჩნია, რომ არ არსებობს მისგან სადაზღვევო შესატანის მეორე ნაწილის მოთხოვნის საფუძველი, ვინაიდან მან დაზღვევის მიმართ დაკარგა ინტერესი, რაც სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მზღვეველს აძლევს სადაზღვევო შესატანის მხოლოდ იმ ნაწილის მოთ-

ხოვნის უფლებას, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლი და სათანადო შეფასება არ მისცა მხარეთა შორის 2008 წლის 17 აპრილს დადებულ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება დაიდო საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კერძოდ, 2007 წლის 26 დეკემბერს სს «... ბანკსა» და შპს «ი-2000-ს» შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის 8.2 პუნქტის მიხედვით, შპს «ი 2000-ის» 100%-იანი წილის მფლობელ ა. მ-ძეს 2008 წლის 1 თებერვლამდე უნდა დაეზღვია საკუთარი სიცოცხლე სს «... ბანკის» სასარგებლოდ 1000000 აშშ დოლარად, 12 თვის ვადით, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს «ი 2000-ზე» სესხის სახით გაიცა 800000 აშშ დოლარი, რომელიც ამ უკანასკნელმა დააბრუნა 2008 წლის 5 ივნისისათვის, ანუ ა. მ-ძის მიერ სადაზღვევო პრემიის მეორე ნაწილის გადახდის ვადის დადგომამდე. შესაბამისად, 2008 წლის 5 ივნისისათვის ა. მ-ძეს აღარ გააჩნდა ინტერესი მისი სიცოცხლის დაზღვევის მიმართ. სწორედ ამიტომ არ გადაიხადა მან სადაზღვევო პრემიის მეორე ნაწილი.

სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ დაზღვევის ინტერესი დაიკარგა, მაშინ მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდაც.

მითითებული ნორმა არეგულირებს ისეთ შემთხვევას, როდესაც დამზღვევი კარგავს ინტერესს დაზღვევის მიმართ, რის გამოც შეიძლება შეწყდეს დაზღვევის ხელშეკრულება, მაგრამ მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს ასევე მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდაც. ამდენად, მითითებული ნორმა აწესრიგებს დაზღვევის მიმართ დამზღვევის ინტერესის დაკარგვის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს.

მოცემულ შემთხვევაში სადავოა საკითხი იმის შესახებ, შეწყდა თუ არა დაზღვევის ხელშეკრულება დაზღვევის მიმართ დამზღვევის ინტერესის დაკარგვის გამო და აქვს თუ არა მზღვეველს დამზღვევისაგან სადაზღვევო შესატანის გადაუხდელი ნაწილის მოთხოვნის უფლება.

დაზღვევის მიმართ დამზღვევის ინტერესის დაკარგვის საკითხის გასარკვევად უნდა შეფასდეს მხარეთა შორის დადებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსი. მითითებული ხელშეკრულების მიხედვით, **მზღვეველია** სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია «ი.-ი», ხოლო **დამზღვევი** – ა. მ-ძე. ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია მოსარგებლე, ანუ პირი, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა. კერძოდ, ხელშეკრულების მიხედვით, **პირველი რიგის მოსარგებლეა** სს «... ბანკის» ბათუმის ფილიალი, ხოლო **მეორე რიგის მოსარგებლე** – დამზღვევის მემკვიდრე (კანონით ან ანდერძით). **ხელშეკრულების საგანია** მზღვეველის ვალდებულება, დამზღვევის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ, გადაუხადოს მოსარგებლეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, რომელიც განპირობებულია მხოლოდ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამზღვევის შესაძლო გარდაცვალებით. სადაზღვევო ანაზღაურების თანხის მიმღები ხელშეკრულების თანახმად არის მხოლოდ მოსარგებლე. ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მიხედვით, **სადაზღვევო ლიმიტი**, ისევე როგორც **სადაზღვევო ანაზღაურების თანხა** შეადგენს 1000000 (ერთ მილიონ) აშშ დოლარს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია **სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის წესი**. კერძოდ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში სადაზღვევო ანაზღაურება გადახლი იქნება შემდეგი წესით: **პირველ რიგში სადაზღვევო ანაზღაურების თანხიდან დაფარული იქნება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში არსებული დამზღვევის საკრედიტო დავალიანება** (კრედიტის ძირითადი თანხა და კრედიტით სარგებლობისათვის დარიცხული საპროცენტო სარგებელი) სს «... ბანკის» ბათუმის ფილიალის (1-ლი რიგის მოსარგებლე) წინაშე 2006 წლის 31 ივლისს გაფორმებული №..., 2007 წლის 27 ივლისს გაფორმებული №... და 2007 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული №... გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებების თანახმად; **მეორე რიგში** – საკრედიტო დავალიანების დაფარვის შემდეგ სადაზღვევო ანაზღაურების დარჩენილი ნაწილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაეცემა მეორე რიგის მოსარგებლეს. ამდენად, მეორე რიგის მოსარგებლისათვის გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის გამოსაანგარიშებლად ხელშეკრულებით განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურების თანხას (1000000 (ერთ მილიონი) აშშ დოლარი) უნდა გამოაკლდეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში არსებული დამზღვევის საკრედიტო დავალიანება. დარჩენილი ნაშთი წარმოადგენს მეორე რიგის მოსარგებლის მიერ მისაღებ სადაზღვევო თანხას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მოცემულ შემთხვევაში დამზღვევის ინტერესი მოიცავს არა მარტო კრედიტის დაზღვევას და, შესაბამისად, 1-ლი რიგის მოსარგებლის უფლებას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება საკრედიტო დავალიანების ოდენობით სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, არამედ, ეს ინტერესი ასევე გულისხმობს მეორე რიგის მოსარგებლის უფლებას, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება იმ ოდენობით, რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების თანხისა და საკრედიტო დავალიანების სხვაობის ტოლია. ასეთი სხვაობა კი იქნება ყოველთვის, როდესაც სადაზღვევო ანაზღაურების თანხა აღემატება საკრედიტო დავალიანებას, ხოლო, თუ საკრედიტო დავალიანება სრულადაა დაფარული, მაშინ მეორე რიგის

მოსარგებლე მიიღებს მთლიან სადაზღვევო თანხას. განსახილველ შემთხვევაში სწორედ ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, საკრედიტო დავალიანების სრულად დაფარვის გამო, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება მთლიანად გადავიდა დამზღვევის მეორე რიგის მოსარგებლზე, ანუ მის მემკვიდრეებზე. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მათ სადაზღვევო თანხის მოთხოვნის უფლება წარმოეშობოდათ, ვინაიდან დაზღვევის ხელშეკრულება არც ერთი მხარის მიერ არ ყოფილა შეწყვეტილი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. ეს გარემოება გამორიცხავს კასატორის მსჯელობას, რომ, ვინაიდან მან დაზღვევის მიმართ ინტერესი დაკარგა, ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ არის ვალდებული გადაიხადოს სადაზღვევო შესატანის დარჩენილი ნაწილი. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 799.2 და 815.1 მუხლების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ არსებობდა დამზღვევისათვის სადზღვევო შესატანის დარჩენილი ნაწილის დაკისრების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს ასევე კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან დაზღვევის ხელშეკრულების 4.3 პუნქტის თანახმად, დამზღვევის მიერ სრული სადაზღვევო პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალი იყო თავისი მოვალეობისაგან, ამიტომ დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის სრულად გადახდამდე მზღვეველს ვალდებულება არ წარმოეშობოდა.

სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლის თანახმად, პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.

მითითებული ნორმის თანახმად, მზღვეველის მოვალეობის წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ დამზღვევმა დროულად გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია). ამასთან, თუ მხარეები სადაზღვევო შესატანის ერთჯერადად გადახდაზე შეთანხმდნენ, მაშინ მის დროულ გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შესატანი არაერთჯერადი გადახდით განისაზღვრა, მაშინ მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან პირველი შესატანის დროულად გადახდამდე.

მოცემულ შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულების 4.1 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ სადაზღვევო პრემიას დამზღვევი ერთჯერადად გადაუხდიდა მზღვეველს, შესაბამისად, 4.3 პუნქტით განისაზღვრა, რომ დამზღვევის მიერ სრული სადაზღვევო პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფლდებოდა თავისი მოვალეობისაგან. შემდეგში მხარეები შეთანხმდნენ სადაზღვევო პრემიის გადახდის სხვა წესზე, რაც აისახა დამზღვევის სახელზე გაცემულ სიცოცხლის დაზღვევის სერთიფიკატში. მითითებული სადაზღვევო პოლისის მიხედვით, რომელიც გაცემულია სამოქალაქო კოდექსის 802-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი განისაზღვრა ორჯერადი გადახდით, კერძოდ, 1-ლი გადახდა – არაუგვიანეს 25.04.08 (თანხა 4462.50 აშშ დოლარი), ხოლო მეორე გადახდა – არაუგვიანეს 25.10.08 (თანხა 4462.50 აშშ დოლარი). დადგენილია და სადავო არაა, რომ დამზღვევმა 1-ლი სადაზღვევო შესატანი დროულად გადაიხადა, რაც მზღვეველის მოვალეობის წარმოშობის საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ მითითებულ კანონის დარღვევას ადგილი არა აქვს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისგან

განჩინება

№ას-663-624-2011 17 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ს. კომპანია ა-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. შ-ას მიმართ სამოქალაქო კოდექსის 832-ე, 992-ე, 317-ე, სისხლის სამართლის კოდექსის 33.6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელ გ. ჯ-ის მემკვიდრის სასარგებლოდ ანაზღაურებული სადაზღვევო თანხის – 7000 ლარის მესამე პირისაგან რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას, მათ შორის, სამედიცინო დაზღვევის პროგრამას.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2007 წლის 31 იანვრის №172 ხელშეკრულებით, მოსარჩელემ, როგორც ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა დააზღვია.

2008 წლის 17 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი, კაპრალი – გ. ჯ-ე გარდაიცვალა მის მიმართ, სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის განაჩენით, დასჯადი ქმედების ჩადენაში დამნაშავედ ცნობილ იქნა ი. შ-ა.

დაზღვეული პირის გარდაცვალების გამო მზღვეველს, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების შესაბამისად, წარმოეშვა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება, რის გამოც მზღვეველმა გ. ჯ-ის მემკვიდრე შ. დ-ეს აუნაზღაურა სადაზღვევო თანხა – 7000 ლარი. ამდენად, შპს „ს. კომპანია ა-მა» მოითხოვა მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ ი.შ-ა მომხდარს ძალიან განიცდის, მან გარდაცვლილის ოჯახს აუნაზღაურა 12000 ლარი, ამასთან განმარტა, რომ მომხდარი ქმედება არის გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ს. კომპანია ა-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ს. კომპანია ა-ის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ს. კომპანია ა-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, რომ გ. ჯ-ე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში; მოსარჩელეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ჰქონდა დადებული დაზღვევის ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ, ხელშეკრულება ითვალისწინებდა სიცოცხლის დაზღვევას; გ. ჯ-ე გარდაიცვალა 2008 წლის 17 მაისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის განაჩენით მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, რამაც გამოიწვია გ. ჯ-ის სიცოცხლის მოსპობა, მოპასუხე ი. შ-ას მიმართ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ბრალზე; გ. ჯ-ის სამკვიდრო ქონება მიიღო მეუღლე შ. დ-ემ; 2009 წლის 28 იანვარს მოსარჩელემ გ. ჯ-ის მემკვიდრე შ. დ-ეს აუნაზღაურა სადაზღვევო თანხა 7000 ლარი; შ. დ-ემ 2010 წლის 5 ნოემბერს სანოტარო ფორმის დაცვით შედგენილი განცხადებით დაადასტურა, რომ მან სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც დაზარალებულმა პირმა ი. შ-ასგან მიიღო 12000 აშშ დოლარი, რომლითაც შეიძინა საცხოვრებელი ბინა, მდებარე სამტრედიაში, ფ-ის ქუჩა №32/13-ში და მას არავითარი პრეტენიზია არ გააჩნდა ი. შ-ას მიმართ.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ს. კომპანია ა-ი» დამზღვევთან – საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან 2007 წლის 31 იანვრის გაფორმებული №172 ხელშეკრულების საფუძველზე სამართლებრივ ურთიერთობაში იყო შ. დ-ის მამკვიდრებელთან – დაზღვეულ გ. ჯ-ესთან. 2007 წლის 31 იანვრის №172 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა სიცოცხლის დაზღვევაც. სადავო არ არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად სადაზღვევო თანხის გაცემის საფუძვლის წარმოშობაც (ავტოსაგზაო შემთხვევის შე-

დეგად გარდაიცვალა გ. ჯ-ე) და სადაზღვევო თანხის – 7000 ლარის სარგებლის მიმღების – გ. ჯ-ის მემკვიდრე შ. დ-ის სასარგებლოდ გაცემის ფაქტობრივი გარემოებაც, მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში, რის შედეგადაც გარდაიცვალა გ. ჯ-ე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით დამნაშავედ ცნობილ იქნა ი. შ-ა.

პალატის მითითებით, მხარეთა შორის სადავოა დაზღვეულ გ. ჯ-ის მემკვიდრე შ. დ-ის სასარგებლოდ გაცემული სადაზღვევო თანხის – 7000 ლარის სანაცვლოდ, ზიანის მიმყენებლისაგან შპს „ს. კომპანია ა-ის» მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობა, რის სამართლებრივ საფუძვლადაც ეს უკანასკნელი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლზე. პალატის განმარტებით, მხარეთა შორის არსებული დავის სწორად გადაწყვეტისათვის განმსაზღვრელია, გაირკვეს თუ რამდენად წარმოეშვა მზღვეველს, შპს „ს. კომპანია ა-ს», მის მიერ შ. დ-ის (სარგებლის მიმღები) სასარგებლოდ სადაზღვევო თანხის გაცემის შედეგად რეგრესის წესით თანხის ანაზღაურების უფლება იმ პირისაგან, ვისი ქმედებითაც გამოწვეულ იქნა ავტოსაგზაო შემთხვევა და დაზღვეულის გარდაცვალება.

სასამართლოს განმარტებით, რეგრესის წესით მოთხოვნის დაყენების საფუძვლიანობის საკითხის გარკვევისას პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას მხარეთა შორის არსებული სადაზღვევო ურთიერთობის სახეს და მის თავისებურებას. მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელიც სხვადასხვა სახის სადაზღვევო რისკის, მათ შორის სიცოცხლის დაზღვევასაც ითვალისწინებდა, სადაზღვევო შემთხვევის – დაზღვეულ გ. ჯ-ის გარდაცვალების შედეგად მზღვეველს წარმოეშვა სიცოცხლის დაზღვევის ურთიერთობიდან გამომდინარე (სიცოცხლის ხელყოფის – გარდაცვალების) სადაზღვევო თანხის გაცემის ვალდებულება. სიცოცხლის დაზღვევის დროს სადაზღვევო რისკის განხორციელება და, შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევის წარმოშობა, მხარეს აკისრებს ვალდებულებას ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული სადაზღვევო თანხის გაცემაზე. კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოიშვა სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა და სწორედ, სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, განხორციელდა სარგებლის მიმღებისათვის – შ. დ-ის სასარგებლოდ სადაზღვევო თანხის გაცემა. სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია ცალკე ქვეთავის სახით (კერძო ნაწილი, კარი პირველი, სახელშეკრულებო სამართალი, ნაწილი მეორე, თავი მეოცე – დაზღვევა, IV სიცოცხლის დაზღვევა) და მოიცავს 844-857 მუხლებს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ნორმებით არ არის გათვალისწინებული მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის გაცემის შემდგომ, მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის მზღვეველის სასარგებლოდ წარმოშობის უფლება (რეგრესის უფლება). მოსარჩელის მიერ მითითებული 832-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა განთავსებულია ზიანის (ქონების) დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმათა შორის, რომლის გამოყენებაც განსახილველ შემთხვევაში დაუშვებელია მისი საგამონაკლისო ხასიათიდან გამომდინარე. სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი კანონმდებლის მიერ ასახულ იქნა, არა დაზღვევის შესახებ ზოგად დებულებათა გვერდით, არამედ ცალკეული სახის, კერძოდ, ზიანის დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებში. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული რეგრესის წარმოშობის საფუძველი კანონმდებლის მიერ სპეციალურად (ქონებრივი), ზიანის დაზღვევის ურთიერთობებში არის შესაძლებელი და არა სიცოცხლის დაზღვევის დროს. რეგრესის პრინციპი სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობებზე არ ვრცელდება თავად ამ ურთიერთობების თავისებურებებიდან გამომდინარე. ამ სახის დაზღვევით ხდება ისეთი განსაკუთრებული სიკეთის დაზღვევა, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლე და, შესაბამისად, სადაზღვევო რისკის განხორციელებით ანუ დაზღვეულის გარდაცვალებით დამდგარი შედეგი არ შეიძლება ანაზღაურებულ იქნას რაიმე კომპენსაციით, მაშინ, როდესაც ქონებრივი სახის (ზიანის) დაზღვევის დროს, დამდგარი ქონებრივი დანაკარგი ანაზღაურებადია ფულად თანხაში გამოხატული ეკვივალენტური ღირებულებით და, ცხადია, რომ დამზღვევი, რომელსაც სადაზღვევო თანხის გადახდით აუნაზღაურდება დაზღვეული ნივთის დაზიანებით, განადგურებით მიყენებული ზიანი, აღარ არის უფლებამოსილი, მიიღოს ორმაგი ანაზღაურება მზღვეველისაგან და ასევე ზიანის მიმყენებლისაგანაც. სწორედ ამიტომ მას შემდეგ, რაც ქონებრივი დაზღვევის დროს დამზღვევს აუნაზღაურდება ზიანი სადაზღვევო თანხის გადახდის გზით, იგი კარგავს მოთხოვნის უფლებას ზიანის მიმყენებლის მიმართ და ამ მოთხოვნის დაყენებაზე უფლებამოსილი პირი ხდება მზღვეველი. პალატის განმარტებით, სიცოცხლის დაზღვევის თავისებურებიდან გამომდინარე, სარგებლის მიმღები პირი სადაზღვევო თანხის მიღებით არ კარგავს ზიანის მიმყენებლისაგან კომპენსაციის მიღების უფლებას, რამდენადაც სარგებლის მიმღები პირი დაზღვეულის გარდაცვალებით მიღებული დანაკლისის სანაცვლოდ, ვერც მზღვეველისაგან სადაზვევო თანხისა და ვერც ზიანის მიმყენებლისაგან კომპენსაციის მიღებით ვერ მიიღებს ადეკვატურ ანაზღაურებას, რაც შეავსებდა სიცოცხლის დაკარგვით მიღებულ დანაკარგს. სწორედ ის გარემოება, რომ სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობებში სადაზღვევო რისკის განხორციელებით დამდგარი შედეგის, ანუ დაზღვეული პირის გარდაცვალების დროს, არ დგება სიცოცხლის დაკარგვით გამოწვეული დანაკარგის ანაზღაურების (შევსების) საკითხი, გამორიცხავს ამ სახის დაზღვევის ურთიერთობებში რეგრესის პრინციპის გამოყენების შესაძლებლობას, რადგანაც მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის გაცემით ან/და ზიანის მიმყენებლის მიერ კომპენსაციის გადახდით, არ ხდება სიცოცხლის დაკარგვით გამოწვეული დანაკარგის შევსება. პალატის მოსაზრებით, იმით, რომ კანონმდებელი სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობებში არ ითვალისწინებს რეგრესის უფლების წარმოშობის შესაძ-

ლებლობას მზღვეველის სასარგებლოდ, სარგებლის მიმღებ პირს ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს (ე.წ ორმაგი) ანაზღაურება მზღვეველისაგან – სადაზღვევო თანხის სახით, ასევე ზიანის მიმყენებლისაგანაც – კომპენსაციის სახით.

ამდენად, სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელი წინაპირობები, რამდენადაც დასახელებული ნორმის გამოყენება, მისი საგამონაკლისო ხასიათის გამო, სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობებში დაუშვებელია. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად არასწორი სამართლებრივი დასაბუთება დაუდო, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე» ქვეპუნქტით გადაწვეტილების გაუქმების საფუძველია.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 317-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და განმარტა, რომ ვალდებულება უნდა გამომდინარეობდეს რაიმე კონკრეტული კანონისმიერი, სახელშეკრულებო ან სხვა საფუძვლებიდან. მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა ემყარება 832-ე მუხლით გათვალისწინებულ კანონისმიერ საფუძველს, შპს „სადაზვევო კომპანია ა-ის» სასარჩელო მოთხოვნა მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებულობას, რადგანაც სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი თავისებურებიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობს მზვეველის – შპს „ს. კომპანია ა-ის» სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი (რეგრესის უფლება) ზიანის მიმყენებლის (მესამე პირის) ი. შ-ას მიმართ, და სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო ხასიათის ნორმა არ შეიძლება გავრცელდეს და გამოყენებულ იქნეს ამ სახის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობაში. მზღვეველის მოთხოვნას მოცემულ შემთხვევაში არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი შესაძლებლობა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს. კომპანია ა-მა», მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება შეეხება ზიანის და არა სიცოცხლის დაზღვევას, რადგანაც სამოქალაქო კოდექსში არ არის ნორმა, რომელიც დაარეგულირებდა სიცოცხლის დაზღვევისას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, თუმცა სამოქალაქო კოდექსის არც ერთი ნორმა სიცოცხლის დაზღვევისას რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებას არ კრძალავს, რაც სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა გადაწყვეტილების გამოტანისას.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსი არ კრძალავს სიცოცხლის დაზღვევისას ზიანის ანაზღაურებას, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სასამართლომ არ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი კანონის ანალოგიის პრინციპით, რომელიც სწორედ მოცემულ შემთხვევაზე ვრცელდება და უსაფუძვლოდ არ გაავრცელა სიცოცხლის დაზღვევაზე რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი მზღვეველს აძლევს შესაძლებლობას მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, თუ ასეთი მოთხოვნის უფლება გააჩნდა დამზღვევს. დასახელებული ნორმა რეგრესს დამზღვევის უფლებას უკავშირებს. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ დამზღვევის მემკვიდრეს უფლება აქვს, ზიანის მიმყენებლისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაც, ზიანის სახიდან გამომდინარე, მიღებული ანაზღაურების არაადეკვატურია. კასატორის განმარტებით, აღნიშნული მსჯელობა ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ფორმალური მოთხოვნების არსებობის წინაპირობებს, კერძოდ, დამზღვევის მემკვიდრის მოთხოვნის არსებობა, მიუხედავად მის მიერ გარკვეული ანაზღაურების მიღებისა, ასევე წარმოშობს მზღვეველის მოთხოვნის არსებობის წინაპირობას, რაც, განსახილველ შემთხვევაში, განხორციელდა სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

კასატორის განმარტებით, მოცემული საკასაციო საჩივარი დასაშვებია, რადგანაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში არსებული პრაქტიკისაგან და მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განჩინებით შპს „ს. კომპანია ა-ის» საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა» ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, მხარის საკასაციო პრეტენზიის მართებულობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ს. კომპანია ა-ის» საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათ-

ვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. ჯ-ე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. შპს „ს. კომპანია ა-ს» საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან დადებული ჰქონდა დაზღვევის ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სიცოცხლის დაზღვევას.

გ. ჯ-ე გარდაიცვალა 2008 წლის 17 მაისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის განაჩენით, მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, რამაც გამოიწვია გ. ჯ-ის სიცოცხლის მოსპობა, მოპასუხე ი. შ-ას მიმართ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ბრალზე.

გ. ჯ-ის სამკვიდრო ქონება მიიღო მეუღლე შ. დ-ემ. 2009 წლის 28 იანვარს მოსარჩელემ გ. ჯ-ის მემკვიდრე შ. დ-ეს აუნაზღაურა სადაზღვევო თანხა 7000 ლარი.

შ. დ-ემ 2010 წლის 5 ნოემბერს სანოტარო ფორმის დაცვით შედგენილი განცხადებით დაადასტურა, რომ მან სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც დაზარალებულმა პირმა ი. შ-ასგან მიიღო 12000 აშშ დოლარი, რომლითაც შეიძინა საცხოვრებელი ბინა, მდებარე სამტრედიაში, ფ-ის ქუჩა №32/13-ში და მას არავითარი პრეტენიზია არ გააჩნია ი. შ-ას მიმართ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, რის შედეგადაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ს. კომპანია ა-სა» და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2007 წლის 31 იანვრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებდა სხვა პირის (გ. ჯ-ის) სიცოცხლის დაზღვევას, სადაზღვევო შემთხვევის (დაზღვეულ გ. ჯ-ის გარდაცვალება) შედეგად მზღვეველს წარმოეშვა სადაზღვევო თანხის გაცემის ვალდებულება გარდაცვლილის მემკვიდის მიმართ, რაც განხორციელდა კიდეც და მხარეთა შორის სადავო არაა. როგორც სააპელაციო პალატამ სწორად მიუთითა, მხარეთა შორის სადავოა დამზღვევის სასარგებლოდ გაცემული სადაზღვევო თანხის – 7000 ლარის სანაცვლოდ, ზიანის მიმყენებლის მიმართ შპს „ს. კომპანია ა-ზე» მოთხოვნის გადასვლის საფუძვლიანობა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ განსახილველი დავის გადაწყვეტისას საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, ამასთან, ვინაიდან მოცემული საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს რამდენიმე საკითხზე:

სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია). მოცემული ნორმის ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და რეალური ხელშეკრულებაა. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი, ხოლო მზღვეველი მოვალეა აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, ხოლო ის, თუ რა შეიძლება იყოს დაზღვევის ობიექტი, მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 820-ე-858-ე მუხლებში, კერძოდ, ასეთი შეიძლება იყოს ქონება ან პიროვნება. აქედან გამომდინარე, დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია.

ვინაიდან დაზღვევა შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საშუალებაა, იბადება შემდეგი კითხვა: სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შესაძლოა თუ არა დამზღვევს წარმოეშვას ორმაგი მოთხოვნის უფლება, თუ დამზღვევის ქონებას ან პიროვნებას მესამე პირმა მიაყენა ზიანი, ანუ სახეზეა დელიქტი. დასმულ კითხვაზე პასუხი დადებითად უნდა იქნეს გაცემული, თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი ორმაგი მოთხოვნის უფლების რეალიზაციის განსხვავებულ წესს გვთავაზობს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს იმ დასკვნას, რომლითაც ზემოაღნიშნული ნორმა შეფასებულია, როგორც რეგრესული მოთხოვნის უფლება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა რეგრესული მოთხოვნის უფლებასთან, არამედ დელიქტურ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლასთან, ხოლო თვით ვალდებულების არსი უცვლელი რჩება. ამასთან, დელიქტურ ვალდებულებაში დამზღვევის მზღვეველით შეცვლის აუცილებელი წინაპირობაა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლის არსებობა და მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო თანხის გაცემა. ამდენად ზიანის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობაში, როდესაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოიწვია მესამე პირმა, გამოიყენება კრედიტორის ჩანაცვლების პრინციპი, რაც შესაძლოა ემსახურებოდეს როგორც დაზღვეულის, ასევე მესამე პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით გათვალისწინებული პრინციპის გავრცელებას სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობაზე, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს, კერძოდ, სავსებით სწორია მითითება იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით მოწესრიგებული ურთიერთობა კანონმდებლის მიერ გაწერილია არა დაზღვევის ხელშეკრულების ზოგად ნორმებში, არამედ სპეციალურ თავში, რომელიც ეხება ზიანის დაზღვევას. ამასთან, პირადი დაზღვევისათვის დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სადაზღვევო შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან პირის სიცოცხლე არ შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს რაიმე კომპენსაციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დასკვნის სახით განმარტავს, რომ სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეულ პირს წარმოეშობა ორმაგი მოთხოვნის უფლება, თუმცა მზღვეველს არა აქვს უფლება გასცეს სადაზღვევო საზღაური და შემდგომ ზიანის მიმყენებელს მოსთხოვოს ეს თანხა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე. შესაბამისად, 832-ე მუხლი, როგორც სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმა განსახილველ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული ანალოგიით, ვინაიდან ნორმის ამგვარი განმარტება არ გამომდინარეობს კანონის ობიექტური მიზნებიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ს. კომპანია ა-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადამდე დაბრუნებისათვის

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ას-1586-1585-2011 21 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ალავიძე,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „... ბანკმა» ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა მ. ს-ისა და ვ. კ-ის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2010 წლის 24 სექტემბერს სს „... ბანკსა» და მ. ს-ეს შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ გასცა კრედიტი 5200 ლარი 50 თვის ვადით, წლიური 35%-იანი სარგებლით. მოპასუხემ ვალდებულება იკისრა, თანხა მხარეთა შეთანხმებით დადგენილი გრაფიკით დაეფარა. ვ. კ-ე მ. ს-ის თავდებს წარმოადგენდა. მოპასუხეებმა ვალდებულება დაარღვიეს და, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, დავალიანება არ დაუფარავთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 10118,55 ლარის დაკისრება, საიდანაც 5200 ლარი ძირითადი თანხაა, 206,96 ლარი – პირგასამტეხლო, ხოლო 4711,59 ლარი – საპროცენტო სარგებელი.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და სადავოდ მხოლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით 4113,06 ლარის დაკისრება გახადა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. ს-ესა და ვ. კ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი თანხის – 5200 ლარის, საპროცენტო სარგებლის – 589,53 ლარისა და პირგასამტეხლოს (ჯარიმის) – 206, 96 ლარის გადახდა, მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით 4113, 06 ლარის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სს „... ბანკმა» სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 სექტემბრის განჩინებით სს „... ბანკის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2010 წლის 24 სექტემბერს სს „... ბანკსა» და მ. ს-ეს შორის №46.31.553 საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზე მსესხებლის სახელზე გაიცა კრედიტი 5200 ლარი, 50 თვის ვადით, ყოველწლიური 35%-იანი განაკვეთით;

2. საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, სს „... ბანკსა» და ვ. კ-ეს შორის 2010 წლის 24 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება სოლიდარული ვალდებულების შესახებ;

3. მოპასუხის დავალიანება სს „... ბანკის» მიმართ შეადგენს: სესხის ძირითად თანხას – 5200 ლარს, პროცენტს – 4711,59 ლარს, ჯარიმას – 206,96 ლარს, სულ – 10118,55 ლარს;

4. 2011 წლის 24 იანვარს, ბანკის ინიციატივით, მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულება შეწყდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი, მიუღებელი შემოსავლის სახით ითხოვდა მოწინააღმდეგე მხარისათვის იმ სარგებლის გადახდის დაკისრებას, რასაც აპელანტი მიიღებდა, ხელშეკრულების პირობები სრულად რომ შესრულებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხარის აღნიშნული მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, რადგანაც, სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე, უნდა ანაზღაურდეს ის მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც მოთხოვნის უფლების მქონე პირი მიიღებდა ხელშეკრულების პირობების შესრულების შემთხვევაში. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, კრედიტის ვადა განისაზღვრა 50 თვით, შესაბამისად, აპელანტი მის მიერ მოთხოვნილ შემოსავალს მიიღებდა, თუ მხარეები ჯეროვნად შეასრულებდნენ ამ პირობასაც, ხელშეკრულება ვადამდე არ შეწყდებოდა და მოწინააღმდეგე მხარე სესხით ისარგებლებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა ხელშეკრულება შეწყვიტა მისი დადებიდან 5 თვეში, ეს კი ნიშნავს, რომ ხელშეკრულების 1.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობა არ შესრულებულა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება მიქცეული იყო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, აქედან გამომდინარე კი, ნათელი იყო, რომ აპელანტი მოწინააღმდეგე მხარესთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებელს სრულად ვერ მიიღებდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სს „... ბანკმა» საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით, მოსარჩელემ დაკარგა ის საპროცენტო სარგებელი, რომელიც მოპასუხეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დამთავრებამდე უნდა გადაეხადათ;

2. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლი, რომელიც კიდევ ერთხელ ამყარებს მოსარჩელის არგუმენტს;

3. სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება ემყარება 412-ე მუხლს. მსჯელობა იმის თაობაზე, იყო თუ არა მოსარჩელისათვის მიუღებელი შემოსავალი წინასწარ სავარაუდო, ყოველგვარ საფუძვლსაა მოკლებული, რადგანაც არსებობს საკრედიტო ხელშეკრულება დანართითურთ, სადაც მითითებულია როგორც ძირითადი თანხა, ისე დასარიცხი სარგებელი;

4. გაუგებარია, სასამართლომ როგორ დაადგინა, რომ ხელშეკრულება 2011 წლის 24 იანვარს შეწყდა, როდესაც ბანკმა სასამართლოს ხელშეკრულების შეწყვეტისა და თანხის დაკისრების მოთხოვნით 2011 წლის 21 თებერვალს მიმართა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ სს „... ბანკის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:

1. 2010 წლის 24 სექტემბერს სს „... ბანკსა» და მ. ს-ეს შორის №46.31.553 საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზე მსესხებლის სახელზე გაიცა კრედიტი 5200 ლარი, 50 თვის ვადით, ყოველწლიური 35%-იანი განაკვეთით;

2. საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, სს „... ბანკსა» და ვ. კ-ეს შორის 2010 წლის 24 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება სოლიდარული ვალდებულების შესახებ;

3. მოპასუხის დავალიანება სს „... ბანკის» მიმართ შეადგენს: სესხის ძირითად თანხას – 5200 ლარს, პროცენტს – 4711,59 ლარს, ჯარიმას – 206,96 ლარს, სულ – 10118,55 ლარს;

4. 2011 წლის 24 იანვარს, ბანკის ინიციატივით, მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულება შეწყდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაშვები და დასაბუთებული შედავება» გულისხმობს მხარის მითითებას პროცესუალურ დარღვევებზე, რის შედეგადაც, საქმის ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. კასატორს ამგვარი შედავება არ წარმოუდგენია, შესაბამისად, ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არასწორად შეაფასა, რის შედეგადაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო.

მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა ვადიანი საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზეა წარმოშობილი, ამასთან, მოპასუხე მ. ს-ემ საქმის განხილვისას სარჩელი ნაწილობრივ ცნო და მხოლოდ საპროცენტო სარგებლის დაკისრება გახადა სადავოდ.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ საპროცენტო სარგებელს ბანკი მთლიანად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუ ხელშეკრულება ვადამდე არ შეწყდებოდა და მოპასუხე სესხის თანხით ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროით ისარგებლებდა.

სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის თანახმად, კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადაიცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

იმავე კოდექსის 872-ე მუხლის თანახმად კი, თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული ნორმა შეეხება როგორც კრედიტის მიმღების მიერ თანხის ვადამდე ნებაყოფლობით დაბრუნების, ისე, 873-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევას. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, საპროცენტო სარგებლის მოთხოვნის უფლება მოვალის მიერ თანხით მთელი პერიოდისათვის სარგებლობას არ უკავშირდება. ნებისმიერ მსესხებელთან საბანკო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმება ხდება იმ მოლოდინით, რომ ბანკი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოგებას მიიღებს. საპროცენტო განაკვეთი საბანკო კრედიტისათვის არის კრედიტის ფასი, რაც კრედიტით სარგებლობის გარკვეული ეტაპის დასრულებისას უნდა იყოს გადახდილი. საპროცენტო განაკვეთი უზრუნველყოფს ბანკს, რომ მან დაფაროს ის ხარჯები, რაც დაკავშირებულია დეპოზიტზე მოზიდული სხვისი სახსრების პროცენტების გადახდასთან, შესაბამისი მოგების მიღებასთან და სარესურსო ფონდების გაზრდასთან. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა კი, ბანკს უფლებას აძლევს მოითხოვოს როგორც დამდგარი ზიანის, ისე მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება. ამასთან, საყურადღებოა, ასეთ შემთხვევაში მიუღებელ შემოსავლად რა ჩაითვლება. სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლი ნათლად მიუთითებს, რომ ზიანის საზღაურში ჩაითვლება ის მოგება, რაც კრედიტის გამცემს თანხის სხვაგვარი გამოყენებით შეეძლო მიეღო. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიუღებელი შემოსავალი თანხის კრედიტის გამცემისათვის სარეალიზაციოდ დაბრუნებას უკავშირდება და არა ხელშეკრულების შეწყვეტას. კონკრეტული საპროცენტო განაკვეთი მოქმედებს მხოლოდ იმ პერიოდისათვის, როდესაც ფულადი რესურსი ბანკის სარგებლობაში არ იმყოფება. იმ მომენტიდან, როდესაც სესხის თანხა კრედიტის გამცემს უბრუნდება, მიუღებელი შემოსავალი აღარ არსებობს, რადგანაც კრედიტორს სრული შესაძლებლობა აქვს სხვაგვარად განკარგოს ეს თანხა, თავიდან გასცეს კრედიტი, ან სხვა საშუალებით მიიღოს მოგება. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა ხელშეკრულების ვადამდე მოშლის, თანხის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თანხის კრედიტორისათვის დაბრუნების მომენტად შესაბამისი გადაწყვეტილების აღსრულება ჩაითვლება და არა გადაწყვეტილების გამოტანის ან ხელ-

შეკრულების მოშლის თარიღი, ამასთან, მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება გადაწყვეტილების ფაქტობრივად აღსრულების და არა აღსასრულებლად მიქცევის მომენტი.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლი, 412-ე მუხლი კი, არასწორად განმარტა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» და „გ» ქვეპუნქტების თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითაა განპირობებული, მტკიცებულებათა გამოკვლევის აუცილებლობა კი არ არსებობს, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „... ბანკის» სასარჩელო მოთხოვნა საპროცენტო სარგებლის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, მ. ს-ესა და ვ. კ-ეს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მიუღებელი შემოსავალი - ყოველწლიური 35%, გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

იმავე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ვინაიდან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სს „... ბანკის» სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამასთან, შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს დაკმაყოფილებული მოთხოვნის შეფარდება მთლიან სასარჩელო მოთხოვნასთან, მ. ს-ემ და ვ. კ-ემ მოსარჩელეს სოლიდარულად უნდა აუნაზღაურონ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 464,70 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სს „... ბანკის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 სექტემბრის განჩინება მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება:

3. სს „... ბანკის» სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. მ. ს-ესა და ვ. კ-ეს სს „... ბანკის» სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ მიუღებელი შემოსავალი – ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველწლიური 35%, გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

5. მ. ს-ესა და ვ. კ-ეს სოლიდარულად დაეკისროთ სს „... ბანკის» მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 464,70 ლარი;

6. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება საგირავნო ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის გამო

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ას-42-327-08 27 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თავდაპირველ სარჩელში – ფაქტობრივად დამდგარი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, შეგებებულ სარჩელში – სესხის ძირითადი თანხისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ვ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ბ. ქ-ს» მიმართ დაკარგული გირავნობის საგნის რეალური საბაზრო ღირებულების (26651,696 გრ ოქრო X 15 აშშ დოლარზე) – 399 775,44 აშშ დოლარის, მიუღებელი შემოსავლის – 133 110 აშშ დოლარის, ასევე ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 53 288 აშშ დოლარის (სადავო თანხის 10%-ის) ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2002 წლის 30 მაისს 163 343 აშშ დოლარზე მხარეთა შორის დაიდო განახლებადი საკრედიტო ხელშეკრულება. საკრედიტო ხელშეკრულებასთან ერთად მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაიდო გირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოსარჩელის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის ღირებულება განისაზღვრა 168 936 აშშ დოლარად. საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, სესხისათვის გათვალისწინებული სარგებელი განისაზღვრა თვეში 1,677%-ით (წლიური 20%). სს „ბ. ქ-საგან» კრედიტით მიღებულ თანხას, თავის მხრივ, კ.ვ-ძე გასცემდა ასევე კრედიტის სახით, თვეში 5% სარგებლის გადახდის პირობით, აღნიშნულ საქმიანობას იგი აწარმოებდა ინდ.მეწარმე „კ. ვ-ის» სახელით, შესაბამისად, მისი მოგება ყოველთვიურად შეადგენდა საბრუნავი თანხის 3,33%-ს. კლიენტების მიერ სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებულ ნივთებს (ძვირფასეულობას) მოსარჩელე აგირავებდა სს „ქ. ბ-ში». სს „ბ. ქ-სთან» დადებული საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სესხის ძირითადი თანხა იცვლებოდა (იზრდებოდა ან მცირდებოდა) კ.ვ-ის მიერ დაგირავებული ნივთების ნაწილის გამოტანით კრედიტის შემცირებისაკენ და კვლავ შეტანით - კრედიტის გაზრდისაკენ. 2003 წლის ივნისის მდგომარეობით კრედიტის თანხა გაიზარდა 214 500 აშშ დოლარამდე, რაც მოსარჩელის ბიზნესის ზრდას ადასტურებდა. კ. ვ-სა და სს „ბ. ქ-ს» შორის ხელშეკრულება შეწყდა 2003 წლის ივნისში, სს „ქ. ბ-ის» მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კერძოდ, მოპასუხემ ვერ დაუბრუნა მოსარჩელეს დაგირავებული ძვირფასეულობის ის ნაწილი, რომელიც მოსარჩელემ მოითხოვა სესხის ძირითადი თანხის ნაწილის დაფარვის შედეგად გადმოსაცემად. აღმოჩნდა, რომ კ.ვ-ის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის ნაწილი სს „ბ. ქ-მ» დაკარგა. ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მოპასუხის, როგორც მოგირავნის, ვალდებულება მოსარჩელის, როგორც დამგირავებლის, წინაშე შეადგენდა 133 258,48 აშშ დოლარს, რაც გამოხატული იყო ძვირფასეულობის ნიშნის ქვეშ (26651,696 გრ), ამასთან, აღნიშნული არ წარმოადგენდა დაგირავებული ძვირფასეულობის რეალურ საბაზრო ღირებულებას. ბანკი ოქროს აფასებდა მის მიერ წინასწარ დადგენილი ტარიფით – 1 გრამ 583 სინჯის ოქროს აფასებდა 5 აშშ დოლარად, მაშინ, როცა რეალური საბაზრო ღირებულებით 1 გრ ოქრო ღირდა 15 აშშ დოლარი.

სს „ბ. ქ-მ» შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს კ. ვ-ის მიმართ 2002 წლის 30 მაისს დადებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე სესხის ძირითადი თანხის – 133 190 აშშ დოლარის, ასევე ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილებისათვის მინიმალური ზიანის – ვადის გადაცილებიდან, 2003 წლის ოქტომბრიდან (იმ დროიდან, როდესაც მოვალემ შეწყვიტა გადახდა) 2007 წლის 1 ივნისამდე ერთდროულად 175 824 აშშ დოლარის ანაზღაურება (133 190-ის 3% ყოველთვიურად შეადგენს 3996 აშშ დოლარს) და 2007 წლის 1 ივნისიდან ვალდებულების შესრულებამდე ყოველთვიურად 3996 აშშ დოლარის, ასევე ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 12 360 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით (დაზუსტებული მოთხოვნის თანახმად). შეგებებული სარჩელის ავტორმა მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

2002 წლის 30 მაისის ძირითად საკრედიტო ხელშეკრულებაში მხარეთა შორის 2003 წლის 7 მარტს გაფორმებული დამატებითი შეთანხმების საფუძველზე შევიდა ცვლილება და საბოლოო კრედიტის თანხა განისაზღვრა 215 567 აშშ დოლარით, საიდანაც კ. ვ-ის მიერ 2003 წლის 1 ოქტომბრისათვის დაიფარა ნაწილი და სესხის ძირითადი თანხის დავალიანებამ შეადგინა 133 190 აშშ დოლარი, აღნიშნული მოპასუხეს არ დაუბრუნებია. სს „ბ. ქ-მ» 2003 წლის 12 აგვისტოს წერილით კ. ვ-ს განუსაზღვრა დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად. გაფრთხილების მიუხედავად, ვალდებულება არ შესრულდა. ამასთანაე, სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელში სს „ბ. ქ-მ» აღნიშნა, რომ კ. ვ-ს საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულ შესრულებამდე ვერ წარმოეშობოდა მფლობელობითი გირავნობიდან გამომდინარე

მოთხოვნა, მოთხოვნის უფლება მას წარმოეშობოდა მხოლოდ გირავნობის გაუქმების შემდგომ. გირავნობის გაუქმება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ვალდებულების შესრულებით, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობდა გირავნობა.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის ვალდებულება მოსარჩელის წინაშე შეადგენდა **133 258,48** აშშ დოლარის ღირებულების ოქროს, თუმცა, მოპასუხის განმარტებით, გირავნობის საგნის დაბრუნების ვალდებულება მას არ ეკისრებოდა მოსარჩელის მიერ ძირითადი ვალდებულების შესრულებამდე. სს „ბ. ქ-ს» სადავოდ არც ის გარემოება გაუხდია, რომ ხელშეკრულების თანახმად, დაგირავებული **1** გრ. ოქრო შეფასებული იყო **5** აშშ დოლარად, მხარეს სადავოდ არც სს „ბ. ქ-ში» კ. ვ-ის მიერ დაგირავებული ნივთების დაკარგვის ფაქტი გაუხდია, თუმცა მოპასუხის განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა ოქროს დაკარგვის თაობაზე, აღნიშნული არ ათავისუფლებდა მას ვალდებულების შესრულებისაგან. მოპასუხემ სარჩელი დაგირავებული ძვირფასეულობის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში ასევე არ ცნო იმ საფუძვლით, რომ გირავნობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი და როდესაც კ. ვ-ე დაფარავდა კრედიტს, ბანკი თავის ვალდებულებას შეასრულებდა იმავე გვაროვნული ნივთით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2007** წლის **25** ივნისის გადაწყვეტილებით კ. ვ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სს „ბ. ქ-ს» შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კ.ვ-ს სს „ბ. ქ-ს» სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – **133 190** აშშ დოლარის გადახდა, მასვე დაეკისრა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონისმიერი პროცენტის, ერთდროულად **73 254,5** აშშ დოლარისა და **2007** წლის **1** ივნისიდან ვალდებულების სრულ შესრულებამდე თვეში **1664,90** აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ვ-მ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2007** წლის **14** ნოემბრის განჩინებით კ. ვ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2007** წლის **26** ივნისის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **2002** წლის **30** მაისს მხარეთა შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც კ. ვ-მ სს „ბ. ქ-საგან» კრედიტის სახით მიიღო **163 343** აშშ დოლარი ერთი თვის ვადით. კრედიტი უზრუნველყოფილ იქნა ძვირფასეულობით, რომლის ღირებულება **2002** წლის **30** მაისის საგირავნო ხელშეკრულებით განისაზღვრა **168 938** აშშ დოლარით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე **1** გრ. ოქრო შეფასდა **5** აშშ დოლარად. პერიოდულად ხდებოდა ძირითადი საკრედიტო ხელშეკრულების განახლება, კერძოდ, ცვლილებები ეხებოდა სესხის თანხას, შესაბამისი ცვლილებები შედიოდა ასევე გირავნობის ხელშეკრულებაში. **2003** წლის **6** ოქტომბრის მდგომარეობით სესხის ძირითადი თანხის ნაშთი შეადგენდა **133 190** აშშ დოლარს. ამავე პერიოდისათვის გირავნობის საგნის ღირებულება შეადგენს **133 258** აშშ დოლარს **(26651,696** გრ ოქრო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის მიხედვით, **1** გრ ოქროს ფასი **5** აშშ დოლარია). **2003** წლის ივნისში სს „ბ. ქ-ში» გამოვლინდა კ. ვ-ის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის დანაკლისი, ბანკში დაცული იყო მხოლოდ **7 788,78** აშშ დოლარის ღირებულების ნივთები. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ ძირითადი ვალდებულების შესრულებამდე, მოსარჩელეს ვერ წარმოეშობოდა გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, მათ შორის ზიანის ანაზღაურებაზე. კ.ვ-ის მოთხოვნა გამომდინარეობდა გირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, რომელიც, თავის მხრივ, არსებობდა მხარეთა შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად. გირავნობა თავისი ბუნებით აქცესორულია და ამ უფლების როგორც წარმოშობა, ისე შეწყვეტა, დამოკიდებულია მთავარ მოთხოვნასთან. სასამართლომ მიიჩნია, რომ გირავნობის გაუქმება დამოკიდებული იყო იმ ძირითადი მოთხოვნის შეწყვეტაზე, რომლის უზრუნველყოფის საშუალებასაც იგი წარმოადგენდა. მთავარი მოთხოვნის გაუქმების შემდეგ დამგირავებელს წარმოეშობოდა დაგირავებული ნივთის მოთხოვნის უფლება, ხოლო მოგირავნეს – მისი დაბრუნების ვალდებულება. საქმეში წარმოდგენილი კ.ვ-ის საბანკო ანგარიშიდან ამონაწერით სასამართლომ დადასტურებულად ცნო, რომ სესხის ძირითადი თანხის ნაშთი შეადგენდა **133 190** აშშ დოლარს. სს „ბ. ქ-ს» სასარგებლოდ აღნიშნული თანხის გადახდა არ განხორციელებულა, შესაბამისად, ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობა კრედიტორი ბანკის სასარგებლო შესრულებით არ შეწყვეტილა, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მთავარი მოთხოვნის შეწყვეტამდე, სესხის თანხის გადახდამდე, გირავნობითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილების, მათ შორის, მოგირავნის მხრიდან მის მფლობელობაში არსებული ნივთების დაბრუნებისა თუ მათი სათანადოდ შენახვის ვალდებულების დარღვევის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების შესახებ სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ სს „ბ. ქ-ს» **2003** წლის **13** ოქტომბრის წერილი ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ბანკი უარს აცხადებდა მასთან ყველა სახის ოპერაციის განხორციელებაზე, მათ შორის, კრედიტის მიღებაზე. სასამართლოს განმარტებით, მითითებული წერილით კ. ვ-ს ეცნობა, რომ ბანკში დაგირავებული ძვირფასეულობა მთლიანად ვერ

უზრუნველყოფდა გატანილ კრედიტს, აქედან გამომდინარე, ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება დაგირავებული ძვირფასეულობის გაცემულ კრედიტთან შესაბამისობაში მოყვანამდე და კრედიტზე დარიცხული პროცენტის გადახდამდე შეეჩერებინა მისთვის ყველა სახის ოპერაციები. აღნიშნული წერილი ვერ ადასტურებდა ბანკის მიერ თანხის მიღებაზე უარის თქმას. სასამართლომ ბანკის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებად ასევე არ მიიჩნია საქმეში წარმოდგენილი 2005 წლის 9 თებერვლის, 2005 წლის 15 თებერვლის, 2005 წლის 4 მაისისა და 2005 წლის 11 აგვისტოს წერილები, რომლითაც კ. ვ-ე ბანკისაგან ითხოვდა სესხის დაფარვის ნებართვასა და დარჩენილი ძვირფასეულობის გატანის უფლებას. პალატა დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ შესრულების ცნება გულისხმობს ვალდებულების შესასრულებელი მოქმედების შესრულების კონკრეტული შედეგის განხორციელებას, რაც შესაძლოა გამოხატულ იქნას ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით და არა მისი განხორციელების ზოგად მცდელობას. აღნიშნულის საფუძველზე, არ იქნა გაზიარებული აპელანტის მითითება, რომ ბანკს, როგორც ვადის გადამცილებელ კრედიტორს, სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლის „გ» ქვეპუნქტის თანახმად, აღარ ჰქონდა ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 153-ე, 268-ე, 271-ე, 316-ე და 317-ე მუხლები.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. ვ-მ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ასევე შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (დაზუსტებული საკასაციო მოთხოვნა იხ. 2008 წლის 15 მაისის სხდომის ოქმი) შემდეგი საფუძვლებით:

სს „ბ. ქ-ს» 2003 წლის 27 აგვისტოს წერილის თანახმად, უდავო გარემოებაა, რომ ძვირფასეულობის დაკარგვის გამო, სს „ბ. ქ-მ» დააკმაყოფილა კ.ვ-ის მოთხოვნა დავის საბოლოო გადაწყვეტამდე კრედიტის ძირითად თანხაზე შესაბამისი პროცენტებისა და საურავების დაურიცხაობის თაობაზე. ზემოხსენებული ასევე დადასტურდა დაზუსტებული შეგებებული სარჩელით, სადაც ბანკმა კიდევ ერთხელ განაცხადა უარი მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებაზე. დადგენილია ასევე, რომ ხელშეკრულების გაფორმების დროს ბანკის მიერ 585 სინჯის ოქრო შეფასებულ იქნა 5 აშშ დოლარად მაშინ, როდესაც მისი რეალური საბაზრო ღირებულება ბევრად უფრო მაღალი იყო. იმავე სინჯის ოქროს ფასი კავკასიის გემოლოგიური ცენტრის 10.04.2007წ №01-01-4 დასკვნის თანახმად, 15,5 აშშ დოლარიდან 22,5 აშშ დოლარამდე მერყეობს, სასამართლოს მსჯელობა, რომ ბანკის მხრიდან ვალდებულების შესრულების მიღების ვადის გადაცილება არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი წერილებით, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ორმხრივი ვალდებულების მატარებელია, ბანკი უფლებამოსილია, მოითხოვოს კრედიტის სახით გაცემული თანხა, კ. ვ-ე ვალდებულია, დაფაროს აღნიშნული თანხა, მაგრამ, ამავე დროს უფლებამოსილია, მოითხოვოს ბანკისაგან დაგირავებული ძვირფასეულობა. მხარეთა შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთჯერადი ხელშეკრულებით, პერიოდულად იდებოდა ახალი საკრედიტო და საგირავნო ხელშეკრულებები. ყოველი ცალკეული გირავნობის საგანი (კონკრეტული ოქროს ნაკეთობა) აღნიშნული იყო შესაბამისი კოდით, გვარით, წონითა და ბანკის მიერ შეფასების თანხით. კ. ვ-ე აკეთებდა განაცხადს კონკრეტული ოქროს ნაკეთობის გატანის თაობაზე. მას შემდეგ, რაც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შედგებოდა მიღება-ჩაბარების აქტი, მასვე გამოჰქონდა საცავიდან გირავნობის საგანი, რის შემდეგაც კრედიტ-ოფიცრისა და კლიენტებთან ურთიერთობის მომსახურების ხელმძღვანელის მიერ დგებოდა ახალი საკრედიტო-საგირავნო ხელშეკრულება და სალაროს შემოსავლისა და გასავლის შესაბამისი ორდერი. აღნიშნულის საფუძველზე, კ. ვ-ე ანგარიშსწორებას ახდენდა ბანკთან ფულის შეტანის ან გამოტანის სახით. კ. ვ-ე დაგირავებული ძვირფასეულობის ნაწილში წარმოადგენს კრედიტორს და ბანკი ვალდებული იყო, შესაბამისი განაცხადის გაკეთებისთანავე დაებრუნებინა განცხადებაში მითითებული გირავნობის საგანი, სანაცვლოდ, კ. ვ-ს შეჰქონდა შესაბამისი თანხა. მას შემდეგ, რაც ბანკში არ აღმოჩნდა კ. ვ-ის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული ძვირფასეულობა, ფაქტობრივად ბანკმა დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. ამ დროს კ. ვ-ის მიერ თანხის ნაწილის დაბრუნება ბანკისათვის აღმოჩნდა შეუძლებელი, ვინაიდან ამ თანხის სანაცვლოდ დასაბრუნებელი ძვირფასეულობა არ აღმოჩნდა ბანკში და მეორეც, კ. ვ-ის მიერ თანხის შეტანა ფიზიკურად ვერ განხორციელდა მსგავსი ოპერაციებისათვის ბანკში დადგენილი პროცედურების გამო. ამდენად, თანხის დაბრუნებაზე ვალდებული კ. ვ-ე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ვალდებულების დამრღვევ სუბიექტად, რამდენადაც თანხის მოთხოვნაზე უფლებამოსილმა პირმა – სს „ბ. ქ-მ» ფაქტობრივად გადააცილა შესაბამის ვადას. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ შემდგომში ორმხრივად შესასრულებელი ვალდებულებები შეუსრულებელი აღმოჩნდა. კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება ბანკში გამოვლენილ დანაკლისამდე კ. ვ-ის მიერ დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება, ასევე ცალსახად დასტურდება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, რაც, სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლის „გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, გამორიცხავს ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარე პროცენტის მიღების უფლებას. ბანკის 2007 წლის 13 ოქტომბრის წერილი ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ბანკი უარს აცხადებდა კ. ვ-ის მიმართ ყველა სახის ოპერაციის განხორციელებაზე, მათ შორის კრედიტის სახით გაცემული თანხის მიღებაზე. კ. ვ-ის მოთხოვნა,

დაებრუნებინათ დაგირავებული ძვირფასეულობა, არ შესრულებულა. რევიზიის შედეგად საცავში არსებული ძვირფასეულობის პაკეტის დაბრუნების შემთხვევაში, იგი მზად იყო, გადაეხადა შესაბამისი ძირი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ბანკის ვალდებულება – დაებრუნებინა დაგირავებული ძვირფასეულობა, გამომდინარეობს სწორედ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან, რამდენადაც ბანკის მხრიდან ვალდებულება არ იქნა შესრულებული, კ. ვ-ს, ვალდებულების დარღვევის გამო, წარმოეშვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სასამართლომ კ. ვ-ს, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დააკისრა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონით განსაზღვრული პროცენტი ისე, რომ მან მხედველობაში არ მიიღო უდავოდ დადგენილი გარემოებები და არ გაითვალისწინა ბანკის მიერ ვადის დარღვევის ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მხრიდან აღიარებულია კ. ვ-ის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის დაკარგვის ფაქტი, სასამართლომ დააკმაყოფილა შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ძირითადი თანხისა და კანონისმიერი პროცენტის დაკისრების თაობაზე ისე, რომ იმავე გადაწყვეტილებაში არ იქნა გათვალისწინებული ბანკის ვალდებულება, დაუბრუნოს კ. ვ-ს დაგირავებული ძვირფასეულობა. აღნიშნულით სასამართლომ უგულვებელყო საპროცესო ეკონომიკის პრინციპი და ბანკი ჩააყენა უსაფუძვლოდ გამდიდრებული სუბიექტის რანგში, რადგან ამგვარი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, სს „ბ. ქ-ს» უნდა დაუბრუნდეს გაცემული კრედიტის თანხა და იმავდროულად მასვე დარჩეს კრედიტის უზრუნველსაყოფად დაგირავებული ძვირფასეულობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით კ. ვ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. ვ-ისა და სს „ბ. ქ-ს» სარჩელები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კ. ვ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა 399 775 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში, სს „ბ. ქ-ს» შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა 133 190 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით კ. ვ-ს გადახდილად ჩაეთვალა 133 190 აშშ დოლარი და საბოლოოდ სს „ბ. ქ-ს» კ. ვ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 266 585 (399 775 – 133 190) აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი და შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინებით სს „ბ. ქ-ს» განცხადების საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ» ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის იმ დროს მოქმედი რედაქციის საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმდა საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება, ხოლო 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილისა და 272-ე მუხლის „გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, კ. ვ-ისა და სს „ბ. ქ-ს» ერთობლივი განცხადება დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები და შეწყდა საქმის წარმოება მხარეთა მიერ თავიანთ სარჩელებზე უარის თქმის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 ივლისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კ. ვ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, კერძოდ, გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა საქმის წარმოება კ. ვ-ის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო და განახლდა საქმის წარმოება კ. ვ-ის საკასაციო საჩივრის განხილვის ეტაპიდან, ხოლო საქმის განხილვა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად თვლის, რომ კ. ვ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადასტურებულია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები:

2002 წლის 30 მაისს მხარეთა შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც კ.ვ-მ სს „ბ. ქ-საგან» კრედიტის სახით ერთი თვის ვადით მიიღო 163 343 აშშ დოლარი.

კრედიტი უზრუნველყოფილ იყო ძვირფასეულობით, რომლის ღირებულება 2002 წლის 30 მაისის საგირავნო ხელშეკრულებით განისაზღვრა 168 938 აშშ დოლარით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე 1 გრ. ოქრო შეფასებული იქნა 5 აშშ დოლარად.

პერიოდულად ხდებოდა ძირითადი საკრედიტო ხელშეკრულების განახლება, კერძოდ, ცვლილებები ეხებოდა სესხის თანხას, შესაბამისი ცვლილებები შედიოდა ასევე გირავნობის ხელშეკრულებაში.

2003 წლის 6 ოქტომბრის მდგომარეობით სესხის ძირითადი თანხის ნაშთი შეადგენდა 133 190 აშშ დოლარს. ამავე პერიოდისათვის გირავნობის საგნის ღირებულება შეადგენდა 133 258 აშშ დოლარს (26651,696 გრ. ოქრო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის მიხედვით 1 გრ. 5 აშშ დოლარი).

სს „ბ. ქ-საგან» კრედიტად მიღებულ თანხას კ. ვ-ე, თავის მხრივ, გასცემდა ასევე კრედიტის სახით, თვეში 5%-ის სარგებლის გადახდის პირობით, აღნიშნულ საქმიანობას იგი აწარმოებდა ინდ.მეწარმე „კ. ვ-ის» სახელით. კლიენტების მიერ სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებულ ნივთებს (ძვირფასეულობას), თავის მხრივ, აგირავებდა „ბ. ქ-ში».

2003 წლის ივნისში კ. ვ-მ დაფარა ერთ-ერთი კლიენტის ვალი, მაგრამ მოპასუხემ ვერ დაუბრუნა მოსარჩელეს ამ კლიენტის კუთვნილი ნივთი. აღმოჩნდა, რომ კ. ვ-ის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის ნაწილი სს „ბ. ქ-ში» იყო დაკარგული და კ. ვ-ის მოთხოვნის მიუხედავად, ბანკმა უარი განაცხადა აღნიშნული ნივთის დაბრუნებაზე.

კ. ვ-ის განცხადების საფუძველზე, 2003 წლის 17 ოქტომბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სს „ბ. ქ-ს» თანამშრომელთა მიერ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და გაფლანგვის, ორგანიზაციაში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, კ. ვ-ე ცნობილ იქნა დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ. ამ საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ბანკის მიერ დარღვეულია კლიენტთა სალომბარდო მომსახურების წესები.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს, შესაბამისად, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, სასამართლომ დააკმაყოფილა შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ისე, რომ იმავე გადაწყვეტილებაში არ იქნა გათვალისწინებული ბანკის ვალდებულება, დაუბრუნოს კ. ვ-ს დაგირავებული ძვირფასეულობა. აღნიშნულით სასამართლომ უგულებელყო საპროცესო ეკონომიის პრინციპი და ბანკი ჩააყენა უსაფუძვლოდ გამდიდრებული სუბიექტის რანგში, შესაბამისად, მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებები საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება. აღნიშნული მოსაზრების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ის დასაშვებ შედავებას წარმოადგენს, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი რედაქციის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების თავისებურება იმაშია, რომ ისინი გარანტირებულს ხდიან ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში და სწორედ ამ მიზანმიმართულებით ხასიათდებიან. ისინი მთლიანად შესრულების ფუნქციით არიან დატვირთულნი და არ წარმოადგენენ რაიმე დამატებით სარჯარიმო ხასიათის დატვირთვებს მოვალისათვის. ამდენად, გირავნობის ურთიერთობის მთავარი მიზანი არის მოგირავნემ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. გირავნობა არ წარმოშობს ნივთზე უფლებას, მისი მესაკუთრე რჩება დამგირავებელი, მოგირავნის უფლება დაკავშირებულია არა ნივთთან, არამედ მის ღირებულებასთან.

სამოქალაქო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, რეგისტრირებული გირავნობის დროს დამგირავებელს ან მოგირავნეს, ხოლო მფლობელობითი გირავნობის დროს – მოგირავნეს ან მოგირავნის მიერ განსაზღვრულ მესამე პირს, ეკისრებათ მათ მფლობელობაში არსებული გირავნობის საგნის სათანადოდ მოვლა-შენახვის ვალდებულება. თითოეულ მხარეს აქვს მეორე მხარის მფლობელობაში მყოფი გირავნობის საგნის მდგომარეობის (მათ შორის, ზომის, წონის, შენახვის პირობების და სხვ.) შემოწმების უფლება. აღნიშნული ვალდებულება მოგირავნემ უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად. კეთილსინდისიერად მოქმედება სავალდებულოა ვალდებულებითი ურთიერთობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერი მხარისათვის, რადგანაც, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

გადაცემული საგნის სათანადოდ შენახვის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოგირავნე ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი ამავე კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი მდგომარეობა. ამდენად, ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს, რომლის ძალითაც დაზარალებულს, როგორც კრედიტორს, უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისაგან.

სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია კ. ვ-ის მიერ სს „ბ. ქ-ში»

დაგირავებული ძვირფასეულობის დაკარგვის ფაქტი, შესაბამისად, ვინაიდან, ნივთის დაკარგვის შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, მოგირავნის პასუხისმგებლობა განისაზღვრება რეალური ზიანით – ნივთის ღირებულებით, მიუხედავად იმისა რა თანხით შეფასდა გირავნობის საგანი მოგირავნისათვის გადაცემის დროს.

დავის საგანს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბანკის მიერ კლიენტთა სალომბარდო მომსახურების წესების დარღვევის შედეგად, 2003 წლის ივნისში დადასტურდა სს „ბ. ქ-ში» მოსარჩელე კ. ვ-ის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის დანაკლისი, ასევე, დადგენილია, რომ კ.ვ-მ არაერთხელ მიმართა ბანკს წერილებით (2005 წლის 9 თებერვალს, 15 თებერვალს, 4 მაისსა და 11 აგვისტოს) და მოითხოვა ნებართვა სესხის დაფარვაზე, ასევე ბანკში დაცული ძვირფასეულობის გატანაზე. ბანკმა კი უარი განაცხადა როგორც ოქროს დაბრუნებაზე, ასევე ანგარიშსწორებაზე, ხოლო 2003 წლის 13 ოქტომბრის წერილით კ. ვ-ს ეცნობა, რომ ბანკში დაგირავებული ძვირფასეულობა მთლიანად ვერ უზრუნველყოფდა გატანილ კრედიტს. აქედან გამომდინარე, ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება დაგირავებული ძვირფასეულობის გაცემულ კრედიტთან შესაბამისობაში მოყვანამდე და კრედიტზე დარიცხული პროცენტის გადახდამდე შეეჩერებინა მისთვის ყველა სახის ოპერაციები.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სს „ბ. ქ-უ» არ იყო უფლებამოსილი, კ. ვ-ისაგან მოეთხოვა დაგირავებული ძვირფასეულობის გაცემულ კრედიტთან შესაბამისობაში მოყვანა, ვინაიდან გირავნობის საგანს წარმოადგენდა ძვირფასეულობა, რომელიც დაიკარგა მოპასუხის მიერ სალომბარდო წესების დარღვევის შედეგად, შესაბამისად, მოგირავნის მიერ ნივთის შენახვის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დამგირავებელი თავისუფლდება გირავნობის საგნის შეცვლის ან უზრუნველყოფის სხვა საშუალების შეთავაზებისაგან და, თავის მხრივ, შეუძლია მოითხოვოს დაკარგული ან დაზიანებული ნივთის ფულადი კომპენსაცია, ამ ოდონობით მოთხოვნის გაქვითვა თუ ჩათვლა. აღნიშნულის საპირისპიროდ, ბანკი უარს აცხადებდა მოსარჩელესთან ყველა სახის ოპერაციის განხორციელებაზე.

სარჩელზე წარდგენილი შესაგებელი სს „ბ. ქ-მ» დაამყარა იმ გარემოებაზე, რომ კ. ვ-ს საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულ შესრულებამდე ვერ წარმოეშობოდა მფლობელობითი გირავნობიდან გამომდინარე მოთხოვნა, მოთხოვნის უფლება მას წარმოეშობოდა მხოლოდ გირავნობის გაუქმების შემდგომ. გირავნობის გაუქმება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ვალდებულების შესრულებით, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობდა გირავნობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დაეთანმება, ვინაიდან ბანკის მფლობელობაში აღარ არის გირავნობის საგანი, შესაბამისად, კ. ვ-ის მოთხოვნა არ არის მფლობელობითი გირავნობიდან გამომდინარე მოთხოვნა, მოსარჩელეს არ მოუთხოვია გირავნობის საგნის დაბრუნება, არამედ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოპასუხის მოსაზრებას, რომ, ვინაიდან დაგირავებული ძვირფასეულობა გვაროვნული ნივთია, მხოლოდ კ. ვ-ის მიერ ვალის დაბრუნების შემდეგ, შეიძენენ ძვირფასეულობას და დაუბრუნებენ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ცალკეული გირავნობის საგანი ინდივიდუალიზებული იყო კოდით, გვარით, წონითა და შეფასების თანხით, შესაბამისად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია და მოსარჩელეს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, უნდა მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

რაც შეეხება კ. ვ-ის მოთხოვნას მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე კასატორს უნდა ეთქვას უარი მისი დაუსაბუთებლობის მოტივით. ამ მიმართებით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: კ. ვ-ე, სარჩელის თანახმად, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნას ამყარებს იმას, რომ ბანკის მიერ ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ის მიიღებდა შემოსავალს თვეში 4437 აშშ დოლარის ოდენობით – საბრუნავი თანხის 3,33%-ს და ხელშეკრულების დარღვევიდან სარჩელის აღძვრამდე აღნიშნული თანხა სულ 133110 აშშ დოლარს შეადგენდა. აღნიშნული გარემოების ანალიზის შედეგად, საკასაციო პალატა კასატორის პოზიციას დაუსაბუთებლად მიიჩნევს, რადგანაც არც მხარის განმარტებით და არც საქმის მასალებით დადასტურებულა ის გარემოება, თუ რა სამართლებრივ კავშირშია შემოსავლის მიუღებლობა ბანკის მხრიდან გირავნობის საგნის შენახვის ვალდებულების დარღვევაში, ასევე არ ირკვევა, დიდი ალბათობით მიიღებდა თუ არა კ. ვ-ე შემოსავალს. პალატის მოსაზრებით, შემოსავლის რეალურად მიღების შესაძლებლობა, მოთხოვნის უფლების მქონე პირის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით მართალია მხარეს მინიჭებული აქვს უფლება, მოითხოვოს იმ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაც, რომელიც მას არ მიუღია, თუმცა ნორმის დისპოზიცია – რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო, ადგენს კრედიტორის ვალდებულებას, სათანადოდ დაასაბუთოს ამ შემოსავლის მოპასუხის ბრალეული ქმედებით მიუღებლობა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, კ.ვ-ის მიერ არ იქნა სათანადოდ რეალიზებული, ხოლო თავისთავად ის გარემოებანი, რომლებსაც მოთხოვნის საფუძვლად მხარე მიუთითებს, არ გამომდინარეობს კანონის მიზნებიდან. ამავე კოდექსის 412-ე მუხლით კი განსაზღვრულია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ამავე სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის განჩინებით სარჩელზე უარის თქმის გამო, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც წარმოება შეწყდა კ. ვ-ის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, რაც შეეხება სს „ბ. ქ-ს» განცხადებას, შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, სს „ბ. ქ-ს» ამ ნაწილში საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მოუმართავს, შესაბამისად, საკასაციო პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინება სს „ბ. ქ-ს» მიერ შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის გამო, საქმის წარმოების ამ ნაწილში შეწყვეტის თაობაზე, კვლავ ძალაშია და არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 კარით გათვალისწინებული წესით მისი საფუძვლიანობის შემოწმების წინაპირობა, აღნიშნული კი გამორიცხავს საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებას, იმსჯელოს და თავდაპირველ სარჩელთან ერთობლიობაში შეაფასოს სს „ბ. ქ-ს» შეგებებული სარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს 2012 წლის 16 ივლისს კასატორის მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაზე, სადაც 1 გრამი 585 სინჯის ოქროს საბაზრო ღირებულება 2012 წლის 13 ივლისის მდგომარეობით 45,5 ლარად არის შეფასებული და აღნიშნავს შემდეგს: მტკიცებულების წარმოდგენის თაობაზე მხარის განცხადებაში არ არის აღნიშნული მისი წარმოდგენის მიზანი, საწინააღმდეგოს არსებობის შემთხვევაშიც კი, პალატა არ არის უფლებამოსილი საქმეს დაურთოს აღნიშნული დოკუმენტი და მის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. აღნიშნული გარემოება საკასაციო პალატის მიერ მტკიცებულების საქმისათვის დართვაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2012 წლის 16 ივლისის განცხადებაზე დართული მტკიცებულება 5 ფურცლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული განჩინებით ქვემდგომმა სასამართლომ სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა დავის გადაწყვეტას საფუძვლად არასწორი სამართლებრივი შეფასება დაუდო, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ უფლებამოსილია საქმეზე თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. ვ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ საფუძვლიანია, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება კ. ვ-ის სარჩელის ნაწილობრივ, ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანის – 399775,44 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ კ. ვ-მ საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას სახელმწიფო ბაჟის სახით სულ გადაიხადა 5080 ლარი (სარჩელის გამო 5000 ლარი, სარჩელის უზრუნველყოფის გამო – 50 ლარი, ხოლო კერძო საჩივრის გამო – 30 ლარი), მხარე სააპელაციო წესით საქმის განხილვისას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა, ხოლო საკასაციო საჩივრის გამო სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილ იქნა 6000 ლარი. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებისას კ. ვ-ს გადაუვადდა 100 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით ნაწილობრივ, 399775,44 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა კ.ვ-ის სარჩელი, რაც კ. ვ-ის მიერ მოთხოვნილი თანხის 75,02%-ია (დავის საგნის ღირებულება, მოთხოვნათა ჯამიდან გამომდინარე, 532885,44 აშშ დოლარია, შესაბამისად, მოგებული თანხის პროცენტული მაჩვენებელი გამოიანგარიშება შემდეგნაირად: (399775,44:532885,44)X100) საკასაციო პალატა თვლის, რომ სს „ბ. ქ-ს» კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 11080 (5080+6000) ლარის 75,02% – 8312,216 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კ. ვ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. კ. ვ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
4. სს „ბ. ქ-ს» კ. ვ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანის – 399775,44 აშშ დოლარის ანაზღაურება.
5. კ. ვ-ს უარი ეთქვას მიუღებელი შემოსავლის სახით 133110 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნაზე უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.
6. კ. ვ-ს დაუბრუნდეს 2012 წლის 16 ივლისის განცხადებაზე დართული მტკიცებულება – ექსპერტის დასკვნა 5 ფურცლად.
7. სს „ბ. ქ-ს» (ს/№...) კ. ვ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ გაღებული სასამართლო ხარჯის სახით 8312,216 ლარი.
8. სს „ბ. ქ-ს» (ს/№...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 2012 წლის 9 ივლისის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა.
9. სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა», ბანკის კოდი თღEშGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150.
10. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. უსაფუძვლო გამდიდრება

შეცდომით ხარჯების გაწევა სხვა პირის ქონებაზე

განჩინება

№ას-1245-1265-2011 31 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრებით ნივთზე გაწეული ხარჯების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 9 დეკემბერს, ლ., ლ., თ. და გ. მ-ებმა სარჩელი აღძრეს ხ. დ-ას, მ. ჩ-ისა და ლ. გ-ის მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეთა ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთე-

ბით: მოსარჩელეები არიან ერთი ოჯახის წევრები და ცხოვრობენ ქ.რუსთავში, რ-ის ქ. №32 ბინა №29-ში. მეზობლად მცხოვრებ ხ. დ-ას მოსარჩელეებმა შესთავაზეს მის მფლობელობაში არსებული ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინის გაცვლა, ქ.რუსთავში, ბ-ის ქ.№35-ში მდებარე ოროთახიან ბინაში. 1994 წლის 11 მაისს საცხოვრებელი ფართის გაცვლის ორდერის საფუძველზე მოპასუხე ხ. დ-ამ და მოპასუხე ლ. მ-მა ბინები გაცვალეს, მაგრამ აღნიშნული ფაქტი ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურში არ დაურეგისტრირებიათ. 1994 წლის 11 მაისის შემდეგ სადავო ერთოთახიანი ბინა მიუერთდა მოსარჩელეების კუთვნილ სამოთახიან ბინას, რომელსაც ჩაუტარეს კაპიტალური რემონტი. მოსარჩელეებს 2006 წლის დეკემბერში დაუკავშირდა მოპასუხე მ. ჩ-ე, რომელმაც უთხრა, რომ ხ. დ-ასაგან იყიდა ბინა და, რადგან აღნიშნული ბინა რეგისტრირებული იყო ლ. მ-ის სახელზე, ითხოვა ბინის გადაფორმება. წარმოადგინა ხელწერილი, სადაც მითითებული იყო, რომ მან 2002 წლის 16 დეკემბერს ლ. მ-ის სახელზე რიცხული ბინა შეიძინა ხ. დ-ასაგან. მოსარჩელეს ეჭვი არ შეუტანია მოპასუხეთა კეთილსინდისიერებაში და ბინა ლ. მ-მა გადაუფორმა მ. ჩ-ეს შვილს, ლ. გ-ს, რადგან, მ. ჩ-ეს წესრიგში არ ჰქონდა პირადობის მოწმობა. ლ. გ-მა ოროთახიანი ბინა 2007 წლის 20 აგვისტოს მიჰყიდა ჟ. ქ-ს. სადავო ბინა, რომელიც ნებაყოფლობით გაუცვალეს ხ. დ-ას, მან საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა საჯარო რეესტრში 2007 წლის 5 ოქტომბერს, რის შემდეგაც მიმართა სასამართლოს და გამოასახლა აღნიშნული ფართიდან, რომელსაც კეთილსინდისიერად, როგორც მესაკუთრეები, 1994 წლის 11 მაისიდან ფლობდნენ.

ხ. დ-ამ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ არ აპირებს რემონტის ხარჯების ანაზღაურებას, ვინაიდან თანახმაა, საცხოვრებელი ბინა ჩაიბაროს თავდაპირველი სახით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ., ლ., თ. და გ. მ-ების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხ. დ-ა მოსარჩელეების სასარგებლოდ დაეკისრა 10621.40 ლარის გადახდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხ. დ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ხ. დ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქმეში წარმოდგენილ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ... საინჟინრო-სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ ქ. რუსთავში, რ-ის ქ. №32-ში მდებარე ბინა №30-ში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულება სათანადო ნორმატიული დარიცხვებითა და დღევანდელი ფასების გათვალისწინებით ერთობლივად შეადგენს 10621,40 ლარს. ამ თანხიდან, შესრულებული სამუშაოების სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ოდენობაა 9001,2 ლარი, ხოლო სარემონტო სამუშაოების შემსრულებელი იურიდიული პირის მიერ გადახდილი დღგ-ს ოდენობაა ლარი. პალატამ მიუთითა საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლზე, რომლის დანაწესით დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. ამავე კოდექსის 157-ე მუხლი იძლევა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული პირის დეფინიციას, რომლის დანაწესით, პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო ბინაში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შემსრულებელი იყო დღგ-ს გადამხდელი იურიდიული პირი. ამდენად, მოსარჩელის მიერ დღგ-ს სახით 1620,2 ლარის გადახდის შესახებ ფაქტობრივი გარემოება მოკლებულია დასაბუთებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის და 102-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს ეკისრება იმ გარემოებათა დამტკიცება, რაც მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის დადასტურებამდე მიიყვანს სასამართლოს, მეორე მხრივ კი, მოპასუხეს ეკისრება მის მიმართ წაყენებული მოთხოვნის გაქარწყლება მის მიერ წარდგენილი შესაგებლით. საქმისათვის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტი დადგენილად ჩაითვლება, თუ სასამართლო დარწმუნდება ამ ფაქტის არსებობაში (არარსებობაში). სასამართლოსათვის ასეთი რწმენის შექმნა იმ პირთა მოვალეობაა, რომლებსაც მტკიცების მოვალეობა ეკისრებათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ გაიზიარა სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოება მხოლოდ იმ ნაწილში, რომ სადავო ბინაში ჩატარდა 9001,2 ლარის ოდენობის სარემონტო სამუშაოები და მიუთითა, რომ საპირისპიროს მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს (აპელანტს), რომელმაც ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის ამ კუთხით რეალიზება. ამასთან ერთად, პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის დასაბუთება, რომლითაც აპელანტი სადავოდ ხდის როგორც მოსარჩელეების მიერ ხარჯების გაწევის ფაქტს, ასევე მიუთითებს მასზე, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან არ დგინდება მოსარჩელეების მხრიდან საგნის მუდმივად შეძენილად მიჩნევის საფუძველიც, რაც საბოლოოდ გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის გამოყენებას. პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მხარეებს შორის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა დაიწყო ჯერ კიდევ 1994 წელს, ქ. რუსთავში, რ-ის ქ. №32-30-ში და ქ. რუსთავში, ბ-ის ქუჩა №35-37-ში მდებარე ბინების გაცვლის ორდერების საფუძველზე, რაც ასევე იქნა დადასტურებული მხარეთა ახსნა-განმარტებებით. მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებით სარემონტო სამუშაოები მიერთებულ ერთოთახიან ბინაში თავად ჩაატარეს, აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულებები კი, მოპასუხეს არ წარმოუდგენია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სწორად იქნა გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი. აღნიშნული მუხლის დანაწესით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებულ პირობას წარმოადგენს ერთი პირის გამდიდრება, მეორის ხარჯზე, ანუ ქონებრივი შეღავათის შეძენას ადგილი უნდა ჰქონდეს სხვისი ქონების ხელყოფის შედეგად. კონდიქციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ასევე ისიც, რომ შესრულება ან სხვაგზით დამდგარი გამდიდრება სამართლებრივ საფუძველს მოცილებული უნდა იყოს, კერძოდ, გარიგება ან არ უნდა არსებობდეს, ან, გარიგების ბათილობის სხვა საფუძვლის გამო, უნდა შეწყდეს. სამართლებრივი საფუძვლის არარსებობას უთანაბრდება ის შემთხვევა, როდესაც შესრულება სასურველ მიზანს არ მიაღწევს, კერძოდ, როდესაც პირი მოქმედებდა სასურველი მიზნის მისაღწევად და მისი მოლოდინის ფაქტი ეჭვგარეშეა. მოცემულ შემთხვევაში, მოდავე მხარეთა შორის 1994 წელს ქ. რუსთავში, რ-ის ქ. №32-30-ში და ქ. რუსთავში, ბ-ის ქუჩა №35-37-ში მდებარე ბინები გაიცვალა. ამდენად, მოსარჩელეებისათვის მოლოდინის ფაქტი თავიდანვე ცნობილი იყო და ეჭვს არ იწვევდა, შესაბამისად, მათ შეუძლიათ, წამოაყენონ კონდიქციური მოთხოვნა და მოპასუხეს აღნიშნულ ბინაში სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოსთხოვონ. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანია, რადგან ქ. რუსთავში, რ-ის ქ. №32-ში მდებარე ბინა №30-ში ნამდვილად ჩატარდა 9001,2 ლარის ოდენობის სარემონტო სამუშაოები, რამაც საბოლოოდ, მოპასუხეების უსაფუძლო გამდიდრება გამოიწვია. მოსარჩელის მოთხოვნა დღგ-ს სახით გადახდილი 1620,2 ლარის გადახდის შესახებ კი, უსაფუძვლოა და მოკლებულია დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ხ. დ-ამ შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდაგამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლი. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან არ დგინდება, რომ მოსარჩელეებმა გასწიეს ხარჯი, ასევე არ არსებობს საფუძველი მოსარჩელეების მხრიდან სადავო ფართის მუდმივად შეძენილად მისაჩნევად. მოსარჩელეებმა იცოდნენ, რომ მათ მიერ გაფორმებული უძრავი ნივთის გაცვლის ხელშეკრულება ეწინააღმდეგებოდა კანონის მოთხოვნებს და არ წარმოშობდა საკუთრების უფლებას. ამასთან, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი. სასამართლომ მტკიცებულებად გამოიყენა დოკუმენტები, რომლებიც ვერ ასახავენ კანონით გათვალისწინებულ გარემოებებს და, შესაბამისად, არ იძლევიან დასახელებული მუხლების გამოყენების შესაძლებლობას. სასამართლომ უდავო ფაქტობრივ გარემოებად ჩათვალა, რომ მითითებულ ბინაში მოსარჩელეთა მიერ ჩატარებულია სარემონტო სამუშაოები, რომელთა ღირებულება შეადგენს 10621,40 ლარს და მტკიცებულებად მოიყვანა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო-სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა. სააპელაციო სასამართლომ რემონტის ხარჯი შეამცირა და განსაზღვრა, რომ „შესრულებული სამუშაოების სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ოდენობა 9001.20 ლარია». სასამართლოს მხრიდან აღნიშნული დასკვნის უდავო ფაქტობრივ გარემოებად აღიარება უკანონოა და უსაფუძვლო შემდეგი გარემოებების გამო: დასკვნაში არ ჩანს, ვის მიერ იქნა ჩატარებული სარემონტო სამუშაოები, თუ საერთოდ იგი ჩატარებულია. დასკვნიდან არ ირკვევა, ვის მიერ იყო გაწეული ხარჯი, თუ საერთოდ ასეთი დანახარჯი არსებობს. დასკვნიდან არ ირკვევა მოსარჩელის მიერ განხორციელებული სამუშაოები და გაწეული ხარჯები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაურკვეველია, თუ რა გზით დაადგინა სასამართლომ, რომ მოსარჩელეებმა შეასრულეს სამუშაოები დაგასწიეს ხარჯი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ხ. დ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინებადა საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია კანონის არასწორი განმარტების შედეგად საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების არასრული გამოკვლევა, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1994 წლის 11 მაისს საცხოვრებელი ფართის გაცვლის ორდერის საფუძველზე ხ. დ-ამ მის საკუთრებაში არსებული ქ. რუსთავში, რ-ის ქ. №32-30-ში მდებარე ერთოთახიანი ბინა გაუცვალა ლ. მ-ს რუსთავში, ბ-ის ქუჩა №35-37-ში მდებარე ბინაში. მოსარჩელებმა მიერთებულ ქ. რუსთავში, რ-ის ქ. №32-ში ერთოთახიან ბინაში ჩაატარეს 9001,2 ლა-

რის ღირებულების სარემონტო სამუშაოები. უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მხარეთა შორის ბინების გაცვლა ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურში ან საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა.

1994 წელს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 267-ე მუხლის თანახმად, გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისი წესები. ამავე კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად კი, საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა დაიდოს რთული წერილობითი ფორმით, რასაც უნდა მოჰყვეს მისი რეგისტრაცია. ამ მოთხოვნათა დაუცველობა იწვევს ხელშეკრულების ბათილობას. ანალოგიური დასკვნის გამოტანა შეგვიძლია მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 523-ე, 183-ე მუხლების და 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესების ურთიერთშეჯერების შედეგად. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამავე კოდექსის 323-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას, ხოლო, 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსით ერთმნიშვნელოვნად და იმპერატიულად დადგენილია უძრავ ნივთებზე უფლების წარმოშობის სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი, რომლის მიხედვითაც საჯარო რეესტრის მონაცემთა საჯაროობიდან გამომდინარე, პირი უფლებამოსილია, შეიტყოს უძრავ ნივთზე უფლების მქონე პირის ვინაობა (საგულისხმოა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1997 წლის 25 ნოემბრის ახალი რედაქციის ამოქმედებამდე და საჯარო რეესტრის სამსახურების ჩამოყალიბებამდე უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაცია ხორციელდებოდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებში, რაც უზრუნველყოფდა უძრავ ნივთებზე ამჟამად არსებულის მსგავსი სპეციალური რეჟიმის გავრცელებას).

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მხარეთა მიერ ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართული იყო საცხოვრებელი სახლის გაცვლის ხელშეკრულების დასადებად და მათ მიერ გამოხატული ნება სადავო არ გამხდარა, გაცვლის ხელშეკრულებას შესაბამისი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია – მხარეები მიღებული ფართების მესაკუთრეები არ გამხდარან, რადგან არ ყოფილა დაცული არსებული გარიგების ნამდვილობისათვის კანონით დადგენილი სავალდებულო ფორმა. გარიგების ნამდვილობა, მოცემულ შემთხვევაში, კანონის იმპერატიულ ნებას ეფუძნება და არა მხარეთა შეთანხმებას, თუმცა უდავოა, რომ ქ. რუსთავში, რ-ის ქ. №30-32-ში მდებარე საცხოვრებელი ფართით სარგებლობა დაიწყეს მ-ებმა. ამდენად, ჩნდება კითხვა: – ბათილი გაცვლის ხელშეკრულების ფონზე ჰქონდათ კი მ-ებს სადავო ფართის ფლობისა თუ სარგებლობის უფლება. მოსარჩელეები არაერთგან მიუთითებენ, რომ კეთილსინდისიერად დაეუფლნენ სადავო ფართს და მიიერთეს იგი, სანაცვლოდ კი, ხ. დ-ას გადასცეს ოროთახიანი ბინა.

აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ყოველი პირი მიიჩნევა კანონის მცოდნედ. შესაბამისად, არასწორი სამართლებრივი შეფასების რისკი მთლიანად მხარეზეა გადატანილი, მით უმეტეს განსახილველ შემთხვევაში, რადგანაც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებაზე მსჯელობისას ვარაუდის დაშვება შეუძლებელია: საკუთრება პირდაპირ ვლინდება საჯარო რეესტრისა თუ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ჩანაწერებიდან. აქედან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ ლ., ლ., თ. და გ. მ-ები მოქმედებდნენ უხეში გაუფრთხილებლობის ფარგლებში, ისინი თავისი ქმედებით არღვევდნენ აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს მაღალი ხარისხით, რის გამოც მათ მიერ დაშვებულ სამართლებრივ შეცდომას საპატიოდ ვერ მივიჩნევთ. პირის მიერ კანონის ცოდნის პრეზუმფციის გამო, მიიჩნევა, რომ მოსარჩელეებს უნდა სცოდნოდათ მათ მიერ სადავო ფართის მფლობელობის საფუძვლის ხარვეზის არსებობის შესახებ, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლიდან გამომდინარე, რომელიც კეთილსინდისიერი მფლობელის ლეგალურ დეფინიციას გვაწვდის, მოსარჩელეები არაკეთილსინდისიერი მფლობელები არიან, რადგან ისინი არ შეიძლება უფლებამოსილ პირად იქნეს მიჩნეული ურთიერთობების საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე.

პალატა განმარტავს, რომ მფლობელობის მართლზომიერება ობიექტური, ნორმატიული შეფასების საგანია, ხოლო მფლობელის კეთილსინდისიერება კი, სუბიექტური. ამ უკანასკნელში ვლინდება პირის დამოკიდებულება ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლის, მართლზომიერების მიმართ. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე, ერთი მხრივ, უშვებდა არასაპატიო სამართლებრივ შეცდომას და მიაჩნდა, რომ ის მართლზომიერი მფლობელია, მაგრამ მისი მართლზომიერ, კეთილსინდისიერ მფლობელად განხილვა შეუძლებელია, რადგან მას, კანონის ცოდნის პრეზუმფციიდან გამომდინარე, უნდა სცოდნოდა მფლობელობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. არაკეთილსინდისიერი მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის სამართლებრივ შედეგებს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი არეგულირებს, შესაბამისად, მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად აღნიშნულიც შეგვიძლია განვიხილოთ. ამავდროულად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა სხვის ნივთზე გაწეული ხარჯის ანაზღაურებაზე, მოტივირებულია მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრებით. ამდენად, მივიღეთ უსაფუძვლოდ გაწეულ ხარჯებზე მოსარჩელეთა მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების ორი სამართლებრივი საფუძველი (მოთხოვნათა კონკურენცია): სანივთო-სამართლებრივი (სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი) დაკონდიქციურ-ვალდებულებითი (სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

უსაფუძვლო გამდიდრება სუბსიდიარული ხასიათისაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი. გარდა ამისა, მითითებული საფუძვლით პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სახეზე უნდა იყოს გარკვეული კუმულატიური წინაპირობები, კერძოდ: 1. მოპასუხე უნდა გამდიდრდეს; 2. მოპასუხის გამდიდრება უნდა გამოიწვიოს მოსარჩელის ქმედებამ, – ქმედებასა და შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი; 3. მოპასუხის გამდიდრება, როგორც შედეგი, უნდა იყოს უკანონო, ანუ მას არ უნდა ჰქონდეს კანონისმიერი შესაძლებლობა, კომპენსაციის გარეშე მიითვისოს აღნიშნული ქონება. რომელიმე ამ პირობის არარსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ამიტომ, მას შემდეგ რაც მივიჩნევთ, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი არ არსებობს, თითოეული მათგანის არსებობა ერთობლივად უნდა დადგინდეს.

სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო. ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად. სხვა მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელი რჩება.

მითითებული ნორმით განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ამ ნორმით გათვალისწინებული აუცილებელი წინაპირობების არსებობა, კერძოდ, 1. უფლებამოსილი პირის გამდიდრების ფაქტის არსებობა, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უტყუარად უნდა დადგინდეს; 2. უფლებამოსილი პირის გამდიდრება უშუალოდ უნდა მოყვეს არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთზე გაწეულ ხარჯებსა და გაუმჯობესებას; 3. ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესება მიმართული უნდა იყოს არსებულიდან უკეთესისაკენ და იგი უნდა ზრდიდეს ნივთის ღირებულებას. მხოლოდ ამ გარემოებათა დადასტურებისას შეიძლება არაკეთილსინდისიერი მფლობელის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ურთიერთობის მსგავს, მაგრამ უფრო დაზუსტებულ რეგულაციას ადგენს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები, რომლითაც განსაზღვრულია პირის მიერ შეგნებულად ან შეცდომით საკუთარ ინტერესებში, მაგრამ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვის ქონებაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლები. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა. ამასთან ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს.

აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ სხვისი ქონებაზე გაწეული ხარჯი ანაზღაურების განსაზღვრისას უტყუარად უნდა დადგინდეს მიმღების გამდიდრების ფაქტი. ამავდროულად, გამდიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტისათვის, როცა უფლებამოსილ პირს უბრუნდება ნივთი.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი უფრო ზოგადი ხასიათისაა, ვიდრე 979-ე მუხლი, რომელიც კონკრეტულად მიუთითებს არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვის სამართლებრივ შედეგებზე უპირატესობა უნდა მივანიჭოთ სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლს.

ამდენად, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს საკითხები, რომელთა გარეშეც უფლებამოსილი პირის გამდიდრების ფაქტის დადგენა და დავის კანონიერი გადაწყვეტა შეუძლებელია, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, მოსარჩელეთა მიერ კონკრეტულად რა სახის ხარჯები იქნა გაწეული, რამდენად აუცილებელი იყო ამ ხარჯის გაწევა და ემსახურებოდა თუ არა ეს ხარჯები სადავო ნივთის გაუმჯობესებას, თუ იგი მხოლოდ მოსარჩელეთა, როგორც ნივთის მოსარგებლეთა სპეციალური ინტერესებიდან გამომდინარე იქნა გაწეული (მაგ: მოცემულ შემთხვევაში ბინების გასაერთიანებლად გაწეული რეკონსტრუქციის ხარჯი). გამოსაკვლევია და შესაფასებელი ის გარემოებაც, რომ შესაძლებელია ზოგ შემთხვევაში, აუცილებელი საჭიროების გამო, ნივთზე გაწეული ხარჯები (მაგ; წყალთან, ბუნებრივ აირთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოები და სხვა გაუმჯობესებანი) უფლებამოსილი პირის ინტერესში ყოფილიყო და, ბუნებრივია, მას მესაკუთრე ხ.დ-ას გამდიდრება მოჰყვა;

ამასთან, სრულად გამოირიცხება სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლის გამოყენება, რადგან ამ ნორმით თუ მიმღებმა გასწია ხარჯები ან მას წარმოეშვა ქონებრივი დანაკლისი იმასთან დაკავშირებით, რომ საგანი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდა, მაშინ იგი მოვალეა დააბრუნოს საგანი ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების პირობით. ეს წესი არ გამოიყენება, როცა გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნეს სამუდამოდ შეძენილად. ამავე ნორმის შინაარსიდან და ზემოაღნიშნული დასაბუთებიდან გამომდინარე, უძრავი ნივთი არ იძლევა იმის ობიექტურ შესაძლებლობას, რომ პირს იგი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდეს, თუკი ასეთ ჩანაწერს არ გვაწვდის საჯარო რეესტრი. შესაბამისად, მოცემული დავის რეგულაცია მითითებული სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, დაუშვებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დაადგინოს ზემოაღნიშნული ფაქტები, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ემუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ხ. დ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ვალდებულების შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ას-107-103-2012 21 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ხ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „... ...-ის» დირექტორ თ. გ-ის მიმართ სხვისი უძრავი ქონებით სარგებლობისათვის უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 3700 ლარის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

ჭიათურის გამგეობის 2000 წლის 21 აპრილის №65/2 დადგენილებით ქ.ჭიათურაში, გ. ა-ის ქ. №50-ში მდებარე 12 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა მოსარჩელეს საკუთრებაში. 2000 წლის პირველ ნოემბერს აღნიშნულ ნივთზე საკუთრების უფლება ო. ხ-მ აღრიცხა საჯარო რეესტრში. მოსარჩელის განმარტებით, მან მიწა შეიძინა კომერციული საქმიანობის საწარმოებლად, მიიღო მაღაზიის მშენებლობის ნებართვა. ... ...-ის დირექტორის ნებართვით, აღნიშნულ 12 კვ.მ მიწაზე რ. მ-მ და თ. ხ-მა განათავსეს სავაჭრო ჯიხურები. ჯიხურის მესაკუთრეები მოპასუხეს ქირის სახით ყოველთვიურად უხდიდნენ 50-50 ლარს. მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხემ ქირავნობის ხელშეკრულება არ შეწყვიტა, რის გამოც ო. ხ-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხელშეშლის აღკვეთა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ო. ხ-ის სარჩელი და აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინებით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებით აღსრულდა 2008 წლის 25 თებერვალს. მოპასუხეს თ. ხ-თან, ასევე რ. მ-სთან 1 წლის ვადით – 2006 წლის პირველ იანვრამდე გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომელიც არ შეწყვეტილა და მისი მოქმედება გაგრძელდა გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებამდე. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოპასუხე სარგებლობდა მოსარჩელის კუთვნილი ქონებით და 2008 წლის თებერვლის ბოლომდე, სულ 37 თვის განმავლობაში იღებდა შემოსავალს, რითაც გამდიდრდა უსაფუძვლოდ, ხოლო ო. ხ-ს მიადგა ზიანი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

შპს „... ...» ფლობდა 5700 კვ.მ მიწის ნაკვეთს. ჭიათურის რაიონის გამგეობის 2000 წლის 7 ივლისის №109/7 დადგენილებით მოპასუხეს დამატებით გადაეცა 572 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო ამავე გამგეობის 2002 წლის 22 იანვრის №6/4 დადგენილების საფუძველზე – 6200 კვ.მ მიწის ნაკვეთი. მოპასუხე სულ ფლობს 6142 კვ.მ მიწას. მოპასუხის განმარტებით, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის – 3700 ლარის ანაზღაურების თაობაზე, რადგანაც სინამდვილეს არ შეესაბამება მოსარჩელის მითითება, რომ შპს „... ...» 2005 წლის იანვრიდან 2008 წლის თებერვლის ბოლომდე სარგებლობდა მიწის ნაკვეთით და თ. ხ-ი და რ. მ-ე იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ყოველთვიურად უხდიდნენ ქირას 50 ლარის ოდენობით. თ.ხ-თან დადებული ხელშეკრულება მალევე მოიშალა და ავტოსადგურს მისგან რაიმე შემოსავალი არ მიუღია,

ხოლო რ.მ-სთან ხელშეკრულება მოპასუხეს საერთოდ არ გაუფორმებია. მოპასუხის განმარტებით, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შპს „... ...-სათვის» ზიანის მიყენების ფაქტი სავარაუდო ვერ გახდებოდა წინასწარ, რადგანაც ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ჭიათურის გამგეობის 2000 წლის 21 აპრილს დადგენილება ო. ხ-სათვის 12 კვ.მ მიწის გადაცემის თაობაზე და აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, ხოლო საკასაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხეს ჩაბარდა მხოლოდ 2008 წლის იანვარში. ო. ხ-ის მიერ წარმოდგენილი მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მონაცემები არ ემთხვევა საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულ მონაცემებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის განჩინებაში აღნიშნულია, რომ ო. ხ-სა და კ. მ-ეს ქ.ჭიათურაში, ჭ-ის ქუჩაზე ავტოსადგურის ტერიტორიაზე გადაეცათ 24 კვ.მ მიწის ნაკვეთი, თითოეულს 12-12 კვ.მ მიწა სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის, სადაც მოსარჩელეს მშენებლობა არ უწარმოებია. კ. მ-ე ამჟამად ფლობს 27 კვ.მ მიწას და მოსარჩელეს არც კი გაურკვევია, ამ უკანასკნელს მისი კუთვნილი ტერიტორია ხომ არ აქვს დაკავებული. კ. მ-სა და ო. ხ-ს მიწა გადაეცათ ჭ-ის ქ.№2-ში, ავტოსადგური მდებარეობს გ. ა-ის (ყოფილი ჭ-ის) ქ.№18-ში, კ. მ-ის საკუთრება აღრიცხულია ჭ-ის ქ.№2-ში, ხოლო მოსარჩელე ო. ხ-ის საკუთრება – გ. ა-ის (ყოფილი ჭ-ის) ქ.№50-ში.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ო. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

აღნიშნული საქმე განხილულ იქნა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით ო. ხ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ო. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „... ...-ს» ო. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1095 ლარის გადახდა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ მიუთითა 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ო. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ო. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „... ...-ს» ო. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 600 ლარის, ასევე ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯი – 24 ლარისა და სახელმწიფო ბაჟი – 42 ლარის გადახდა. დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „... ...-ის» დირექტორმა. საქართველოს უზენაესი სასამარლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით შპს „... ...-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 დეკემბრიის გადაწყვეტილება ო.ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახალი განხილვისას უტყუარად უნდა დაედგინა თ. ხ-სა და შპს „... ...-ს» შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემოსავლის მიღების ნამდვილობა, საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მითითება, სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმეში არსებული მასალების საფუძველზე პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ.ჭიათურაში, (სექტორი .., კვარტალი .., ნაკვეთი ...) ო. ხ-ს, საკუთრების უფლებით რეგისტრირებული აქვს 12 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ... ...-ის ადმინისტრაციასთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე ჩადგმულ ჯიხურში შპს „... ...-ის» დირექტორის ნებართვის საფუძველზე თ.ხ-ი ახორციელებდა ჭიათურის ავტოსადგურის ავტომანქანების მანქანის ზეთით მომსახურებას, ანუ ნებართვა იმ ჯიხურის ჩადგმაზე, რომელშიც საქმიანობდა თ. ხ-ი, მიიღო ... ...-ის დირექციისაგან. 2005 წლის 3 იანვარს შპს „... ...-ის» დირექციასა და ინდ.მეწარმე თ.ხ-ს შორის შედგა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ... ...-ის დირექციამ ინდ.მეწარმე თ. ხ-ს გამოუყო ... ...-ის კუთვნილი ტერიტორია სავაჭრო ჯიხურის ჩასადგმელად და შპს „... ...-ით» სარგებლობისათვის თ.ხ-მა აიღო ყოველთვიურად 50 ლარის გადახდის ვალდებულება, აღნიშნული თანხა ყოველი თვის 5 რიცხვში უნდა შეეტანა შპს „... ...-ის» სალაროში. შპს „... ...-ის» დირექტორის 2005 წლის 11 იანვრის №2 ბრძანების საფუძველზე 2005 წლის 3 იანვრის ქირავნობის ხელშეკრულება მხარეთა შორის შეწყდა. არანაირი საიჯარო ქირა მ-სა და გ-ს შპს „... ...-ის» დირექტორისათვის არ გადაუხდიათ, მათ შორის, არც ხელზე ანგარიშსწორებისა და არც საზოგადოების სალაროში შეტანის გზით. პალატამ მიუთითა მოწმედ დაკითხულ თ. ხ-ის ჩვენებაზე და დადგენილად მიიჩნია, რომ, მართალია, რეალურად თ.ხ-სა და შპს „... ...-ის» დირექტორს შორის ქირავნობის ურთიერთობა არ შემდგარა, მაგრამ ...-ის დირექტორის ნებართვითა და თხოვნით, თ. ხ-ი მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე განთავსებულ ჯიხურში ყიდდა ავტომანქანის ზეთს, ავტოსადგურით მოსარგებლე მანქანებისათვის, რისთვისაც ...-ის დირექტორი თ. ხ-ს უხდიდა ყოველდღიურად თანხას მიახლოებით 4 ლარის ოდენობით. თ. ხ-ის დახმარებით შპს „...» ზეთის რეალიზაციით იღებდა სარგებელს. პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ თ. ხ-ს შპს „... ...-ის» დირექტორი მანქანის ზეთის რეალიზაციისათვის დღეში უხდიდა მიახლოებით 4 ლარს და უდავო ფაქტად მიიჩნია, რომ შპს „... ...-ც» ამ საქმიანობიდან მიიღებდა სარგებელს მიახლოებით (მინიმუმ) 1 ლარს მაინც დღეში. პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 23 იანვარს გაცემული სააღსრულებო ფურცელზე ო. ხ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის იძულების წესით გამოთავისუფლებისა და ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ჯიხურების გატანის შესახებ და უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლიდან 2008 წლამდე ო. ხ-ის საკუთრებაში რიცხულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო ჯიხური, რომელსაც ფლობდა შპს „... ...-ის» დირექტორის თხოვნითა და ნებართვით თ. ხ-ი, სადაც ასევე შპს „... ...-ის» დირექტორის თხოვნისა და ნებართვის საფუძველზე ყიდდა ავტომანქანის ზეთებს ავტოსადგურით მოსარგებლე მანქანებისათვის, ...-ის დირექტორი კი მას დღეში 4 ლარს უხდიდა. პალატამ ჩათვალა, რომ სარგებელი, რაც შპს „... ...-მა» ო. ხ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ჩადგმული ჯიხურით ავტომანქანის ზეთების რეალიზაციით 3 წლის განმავლობაში მიიღო, 1095 ლარია. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 983-ე მუხლით და მიიჩნია, რომ, რადგანაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს (რომელზედაც შპს „... ...-ის» დირექტორმა ჯიხური ჯერ განათავსა, ხოლო შემდეგ 3 წლის განმავლობაში იღებდა სარგებელს ავტომანქანის ზეთის რეალიზაციით დღეში ერთი ლარის ოდენობით), წარმოადგენდა მოსარჩელე ო. ხ-ე, მიწის ნაკვეთის გამოყენებით სარგებლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა სწორედ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ო. ხ-ე და არა შპს „... ...». სასამართლო არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ო.ხ-ის კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებული ჯიხური მხოლოდ 8 დღის განმავლობაში ჰქონდათ დაკავებული ხ-სა და მ-ს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 23 იანვარს გაცემული სააღსრულებო ფურცლით დგინდება, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე ჯიხური 3 წლის და არა 8 დღის განმავლობაში იყო განთავსებული, როგორც ეს მიუთითა მოწმედ დაკითხულმა თ.ხ-მა. პალატამ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 982-ე, 408-ე, 409-ე მუხლებზე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „... ...» სრულიად უკანონოდ სარგებლობდა 3 წლის განმავლობაში ო. ხ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთით, ჩათვალა, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო და ის ზიანი, რომელიც მოსარჩელემ განიცადა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის 3 წლის განმავლობაში გამოუყენებლობით, უნდა ანაზღაურებულიყო. პალატის მითითებით, მართალია, ზუსტად ვერ დგინდება ზიანის ის ოდენობა, რაც მოსარჩელემ განიცადა, მაგრამ ეს გარემოება ვერ გახდება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი და ამ შემთხვევაში დავა გონივრული და სამართლიანი გადაწყვეტით უნდა დასრულდეს, რადგანაც სრულიად ლოგიკურია, თუ შპს „... ...» 3 წლის განმავლობაში ყოველ დღე თ. ხ-ს უხდიდა 4 ლარს, იმ საქმიანობისათვის (ჯიხურში ვაჭრობა), რომელსაც იგი ო. ხ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ახორციელებდა, თავად მას ყოველდღიურად მინიმუმ 1 ლარის სარგებელი მაინც უნდა ენახა, რადგან სხვა შემთხვევაში, ფაქტია, იგი 4 ლარს ზეთების რეალიზატორს არ გადაუხდიდა. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული დასკვნა შეესაბამება უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკასაც, რომლის თანახმადაც, თუ ზიანის ოდენობა ზუსტად ვერ განისაზღვრა, მაშინ, როცა საზოგადოდ ზიანი სახეზეა, ოდენობის განუსაზღვრელობა არ შეიძლება გახდეს სარჩელზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „... ...-ის» დირექტორმა თ. გ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ო. ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება, რომ 2005 წლის 3 იანვარს შპს „... ...-სა» და თ. ხ-ს შორის დადებული ხელშეკრულებით ამ უკანასკნელს გამოეყო ... ...-ის კუთვნილი ტერიტორია ჯიხურის ჩასადგმელად, რისთვისაც თ. ხ-მა იკისრა ყოველთვიურად 50 ლარის გადახდის ვალდებულება. აღნიშნული ხელშეკრულება მოიშალა შპს „... ...-ის» დირექტორის 2005 წლის 11 იანვრის ბრძანების საფუძველზე და საიჯარო ქირა თ. ხ-ს ავტოსადგურისათვის არც ხელზე ანგარიშსწორებისა და არც სალაროში შეტანის გზით არ გადაუხდია. გამომდინარე იქიდან, რომ კასატორს არანაირი სარგებელი არ მიუღია, სამოქალაქო კოდექსის 983-ე მუხლის შესაბამისად, ო. ხ-ის სასარგებლოდ რაიმე თანხის დაბრუნების ვალდებულებაც არ წარმოშობია. პალატა დაეყრდნო მოწმე თ. ხ-ის ჩვენებას, რომ ...-ის დირექტორი მანქანის ზეთების რეალიზაციისათვის ყოველდღიურად უხდიდა მიახლოებით 4 ლარს და უდავო ფაქტად მიიჩნია, რომ შპს „... ...-ც» ამ საქმიანობიდან იღებდა სარგებელს დღეში დაახლოებით 1 ლარს, სამ წელიწადში კი – 1095 ლარს. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული და დამყარებულია მხოლოდ ვარაუდზე. თანხის ოდენობის გამოთვლისას სასამართლომ არ გაითვალისწინა დასვენებისა და უქმე დღეები, რომელიც სამ წელიწადში დაახლოებით 300 დღეს შეადგენს, ასევე, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც წინასწარ იყო სავარაუდო მოვალისათვის და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შპს „... ...-სათვის» ზიანის მიყენების ფაქტი სავარაუდო ვერ გახდებოდა წინასწარ, რადგან რაიონული სასამართლოს 2005 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ჭიათურის გამგეობის 2000 წლის 21 აპრილის დადგენილება, ო. ხ-სათვის 12 კვ.მ მიწის გადაცემის თაობაზე და აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ზემდგომ სასამართლოებში, ხოლო საკასაციო სასამართლოს განჩინება მხარემ ჩაიბარა 2008 წლის იანვარში. პალატამ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ო. ხ-ს გამოყოფილ 12 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის პროექტი ამჟამადაც არ აქვს დამტკიცებული, 11 წელია მშენებლობა არ უწარმოებია მოუწესრიგებელი დოკუმენტაციის გამო. იგი დავობს მიუღებელ, ანუ სავარაუდო შემოსავალზე, თუმცა მნიშვნელოვანია, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მხრიდან შემოსავლის მიღება. რაც შეეხება საქმეში არსებულ სააღსრულებო ფურცელს, იგი გაცემულია რ. მ-ისა და თ. ხ-ის და არა შპს „... ...-ის» მიმართ, შესაბა-

მისად, ო. ხ-ის სარჩელზე სწორედ მათ უნდა ეგოთ პასუხი, აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი. საქმეში წარმოდგენილი სააღსრულებო ფურცლით რ. მ-სა და თ. ხ-ს დაევალათ ო. ხ-ის მიწის ნაკვეთის გათავისუფლება, თუმცა რომელ მიწის ნაკვეთზეა საუბარი, დღემდე გაურკვეველია. დადგენილია, რომ ო. ხ-სა და კ. მ-ს გვერდიგვერდ დაუმაგრდათ ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე აუქციონის წესით შეძენილი 24 კვ.მ მიწის ნაკვეთი, თითოეულს 12-12 კვ.მ სავაჭრო ობიექტის მშენებლობისათვის. მოსარჩელეს 2000 წლიდან დღემდე არაფერი აუშენებია, მშენებლობა მხოლოდ კ. მ-მ აწარმოა, რომელიც ამჟამად 27 კვ.მ მიწის ნაკვეთს ფლობს და არა 12 კვ. მეტრს. ო. ხ-ს არც კი გაურკვევია, ხომ არ მიითვისა კ. მ-მ მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი. ადრე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი მოსარჩელის კუთვნილი 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის კონკრეტული ადგილმდებარეობა. მარეგისტრირებელ ორგანოში დაცულ დოკუმენტებს შორის არსებობს ექსპერტ ბ. ბ-ის დასკვნა, რომლითაც შეუძლებელია დადგინდეს, თუ სად მდებარეობს ო. ხ-ის კუთვნილი 12 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც სასამართლოს საერთოდ არ შეუფასებია. კასატორმა დამატებით წარმოადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 5 აგვისტო გადაწყვეტილება და იშუამდგომლა მტკიცებულების საქმისათვის დართვის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მარტის განჩინებით შპს „... ...-ის» საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობის და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „... ...-ის» საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებაზე, რომლითაც შპს „... ...-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება ო.ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო პალატამ ზემოაღნიშნული განჩინება დაამყარა მოცემულ საქმეზე დადგენილ შემდეგ გარემოებებს:

ქ.ჭიათურაში (სექტორი – .., კვარტალი – .., ნაკვეთი – ..) ო. ხ-ს, საკუთრების უფლებით, რეგისტრირებული აქვს 12 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ჭიათურის ავტოსადგურის ადმინისტრაციასთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე ჩადგმულ ჯიხურში სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა თ. ხ-ი.

თ. ხ-მა ჯიხურის ჩადგმაზე ნებართვა მიიღო ... ...-ის დირექციისაგან.

2005 წლის 3 იანვარს შპს „... ...-ის» დირექციასა და ინდ.მეწარმე თ. ხ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თ.ხ-ს შპს „... ...-ის» ტერიტორიით სარგებლობისათვის ყოველი თვის 5 რიცხვში შპს „... ...-ის» სალაროში უნდა შეეტანა თანხა – 50 ლარი.

საკასაციო პალატამ საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებად მიიჩნია იმ ფაქტის დადგენა, 2005 წლის 3 იანვრის ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის ანაზღაურების წესი დაცული იყო თუ არა ხელშემკვრელ მხარეთა შორის და აღნიშნული ადასტურებდა თუ არა სარჩელის საფუძვლიანობას, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს დაევალა შპს „... ...-სა» და თ. ხ-ს შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემოსავლის მიღების ნამდვილობის ფაქტის უტყუარად გამორკვევა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ, საკასაციო სასამართლოს განჩინების მითითების ფარგლებში, დადგენილად მიიჩნია და არც კასატორს წარმოუდგენია პრეტენზია, რომ შპს „... ...-ის» დირექტორის 2005 წლის 11 იანვრის №2 ბრძანებით მხარეთა შორის 2005 წლის 3 იანვარს დადებული ქირავნობის ხელშეკრულება გაუქმდა და არანაირი საიჯარო ქირა მ-სა და გ-ს შპს „... ...-სათვის» არ გადაუხდიათ არც ხელზე და არც საზოგადოების სალაროში შეტანის გზით.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს განსახილველი დავის საგანზე, კერძოდ, მოსარჩელე მოითხოვდა შპს „... ...-ის» მიერ რ. მ-სა და თ. ხ-თან დადებული იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უსაფუძვლოდ მიღებული საიჯარო თანხის შპს „... ...-სათვის» დაკისრებას.

სამოქალაქო კოდექსის 983-ე მუხლის თანახმად, თუ უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილ შესრულებას იღებს არაუფლებამოსილი პირი, მაშინ იგი მოვალეა მიღებული დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს. როგორც უკვე განიმარტა, მოცემული ნორმით დადგენილია უფლებამოსილი პირის უფლება იმ პირის მიმართ, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო ფული ან გვაროვნული ნივთი, მოითხოვოს ამ სიკეთის კრედიტორისათვის დაბრუნება, დადგენილია ასევე არაუფლებამოსილი პირის ვალდებულება, დააბრუნოს ყველაფერი, რაც მან უსაფუძვლოდ მიიღო. კანონმდებელი აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის სავალდებულოდ მიიჩნევს შესრულების მიღების ნამდვილობის დადგენას, რადგანაც კანონისმიერი ამ ვალდებულებითი ურთიერთობის ძირითად საფუძველს არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღება წარმოადგენს, რაც მსგავსად ვინდიკაციური სარჩელისა, არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესრულების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნების უალტერნატივო წინაპირობაა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ დაადგინა რა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულ პერიოდში, ერთი მხრივ, შპს „... ...-სა» და, მეორე მხრივ თ. ხ-ს შორის 2005 წლის 3 იანვარს დადებული სადავო იჯარის ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა 2005 წლის 11 იანვრის №2 ბრძანებით და ამ ხელშეკრულების საფუძველზე შპს „... ...-ს» რაიმე სარგებელი არ მიუღია, პალატა თვლის, რომ არ არსებობს ო. ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

რაც შეეხება სააპელაციო პალატის 2011 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების მსჯელობას ...-ის დირექტორის ნებართვითა და თხოვნით თ. ხ-ის მიერ მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე განთავსებულ ჯიხურში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისა და ...-ის დირექტორის მიერ ყოველდღიურად დაახლოებით 4 ლარის ანაზღაურების თაობაზე, ასევე ზეთის რეალიზაციით მოპასუხის მიერ მინიმუმ დღეში 1 ლარის მოგების მიღებას, აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას და თვლის, რომ ამ ნაწილში მხარემ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა. ამ თვალსაზრისით, სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს და იმ გარემოებათა კვლევას შეუდგა, რაც თავის დროზე არ დაუდგენია პირველი ინსტანციის სასამართლოს და რაზეც არ ყოფილა წარდგენილი სააპელაციო საჩივარი.

საკასაციო პალატა მიიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლზე, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე კოდექსის 384-ე მუხლით დადგენილია, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. მითითებული ნორმების თანახმად, სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის, ანუ ამ საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით. რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების ფაქტობრივი თუ იურიდიული დასაბუთებულობა სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებაში, ე.ი. მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილ გარემოებად მიიჩნია შპს „... ...-სა» და თ. ხ-ს შორის მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაუქმების ფაქტი, რაც აპელანტის (ო. ხ-ის) მიერ მიჩნეულ იქნა ფაქტობრივ უსწორობად და გასაჩვრებულ იქნა სააპელაციო წესით. ამდენად, სააპელაციო საჩივრის საგანს წარმოადგენდა პრეტენზია იმ ფაქტობრივ უსწორობაზე, რომლითაც არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის პოზიცია გარიგების საფუძველზე, შპს „... ...-ის», როგორც არუფლებამოსილი პირის მიერ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოსარჩელეს სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მისი სარჩელი ნაწილობრივ, 600 ლარის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა, არ გაუსაჩივრებია. ამდენად სააპელაციო პალატა ვალდებული იყო საკასაციო სასამართლოს მითითების შესაბამისად, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შეფასების საფუძველზე, დაედგინა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა, ისე, რომ ახალი გადაწყვეტილებით არ მომხდარიყო საუარესოდ შებრუნება, რაც ვერ იქნა დაცული.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია, ამასთან, ო. ხ-ის სარჩელის ფარგლებში მხარეთა შორის სადავოდ მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია და სადავო სწორედ ამ გარემოებათა სამართლებრივი შეფასებაა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია მოცემულ საქმეზე თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო

ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ კასატორმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 300 ლარი, ამავე სასამართლოს 2011 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას ასევე გადაიხადა 300 ლარი.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „... ...-ის» დირექტორ თ. გ-ის საკასაციო საჩივარი და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება ო. ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საქმის წარმოებისას საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300-300 ლარი, სულ – 600 ლარი, ხოლო კასატორის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

რაც შეეხება კასატორის შუამდგომლობას საქმისათვის ახალი მტკიცებულების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების დართვის თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ზემოაღნიშნულს და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება უნდა დაუბრუნდეს კასატორს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „... ...-ის» დირექტორ თ. გ-ს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება 3 ფურცლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „... ...-ის» დირექტორ თ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. ო. ხ-ის სარჩელი შპს „... ...-ის» დირექტორ თ. გ-ის მიმართ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

4. ო. ხ-ს (პირადი №...) შპს „... ...-ის» (საიდენტიფიკაციო №...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო წარმოებისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 600 ლარი.

5. შპს „... ...-ის» დირექტორ თ. გ-ს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულება 3 ფურცლად.

6. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურების წესი

განჩინება

№ას-1075-1105-2011 29 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ნივთის მფლობელობაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. წ-ის მიმართ უძრავი ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების – 73631 ლარის ანაზღაურებისა და აღნიშნული თანხის სრულ გადახდამდე სადავო უძრავი ნივთის მოსარჩელის მფლობელობაში დატოვების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2004 წელს გ. გ-ე შეუთანხმდა რ. წ-სა და მის საქმიან პარტნიორებს – მ. ბ-ესა და დ. გ-ს ქ.ჭიათურაში, ნ-ის ქ.№1ა-ში მდებარე «ჰ. ს-ს» შესყიდვაზე, რის სანაცვლოდ გადაიხადა 8000 აშშ დოლარი, თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება იმჟამად ვერ მოხერხდა.

ზემოხსენებული ნაგებობა, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო, გადაეცა მოსარჩელეს მფლობელობაში. გ. გ-ემ იგი საკუთარი ხარჯით გაარემონტა. აღნიშნულის შესახებ ცნობილი იყო როგორც რ. წ-ის, ისე მისი ოჯახის წევრებისათვის. მოგვიანებით რ. წ-ი გარდაიცვალა. მოპასუხე რ. წ-ის მემკვიდრე და მამაა. 2004-2007 წლებში მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა მას სადავო ნივთის თავის სახელზე გადაფორმების მოთხოვნით და მოპასუხეს აღნიშნულისათვის 200 ლარიც გადაუხადა, თუმცა ნასყიდობა არ გაფორმებულა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 იანვრის განჩინებით ი. წ-თან ერთად მოპასუხეებად ჩაბმულ იქნენ გარდაცვლილი რ. წ-ის შვილები – მ., ე. და ვ. წ-ები.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: სასამართლოს 2007 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მ. ბ-ესა და დ. გ-ს სადავო უძრავი ნივთის გასხვისების უფლებამოსილება არ გააჩნდათ, შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება, რომ მან შენობა ზემოხსენებულ პირთაგან შეიძინა. დაუსაბუთებელია მოსარჩელის პრეტენზია შენობის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან გ. გ-ეს სადავო უძრავი ნივთის ფლობისა და მისთვის რაიმე სამუშაოების შესრულების ნება არც მესაკუთრისა და არც მისი მემკვიდრეებისაგან არ აუღია.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი აწ გარდაცვლილი რ. წ-ის მემკვიდრეების – ი., ე., მ. და ვ. წ-ების მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს გ. გ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 68120 ლარის გადახდა, ასევე სახელმწიფო ბაჟისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გ. გ-ემ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, მ., ე., ი. წ-ებმა და ხ. კ-ემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ., ე. და ი. წ-ების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა გ.გ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი., მ., ე. და ვ. წ-ებს გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 1000 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში კი გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ი. წ-მა, მ., ე. და ვ. წ-ების კანონიერმა წარმომადგენელმა ხ. კ-ემ გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 თებერვლის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის გადაწყვეტილებით გ. გ-ის, ასევე მ., ე. და ი. წ-ების სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და გ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი., მ., ე. და ვ. წ-ებს გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 48400 ლარის, გ. გ-ის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 1000 ლარისა და 1492 ლარის ანაზღაურება, გ. გ-ეს ი., მ., ე. და ვ. წ-ების სასარგებლოდ დაეკისრა 1774,80 ლარისა ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

2000 წლის 31 მაისს სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და რ. წ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქ.ჭიათურაში, ნ-ის ქ.№1ა-ში მდებარე «ჰ. შ-ს» გასხვისების თაობაზე. ობიექტი გაიყიდა 6305 აშშ დოლარად. მოგვიანებით, აღნიშნული შენობა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა რ. წ-ის სახელზე.

2004 წლის 30 ივლისს რ. წ-ი გარდაიცვალა და მისი სამკვიდრო მიიღეს ი., მ., ე. და ვ. წ-ებმა.

2004 წელს რ. წ-ის კუთვნილ შენობას, ყოფილ «ჰიგიენის სახლს» ზეპირი გარიგების საფუძველზე დაეუფლა გ. გ-ე. მან შენობა გაარემონტა. ჩატარებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 96817,10 ლარი.

2008 წლის ოქტომბრისათვის, ჩატარებული სამუშაოების გარეშე, შენობის ღირებულება შეადგენდა 503200 ლარს, ხოლო ჩატარებული სამუშაოების ჩათვლით – 600000 ლარს. შესაბამისად, სარემონტო სამუშაოების ჩატარების შედეგად უძრავი ნივთის ღირებულება გაიზარდა 96800 ლარით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს პოზიცია, რომ გ. გ-ე «ჰ. ს-ს» ფლობდა მართლზომიერად. პალატის მოსაზრებით, ნივთის მართლზომიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც ნივთს ფლობს სამართლებრივად ნამდვილი უფლების საფუძველზე. ეს უფლება შეიძლება წარმოშობილი იყოს გარიგების, ადმინისტრაციული აქტის ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. მოცემულ

შემთხვევაში, გ. გ-ის განმარტებით, იგი «ჰ. ს-ს» დაეუფლა რ. წ-თან დადებული და, შემდგომში, მისი მემკვიდრეების მიერ დადასტურებული ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მან კიდევაც მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა ხელშეკრულების პირობების შესრულება, თუმცა მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ გ. გ-ესა და რ. წ-ს შორის დადებული ხელშეკრულება ნამდვილი ყოფილიყო, აუცილებელი იყო მხარეებს იგი შეედგინათ წერილობითი ფორმით (გარიგების დადების დროსათვის, კანონი მსგავსი ხელშეკრულებებისათვის ითვალისწინებდა რთულ წერილობით ფორმას).

პალატამ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, წერილობითი ფორმის დაცვა სავალდებულო იყო იმ შემთხვევაშიც, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით მომავალი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ვალდებულება რომ განსაზღვრულიყო. შესაბამისად, გ. გ-ე «ჰ. ს-ს» დაეუფლა კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად დადებული გარიგების საფუძველზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოწინააღდეგე მხარეს არ უარყვია გ. გ-ის მიერ შენობის გარიგების საფუძველზე დაუფლების ფაქტი, თუმცა განმარტა, რომ გ. გ-ემ ეს გარიგება დადო მოწმე მ. ბ-ესთან. შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, გ. გ-ემ გარიგება დადო არაუფლებამოსილ პირთან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. გ-ე «ჰ. ს-ს» დაეუფლა არარსებული გარიგების საფუძველზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილი გარიგება არ არსებობს და არ წარმოშობს გარიგებით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს. ამდენად, გ. გ-ეს «ჰ. ს-ს» ფლობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა, იგი ქონებას ფლობდა არამართლზომიერად და «ჰ. ს-ს» კეთილსინდისიერ მფლობელადაც ვერ ჩაითვლება.

პალატამ აღნიშნა, რომ «კეთილსინდისიერება» არის მფლობელის დამოკიდებულება ფლობის ფაქტის მიმართ. კეთილსინდისიერი მფლობელია ის პირი, რომელიც მართალია, ნივთს არამართლზომიერად ფლობს, მაგრამ ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია, ე.ი. არ იცის და გონივრული წინდახედულობის ფარგლებში, არც შეიძლება იცოდეს მფლობელობის ხარვეზის შესახებ. გ. გ-ე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა კეთილსინდისიერი მფლობელი, თუ მას არ ეცოდინებოდა იმის თაობაზე, რომ იგი სხვის ნივთს ეუფლებოდა ბათილი გარიგების საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმფცია. შესაბამისად, გ. გ-ემ იცოდა, რომ ზეპირი გარიგება არ შეიძლებოდა გამხდარიყო უძრავი ნივთის შეძენის საფუძველი და ასეთი გარიგება იყო ბათილი. მოცემული დავის გადაწყვეტის მომენტისათვის, «ჰ. ს-ი» უფლებამოსილი პირებისათვის, ანუ რ. წ-ის მემკვიდრეებისათვის დაბრუნებულია.

სსიპ «ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტის 2010 წლის 11 ნოემბრის დასკვნით პალატამ დაადგინა, რომ გ. გ-ის მიერ ჩატარებული სამუშაოებით «ჰ. ს-ს» ღირებულება არსებითად გაიზარდა და რ. წ-ის მემკვიდრეებმა იგი მიიღეს გაზრდილი ღირებულებით. გ. გ-ეს «ჰ. ს-ში» სარემონტო სამუშაოების ჩატარების ვალდებულება არ ჰქონდა.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შესრულებული სარემონტო სამუშაოების შედეგად «ჰ. ს-ს» ღირებულება არსებითად გაიზარდა და რ. წ-ის მემკვიდრეებმა მიიღეს აღნიშნული შესრულებული სამუშაოები და ამ სამუშაოების შედეგად გაზრდილი ღირებულების მქონე ქონება ისე რომ, არ გააჩნდათ ამის სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, რ. წ-ის მემკვიდრეები გ. გ-ის ხარჯზე გამდიდრდნენ უსაფუძვლოდ და მათ გ. გ-ეს უნდა აუნაზღაურონ გ. გ-ის მიერ გაწეული ხარჯები.

პალატამ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლის პირველი ნაწილის, 981-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მიმღებისათვის ცნობილი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა, მას ეზღუდება უფლება, მოითხოვოს ხარჯებისა და დანაკლისის ანაზღაურება – წესი, რომლის მიხედვითაც, მიმღები უფლებამოსილია, მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, გამოიყენება მაშინ, თუ საგანი იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი მიჩნეულ იქნას სამუდამოდ შეძენილად. თუმცა, სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი, რომელიც არაკეთილსინდისიერ მფლობელს ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება და ამავე კოდექსის 980-ე-981-ე მუხლები ერთმანეთს არ გამორიცხავს, არამედ – ავსებს. უფრო ზუსტად, სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი პირს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას, ხოლო 980-ე და 981-ე მუხლები განსაზღვრავს ამ მოთხოვნის ფარგლებს. ანალოგიურად რეგულირდება დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები (შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 414-ე-415-ე მუხლები).

სააპელაციო პალატის მითითებით, მართალია, უსაფუძვლოდ გაწეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს არაკეთილსინდისიერ მფლობელსაც, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის ცნობილია (ან უნდა იყოს ცნობილი) სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზი, მისი მოთხოვნის ფარგლები მცირდება. ზეპირი გარიგება უძრავი ქონების შეძენის თაობაზე, ცხადია, საერთოდ არ იძლევა შეძენილად მისი მიჩნევის საფუძველს და ამის თაობაზე, როგორც აღინიშნა, თავიდანვე ცნობილი იყო გ. გ-ისათვის. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მას ეკისრება პასუხისმგებლობა ბათილი გარიგების საფუძველზე უძრავი ქონების დაუფლების მომენტიდან.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა შემცირდეს გ. გ-ის სასარგებლოდ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაც და, რადგან გ. გ-ე თანაბარწილად არის პასუხისმგებელი, მის მიერ მისაღები თანხის ოდენობა უნდა განისაზღვროს ქონების გაზრდილი ღირებულების 1/2-ით. გაწეული სამუშაოების შედეგად, ქონების ღირებულება გაიზარდა 96800 ლარით. შესაბამისად, რ. წ-ის მემკვიდრეებმა გ. გ-ეს უნდა გადაუხადონ აღნიშნული თანხის ნახევარი – 48400 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გ. გ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოწინააღმდეგე მხარისათვის 48400 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 50-ე-51-ე მუხლები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა და არ გაითვალისწინა, რომ გ. გ-ე სადავო შენობაში რ. წ-ის გარდაცვალებამდე იმყოფებოდა მართლზომიერად. მას რ. წ-თან დადებული ჰქონდა ფართის ნასყიდობის ხელშეკრულება და მისი ღირებულების ნაწილიც გადახდილი ჰქონდა, თუმცა გარიგება ვერ გაფორმდა გამსხვისებლის გარდაცვალების გამო. ამდენად, კასატორი, როგორც ფართის მომავალი მფლობელი, კეთილსინდისიერი იყო, რადგან არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა მფლობელობის ხარვეზის შესახებ.

პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 980-ე და 981-ე მუხლები, როდესაც მიიჩნია, რომ კასატორისათვის გადაცემული უძრავი ნივთი არ იძლეოდა საფუძველს, გ. გ-ეს ევარაუდა მისი სამუდამოდ საკუთრებაში გადაცემა. კასატორმა მნიშვნელოვანი დანახარჯი გასწია სადავო ქონების გასაუმჯობესებლად, რასაც არ განახორციელებდა თუ ეცოდინებოდა, რომ ქონება მას არ ეკუთვნის. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა გაწეული სამუშაოების ღირებულისა და დანაკლისის ოდენობის შეზღუდულად ანაზღაურების ნაწილში. პალატამ ვერ დაასაბუთა, რატომ შეამცირა გაწეული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ან რა კრიტერიუმით იხელმძღვანელა მხოლოდ თანხის ნახევრის მხარისათვის დაკისრების დრო. გაუგებარია, რა მიზეზით ჩათვალა სასამართლომ გ. გ-ე თანაბარწილად პასუხისმგებლად.

ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითება, რომ სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი არაკეთილსინდისიერ შემძენს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას, ხოლო 980-ე-981-ე მუხლები განსაზღვრავს მის ფარგლებს, ფაქტობრივად კი, მოთხოვნის ფარგლები მოცემულ შემთხვევაში განისაზღვრება ექსპერტის მიერ, შესრულებული სამუშაოს მიხედვით. აღნიშნული თანხის მოპასუხეთათვის დაუკისრებლობა იწვევს მათ უსაფუძვლო გამდიდრებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2000 წლის 31 მაისს სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და რ. წ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქ.ჭიათურაში, ნ-ის ქ.№1ა-ში მდებარე «ჰ. ს-ს» გასხვისების თაობაზე. ობიექტი გაიყიდა 6305 აშშ დოლარად. მოგვიანებით, აღნიშნული შენობა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა რ. წ-ის სახელზე.

2004 წლის 30 ივლისს რ. წ-ი გარდაიცვალა და მისი სამკვიდრო მიიღეს ი., მ., ე. და ვ. წ-ებმა.

2004 წელს რ. წ-ის კუთვნილ შენობას, ყოფილ «ჰ. ს-ს» ზეპირი გარიგების საფუძველზე დაეუფლა გ. გ-ე. მან შენობა გაარემონტა. ჩატარებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 96817,10 ლარი.

2008 წლის ოქტომბრისათვის, ჩატარებული სამუშაოების გარეშე, შენობის ღირებულება შეადგენდა 503200 ლარს, ხოლო ჩატარებული სამუშაოების ჩათვლით – 600000 ლარს. შესაბამისად, სარემონტო სამუშაოების ჩატარების შედეგად უძრავი ნივთის ღირებულება გაიზარდა 96800 ლარით.

საკასაციო საჩივარი შეიცავს პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ გ. გ-ე წარმოადგენს კეთილსინდისიერ მფლობელს. კასატორის განმარტებით, გ. გ-ემ აწარმოა სამუშაოები სადავო ფართში, რადგან მიაჩნდა, რომ უძრავ ქონებას ეუფლებოდა კანონიერი საფუძვლით და მას არ შეეძლო ევარაუდა ან სცოდნოდა, რომ მფლობელობა ხარვეზიანი იყო. აღნიშნულ მოსაზრებას სასამართლო ვერ გაიზიარებს. საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელე არაერთხელ მიუთითებდა, რომ ქონება საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული, რის გამოც ვერ ხერხდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში იგი უთითებს, რომ რ. წ-ის მემკვიდრეების მიერ ქონების გადაფორმების მიზნით რამოდენიმეჯერ გაიღო მატერიალური ხარჯები. აღნიშნული ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა მოთხოვნების დაცვა იყო საჭირო ქონების მის საკუთრებაში აღსარიცხად. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დაეუფლა ქონებას და აწარმოა მთელი რიგი სამუშაოები.

კასატორი სამოქალაქო კოდექსის 980-ე, 981-ე მუხლების არასწორად გამოყენებასაც ადასტურებს იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა გ. გ-ის მიერ ნივთის ფლობის საფუძველი. მისი მოსაზრებით, დაუსაბუთებელია, სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გადაცემული ნივთი არ იძლეოდა სამუდამოდ შეძენილად მიჩნევის საფუძველს. კასატორი ამ მოსაზრებას უარყოფს იმით, რომ მოსარჩელე, ამ გარემოების ცოდნის შემთხვევაში არ გაიღებდა ასეთი დიდი ოდენობის სახსრებს. საკასაციო სასამართლო ამ მოსაზრებასაც ვერ გაიზიარებს. შეუძლებელია გ. გ-ეს გაცნობიერებული არ ჰქონოდა, რომ იგი ეუფლებოდა სხვის საკუთრებაში არსებულ ნივთს. ამას ადასტურებს, როგორც ზე-

მოთ უკვე აღვნიშნეთ, საქმის მასალებში, თუნდაც სარჩელში მის მიერვე მითითებული სიტყვები იმის თაობაზე, რომ ქონების გადაფორმება მის სახელზე არ ხერხდებოდა საჯარო რეესტრში მისი აღურიცხაობის გამო. ამ სიტყვებიდან ცალსახად ჩანს, რომ მან იცოდა, რომ მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და მისი საჯარო რეესტრში აღრიცხვა წარმოშობდა საკუთრების უფლებას ქონებაზე. სწორედ ამიტომაც, როგორც იგი უთითებს, 2004 წლიდან 2007 წლამდე არაერთხელ გაიღო ხარჯები ქონების გადაფორმების მიზნით.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას ასანაზღაურებელი თანხების შემცირების უკანონობასთან მიმართებაშიც. კასატორის აზრით, სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლს. პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმის გარდა, არსებობს უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მარეგულირებელი სპეციალური ნორმა, რომელშიც ცალსახად მოიაზრება უძრავი ნივთის სპეციფიკიდან გამომდინარე შემთხვევებიც. სამოქალაქო კოდექსის 980-ე მუხლის თანახმად, მიმღების მიმართ გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესი არ გამოიყენება, თუ გადაცემული საგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი საბოლოოდ შეძენილად იქნეს მიჩნეული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე.წ «ჰ. ს-ი» უძრავი ქონებაა. შეუძლებელია, მოსარჩელეს იგი საბოლოოდ შეძენილად მიეჩნია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა ეს ნორმა მოცემულ შემთხვევაში და პალატა თვლის, რომ საკასაციო სასამართლოს მეტი ოდენობით თანხის დაკისრების უფლებამოსილება არ გააჩნია.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაცემული ქონების უკან დაბრუნების დაუშვებლობა

განჩინება

№ას-1049-983-2010 14 აპრილი, 2011წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ზ. ალავიძე

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 29 მაისს ქ. თ-ის მერიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში თ. დ-შვილის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უსაფუძვლოდ გაწეული ხარჯების – 69 526 ლარის დაბრუნების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2000 წლის ოქტომბერში, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 15 თებერვლისა და კულტურის სამინისტროს 2000 წლის 24 იანვრის წერილის საფუძველზე, ქ. თბილისის მთავრობის 2000 წლის 13 ივლისის №13.15.170 დადგენილებით, ...ის გამზირის №26-ში, საქართველოს სახალხო მხატვრის ნ. ი-შვილის ბინაში, «ერთი მხატვრის მუზეუმი» გაიხსნა. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენდა ნ. ი-შვილის წერილი თ-ის მერიისადმი და მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი. თავისი წერილით ნ. ი-შვილი ითხოვდა შესაბამისი თანხების გამოყოფას, რათა მის სიცოცხლეშივე დაფუძნებულიყო მისი სახელობის მუზეუმი, ამის სანაცვლოდ კი, ის ჰპირდებოდა ქალაქ თ-ის მერს, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება, გადაეცემოდა ქართველ ხალხსა და ქალაქ თ-ის მერიას. 2000 წლის 19 მაისს ნ. ი-შვილმა ანდერძი შეადგინა, რომლის თანახმად, ის კუთვნილ უძრავ-მოძრავ ქონებას გარდაცვალების შემდეგ ქართველ ერს უტოვებდა. იგივე დაადასტურა 2001 წლის 24 სექტემბერს შედგენილი ანდერძითაც. მუზეუმი გახსნის დღიდან ფინანსდებოდა ქალაქ თ-ის მერიის ბიუჯეტიდან და დაფინანსების ხარჯებმა 69 526 ლარი

შეადგინა. 2006 წლის 31 მაისს ნ. ი-შვილმა განცხადებით მიმართა ქალაქ თ-ის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურს, სადაც აღნიშნავდა, რომ მერიის მხრიდან არ სრულდებოდა გარკვეული ვალდებულებები, რის გამოც გადაწყვიტა 2001 წლის 24 სექტემბერს ანდერძის გაუქმება. 2006 წლის 21 ივნისს მან ჯერ ახალი ანდერძი შეადგინა, რომლითაც მთელ თავის ქონებას თ. დ-შვილს უტოვებდა (რომელიც 2003 წელს შვილად აიყვანა). ამის შემდეგ, 2006 წლის 13 ივლისს მან გააფორმა ჩუქების ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, მთელი ქონება აჩუქა თ. დ-შვილს. ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, დასაჩუქრებული საჯარო რეესტრში აღირიცხა ნაჩუქარი ქონების მესაკუთრედ.

მოსარჩელის მტკიცებით, ჩუქების ხელშეკრულება გაფორმდა 2006 წლის 21 ივნისის ანდერძის შენიღბვისა და ქალაქ თ-ის მერიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან თავის არიდების მიზნით. მისი განმარტებით, დაფინანსების მიზანი იყო ნ. ი-შვილის ერთი მხატვრის მუზეუმის შექმნა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გადავიდოდა ქალაქ თ-ის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში, რაც რეალურად არ განხორციელებულა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ქალაქ თ-ის მერია არ წარმოადგენდა ი-შვილის კრედიტორს, მას მერიის წინაშე რაიმე ვალდებულება არ ეკისრებოდა, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ჩუქების ხელშეკრულება ი-შვილმა გააფორმა იმ მიზნით, რომ დ-შვილი არ დამდგარიყო უსაფუძვლოდ გამდიდრებით მიღებული ქონების დაბრუნების საფრთხის წინაშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თ-ის მერიის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2006 წლის 13 ივლისის ჩუქების ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი; მოპასუხე თ. დ-შვილს მოსარჩელე ქალაქ თ-ის მერიის სასარგებლოდ 9988 ლარის გადახდა დაეკისრა.

სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ქალაქ თბილისის მთავრობის 2000 წლის 13 ივლისის დადგენილებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა ნ. ი-შვილის ბინის (მდებარე ქ. თბილისში, ...ის გამზირის №26-ში) ქალაქ თ-ის ადგილობრივ საკუთრებაში გადაცემა მასში «ერთი მხატვრის მუზეუმის» გახსნის მიზნით;

2. ნ. ი-შვილის «ერთი მხატვრის მუზეუმის» მოვლისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო თ-ის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ბიუჯეტში 2000 წლის მეოთხე კვარტალიდან;

3. «ერთი მხატვრის მუზეუმის» გახსნამდე მხატვარმა საქართველოს პრეზიდენტს წერილით მიმართა და მის ბინაში მისივე სახელობის მუზეუმის დაარსების სურვილი გამოთქვა. აღნიშნულ წერილს მან ანდერძი დაურთო. საქართველოს კულტურის სამინისტრომ მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის წინადადებას საქართველოს სახალხო მხატვრის ქალბატონ ნ. ი-შვილის ბინაში მის სიცოცხლეშივე ბინა-მუზეუმის მოწყობის შესახებ;

4. 2000 წლის 19 მაისს ნ. ი-შვილმა სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი შეადგინა, რომლის თანახმად, ქ. თ-ში, ...ის გამზირის №26-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ქართველს ერსა და საქართველოს უანდერძა;

5. 2003 წელს ნ. ი-შვილმა თ. დ-შვილი იშვილა;

6. 2006 წლის 21 ივნისს ნ. ი-შვილმა ახალი ანდერძი შეადგინა, რომლითაც მისი კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის ნამუშევრები (ნახატები და ფერწერები), მოანდერძის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა მდებარე, თ-ში, ...ის გამზ. №26-ში და სამხატვრო სახელოსნო, სადაც ამჟამად განთავსებულია ერთი მხატვრის – ნ. ი-შვილის მუზეუმი, უანდერძა თ. დ-შვილს;

7. 2006 წლის 13 ივლისს ნ. ი-შვილმა ჩუქების ხელშეკრულება გააფორმა, რომლის ძალითაც, ქ. თ-ში, ...ის გამზირი №26-ში მდებარე სამხატვრო სახელოსნო თ. დ-შვილს აჩუქა;

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქალაქ თ.ის მერიის სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა ჩუქების დაპირების სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის აღიარებას, არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა;

9. თ. დ-შვილი, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, 2006 წლის 18 ივლისს დარეგისტრირდა ქ. თბილისში, ...ის გამზ. №26-ში მდებარე 79 კვ.მ. საერთო ფართისა და ცალკე მდგომი აბაზანის, ასევე იმავე მისამართზე მდებარე სახელოსნოს მესაკუთრედ;

10. 2003 წლის თებერვალში ი-შვილის საცხოვრებელ სახლში რემონტის ჩატარებაზე ქალაქ თ-ის მერიის მიერ გაწეულმა ხარჯებმა 9988 ლარი შეადგინა;

11. 2000 წლიდან 2006 წლის მაისამდე ნ. ი-შვილის «ერთი მხატვრის მუზეუმის» ფუნქციონირებისა და საქმიანობისათვის გათვალისწინებული იყო თანამშრომლების ხელფასები, კომუნალური გადასახადები და სხვა ხარჯები;

12. ნ. ი-შვილი 2007 წლის 12 ოქტომბერს გარდაიცვალა;

სასამართლომ მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისში, ...ის გამზირის №26-ში მდებარე ქონების რემონტზე საჭირო თანხა მერიის მიერ გადაცემული იყო იმ მიზნით, რომ, ნ. ი-შვილის გარდაცვალების შემდეგ, ქალაქ თ-ის მერიას მიეღო მისივე დაფინანსებით დაფუძნებული მუზეუმი. ვინაიდან აღნიშნული მოლოდინი არ შეს-

რულდა, მერია უფლება ჰქონდა მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოეთხოვა. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს გაწეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ დროიდან წარმოეშვა, როდესაც ი-შვილმა შეცვალა მის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძი და ცხადი გახდა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, უძრავ ქონებას ქალაქ თ-ის მერია ვერ მიიღებდა. რაც შეეხება ნ. ი-შვილის «ერთი მხატვრის მუზეუმის» დაფინანსებაზე ქალაქ თ-ის მერიის მიერ გაღებულ ხარჯებს (ხელფასები, კომუნალური გადასახადები და სხვა), აღნიშნული თანხები მოსარჩელის მიერ გადაცემულია მუზეუმის ფუნქციონირებისათვის, ამდენად, ნ. ი-შვილი არ გამდიდრებულა და არც მათი დაბრუნების ვალდებულება წარმოშობია.

სასამართლომ, ასევე, მიიჩნია, რომ 2006 წლის 13 ივლისის ჩუქების ხელშეკრულება მოჩვენებით დადებული გარიგება იყო, რომელიც მერიის მიმართ ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით გაფორმდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

თ-ის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინებით თ. დ-შვილისა და ქ. თ-ის მერიის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებას სრულად დაეთანხმა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

თ. დ-შვილმა თავისი საკასაციო საჩივრის დასასაბუთებლად შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ წანამძღვრებზე მიუთითა:

1. სააპელაციო საჩივარში მრავალ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ უსწორობაზე იყო ყურადღება გამახვილებული, სააპელაციო სასამართლომ კი ისე დატოვა უცვლელად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ საერთოდ არ დაუსაბუთებია, რა საფუძვლით არ იზიარებდა აპელანტის პრეტენზიას;

2. პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი, რადგან მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის არც ერთი საფუძველი არსებობდა;

3. სასამართლომ ასევე არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ მუზეუმი ფუნქციონირებდა, შესაბამისად, მერიის მიზანი მიღწეული იყო, ამდენად, თანხის დაბრუნების საფუძველი არ არსებობდა;

4. სასამართლოს მითითებით, რემონტზე დახარჯული თანხა მერიამ იმ მიზნით გამოყო, რომ ნ. ი-შვილის გარდაცვალების შემდეგ მისი ბინა საკუთრებაში მიეღო. სასამართლოს ეს დასკვნა ეწინააღმდეგება 2008 წლის 8 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლითაც განმარტებულია, რომ მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ ქონების სხვა პირზე გადასვლის ერთ-ერთი საშუალებაა ანდერძი, რომლის შეცვლის უფლებაც მოანდერძეს ყოველთვის აქვს. ასეთ ვითარებაში მერიის სამომავლო მიზანი იურიდიულად დაუსაბუთებელია;

5. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ხარჯები ანდერძის გაუქმებამდე გასწია. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ამ პერიოდში მუზეუმი ფუნქციონირებდა და მერიის მიზანი მიღწეული იყო;

6. სასამართლომ, ასევე, მიიჩნია, რომ მერიას მოთხოვნის უფლება ანდერძის შეცვლის მომენტიდან წარმოეშვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მერიის სარჩელი ხანდაზმულია;

7. სასამართლომ ჩუქების ხელშეკრულება მოჩვენებით გარიგებად არასწორად მიიჩნია. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობდა. ხელშეკრულების მხარეებს შორის არასოდეს ყოფილა შეთანხმება, გამოვლენილ ნებას მსვლელობა არ მისცემოდა. პირიქით, ამ ხელშეკრულების საფუძველზე თ. დ-შვილი სადავო ქონების მესაკუთრედ აღირიცხა;

8. ნ. ი-შვილს მერიის მიმართ ვალდებულება არ ეკისრებოდა, შესაბამისად, უსაფუძვლოა სასამართლოს მტკიცება, რომ ჩუქების ხელშეკრულება ამ ვალდებულების აცილების მიზნით დაიდო;

9. სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ უნდა გამხდარიყო სასამართლოს ვარაუდი, რომ თ. დ-შვილი ქონებას ანდერძის საფუძველზეც მიიღებდა. ნ. ი-შვილის სურვილი, ქონება თავის სიცოცხლეშივე გადაეცა შვილისათვის, კანონსაწინააღმდეგო არ იყო;

10. გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლად არც ის გარემოება უნდა გამხდარიყო, რომ ჩუქების შემდეგ გამჩუქებელი კვლავ აგრძელებდა ბინაში ცხოვრებას. ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არც ერთი ნორმა ითვალისწინებს გაჩუქებული ბინის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ გამჩუქებელი თ. დ-შვილის დედა იყო.

ქ. თ-ის მერიამ თავისი საკასაციო საჩივრის დასასაბუთებლად შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამძღვრებზე მიუთითა:

1. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლი, რადგანაც უსაფუძვლო გამდიდრება მოიაზრებს ქონების როგორც მიღებას, ისე დაზოგვას. განსახილველ შემთხვევაში კი, თ-ის მერია იხდიდა იმ თანხას, რომელიც, წესით, ნ. ი-შვილს უნდა გადაეხადა;

2. გაუგებარია, სასამართლომ რა ნიშნით მოახდინა ხარჯების კლასიფიკაცია;

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობთ ნაწილში მითითებულია, რომ მოპასუხემ აღიარა მერიის მიერ 29 913 ლარის ოდენობის ხარჯის გაწევის ფაქტი. სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 131-ე მუხლის საფუძველზე კი, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებს თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სარჩელის დაკმაყოფილებას. აღნიშნულის თაობაზე მითითებული იყო მერიის საკასაციო საჩივარში, სააპელაციო სასამართლომ კი, ამ გარემოების შესახებ არ იმსჯელა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ თ. დ-შვილისა და ქ. თ-ის მერიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო საასმართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას და განჩინებაში მხოლოდ მათზე მითითებით შემოიფარგლა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

აღნიშნული ნორმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. ნორმის ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებთან, ისევე როგორც სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებთან. 390-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. «მოკლე დასაბუთება» არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დაკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

«ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლის-სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

საქმეებზე «დევიერი ბელგიის წინააღმდეგ» და «დელკური ბელგიის წინააღმდეგ» ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ «ადამიანის უფლებათა» ევროპული კონვენციის ფრანგულ ტექსტში, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცავს ტერმინს «დასაბუთებული» (ბიენ-ფონდე), აღნიშნული კი ნიშნავს, რომ განაჩენი კარგად უნდა იყოს დასაბუთებული, როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით. მართალია, აღნიშნულ საქმეებში საუბარია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენზე, მაგრამ ეს პრინციპი სამოქალაქო დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართაც ვრცელდება.

შემთხვევითი არაა, რომ ქართული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არაერთი ნორმით ადგენს სასამართლოს ვალდებულებას დაასაბუთოს თავისი პოზიცია კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა ყოველთვის იწვევს მის გაუქმებას. გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობა პირველ რიგში მხარეთა ინტერესებს ემსახურება, ასევე იმ საზოგადოების ინტერესებს, რომლის სახელითაც მართლმსაჯულების ხორციელდება.

განსახილველ შემთხვევაში, ორივე აპელანტი საჩივარში გარკვეულ ფაქტობრივ-სამართლებრივი პრეტენზიებს აყალიბებდა, რომლებზეც სააპელაციო სასამართლოს პასუხი არ გაუცია. ცალკეულ შემთხვევებში, რო-

დესაც სააპელაციო საჩივარი იმდენად დაუსაბუთებელია, ან ზუსტად იმეორებს სარჩელის შინაარს, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ იმსჯელოს საჩივარში მოყვანილ მხარის პოზიციაზე და დაეთანხმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას, მაგრამ იმის მითითება, თუ რატომ ხდება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებზე დეტალურად პასუხის გაცემის გარეშე, მაინც აუცილებელია.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლო ისე დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას, რომ არ გაითვალისწინა აღნიშნული სასამართლოს მიერ დაშვებული სამართლებრივი უსწორობები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ნ. ი-შვილის მიერ 2006 წლის 13 ივნისს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება მოჩვენებითი გარიგებად მიიჩნია. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, ჩუქების ხელშეკრულება მერიის მიერ ბინაზე გაღებული ხარჯების დაბრუნების აცილების მიზნით დაიდო, ხოლო გარიგების მოჩვენებითობა დასტურდებოდა იმ გარემოებით, რომ თ. დ-შვილის სასარგებლოდ ისედაც არსებობდა ანდერძი, რომლის საფუძველზეც იგი ბინას მიიღებდა, ამასთან გამჩუქებელი ბინაში ცხოვრებას აგრძელებდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრებები მცდარია. პირველ რიგში, პალატა აღნიშნავს, რომ გაუგებარია, ქონების გაჩუქება როგორ მოახდენდა გავლენას მერიის შესაძლო მოთხოვნის უფლებაზე. მიუხედავად იმისა, თ. დ-შვილი მემკვიდრეობით მიიღებდა სადავო ბინას, თუ იგი ჩუქების გზით გადავიდოდა მის საკუთრებაში, მერიას მაინც შეეძლო მის წინააღმდეგ მოთხოვნა წამოეყენებინა (სხვა საკითხია რამდენად საფუძვლიანი იქნებოდა აღნიშნული მოთხოვნა).

რაც შეეხება გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის სხვა საფუძვლებს, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული მოჩვენებითი გარიგება ნების ნაკლის მქონე ბათილი გარიგების ერთ-ერთი სახეა. ამ ტიპის გარიგებების ნაკლი ისაა, რომ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება მათ რეალურ განზრახვას არ შეესაბამება. ნების ნაკლს მრავალი გარემოება შეიძლება ადასტურებდეს, მაგრამ არა ის, რომ მოანდერძემ მიზანშეწონილად მიიჩნია ქონება სიცოცხლეშივე განეკარგა და თავისი მემკვიდრისათვის ეჩუქებინა. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ი-შვილი სადავო ბინას ანდერძით ისედაც თ. დ-შვილს უტოვობდა, მას, როგორც ბინის მესაკუთრეს, სრული უფლება ჰქონდა გაეჩუქებინა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის საფუძველზე, მესაკუთრეს შეუძლია არა მხოლოდ თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თავისი ქონებით, არამედ თავისუფლად განკარგოს კიდეც იგი, თუ უფლების ბოროტად გამოყენება არ ხდება. როგორც ცნობილია, ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც ძალაში შედის და შესაბამის სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მესაკუთრის ნება კონკრეტულ მომენტში განკარგოს და საკუთრებაში გადასცეს თავისი ქონება ნებისმიერ პირს, მემკვიდრის ჩათვლით, ანდერძის შედგენის ფაქტით არ იზღუდება. ცხადია, რომ ნ. ი-შვილისათვის წინასწარ ცნობილი ვერ იქნებოდა, ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან რა ვადაში გაიხსნებოდა სამკვიდრო მის კუთვნილ ქონებაზე.

რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მეორე არგუმენტს – გამჩუქებლის გაჩუქებულ ბინაში ცხოვრების ფაქტს – საკასაციო პალატა აღნიშნავს: ის გარემოება, რომ გამჩუქებელს არ შეუწყვეტია გასხვისებული ქონების ფლობა ყოველთვის გარიგების მოჩვენებითობაზე არ მიუთითებს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ თ. დ-შვილი ასევე ცხოვრობდა მის საკუთრებაში გადასულ ბინაში, ამასთან, ნ. ი-შვილს ამ დროისათვის ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და, ბუნებრივია, სხვა პირის მზრუნველობას საჭიროებდა. ასეთ ვითარებაში, ის ფაქტი, რომ ნ. ი-შვილი შვილად აყვანილ თ. დ-შვილთან ერთად ცხოვრობდა გაჩუქებულ ბინაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გარიგების მოჩვენებითობას არ ადასტურებს. სხვა რაიმე გარემოება ან მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების მხარეებს გარიგებით გათვალისწინებული შედეგის რეალურად დადგომა არ სურდათ, მოსარჩელეს არ მიუთითებია.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მერიის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლი დაუდო და აღნიშნა, რომ რემონტის ხარჯები მერის მიერ იმ მიზნით იქნა გაღებული, რომ ნ. ი-შვილის ბინა მის საკუთრებაში გადასულიყო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, შეუძლია გადაცემულის გამოთხოვა, თუ მეორე პირის მოქმედება არ შეესაბამება მოსალოდნელ მიზანს. აღნიშნული ნორმა ადგენს შესრულების კონდიქციის ერთ-ერთ შემთხვევას – შესრულების დაბრუნებას მიზანთან შეუსაბამობის გამო. ამ ნორმის საფუძველზე, პირს შეუძლია უკან გამოითხოვოს ქონება, რომელიც სხვა პირს იმ ვარაუდით გადასცა, რომ ეს უკანასკნელი განსაზღვრულ მოქმედებას შეასრულებდა, ამასთან 997-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა ცალმხრივ მიზანს ითვალისწინებს, რომელიც შესრულების მიმღებს მხედველობიდან არ უნდა გამოჰპარვოდა, ამდენად, ამ ნორმის საფუძველზე, ნ. ი-შვილისათვის იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მერია

კონკრეტულ დანახარჯებს სადავო ქონების საკუთრებაში მიღების ვარაუდით ახორციელებდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ეს გარემოება სათანადოდ არ არის გამოკვლეული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია. კერძოდ, ამ შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ყველა ხარჯი, რომელიც მერიამ გაიღო, რემონტის ხარჯების ჩათვლით, მუზეუმის ნორმალური ფუნქციონირებისა და მისი ვიზუალური მხარის სათანადო მდგომარეობაში მოყვანის უზრუნველყოფას ემსახურებოდა. რემონტის ხარჯების გაღების დროისათვის და შემდგომი სამი წლის განმავლობაშიც კი შესაბამისი მუზეუმი ფუნქციონირებდა, ამასთან, ვინაიდან მოცემულ საქმეზე ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ იკვეთება, სააპელაციო სასამართლოს ასევე უნდა ემსჯელა, რამდენად მართებულია **977**-ე მუხლის საფუძველზე თანხის დაბრუნების მოთხოვნა თ. დ-შვილის მიმართ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **394**-ე მუხლის «ე[1]» ქვეპუნქტის მიხედვით, განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის ნორმები, სააპელაციო სასამართლო კი ამ განმარტებას დაეთანხმა, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **393**-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევითა მიღებული, რაც ასევეა მისი გაუქმების საფუძველი. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **390**-ე მუხლით, რის შედეგადაც მთელი რიგი საპროცესო ნორმები დაირღვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისიწნებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **412**-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის **394**-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

იმავე მუხლის მე-**2** ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს აპელანტების ფაქტობრივ-სამართლებრივი პრეტენზიები, იხელმძღვანელოს წინამდებარე განჩინებაში ასახული სამართლებრივი დასაბუთებით, სამართლებრივად სწორად შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დავა დასაბუთებული გადაწყვეტილების (განჩინების) მიღების გზით დაასრულოს.

ქ. თ-ის მერიის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ კასატორის მითითებით, მოპასუხემ აღიარა მერიის მიერ **29 913** ლარის ოდენობის ხარჯის გაწევის ფაქტი, რაც სარჩელის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი უნდა გამხდარიყო. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ეს მტკიცებაც უნდა შეაფასოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **284**-ე, **412**-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. ქ. თ.ის მერიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010** წლის **14** ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსაფუძვლო გამდიდრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

განჩინება

№ას-**1502-1510-2011** 23 ივლისი, **2012** წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ს. რ-მ» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს. ს. ე-ის მიმართ» ზიანის – 1058369.19 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

შპს „ს. რ-ა» მის საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზებისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების გამოყენებით ახორციელებს ენერგეტიკულ მომსახურებას, რომლითაც ხდება სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა და განაწილების ლიცენზიანტთა ენერგომომარაგების უზრუნველყოფა. შპს „ს. რ-ის» ენერგომეურნეობა დიდი ხნის მანძილზე გამოიყენებოდა ელექტროენერგიის ტრანზიტისთვის ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. სემეკის 1999 წლის 20 იანვრის №5 დადგენილებით ყველა ლიცენზიანტსა და მომხმარებელს, რომლებიც ელექტროენერგიას იღებდნენ რკინიგზის ქვესადგურებისა და ელექტროხაზების გამოყენებით, დაუდგინდათ რკინიგზისთვის „გადაცემის მომსახურების» საფასურის გადახდა ყოველ ერთ კვტ.სთ ელექტროენერგიაზე 2 თეთრის ოდენობით, რაც ხორციელდებოდა 1999 წლის 31 მაისამდე. სემეკის 2003 წლის 25 ივლისის №32/2 გადაწყვეტილებით „გადაცემისა» და „განაწილების» იმ ლიცენზიანტებს, რომლებიც იყენებდნენ რკინიგზის ძირითად საშუალებებს თავისი საქმიანობისთვის, დაევალათ ერთი თვის ვადაში ხელშეკრულების გაფორმება შპს „ს. რ-სთან» ენერგეტიკულ მომსახურებაზე ტრანზიტის საფასურის გადახდის მითითებით, რომლის გამოთვლის წესი განისაზღვრა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში. სემეკის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ მოსარჩელემ წერილობით არაერთხელ მოსთხოვა მოპასუხეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. ამასთან, ელექტროსისტემა თავის მომხმარებელთან ურთიერთობაში იყენებდა სემეკის მიერ დადგენილ ტარიფს რკინიგზის კუთვნილი სატარიფო განაკვეთთან ერთად, რითაც შპს „ს. რ-ს» მიადგა ქონებრივი ზიანი, რომელმაც, სემეკის №32/2 გადაწყვეტილებაში მოცემული ფორმულის მიხედვით, შეადგინა 1 058 369 ლარი და 19 თეთრი. დაზუსტებული სარჩელით შპს „ს. რ-მ» დამატებით მიუთითა, რომ მოპასუხე შპს „ს. ს. ე-მ» სემეკის №32/2 გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ არ შეასრულა შპს „ს. რ-ის» მოთხოვნა – ქვესადგურებში ელექტროენერგიის გატარების მომსახურების საფასურის ანაზღაურების შესახებ, რამაც საერთო ჯამში შეადგინა 1 058 369,19 ლარი დღგ-ს გარეშე, ხოლო დღგ-ს ჩათვლით 1 270 042 ლარი. ამასთან, მოპასუხის მიერ შპს „ს. რ-სთან» ხელშეკრულების არ დადება და ელექტროენერგიის გატარების საფასურის გადაუხდელობა ეწინააღმდეგება სემეკის №32/2 გადაწყვეტილების პირველ პუნქტსა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის» შესახებ კანონს, რომლის იმჟამად მოქმედი რედაქციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით მომხმარებელთა თითოეული კატეგორიისგან მიღებული თანხებით უნდა მომხდარიყო რკინიგზის მიერ გაწეული ელექტროენერგეტიკული მომსახურების ხარჯების დაფარვა. დაზუსტებული სარჩელით შპს „ს. რ-მ» ასევე აღნიშნა, რომ მოპასუხემ არამართლზომიერი მოქმედებით განახორციელა საკუთარი ქონების უკანონო დაზოგვა და უსაფუძვლოდ გამდიდრდა, შესაბამისად, შპს „ს. რ-ის» მიერ მოთხოვნილ იქნა უსაფუძვლოდ დაზოგილ 1 270 042,19 ლარზე კანონით დადგენილი პროცენტის, სულ – 304 809 ლარს, მათ შორის 2005 წელზე – 99 063 ლარი – წლიური 7,8%, 2006 წელზე – 107 953 ლარი – წლიური 8,5% და 2007 წელზე – 97 793 ლარი – წლიური 7,7%.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ შპს „ს. რ-ა» ხანგრძლივი დროის მანძილზე თავისი ელექტრომეურნეობით ელექტროენერგიის გადაცემას ახორციელებდა პირდაპირი მომხმარებლებისა და ლიცენზიანტებისთვის. სემეკის 2003 წლის №32/2 გადაწყვეტილებაში ზოგადად არის საუბარი გადაცემის ან/და განაწილების იმ ლიცენზიანტებზე, რომლებიც სარგებლობენ მოსარჩელის ელექტროქსელში ელექტროენერგიის გატარების მომსახურებით და გადაწყვეტილება კონკრეტულად რომელიმე გადაცემის ან/და განაწილების ლიცენზიანტს არ ავალდებულებს გაწეული მომსახურების საფასურის გადახდას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელის სამტკიცებელია ის, რომ სწორედ ელექტროსისტემაა ის ლიცენზიანტი, ვინც იყენებდა ასეთ მომსახურებას და არა ის ლიცენზიანტები, რომლებიც დაბალი ძაბვის მხარეს არიან მიერთებული რკინიგზის წევის ქვესადგურებს. მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ მოპასუხე, როგორც გადაცემის ლიცენზიანტი, არის მოვალე ხელშეკრულებიდან ან კანონიდან, ან/და სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, ელექტროენერგიის მომსახურების განხორციელებაზე იმ განაწილების ლიცენზიანტების მიმართ, რომლებიც შპს „ს. რ-ის» დაბალ ძაბვაზე არიან მიერთებული, რის მტკიცებასაც მოსარჩელე ვერ შეძლებს, იმ მთავარი გარემოების გამო, რომ „ს. ს. ე-ა» არის ენერგეტიკული სექტორის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი, რომელიც მაღალი ძაბვის გადაცემის უმსხვილესი ქსელის მფლობელია და ახორციელებს მხოლოდ კანონით ნებადართულ (ლიცენზირებულ) საქმიანობას, ელექტროსისტემის, როგორც გადაცემის ლიცენზიის უფლება-მოვალეობები, საქმიანობის საგანი და საქმიანობის არეალი (კანონით დადგენილი გადამცემი ქსელის საზღვრები) მკაფიოდ და ზუსტად არის დადგენილი და განსაზღვრული, რაც ნიშნავს იმას, რომ შპს „ს. ს. ე-ს» რომ ჰქონოდა გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულება ან/და ყოფილიყო სხვა საფუძველი, რომლის დროსაც გადაცემის ლიცენზიანტი მოვალე იქნებოდა მესამე პირის ანუ რკინიგზის ქვესადგურების გამოყენების გზით ელექტროენერგია მიეტანა განაწილების ლიცენზიანტამდე ან/და პირდაპირ მომხმარებლამდე, დაბალი ძაბვის ქსელის მფლობელებამდე, მაშინ „ე-ს» უნდა ჰქონოდა შესაბამისი ნებართვა (განაწილების ლიცენზია), ანდა ასეთი შესრულება უნდა განეხორციელებინა უნებარ-

თვოდ – უკანონოდ. შპს „ს. ს. ე-ა», გადაცემის ლიცენზიით დადგენილი საზღვრებიდან გამომდინარე, მომსახურებას ასრულებს რკინიგზის 11013 კვტ-ის მაღალი ძაბვის ქვესადგურზე. გარდა ამისა, სემეკის 1999 წლის 20 იანვრის №5 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, ელექტროენერგიის გამანაწილებელმა კომპანიებმა და გარეშე მომხმარებლებმა, რომელთა ელექტრომომარაგება ხორციელდება რკინიგზის მფლობელობაში მყოფი 35-110 კვ. წევის ქვესადგურებიდან კომპანიების ან მომხმარებლის ბალანსზე რიცხული 6-10 კვ. ელექტროგადამცემი ხაზებით, მათ მიერ მოხმარებული ყოველი ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის საერთო შესასყიდი ტარიფიდან გადაცემის მომსახურების საფასური გადაუხადონ შპს „ს. რ-ს» 0,2 თეთრის ოდენობით, რაზედაც მასთან გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულებები. ფაქტობრივი ვითარება და ენერგეტიკული სქემა მას შემდგომ არ შეცვლილა. ამდენად, ის ლიცენზიანტი, ვინც იყენებდა შპს „ს. რ-ის» მომსახურებას, არის მხოლოდ განაწილების ლიცენზიანტი და არ შეიძლება იყოს გადაცემის ლიცენზიანტი. სემეკის გადაწყვეტილებაში გადაცემის ლიცენზიანტი მოხსენებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც შპს „ს. რ-ის» ქვესადგური მოქცეულია გადაცემის ქსელსა და ისევ გადაცემის ქსელს შორის, რაც მხოლოდ ენერგოსისტემაში მომხდარი ავარიის შემთხვევაშია შესაძლებელი. აღნიშნულს კი ადგილი არ ჰქონია. მოსარჩელე ვერ ადასტურებს მოპასუხე შპს „ს. ს. ე-ის» მხრიდან მისი ქვესადგურების გამოყენების ფაქტს, რის გამოც სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე. სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტებით, მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ დღგ-ს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის მოთხოვნა არ გამომდინარეობს სემეკის №32/2 გადაწყვეტილებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს «ს. რ-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «ს. ს. ე-ს» შპს «ს. რ-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 1 292 537 ლარისა და 19 თეთრის, მათ შორის, 1.058.369 ლარისა და 19 თეთრის გადახდა ძირითადი დავალიანების, ხოლო 235 168 ლარის – მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ს. ს. ე-ის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ს. რ-ის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე შპს „ს. რ-ა» მის საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზებისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების გამოყენებით ახორციელებს ენერგეტიკულ მომსახურებას პირდაპირი მომხმარებლებისა და ლიცენზიანტებისათვის. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ (სემეკი) 2003 წლის 25 ივლისის №32/2 განკარგულებით შპს „ს. რ-ის» კუთვნილი ელექტროენერგიის გატარების მომსახურებისა და მისი აქტივების გამოყენებისათვის ელექტროენერგიის გადაცემის ან/და განაწილების ყველა ლიცენზიატს, რომლებიც სარგებლობენ აღნიშნული მომსახურებით, განუსაზღვრა შპს „ს. რ-ისათვის» მის მიერ ლიცენზიატებისათვის გაწეული მომსახურების საფასურის ანაზღაურება რკინიგზასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა შპს „ს. რ-ისათვის» გადაცემის ან/და განაწილების ლიცენზიანტის მიერ გადასახდელი ყოველწლიური მომსახურების საფასურის გამოთვლის ფორმულა. მოპასუხე შპს „ს. ს. ე-ა» წარმოადგენს ენერგეტიკული სექტორის გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ლიცენზიატს. სასამართლომ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ჩათვალა, რომ საქმეში წარმოდგენილი „სემეკის» თავმჯდომარის 2004 წლის 13 ივლისის №2/02-5/42-805 წერილის საფუძველზე, რომლითაც შპს „ს. ს. ე-ს» მოეთხოვა 2003 წლის 25 ივლისის №32/2 გადაწყვეტილების საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმება შპს „ს. რ-სთან», არ შეიძლება დადგინდეს მოპასუხის ამგვარი ვალდებულება. სემეკის ხსენებული წერილი არ წარმოადგენს მისთვის კანონით მინიჭებული ადმინისტრირების მექანიზმის განხორციელების საშუალებას. ამგვარ საშუალებად «ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის» შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი (სადავო პერიოდში – 2003 წლის აგვისტოდან 2005 წლის ჩათვლით, არსებული რედაქცია) სემეკ-ს ანიჭებს შემდეგი სამართლებრივი აქტებით ხელმძღვანელობის შესაძლებლობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს ნორმატიული აქტი – დადგენილება და კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ, ინდივიდუალურ საკითხებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება. მხოლოდ ამ სამართლებრივ აქტებს გააჩნია შესასრულებლად სავალდებულო ძალა ელექტროენერგიის ბაზარზე არსებული სუბიექტების, ლიცენზიატებისა და მომხმარებლებისათვის. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ხსენებული წერილი ვერ გამოდგება იმ ფაქტის დამადასტურებელ ერთადერთ მტკიცებულებად, რომ 2003 წლის 25 ივლისის №32/2 გადაწყვეტილებაში მითითებულ გადაცემის ლიცენზიატს წარმოადგენდა მოპასუხე. იმ გარემოების გამოსარკვევად, ვრცელდებოდა თუ არა სადავო გადაწყვეტილება შპს „ს. ს. ე-ის» მიმართ, აუცილებელია დადგინდეს სარგებლობდა თუ არა ეს უკანასკნელი შპს „საქართველოს რკინიგზის» მომსახურებით, რადგან 2003 წლის №32/2 გადაწყვეტილება ეხება სწორედ იმ გადაცემის და/ან განაწილების ლიცენზიატებს, რომლებიც სარგებლობდნენ რკინიგზის კუთვნილ ელექტრულ ქსელში ელექტროენერგიის გატარების მომსახურებითა და რკინიგზის აქტივებით. აღნიშნულის შესაფასებლად აუცილებელია, დადგინდეს, თუ რა წარმოადგენს მოპასუხის, როგორც გადაცემის ლიცენზიატის საქმიანობის სფეროსა და უფლებამოსილებას. სასამართლომ მიუთითა «ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის» შესახებ საქართველოს კანონის (სადავო

პერიოდის რედაქცია) მე-2 მუხლის „ა-გ» ქვეპუნქტებზე, ამავე მუხლის „დ» ქვეპუნქტზე და ჩათვალა, რომ გადაცემის ლიცენზიატი ანუ შპს „ს. ს. ე-ა» ფლობს მაღალი ძაბვის გადამცემ საშუალებებს, ხოლო ელექტროენერგია მომხმარებლამდე მიდის არა მაღალი ძაბვის, არამედ საშუალო ძაბვის მქონე ელექტროგადამცემი საშუალებით. «ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის» შესახებ საქართველოს კანონის (სადავო პერიოდის რედაქცია) მე-2 მუხლის „მ-ო» ქვეპუნქტების შესაბამისად, გადაცემის ლიცენზიატი ერთმანეთს აკავშირებს მიღებისა და მიწოდების პუნქტებს. კანონის თანახმად, გადაცემის ლიცენზიატს უფლება აქვს ელექტროენერგია განაწილების ლიცენზიატის გარდა მიაწოდოს ასევე პირაპირ მომხმარებელსაც და უცხოურ ენერგოკომპანიასაც. სასამართლოს განმარტებით, შპს „ს. რ-მ» იმ გარემოებას დაუფუძნა სარჩელი, რომ მოპასუხე მოსარჩელის აქტივების საშუალებით ახორციელებდა ელექტროენერგიის გადაცემას მომხმარებლისათვის, კერძოდ, სარგებლობდა რკინიგზის საკუთრებაში არსებული წევის ქვესადგურით ელექტროენერგიის გატარების მომსახურებით. შესაბამისად, იმ გარემოების დადასტურებაც, რომ მოპასუხე ახდენდა რკინიგზის ქსელის მეშვეობით ელექტროენერგიის მომხმარებლამდე გადაცემას, მოსარჩელის პროცესუალურ მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. საქმეში წარმოდგენილი სემეკის 2002 წლის 20 დეკემბრის №100 გადაწყვეტილებით სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა მოპასუხის ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატის საქმიანობის საერთო პირობები და წესები. ამ წესების მე-3 თავის მე-3 პუნქტის თანახმად კი, ლიცენზიატს აქვს უფლება, სემეკის შესაბამისი თანხმობის შემთხვევაში, ელექტროენერგიის გადაცემის წინამდებარე ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში სრულად გამოიყენოს გადამცემი ქსელის დადგმული სიმძლავრე როგორც მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდების, ასევე საკუთარი მიზნებისთვის. მაშასადამე, თუკი მოპასუხე ახორციელებდა თავისი მაღალი ძაბვის სიმძლავრეების გამოყენებას მომხმარებლისათვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად, აღნიშნულისთვის მას ესაჭიროებოდა სემეკის თანხმობა. ამგვარი დოკუმენტი კი საქმეში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს „ს. ს. ე-ს», როგორც გადაცემის ლიცენზიატს, არ ჰქონდა მინიჭებული ის უფლებამოსილება, რომ მომხმარებლამდე მიეწოდებინა ელექტროენერგია. როგორც ლიცენზიიდან, ისე კანონიდან გამომდინარე, მოპასუხეს გააჩნია უფლება, დააკავშიროს მიღების პუნქტი განაწილების ლიცენზიატთან, ანუ მიწოდების პუნქტთან, რომელიც მოიცავს საშუალო ძაბვის სისტემებს, შესაბამისად, გადაცემის ლიცენზიატის უფლებამოსილება ელექტროენერგიის გადაცემისას მთავრდება მაღალი ძაბვის მხარეს, ვინაიდან გადაცემის ლიცენზიატის მფლობელობასა და/ან მართვაში იმყოფება სწორედ მაღალი ძაბვის გადამცემი საშუალებები.

პალატამ მიუთითა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ენერგეტიკის დარგის სპეციალისტის განმარტებაზე, რომლის თანახმადაც შპს „ს. ს. ე-ა» მომსახურებას ასრულებს შპს „ს. რ-ის» 110 კვტ-ის მაღალი ძაბვის ქვესადგურებზე ქონების გაყოფის წერტილში, ამდენად, შპს „ს. ს. ე-ის» ვალდებულება მთავრდება იქ, სადაც მთავრდება მისი ქსელი, ანუ, მიწოდების პუნქტთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე ვერ განახორციელებდა მისთვის ლიცენზიით ნებადაურთავ საქმიანობას. პალატამ მიუთითა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებზე, რომელსაც შპს „ს. რ-ისა» და „ე. ს. ბ-ის» წარმომადგენლებთან ერთად ხელს აწერს ასევე შპს „ს. ს. ე-ის» წარმომადგენელი. აღნიშნული აქტების მიხედვით, მომხმარებელს წარმოადგენს მოსარჩელე, ხოლო გადაცემას ახორციელებს მოპასუხე, პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული აქტებით დგინდება მხოლოდ ის, თუ რა რაოდენობით ელექტროენერგია მიაწოდა მოპასუხემ შპს „ს. რ-ს», რა რაოდენობით ელექტროენერგია მოიხმარა ამ უკანასკნელმა და რა რაოდენობით ელექტროენერგია (დარჩენილი) გაატარა. სასამართლოს მითითებით, ის გარემოება, რომ შპს „ს. ს. ე-ის» უფლებამოსილება წყდებოდა რკინიგზის მიწოდების პუნქტთან, უკვე დადგენილია, შესაბამისად, რკინიგზის ქსელის მეშვეობით გატარებული ელექტროენერგიის გატარების, მომსახურების საფასურზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება მოპასუხეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლით და დადგენილი გარემოების – მოპასუხეს არ უსარგებლია მოსარჩელის მომსახურებით, არ გამოუყენებია მოსარჩელის საკუთრებაში არსებული აქტივები, ჩათვალა, რომ მოპასუხე მოსარჩელის ხარჯზე არ გამდიდრებულა, რის გამოც არ არსებობს ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს. რ-მ», მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის» სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, შპს „ს. ს. ე-ისათვის» შპს „ს. რ-ის» სასარგებლოდ 1526705.19 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია. სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არასწორად დაადგინა არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, პალატა, საქალაქო სასამართლოსაგან განსხვავებით, სემეკ-ის 2004 წლის 13 ივლისის №2/02-5/42-805 წერილი განიხილა 2003 წლის 25 ივლისის №32/2 გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად და მიიჩნია, რომ წერილი ვერ იქნება რაიმე მოქმედების შესასრულებლად შპს „ს. ს. ე-ისათვის» მავალდებულებელი დოკუმენტი. საქალაქო სასამართლომ ზემოაღნიშნული წერილი სამართლიანად მიიჩნია როგორც სემეკ-ის №32/2 გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილი და დამახუსტებელი გარემოება, რადგან სარჩელის აღძვრამდე და სარჩელის აღძვრის შემდეგაც, აპელანტისათვის ბუნდოვანი და არაორაზროვანი იყო 2003 წლის 25 ივლისის №32/2 გადაწყვეტილებაში გაკეთებული ჩანა-

წერი – „გადაცემის და/ან განაწილების ლიცენზიატები», სწორედ, ამ გარემოების განმარტების მიზნით, სემეკ-ის 2004 წლის 13 ივლისის №2/02-5/42-805 წერილით, დაკონკრეტდა პირთა წრე, რომლებიც სარგებლობდნენ რკინიგზის აქტივებით და მათ უნდა გაეფორმებინათ ხელშეკრულება შესაბამის მომსახურებაზე, უნდა უზრუნველეყოთ შპს „ს. რ-ისათვის» მის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა. შპს „ს. ს. ე-ა» ახორციელებდა რა თავის საქმიანობას - „გადაცემის მომსახურებას», შესაბამისად, წარმოადგენდა გადაცემის ლიცენზიატს, რომელიც სარგებლობდა რკინიგზის აქტივებით და მასზე ვრცელდებოდა სემეკ-ის 2003 წლის 25 ივლისის №32/2 გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე განმარტა, რომ „გადამცემი ქსელი არის ელექტრული სიმძლავრისა და ენერგიის გადაცემის საშუალება, რომელიც აკავშირებს „მიღებისა» და „მიწოდების» პუნქტებს ერთმანეთთან და მოიცავს 35 კვ. ძაბვაზე მაღალ ქსელს, მათ შორის ქვესადგურებს, რომელსაც ფლობს და ექსპლოატაციას უწევს „გადაცემის ლიცენზიატი», ხოლო განაწილების ქსელი მოიცავს 0.4-6-10 კვ. ძაბვის ქსელს, მათ შორის სადგურებს, რომელსაც ფლობს და ექსპლუატაციას უწევს „განაწილების ლიცენზიატი», ასევე არასწორად განიმარტა „მიწოდების» პუნქტი.

თუკი განაწილების განაწილების ლიცენზიატის ქსელი – „მიწოდების პუნქტი» (ელექტროენერგიის შესყიდვის წერტილი) იწყება 10/6 კვ-ის ე.წ საშუალო ძაბვაზე, მაშინ ეს უკანასკნელი ვეღარ განახორციელებს „გადაცემის ლიცენზიით» დაკისრებულ ვალდებულებას თუ უშუალო კავშირი მიწოდების პუნქტთან არ აქვს. აღნიშნული საკითხი არის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, თუმცა სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულზე ყურადღება არ გაუმახვილებია. კავშირი 35 კვ. მაღალი ძაბვის საფეხურს და ე.წ საშუალო 10/6 კვ-ის ძაბვის საფეხურს შორის მყარდება მაღალი ძაბვის სატრანსფორმატორო ქვესადგურების მეშვეობით, რომელიც შპს „ს. რ-ის» საკუთრებაა, შესაბამისად, „განაწილების ლიცენზიატებისათვის» ან სხვა პირებისათვის, ელექტროენერგიის „გადაცემის» მომსახურება შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას» სრულფასოვნად რომ განეხორციელებინა ელექტრული სიმძლავრის/ენერგიის „მიღების პუნქტებიდან» „მიწოდების პუნქტებამდე» (იქ, სადაც ამ პირების ქონება იწყება და სადაც ყიდულობენ სემეკის მიერ დადგენილი ტარიფებით ელექტროენერგიასა და მომსახურებას), აპელანტი სარგებლობდა შპს „ს. რ-ის» აქტივებით: ქვესადგურებითა და ელექტროგადამცემი ხაზებით. ამ გარემოების გამო, 2003 წლის 25 ივლისის №32/2 გადაწყვეტილებით, სემეკმა განსაზღვრა გადაცემის ლიცენზიატი, აღნიშნული კიდევ უფრო დაკონკრეტდა სემეკ-ის თავმჯდომარის 2004 წლის 13 ივლისის №2/02-5/42-805 წერილით. შპს „ს. რ-ისაგან» მომსახურების მიღების ფაქტს აპელანტიც აღიარებს სააპელაციო საჩივრით, რაც სასამართლო გადაწყვეტილებაშიც აისახა, თუმცა პალატამ ეს გარემოება არ გაითვალისწინა და საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო. საქმეში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტები აპელანტმა სათანადო მტკიცებულებად არ მიიჩნია, რასაც სააპელაციო სასამართლოც დაეთანხმა საბოლოო გადაწყვეტილებით, თუმცა საყურადღებოა, რომ აპელანტი, სამართლებრივ საფუძვლებში, თავადვე განმარტავს, რომ მიღება-ჩაბარების აქტები წარმოადგენენ მის მიერ გაწეული მომსახურების რაოდენობისა და მომსახურების ანაზღაურების საფუძვლებს. როგორც აპელანტის განმარტებიდან, ასევე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან დასტურდება, რომ შპს „ს. რ-ის» აქტივებში შესული ელექტროენერგიის ნაწილი მოიხმარება შპს „ს. რ-ის» მიერ და მომსახურების ანაზღაურებაც მის მიერ ხდება, ხოლო დარჩენილი ნაწილი, აპელანტის განმარტებით, რკინიგზის აქტივების გავლით, მიეწოდება სხვადასხვა პირებს, კერძოდ, გამანაწილებელ კომპანიებს, რომლისგანაც ხდება, ასევე მომსახურების გადახდა. ცხადია, რომ შპს „ს. რ-ის» ქსელის გარეშე აპელანტი ვერ მიიღებდა იმ შემოსავლებს, რომელებიც მან მიიღო განაწილების ლიცენზიატებისაგან კასატორის კუთვნილი აქტივების გავლით. გასაჩივრებული გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, საქალაქო სასამართლომ სამართლიანად მიიჩნია მიღება-ჩაბარების აქტები შპს „ს. რ-ის» აქტივებით სარგებლობის დამადასტურებელ მყარ მტკიცებულებად, რადგან აპელანტი განმარტავს, რომ მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული შპს „ს. რ-ის» საკუთრებაში არსებული წნევის ქვესადგურების მეშვეობით ის მომსახურებას უწევდა, ანუ თავის საქმიანობას ახორციელებდა სხვა პირებისთვისაც და მათგან შესაბამის საფასურსაც იღებდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სემეკ-ის თავმჯდომარის 2004 წლის 13 ივლისის №2/02-5/42-805 წერილის ერთ-ერთი ადრესატი არის შპს „ს. ს. ე-ა», როგორც რკინიგზის აქტივებით მოსარგებლე გადაცემის ლიცენზიატი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევის გამო, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ შპს „ს. ს. ე-ა» არ სარგებლობდა შპს „ს. რ-ის» აქტივებით, რის გამოც სემეკის თავმჯდომარის 2004 წლის 13 ივლისის №2/02-5/42-805 წერილით მას რაიმე ვალდებულება მომსახურების ხელშეკრულების დადებასა და საფასურის გადახდაზე არ წარმოშობია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 დეკემბრის განჩინებით მოცემული საკასაციო საჩივარი გაზრდილი საკასაციო პრეტენზიის – 234168 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველად, ამავე პალატის 2011 წლის 8 დეკემბრის განჩინებით წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა» ქვეპუნქტის საფუძველზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა, ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, ხოლო კასატორის მომართვის საფუძველზე, 2012 წლის 11 ივნისის განჩინებით შპს „ს. რ-ის» უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა სს „ს. რ-ა».

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, შპს „საქართველოს რკინიგზის» უფლებამონაცვლე სს „ს. რ-ის» საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ შპს „ს. რ-ის» უფლებამონაცვლე სს „ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანასმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოცემულ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

შპს „ს. რ-ა» მისი კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზებითა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების გამოყენებით ახორციელებს ენერგეტიკულ მომსახურებას პირდაპირი მომხმარებლებისა და ლიცენზიატებისათვის.

სემეკ-ის 2003 წლის 25 ივლისის №32/2 განკარგულებით შპს „ს. რ-ის» კუთვნილი ელექტროენერგიის გატარების მომსახურებისა და მისი აქტივების გამოყენებისათვის ელექტროენერგიის გადაცემისა ან/და განაწილების ყველა ლიცენზიატს, რომლებიც სარგებლობენ აღნიშნული მომსახურებით, განესაზღვრათ შპს „ს. რ-ისათვის» მის მიერ ლიცენზიატებისათვის გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება შპს „ს. რ-სთან» შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა შპს „ს. რ-ისათვის» გადაცემის ან/და განაწილების ლიცენზიატების მიერ გადასახდელი ყოველწლიური მომსახურების საფასურის გამოთვლის ფორმულა.

შპს „ს. ს. ე-ა» ენერგეტიკული სექტორის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატია.

სააპელაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილი სემეკ-ის თავმჯდომარის 2004 წლის 13 ივლისის №2/02-5/42-805 წერილი, რომლითაც შპს „ს. ს. ე-ს» მოეთხოვა 2003 წლის 25 ივლისის №32/2 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „ს. რ-სთან» ხელშეკრულების გაფორმება, არ მიიჩნია სემეკ-ის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილად და ჩათვალა, რომ მხოლოდ აღნიშნულით მოპასუხეს არ შეიძლებოდა დაკისრებოდა ვალდებულება მოსარჩელის წინაშე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ გადაცემის ლიცენზიატი ანუ შპს „ს. ს. ე-ა» ფლობს მაღალი ძაბვის გადამცემ საშუალებებს, ხოლო ელექტროენერგია მომხმარებლამდე მიდის არა მაღალი ძაბვის, არამედ საშუალო ძაბვის მქონე ელექტროგადამცემი საშუალებით. გადაცემის ლიცენზიატი ერთმანეთს აკავშირებს მიღებისა და მიწოდების პუნქტებს. მას უფლება აქვს, ელექტროენერგია განაწილების ლიცენზიატის გარდა მიაწოდოს ასევე პირდაპირ მომხმარებელსაც და უცხოურ ენერგოკომპანიასაც.

შპს „ს. რ-მ» იმ გარემოებას დააფუძნა სარჩელი, რომ მოპასუხე მოსარჩელის აქტივების საშუალებით ახორციელებდა ელექტროენერგიის გადაცემას მომხმარებლისათვის, კერძოდ, სარგებლობდა რკინიგზის საკუთრებაში არსებული წევის ქვესადგურით ელექტროენერგიის გატარების მომსახურებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, რკინიგზის ქსელის მეშვეობით ელექტროენერგიის მომხმარებლამდე გადაცემის შპს „ს. ს. ელ-ის» მიერ განხორციელების ფაქტი მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა, რაც მან სათანადოდ ვერ უზრუნველყო.

საქმეში წარმოდგენილი სემეკის 2002 წლის 20 დეკემბრის №100 გადაწყვეტილებით სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატის საქმიანობის საერთო პირობები და წესები. ამ წესების მე-3 თავის მე-3 პუნქტის თანახმად, თუკი მოპასუხე ახორციელებდა თავისი მაღალი ძაბვის სიმძლავრეების გამოყენებას მომხმარებლისათვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად, აღნიშნულისთვის მას ესაჭიროებოდა სემეკ-ის თანხმობა, ვინაიდან ამგვარი დოკუმენტი საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა, აღნიშნული თავისთავად გამორიცხავდა მოსარჩელის პოზიციის გაზიარებას შპს „ს. ს. ე-ისთვის», როგორც გადაცემის ლიცენზიატისათვის, მომხმარებლამდე ელექტროენერგიის მიწოდების უფლებამოსილების გადაცემის თაობაზე.

სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ შპს „ს. ს. ე-ს» გააჩნია უფლება, დააკავშიროს მიღების პუნქტი განაწილების ლიცენზიატთან, ანუ მიწოდების პუნქტთან, რომელიც მოიცავს საშუალო ძაბვის სისტემებს, ამასთანავე, გადაცემის ლიცენზიატის უფლებამოსილება ელექტროენერგიის გადაცემისას მთავრდება მაღალი ძაბვის მხარეს, ვინაიდან გადაცემის ლიცენზიატის მფლობელობასა და/ან მართვაში იმყოფება სწორედ მაღალი ძაბვის გადამცემი საშუალებები. სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტი დაამყარა ასევე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ენერგეტიკის დარგის სპეციალისტის განმარტებაზე, რომლის თანახმადაც შპს „ს. ს. ე-ა» მომსახურებას ასრულებს შპს „ს. რ-ის» 110 კვტ-ის მაღალი ძაბვის ქვესადგურებზე ქონების გაყოფის წერტილში და შპს „ს. ს. ე-ის» ვალდებულება მთავრდება იქ, სადაც მთავრდება მისი ქსელი, ანუ მიწოდების პუნქტთან.

საქმეში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად (რომელსაც შპს „ს. რ-ისა» და „ე. ს. ბ-ის» წარმომადგენლებთან ერთად ხელს აწერს ასევე შპს „ს. ს. ე-ა»), მომხმარებელს წარმოადგენს შპს „ს. რ-ა» ხოლო გადაცემას ახორციელებს შპს „ს. ს. ე-ა», სასამართლოს განმარტებით, ამ მტკიცებულებებით დგინდება

მხოლოდ ის, თუ რა რაოდენობით ელექტროენერგია მიაწოდა შპს „ს. ს. ე-მ» შპს „ს. რ-ს», რა რაოდენობით ელექტროენერგია მოიხმარა ამ უკანასკნელმა და რა რაოდენობით ელექტროენერგია (დარჩენილი) გაატარა. ამასთან, რადგანაც შპს „ს. ს. ე-ის» უფლებამოსილება წყდებოდა რკინიგზის მიწოდების პუნქტთან, რკინიგზის ქსელის მეშვეობით გატარებული ელექტროენერგიის გატარების, მომსახურების საფასურზე პასუხისმგებლობა შპს „ს. ს. ე-ას» არ ეკისრებოდა.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შპს „ს. რ-ის» უფლებამონაცვლე სს „ს. რ-ის» საკასაციო პრეტენზიებზე, რომელთა საფუძველზეც მხარე მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას. კასატორი სადავოდ ხდის რა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას, ის არ ეთანხმება გადაწყვეტილების დასკვნას, რომ შპს „ს. ს. ე-ა» არ სარგებლობს კასატორის აქტივებით. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა სემეკ-ის 2004 წლის 13 ივლისის №2/02-5/42-805 წერილს. საკასაციო პალატა აღნიშნული არგუმენტის შესწავლის შედეგად თვლის, რომ ის არ წარმოადგენს დასაბუთებულ შედავებას და ვერ იქნება მიჩნეული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, სადავო პერიოდში მოქმედი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სემეკ-ის მიერ გამოცემული, შესასრულებლად სავალდებულო აქტების ნუსხა მსგავს მითითებას არ შეიცავს, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად არ ჩათვალა სადავო წერილი შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტად. კასატორის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ, პალატა მიუთითებს, რომ სემეკ-ის წერილობითი მიმართვა შესაძლოა მართლაც აზუსტებდეს გარკვეულ გარემოებებს, თუმცა, მხოლოდ ამ წერილზე აპელირება და ამ წერილის მიჩნევა მტკიცებულებად, რომელიც სავალდებულოს გახდიდა სემეკ-ის 2003 წლის 25 ივლისის №32/2 გადაწყვეტილების შპს „ს. ს. ე-ის» მიერ შესრულებას, არასწორია.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თავად სემეკ-ის 2003 წლის 25 ივლისის №32/2 გადაწყვეტილება შეეხება შპს „ს. რ-ის» კუთვნილ ელექტრულ ქსელში ელექტროენერგიის გატარების მომსახურებისა და მისი აქტივების გამოყენებისათვის ელექტროენერგიის გადაცემის ან/და განაწილების ყველა ლიცენზიატს, რომლებიც სარგებლობენ ზემოაღნიშნული მომსახურებით, აუნაზღაურონ შპს „ს. რ-ს» მის მიერ ლიცენზიატებისათვის გაწეული მომსახურების საფასურის ღირებულება ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ფორმულით გამოანგარიშებული წესით სათანადო ხელშეკრულების გაფორმების გზით. სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ სემეკ-ის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას მის შესრულებაზე ვალდებული ლიცენზიატების თაობაზე, არამედ მითითებულია მხოლოდ მომსახურების მიმღები ლიცენზიატების შესახებ. ის გარემოება, რომ მოსარჩელე სადავო თანხის დაკისრებას სწორედ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე მოითხოვს, მოსარჩელესვე ავალდებულებს იმის დადასტურებას, შპს „ს. ს. ე-ა» წარმოადგენს თუ არა ამ გადაწყვეტილებაში მითითებულ სუბიექტს, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. დასახელებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარეობს მოსარჩელის ვალდებულება, სათანადო მტკიცებულების სასამართლოსათვის წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მოთხოვნის მართებულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოსაზრებანი სარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობის თაობაზე არ იქნება დამტკიცებულად მიჩნეული. საყურადღებოა ის გარემოება, რომ განკუთვნადობის თვალსაზრისით სემეკ-ის თავმჯდომარის სადავო წერილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ სათანადო დოკუმენტს არ წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მტკიცებას, რომ 35 კვ. მაღალი ძაბვის საფეხურსა და 10/6 კვ-ის ძაბვის საფეხურს შორის კავშირი სწორედ შპს „ს. რ-ის» კუთვნილი ქვესადგურის მეშვეობით ხორციელდება და განაწილების ლიცენზიატისათვის „გადაცემის» მომსახურება შპს „ს. ს. ე-ს» სრულფასოვნად რომ განეხორციელებინა ელექტრული სიმძლავრის/ენერგიის „მიღების პუნქტიდან» „მიწოდების პუნქტამდე» მოპასუხე მოსარჩელის აქტივებით სარგებლობდა. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორმა ზემოაღნიშნული გარემოება სათანადოდ ვერ დაასაბუთა, ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, სემეკ-ის 2002 წლის 20 დეკემბრის №100 გადაწყვეტილებით დამტკიცებული შპს „ს. ს. ე-ის» ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატის საქმიანობის საერთო პირობებისა და წესების მე-3 თავის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სემეკ-ის შესაბამისი თანხმობა მოპასუხის მიერ ზემოაღნიშნული საქმიანობის განხორციელების თაობაზე მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

საკასაციო პალატა ვერ გიზიარებს შპს „ს. რ-ის» უფლებამონაცვლე სს „ს. რ-ის» პოზიციას საქმეში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების არასწორ შეფასებასთან დაკავშირებით, რადგანაც ამ ნაწილშიც კასატორი მიუთითებს მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე თავადვე განმარტავდა შპს „ს. რ-ის» კუთვნილი წევის ქვესადგურის გამოყენებით სხვა პირებისათვის მომსახურების გაწევასა და ამით შემოსავლის მიღების თაობაზე. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხარეს სათანადო მტკიცებულებაზე მითითებით არ დაუდასტურებია მისი ამ საკასაციო პრეტენზიის მართებულობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მოცემული დავის შემდეგ უმნიშვნელოვანეს გარემოებაზე:

საქმეში წარმოდგენილი სარჩელისა და დაზუსტებული სარჩელის შესწავლის საფუძველზე ირკვევა ის გარემოება, რომ მოსარჩელე სამართლებრივად თავის მოთხოვნას ამყარებდა სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლზე და სწორედ ამ ნორმიდან გამომდინარე მოითხოვდა მოპასუხისათვის უსაფუძვლოდ დაზოგილი თანხის დაკისრებას, ასევე მოითხოვდა ამავე კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მიუღებელი თანხის პროცენტსაც.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად თვლის განმარტოს, რომ სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლით სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციისათვის სავალდებულოა სამი ელემენტის არსებობა: ა)სახეზე უნდა იყოს მოპასუხის გამდიდრება; ბ)ამ გამდიდრების შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი და გ)მატერიალურ სიკეთეთა ასეთი გადანაცვლების უსაფუძვლობა. მნიშვნელოვანია, რომ სადავო სამართალურთიერთობის უსაფუძვლო გამდიდრების წესებით რეგულირებისათვის უნდა გამოირიცხოს სამართლის სხვა, უფრო სპეციალური ნორმით რეგულირების შესაძლებლობა და, ამასთანავე, კუმულატიურად უნდა არსებობდეს ზემოთ ჩამოთვლილი პირობები.

სამოქალაქო ურთიერთობა ნების ავტონომიურობაზე დამყარებული ურთიერთობაა, სადაც გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს, ერთი მხრივ, კანონით იმპერატიულად დადგენილი აკრძალვების დაცვა და, მეორე მხრივ, სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტთა კეთილსინდისიერება. აღნიშნული გარემოება ასახულია როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო კანონმდებლობაში. საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონმდებელმა მხარეთა შორის გაანაწილა მტკიცების ტვირთი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის შემოღებით განამტკიცა შეჯიბრებითობის პრინციპი. დასახელებული ნორმის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სამოქალაქო ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, სადავო გარემოებათა მტკიცების ტვირთი სამოქალაქო სამართალში შესაძლოა განაწილებულ იქნას, როგორც საპროცესო ნორმით, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, ისე ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა არსებობდეს მატერიალური კანონით გათვალისწინებული ზოგადი წესისაგან განსხვავებული რეგულაცია. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვს რა სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლისა და 981-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას, სწორედ მოსარჩელე იყო ვალდებული, სარწმუნოდ მიეთითებინა იმ სავალდებულო წინაპირობათა არსებობაზე, რომლებიც დაადასტურებდნენ შპს „ს. ს. ე-ის» მიერ შპს „ს. რ-ის» უფლებამონაცვლე სს „ს. რ-ის» კუთვნილი მატერიალური აქტივის გამოყენებით გამდიდრებას, ამ გამდიდრების საფუძველზე მოსარჩელის ქონებრივ დანაკლისსა და მატერიალურ სიკეთეთა ასეთი გადანაცვლების უსაფუძვლობას. მოცემულ შემთხვევაში კი, როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო ამ მტკიცების სათანადოდ განხორციელება, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „ს. რ-ის» უფლებამონაცვლე სს „ს. რ-ის» მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იგი უცვლელად უნდა იქნას დატოვებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინებით შპს „ს. რ-ის» უფლებამონაცვლე სს „ს. რ-ს» უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, პალატა თვლის, რომ მის მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ს. რ-ის» უფლებამონაცვლე სს „ს. რ-ის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

დელიქტური ვალდებულებანი

განჩინება

№ას-937-880-2012 13 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ზ. ალავიძე

დავის საგანი: დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. მ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ი. კ-ძის მიმართ და მოითხოვა დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით: 2010 წლის 31 აგვისტოს მოპასუხე ი. კ-ძე და მისი მეგობარი თ. ც-ძე ზ. მ-შვილთან მომხდარი შელაპარაკების გამო, მოსარჩელეს დაუხვდნენ სახლთან და დაუწყეს ცემა. თ. ც-ძემ ზ. მ-შვილს გულმკერდის არეში დანით სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობები მიაყენა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 დეკემბრის განაჩენით მოპასუხე ი. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ მასზე, რომ მან ჩაიდინა ხულიგნობა, ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ ი. კ-ძე და თ. ც-ძე წარმოადგენენ სოლიდარულ მოპასუხეებს. მოსარჩელე ზ. მ-შვილს, მიყენებული დაზიანებების მკურნალობის გამო, ქონებრივი ზიანი მიადგა, რომლის ანაზღაურებასაც ი. კ-ძისაგან ითხოვს.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ი. კ-ძე მიიჩნევს, რომ მის მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 დეკემბრის განაჩენით, ის დამნაშავედ იქნა ცნობილი მხოლოდ ხულიგნობაში, ქმედებაში, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას. 2010 წლის 24 სექტემბრის თ. ც-ძის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებით, თ. ც-ძე მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ზ. მ-შვილის მკვლელობის მცდელობის გამო. ის და თ. ც-ძე არ წარმოადგენენ სოლიდარულ მოპასუხეებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ზ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: პალატამ საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 დეკემბრის განაჩენის, პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებების, ასევე მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ 2010 წლის 31 აგვისტოს ი. კ-ძე სტუმრად იმყოფებოდა ე. ლ-ძესთან, რა დროსაც შელაპარაკება მოუვიდა ე. ლ-ძის მეზობელ ზ. მ-შვილთან. ი. კ-ძე დაემუქრა ზ. მ-შვილს, რომ ის კვლავ დაბრუნდებოდა და მასზე შურს იძიებდა. ამ მიზნით, იმავე დღეს ი. კ-ძე დაუკავშირდა თ. ც-ძეს და დაახლოებით 19:00 საათზე, ქ.თბილისში ... ქუჩის №81-თან, როდესაც ზ. მ-შვილი იმყოფებოდა საკუთარი სახლის წინ, ი. კ-ძემ თ. ც-ძესთან ერთად დაუწყო ცემა. ჩხუბის დროს თ. ც-ძემ განიზრახა ზ. მ-შვილის მკვლელობა და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დანით გულმკერდის არეში მიაყენა ჭრილობა.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 დეკემბრის განაჩენით დადგენილია, რომ მოპასუხე ი. კ-ძემ ჩაიდინა ხულიგნობა, ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და

გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას. ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის განყოფილების დეტექტივის თანაშემწის 2010 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით, თ. ც-ძე მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ზ. მ-შვილის მკვლელობის მცდელობის გამო. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2010 წლის 15 სექტემბრის №4802/31 დასკვნით დადგენილია, რომ ზ. მ-შვილის ჯანმრთელობის დაზიანება განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავი ბასრი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს. ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს გენერალური დირექტორის 2011 წლის 3 ნოემბრის წერილის თანახმად, ზ. მ-შვილის მკურნალობის ღირებულებამ შეადგინა 3 233.78 ლარი. რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას მასზე, რომ ზ. მ-შვილის მკურნალობის ღირებულებამ შეადგინა არა 3652.6 ლარი, არამედ 3 233.78 ლარი, პალატამ გაიზიარა ამ ფაქტობრივი გარემოების უსწოროზასთან დაკავშირებით აპელანტის პრეტენზია, კერძოდ, 2012 წლის 31 იანვრის სხდომის ოქმის ჩანაწერით (იხ. 2012წ. 31 იანვრის სხდომის საოქმო ჩანაწერი 11:27:21) დასტურდება აპელანტის მიერ მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხე მხარის მიერ სადავო არ გამხდარა და მეტიც დადასტურებულ იქნა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ზ. მ-შვილის მკურნალობის ხარჯებმა შეადგინა 3652.6 ლარი. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის დანაწესზე მითითებით, პალატამ მიიჩნია, რომ მკურნალობისათვის გაწეული ხარჯის ოდენობასთან დაკავშირებით არსებობს მოსარჩელის მიერ მითითებული (3652.6 ლ) ფაქტობრივი გარემოების გაზიარების საკმარისი პროცესუალური საფუძველი. შესაბამისად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. მ-შვილის მიერ მკურნალობისათვის გაწეულმა 3652.6 ლარი შეადგინა.

პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია განემარტა, რომ მითითებული ფაქტობრივი გარემოების დადგენა არ წარმოადგენს დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებას და ამ კუთხით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ზიანის ოდენობის არასწორად განსაზღვრა, არ შეიძლება გახდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, საქმისათვის განმსაზღვრელია მიზეზობრივი კავშირის შესახებ გარემოების დადგენა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, რასთან დაკავშირებითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2010 წლის 31 აგვისტოს შემთხვევის დროს სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანება ზ. მ-შვილმა მიიღო რაიმე მჩხვლეტავი ბასრი საგნის მოქმედებით (მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს). მოპასუხე ი. კ-ძემ ჩაიდინა ხულიგნობა, ხოლო თ. ც-ძემ ჩაიდინა ზ. მ-შვილის მკვლელობის მცდელობა. ამ ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309^{17}, 309^{20} მუხლისა და ასევე სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის დანაწესზე მითითებით პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად მართებულად დაასკვნა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის შინაარსი გამორიცხავდა მოპასუხის ბრალეულობას მოსარჩელის მიმართ დამდგარ კონკრეტულ ზიანში. პალატამ მიუთითა, რომ სადავო არ არის და საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების, ასევე ექსპერტიზის დასკვნის ანალიზისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე დგინდება, რომ ზ. მ-შვილისათვის სხეულის დაზიანება, გამოწვეულია უშუალოდ თ. ც-ძის მიერ დანის დარტყმით მიყენებული ჭრილობით. მართალია, შურისძიების მიზნით, ზ. მ-შვილთან თ. ც-ძე ი. კ-ძემ მიიყვანა და თავადაც აქტიურად მონაწილეობდა შელაპარაკებაში, თუმცა ი. კ-ძის მხოლოდ ეს ქმედება არ არის საკმარისი იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ზ. მ-შვილისათვის სხეულის მძიმე დაზიანება გამოწვეულია ი. კ-ძის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. ის გარემოება, რომ ი. კ-ძის ქმედებები იყო მართლსაწინააღმდეგო, სადავო არ არის. დავის სწორად გადაწყვეტისათვის განმსაზღვრელია მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენა ი. კ-ძის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

მოცემულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან დაკავშირებით აპელანტის პრეტენზიის გაზიარება, შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდებოდა ი. კ-ძისა და თ. ც-ძის წინასწარი განზრახვის არსებობა მასზე, რომ ზ. მ-შვილისათვის დანის დარტყმით მიეყენებინათ სხეულის დაზიანება. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო ი. კ-ძის ქმედებებს დააკვალიფიცირებდა შესაბამისი სისხლის სამართლის კოდექსის ნორმით, რომელიც შეტანილია სისხლის სამართლის კოდექსის „დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ» თავში, რაც არ მომხდარა. შესაბამისად, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ი. კ-ძის ქმედება ვერ იქნებოდა ზ. მ-შვილის ჯანმრთელობის მძიმე ხარისხით დაზიანების გამომწვევი უშუალო მიზეზი, რამდენადაც სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ მოპასუხის მიერ ჩადენილი ქმედებების შეფასებისას დაადგინა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედებები წარმოადგენს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. სასამართლომ ამგვარი კვალიფიკაციით დაადასტურა მოპასუხის განზრახვა, ჩაედინა დანაშაული საზოგადოების წინააღმდეგ, რომელსაც ახლავს ძალადობა ან ძალადობის მუქარა. მოსარჩელე თავადაც არ მიუთითებს და საქმის მასალებიდანაც არ სჩანს, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანება გამოწვეული არის მოპასუხის რაიმე ძალადობრივი ქმედებით, ხოლო ი. კ-ძის ის ქმედება, რომ ზ. მ-შვილთან შურის საძიებლად მივიდა თ. ც-ძესთან ერთად და რომ მისი ნებისა და ინიცია-

ტივის გარეშე თ. ც-ძე ზ. მ-შვილთან ვერ მოხვდებოდა, არ ასაბუთებს ი. კ-ძის ქმედების მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობას დამდგარ ზიანთან.

სამოქალაქო კოდექსის **998**-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ამავე მუხლის მე-**2** ნაწილის თანახმად, ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით. ამ პირობებში, როდესაც დგინდება, რომ დანის გამოყენებით ზ. მ-შვილისათვის სხეულის დაზიანების განზრახვა თ. ც-ძეს წარმოეშვა უშუალოდ ზ. მ-შვილთან ჩხუბის დროს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ი. კ-ძე არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ხელშემწყობად ანდა დამყოლიებლად ზ. მ-შვილისათვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებაში, ვინაიდან არ დგინდება ი. კ-ძის წინასწარი შეთანხმება თ. ც-ძესთან, რომ ზ. მ-შვილისათვის მიეყენებინათ სხეულის დაზიანება დანის დარტყმით.

სამოქალაქო კოდექსის **992**-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლო მსჯელობა, მასზე, რომ სამოქალაქო კოდექსის ზემოთ მოხმობილი ნორმა განსაზღვრავს იმ აუცილებელ წინაპირობებს, რომლებიც უნდა არსებობდეს დელიქტური ურთიერთობის წარმოშობისათვის, კერძოდ, უნდა დადგინდეს ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის ანუ მოვალის ქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო, არამედ ზიანი უნდა იყოს ამ ქმედებით გამოწვეული უშუალო შედეგი. ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ ნორმაში მითითებულ კონსტრუქციას. აქედან თუნდაც, ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა, გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამასთან, რამდენადაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დამდგარ ზიანსა და მოპასუხის ბრალეულ ქმედებას შორის არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი და მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანების უშუალო გამომწვევი მიზეზი არ არის მოპასუხის ქმედება, არ არსებობს ზიანის ანაზღაურების სახით სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოპასუხე, ი. კ-ძისათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველიც.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. მ-შვილმა შემდეგი დასაბუთებით: მოცემულ შემთხვევაში, თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომლის მიხედვითაც, დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სამოქალაქო კოდექსის **992**-ე და **998**-ე მუხლები კუმულაციურად იქნეს განხილული. თ. ც-ძეს რაიმე სახის ურთიერთობა არ ჰქონდა ზ. მ-შვილთან. ზ. მ-შვილთან შელაპარაკება, სწორედ, ი. კ-ძეს მოუვიდა, რომლიც მას შურისძიებით დაემუქრა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ი. კ-ძისა და თ. ც-ძის ქმედებები განუყოფელია, რაც მათ სოლიდარულ მოვალეებად აქცევს. მოპასუხემ დაიყოლია თ. ც-ძე, ზ. მ-შვილისათვის ეძია შური. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ი. კ-ძეს ბრალი დაედო ხულიგნობაში, აღნიშნული არათუ გამორიცხავს **992**-ე მუხლის შესაბამისად ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივ კავშირს, არამედ კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **106**-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს არ გააჩნიათ პრეიუდიციული ძალა. კასატორი ორივე ინსტანციის სასამართლოში სწორედ იმ ფაქტზე აპელირებდა, რომ ზ. მ-შვილისათვის შურისძიების მიზანი ი. კ-ძეს გააჩნდა და სწორედ მან დაუწყო ცემა. მართალია, კასატორს დანა თ. ც-ძემ დაარტყა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მიყენებულ ზიანსა და მოწინააღმდეგე მხარის ქმედებას შორის მიზეზობრივ კავშირს, რადგან სამოქალაქო კოდექსის **998**-ე მუხლის თანახმად, ზიანი, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია ერთობლივად მოქმედ ზიანის მიმყენებლთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან ითვლება ერთობლივად მიყენებულ ზიანად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **393**-ე მუხლის მე-**3** ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე ქვემდგომმა სასამართლოებმა დაარღვიეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ დავა დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას შეეხებოდა. აღნიშნული კატეგორიის საქმე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV[3] თავის შესაბამისად, შესაძლებელია განხილულ იქნეს გამარტივებული წესით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში საქმის განხილვის სპეციალურ წესზე მიუთითა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **309**[20] მუხლი დაუდო საფუძვლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გამარტივებული წესით საქმის განხილვა, სასარჩელო წარმოების მსგავსად, მიზნად ისახავს დარღვეული უფლების აღდგენას, თუმცა გამარტივებული წარმოების თავისებურება ისაა, რომ საქმე დაჩქარებულად და მარტივად განიხილება. ამ წესით განსახილველ საქმეთა კატეგორია კანონით ზუსტად არის განსაზღვრული და იგი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს, ანუ კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, სარჩელი ამ წესით საქმის განხილვაზე მხარემ უნდა წარადგინოს და, შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, საქმე გამარტივებული წესით აწარმოოს. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მხარის მოთხოვნა, საქმე სასარჩელო წარმოებით განიხილება და საერთო საპროცესო ვადები ვრცელდება. დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი გამარტივებული წესით განხილვას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენი, რომელიც ზიანის მიყენებას ადასტურებს. ამ შემთხვევაში, სასამართლოს აღარ უწევს ზიანის მიყენების ფაქტის, ზიანის მიმყენებლის ბრალის, მის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის გამოკვლევა. ყველა აღნიშნული გარემოება განაჩენით დასტურდება. ვინაიდან სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლის გამოსკვლევ საკითხთა წრე მცირდება, ასევე მცირდება საქმის განხილვის ვადაც. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ ტიპის დავების გამარტივებული წესით განხილვა, პირველ რიგში, საქმის საპროცესო კოდექსით დადგენილი სპეციალური ვადების ფარგლებში განხილვას გულისხმობს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვინაიდან ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელები, ისევე როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეხუთე კარით გათვალისწინებული სხვა საქმეები, შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც გამარტივებული, ისე სრული სასარჩელო წარმოების გზით, საქმის განმხილველმა სასამართლომ საპროცესო დოკუმენტებში, პირველ რიგში კი სხდომის ოქმში, ზუსტად უნდა მიუთითოს წარმოების ფორმა, ამასთან, ყველა საპროცესო მოქმედება კანონით დადგენილ შემჭიდროვებულ ვადაში უნდა შესრულდეს.

განსახილველ შემთხვევაში საქმეში არსებული არც ერთი განჩინება ან სხდომის ოქმი არ შეიცავს მითითებას საქმის გამარტივებული წესით განხილვის შესახებ. გარდა ამისა, საქმე განხილული არ ყოფილა XXXIV[3] თავით დადგენილ ვადებში, კერძოდ, სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი სასამართლოს არ გადაუწყვეტია მისი მიღებიდან **3** დღის ვადაში (სსსკ-ის **309**[19] მუხლი), სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მოპასუხეს შესაგებლის წარდგენისათვის **7** დღეზე მეტი ვადა მიეცა (სსსკ-ის **309**[19] მუხლი), საქმე სარჩელის წარმოებაში მიღებიდან **1** თვის ვადაში არ განხილულა (სსსკ-ის **309**[20] მუხლი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე, მოსარჩელის შუამდგომლობის მიუხედავად, გამარტივებული წესით არ განხილულა, ამდენად, გადაწყვეტილებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **309**[20] მუხლის მე-**2** ნაწილის გამოყენება და, ასევე, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადად **7** დღის მითითება უკანონოა. სააპელაციო სასამართლოს კი, აღნიშნულ გარემოებებზე არ უმსჯელია და საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა არ შეუფასებია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან საქმეზე არსებითად სწორი შედეგია დამდგარი.

სამოქალაქო კოდექსის **992**-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, იმისათვის, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი დაკმაყოფილდეს, აუცილებელია დადგინდეს ზიანის მიყენების ფაქტი, მოპასუხის ბრალეულობა და მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. მხოლოდ ყველა ამ პირობის ერთობლიობა ქმნის დელიქტს და ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას იწვევს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთება ი. კ-ძის ქმედებასა და ზ. მ-შვილის ჯანმრთელობის დაზიანებას შორის მიზეზობრივი კავშირი.

საქმეში წარმოდგენილი განაჩენით დასტურდება, რომ, თავდაპირველად კონფლიქტი ზ. მ-შვილსა და ი. კ-ძეს შორის წარმოიშვა. **2010** წლის **31** აგვისტოს, დაახლოებით **19:00** საათზე ი. კ-ძე და თ. ც-ძე ზ. მ-შვილს საკუთარ სახლთან დახვდნენ და დაუწყეს ცემა. ჩხუბის დროს თ. ც-ძემ ზ. მ-შვილი დანით დაჭრა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ სამოქალაქო კოდექსის **998**-ე მუხლის მიხედვით, ი. კ-ძე და თ. ც-ძე სოლიდარულად აგებენ პასუხს დამდგარი ზიანისათვის.

მითითებული მუხლის მე-**2** ნაწილის მიხედვით, ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის საფუძველზე დანაშაულით მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე პირები, როგორც სოლიდარული მოვალეები. თანამონაწილეობის ფორმები განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსით.

განსახილველ შემთხვევაში, ზ. მ-შვილს ზიანი უშუალოდ თ. ც-ძემ მიაყენა. იმისათვის, რომ ი. კ-ძემ ასევე აგოს პასუხი ზ. მ-შვილის ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანზე, იგი თ. ც-ძის თანამონაწილე უნდა იყოს, ანუ, მათ ბრალად ერთი და იგივე დანაშაული უნდა შერაცხვოდათ. საქმის მასალები ადასტურებს, რომ განაჩენით ი. კ-ძე ცნობილია დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (ხულიგნობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) ჩადენაში, ხოლო, გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილების 2010 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით ზ. მ-შვილის მკვლელობის მცდელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით მხოლოდ თ. ც-ძე მიეცა, შესაბამისად, ი. კ-ძის თანამონაწილეობა არ იკვეთება.

საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ადასტურებს, რომ ი. კ-ძე და თ. ც-ძე შეთანხმებულები იყვნენ ზ. მ-შვილის სიცოცხლისათვის საშიში დაზიანების მიყენების თაობაზე. ი. კ-ძეს თ. ც-ძე აღნიშნულის თაობაზე არ დაუყოლიებია, როგორც ამას კასატორი მიუთითებს. მათი შეთანხმება, სავარაუდოდ, მხოლოდ მოსარჩელის ცემას გულისხმობდა, რასაც ჯანმრთელობის დაზიანება და სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა შედეგად არ მოჰყოლია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ განაჩენს სამოქალაქო საქმის განხილვისას პრეიუდიციული ძალა არ გააჩნია, მაგრამ ამასთან აღნიშნავს, რომ ზიანის მიყენების ფაქტთან დაკავშირებული სხვა მტკიცებულება სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა. განაჩენის საფუძველზე კი, ი. კ-ძის პასუხისმგებლობა არ იკვეთება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. მ-შვილის მოთხოვნა ი. კ-ძის მიმართ უსაფუძვლოა და სააპელაციო სასამართლოს განჩინება არსებითად სწორია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას გამორიცხავს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის განჩინება;
3. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ას-1320-1246-2012 12 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: შესრულებული სამუშაოსათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მესტიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველმა ერთეულმა მესტიის რაიონულ სასამართლოში ა. ჩ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხისათვის 581 012,79 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულმა მესტიის რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. პროგრამის ფარგლებში კერძო პირებმა მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარეს. ვინაიდან ა. ჩ-ს კუთვნილი უძრავი ქონება მესტიის ცენტრში მდებარეობდა, სადაც ყველა შენობას ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები, აუცილებელი გახდა მოპასუხის კუთვნილ ქონებაზეც მსგავსი სამუშაოს გაწევა. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტმა შპს „დ-სთან» ხელშეკრულება გააფორმა და ბიუჯეტიდან გამოყო საჭირო თანხა. ხელშეკრულე-

ბის საფუძველზე შპს „დ-მ» 2012 წლის 25 მარტიდან დაიწყო სამუშაოს განხორციელება. გაწეული სამუშაოს ღირებულებამ 581 012,79 ლარი შეადგინა, რაც მესტიის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან დაიფარა. მუნიციპალიტეტის დაფინანსებული სამუშაოების შედეგად ადილარ ჩართოლანის კუთვნილი ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რის გამოც მესტიის მუნიციპალიტეტს გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა.

მესტიის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით მესტიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის სარჩელი დაკმაყოფილდა, ა. ჩ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 581 01,79 ლარის გადახდა. გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

აღნიშნული გადაწყვეტილება ა. ჩ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 აგვისტოს განჩინებით ა. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მესტიის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 22 მარტს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს „დ-ს» შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №35 ხელშეკრულება. 2012 წლის 25 მარტს შპს „დ-მ», მესტიის მუნიციპალიტეტის დაკვეთით დაიწყო ა. ჩ-ს უძრავი ქონების რეაბილიტაცია. 2012 წლის 22 მაისს მესტიის მუნიციპალიტეტმა შპს „დ-ს» გადაურიცხა ა. ჩ-ს კუთვნილი უძრავი ქონების რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხა, 581 012.79 ლარი. შპს „დ-მ» 2012 წლის 22 მარტის ხელშეკრულების შესაბამისად, შეასრულა დაბა მესტიაში, ... ქუჩის №9-ში მდებარე ორსართულიანი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მესტიის მუნიციპალიტეტმა მესტიის რეაბილიტაციისათვის წარმოშობილი კანონით დადგენილი ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, რაზეც მოპასუხე მხარეს რაიმე პროტესტი არ გამოუთქვამს, აღნიშნულიდან გამომდინარე კი, შემსრულებელს წარმოეშვა ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის კანონიერი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. ჩ-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი, რადგანაც მესტიის მუნიციპალიტეტისა და ა. ჩ-ს შორის ხელშეკრულება გაფორმებული არ ყოფილა. 317-ე მუხლის გამოყენება საჭირო არაა, როდესაც არსებობს კანონისმიერი ვალდებულება, განსახილველი დავა კი, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს. სააპელაციო სასამართლოს ასევე, არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაო შპს „დ-მ» შეასრულა, რომლის მიმართაც ვალდებულება მესტიის მუნიციპალიტეტს წარმოეშვა და არა ა. ჩ-ს. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლი და მიიჩნია, რომ მესტიის თვითმმართველი ერთეული სამუშაოს შემსრულებელია, ხოლო ა. ჩ-ი სხვა პირი – მეპატრონე. აღნიშნული მოსაზრება თუნდაც გაზიარებულ იქნეს, მესტიის მუნიციპალიტეტს ვალდებულება კეთილსინდისიერად არ შეუსრულებია, რადგანაც ა. ჩ-სათვის არ შეუტყობინებია სამუშაოს თაობაზე. მოსარჩელის განმარტებით, „ოფიციალურად მსგავს შეტყობინებას ადგილი არ ჰქონია, რადგან ტელევიზორიდან ყველამ იცოდა, რომ მესტიის რეაბილიტაცია ხორციელდებოდა». სამოქალაქო კოდექსის 972-ე მუხლის მიხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო, შესრულებული სამუშაოს ანგარიში წარედგინა ა. ჩ-სათვის, რაც ასევე არ შეუსრულებია. სამოქალაქო კოდექსის 973-ე მუხლის მიხედვით, შემსრულებელს უფლება აქვს, იმ ხარჯის ანაზღაურება მოითხოვოს, რომელიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნება მიჩნეული. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია 581 000 ლარის ბიუჯეტიდან გამოყოფა და ამ ღირებულების სამუშაოს შესრულება აუცილებლად რის საფუძველზე მიიჩნია, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი და საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია ის გარემოება, რომ მესტიის რეაბილიტაციის პროგრამა ხორციელდებოდა და ა. ჩ-სათვის ცნობილი იყო მისი საკუთრების რეაბილიტაციის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარის მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეს შესაგებლის წარდგენისა და საქმის განხილვაში მონაწილეობისათვის მოსამზადებლად საკმარისი დრო არ მისცა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ა. ჩ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს:

განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 22 მარტს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს „დ-ს» შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №35 ხელშეკრულება. 2012 წლის 25 მარტს შპს „დ-მ», მესტიის მუნიციპალიტეტის დაკვეთით დაიწყო ა. ჩ-ს უძრავი ქონების რეაბილიტაცია. 2012 წლის 22 მაისს მესტიის მუნიციპალიტეტმა შპს „დ-ს» გადაურიცხა ა. ჩ-ს კუთვნილი უძრავი ქონების რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხა, 581 012.79 ლარი. შპს „დ-მ» 2012

წლის 22 მარტის ხელშეკრულების შესაბამისად, შეასრულა დაბა მესტიაში, სეტის ქუჩის №9-ში მდებარე ორსართულიანი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მხარეს ამგვარი შედავება არ წარმოუდგენია, შესაბამისად, ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების კანონისმიერი ურთიერთობიდან შეიძლება იყოს წარმოშობილი, ამასთან განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა დავის გადაწყვეტისათვის საჭირო სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის მიხედვით პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად.

მოცემულ შემთხვევაში მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შპს „დ-სთან» დადო ხელშეკრულება და განახორციელა ა. ჩ-ს კუთვნილი ქონების რეაბილიტაცია ამ უკანასკნელის მხრიდან დავალების, ან სხვა სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი საფუძვლის არსებობის გარეშე, ამდენად, დავის ფაქტობრივი გარემოებები შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის მოცემულობას.

იმავე კოდექსის 973-ე მუხლის მიხედვით შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოებისას შემსრულებელის ჩარევა მეპატრონის ქონებრივ სფეროში, მართალია, ნებაყოფლობით ხორციელდება, მაგრამ ამგვარ ჩარევას გონივრული და ობიექტური საფუძველი უნდა გააჩნდეს, ამასთან, აუცილებელი პირობაა, რომ კონკრეტული საქმის შესრულება თვითნებობა კი არ უნდა იყოს, არამედ მეპატრონის ინტერესებს შეესაბამებოდეს და ამ საქმის შესრულება სწორედ მეპატრონისათვის უნდა იყოს სასიკეთო. მეპატრონე ვალდებულია გესტორს (შემსრულებელს) აუნაზღაუროს საქმეების შესრულებისას გაღებული ხარჯი, მაგრამ იმ დათქმით, რომ ანაზღაურდება არა ყველა სახის ხარჯი, არამედ მხოლოდ ის, რაც აუცილებლად იქნება მიჩნეული და ისიც იმ შემთხვევაში, თუ დაცულია სამოქალაქო კოდექსის 970-ე-974-ე მუხლის მოთხოვნები.

სამოქალაქო კოდექსის 971-ე მუხლის მიხედვით, შემსრულებელი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეპატრონეს, რომ იკისრა საქმეთა შესრულება. შემსრულებელმა უნდა გააგრძელოს დაწყებული საქმეები, ვიდრე მეპატრონეს არ შეეძლება იმოქმედოს თვითონ.

იმავე კოდექსის 974-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საქმეების შესრულება არ ხორციელდება მეპატრონის მონაწილეობის გარეშე, კერძოდ, ქონების მესაკუთრე ინფორმირებული უნდა იყოს სამუშაოს შესრულების თაობაზე პირველივე შესაძლებლობისთანავე და უნდა დაეთანხმოს სამუშაოს შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსრულებელი გაღებული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას კარგავს. 969-ე მუხლით განსაზღვრული შემსრულებლის ვალდებულება კეთილსინდისიერი მოქმედების შესახებ გულისხმობს არა მხოლოდ თავად საქმეების კეთილსინდისიერად და მეპატრონის ინტერესების დაცვით შესრულებას, არამედ შეტყობინებისა და გაწეული სამუშაოს ანგარიშის წარდგენის ვალდებულების დროულად შესრულებასაც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ა. ჩ-ს საკუთრების რეაბილიტაცია და ამ მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 581 000 ლარის გამოყოფა აუცილებლობადაც რომ იქნეს მიჩნეული, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა მაინც არ არის უფლებამოსილი გაწეული ხარჯის ანაზღაურება მოითხოვოს, ვინაიდან არ შეუსრულებია სამოქალაქო კოდექსის 971-ე მუხლით დადგენილი ვალდებულება.

საქმის გარემოებებიდან არ დასტურდება, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ა. ჩ-ს მისი ქონების რეაბილიტაციის შესახებ სამუშაოს შესრულების რომელიმე ეტაპზე მაინც აცნობა. აღნიშნულ გარემოებას არც მოსარჩელე უარყოფს და განმარტავს, რომ „ოფიციალურად მსგავს შეტყობინებას ადგილი არ ჰქონია».

სააპელაციო სასამართლომ გამგეობის მიერ სამუშაოს შესრულება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია. სასამართლოს მითითებით, მესტიის რეაბილიტაციის შესახებ სხვა რეგიონების მოსახლეობისათვისაც კი იყო ცნობილი.

საკასაციო სასამართლო ამ მოსაზრებას არ იზიარებს და განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ამგვარად მიიჩნევა ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს.

აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის ფაქტის „საყოველთაოდ ცნობილობა» სუბიექტური შეფასების საგანი არაა. ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ, ობიექტური გარემოებე-

ბის შედეგად, მის შესახებ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაა ინფორმირებული. როგორც ცნობილია, ადამიანებს, თავიანთი ასაკის, სოციალური თუ სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით, განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ და განსხვავებულ ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი. შესაბამისად, იმისათვის, რომ კონკრეტული ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად ჩაითვალოს, უნდა შეფასდეს მისი გავრცელების ფორმა, არეალი და მნიშვნელობა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საყოველთაოდ ცნობილად ისეთი ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს, რომელზეც ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ადამიანს ერთნაირად მიუწვდება ხელი და თითოეულ მათგანს ერთნაირად შეიძლება მოეთხოვოს მისი ცოდნა, ასაკისა თუ სტატუსის მიუხედავად. ამ ტიპის ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ქვეყანაში არჩევნების ჩატარება, ვინაიდან, აღნიშნულთან დაკავშირებული აქტიური წინასაარჩევნო კამპანიის, მედიასაშუალებების მიერ მიწოდებული ინფორმაციის, აგრეთვე, სხვადასხვა პირების თუ ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, თუნდაც მინიმალურ ინფორმაციას მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობა ფლობს, მათ შორის ის ფენებიც, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, არ ღებულობენ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მესტიის ცენტრის რეაბილიტაცია საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად ვერ იქნება მიჩნეული. იმ ვარაუდის შემთხვევაშიც კი, რომ მოსახლეობის ნაწილმა მედიასაშუალებებით მიიღო ინფორმაცია ტურისტების მოზიდვის მიზნით მესტიის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის განხორციელების შესახებ, დაინტერესებული პირების გარდა, არავის მოეთხოვება იმის ცოდნა, თუ კონკრეტულად რა ღონისძიებებს გულისხმობდა აღნიშნული პროგრამა. ის გარემოება, რომ ზოგადად, მესტიის რეაბილიტაცია ხორციელდებოდა, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი მხოლოდ თავად დაბა მესტიაში მცხოვრები პირებისათვის, მაგრამ მათაც კი არ მოეთხოვებათ იმის ცოდნა, კონკრეტულად რა სამუშაოები უნდა შესრულებულიყო პროექტის ფარგლებში. მით უფრო ვერ ჩაითვლება საყოველთაოდ ცნობილად ის ფაქტი, რომ მესტიის გამგეობა ა. ჩ-ს კუთვნილ სახლს არემონტებდა.

საკასაციო სასამართლო ასევე იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის **971**-ე მუხლის საფუძველზე, შემსრულებლის ვალდებულებაა მეპატრონეს აცნობოს, რომ აუცილებელია კონკრეტული მოქმედების შესრულება და რომ იგი კისრულობს საქმეთა შესრულებას. იმავე კოდექსის **972**-ე მუხლის მიხედვით კი, შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს მეპატრონეს ანგარიში შესრულების შესახებ და გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო. აღნიშნული ვალდებულება სამოქალაქო კოდექსში იმ მიზეზითაა განსაზღვრული, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება კომერციულ ხასიათს არ ატარებს და მისი მიზანი არაა შემსრულებლის გამდიდრება, ან, ნარდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურების მიღება, არამედ კონკრეტული ქმედების განხორციელება განპირობებულია ობიექტური და გონივრული აუცილებლობით. მეპატრონე შემსრულებელს რეალურად გაწეულ აუცილებელ ხარჯს უნაზღაურებს, რაც ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი ანგარიშით უნდა დასტურდებოდეს. მოცემულ შემთხვევაში, საქმიდან არც ის გარემოება დასტურდება, რომ მესტიის გამგეობამ ა. ჩ-ს გაწეული სამუშაოს ანგარიში წარუდგინა.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის **974**-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ ა. ჩ-ს თუნდაც დამოუკიდებლად შეეტყო მესტიის გამგეობის მიერ მის სახლზე აღდგენითი სამუშაოების წარმოების შესახებ, გამგეობას გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ ეს უკანაკნელი სამუშაოს შესრულებას მოიწონებდა. ა. ჩ-ს კი, სამუშაოს შესრულებაზე თანხმობა არ გამოუთქვამს და საქმეთა შესრულება მის ნებას ეწინააღმდეგება. აღნიშნულის საპირისპირო მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის, თავად მოპასუხის განმარტებით კი, როდესაც მან სამუშაოს განხორციელების თაობაზე შეიტყო, „დაიწყო ჩხუბი, აყალ-მაყალი ატეხა, თუ რა ხდებოდა მისი ნების გარეშე», ამდენად, ნათელია, რომ მოპასუხეს სამუშაოს შესრულების ნება არასოდეს გამოუხატავს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **106**-ე მუხლი და არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის **971**-ე, **974**-ე მუხლები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **393**-ე მუხლით გათვალისწინებულ კასაციის საფუძვლებს ქმნის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **411**-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის **412**-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან მოცემული დავის გადაწყვეტისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია და მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის აუცილებლობა არ არსებობს, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მესტიის გამგეობას ადილარ ჩართოლანისათვის არ უცნობებია საქმეთა შესრულების შესახებ, ამდენად, სარჩელი გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **53**-ე მუხლის **1**-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს,

თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე მესტიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველმა ერთეულმა ა. ჩ-ს უნდა აუნაზღაუროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 11 000 ლარი.

მოცემულ საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მესტიის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის განჩინებით ყადაღა დაედო ა. ჩ-ს კუთვნილ უძრავ ქონებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199[1] მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, უნდა გაუქმდეს მესტიის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ა. ჩ-ს კუთვნილ უძრავ ქონებას ყადაღა მოეხსნას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ა. ჩ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 აგვისტოს განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მესტიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მესტიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულს დაეკისროს ადილარ ჩართოლანისათვის ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 11 000 ლარის ანაზღაურება;

5. გაუქმდეს მესტიის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას ადილარ ჩართოლანის კუთვნილ უძრავ ქონებას, რომლის რეკვიზიტებია: ზონა – მესტია ..., სექტორი – მესტია ..., კვარტალი – დაბა მესტია ..., ნაკვეთი – ცენტრი ..., ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი – 716 კვ.მ, ორსართულიანი შენობის განაშენიანების ფართი – 416 კვ. მ;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.